



COUNCIL OF EUROPE CONSEIL DE L'EUROPE

ევროპის საბჭო

ენობრივი განათლების პოლიტიკის განვითარება ევროპაში

სახელმძღვანელო პრინციპები

ენობრივი მრავალფეროვნებიდან –
მრავალენოვან განათლებამდე

ძირითადი ვერსია

ენობრივი პოლიტიკის განყოფილება

ევროპის საბჭო, სტრასბურგი

www.coe.int/lang <<http://www.coe.int/lang>>

Language Policy Division
DG IV – Directorate of School, Out-of-School and Higher Education
Council of Europe, Strasbourg

ენობრივი პოლიტიკის განყოფილება

IV განყ. - ევროპის საბჭოს სკოლის, სკოლის შემდგომი და უმაღლესი განათლების
დირექტორატი, სტრასბურგი

www.coe.int/lang

თარგმანი მერაბ ბაბუხაძისი

რედაქტორი: ვლადიმერ კიკილაშვილი

ნაშრომი ითარგმნა ევროპის საბჭოს ენობრივი პოლიტიკის განყოფილებისა და „სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორის ურთიერთობების ცენტრის“ ერთობლივი პროექტის („კონცეპტუალური მასალის თარგმნა მულტილინგვური სწავლების ხელშესაწყობად“) ფარგლებში.

წინამდებარე ნაშრომში წარმოდგენილი მიდგომა არ წარმოადგენს ევროპის საბჭოს ოფიციალურ პოლიტიკას.

ნაშრომის თარგმანი შეთანხმებულია ევროპის საბჭოს სკოლის, სკოლის შემდგომი და უმაღლესი განათლების დირექტორატთან (F-67075 სტრასბურგი CEDEX).

კვლევის ხელახალი გამოცემა ნებადართულია მხოლოდ არაკომერციული მიზნებისათვის და წყაროში მითითებული პირობების გათვალისწინებით.

თარგმანი განხორციელდა ევროპის საბჭოს ენობრივი პოლიტიკის განყოფილების ფინანსური მხარდაჭერით.

© Council of Europe, 2007

© „საიმელო“, 2008

ტექსტი ელექტრონული ფორმით ხელმისაწვდომია ენობრივი პოლიტიკის განყოფილების ვებ-გვერდზე:

www.coe.int/lang <<http://www.coe.int/lang>>

**ბამომცემლობა „საიმელო“
თბილისი, 2008**

წინათქმა

ევროპაში ენობრივი განათლების პოლიტიკის განვითარების სახელმძღვანელოს ფორმისა და შინაარსის ძირითადი არსი შეთანხმებული იყო სამეცნიერო კომიტეტის შეხვედრის დროს, რომელიც შეიქმნა კონფერენციისათვის მზადების პროცესში („ენობრივი მრავალფეროვნება დემოკრატიული მოქალაქეობისათვის ევროპაში“; ინსბურგი, 1999 წლის მაისი).

წინა ძირითადი ვერსიებისა და ორგანიზაციული მიმოხილვის მომზადება და გამოშვება შესრულდა ენობრივი პოლიტიკის განყოფილების ხელმძღვანელების ჟან-კლოდ ბეკოსა და მაიკლ ბაირამის მიერ.

- ძირითადი ვერსია განკუთვნილია პოლიტიკური გადაწყვეტილების მიმღებებთათვის და განათლების სისტემის ოფიციალური პირებისათვის ენობრივი პოლიტიკის სფეროში. ის წარმოადგენს საბაზისო ტექსტს, რომელიც ემყარება არგუმენტების ღრმა ანალიზს და ემპირიულ კვლევებს. ძირითადი ვერსია თავდაპირველად დაიწერა ფრანგულად და შემდეგ გადაითარგმნა ინგლისურად.
- ძირითადი ვერსია განკუთვნილია აგრეთვე ენობრივი განათლების პოლიტიკაში ჩართული ექსპერტებისთვის, რომელთაც, შესაძლოა, არ ჰქონდეთ ამ სფეროში ტექნიკური საკითხების სპეციალური ცოდნა. ის დაიწერა ინგლისურად, ძირითად ვერსიაზე დაყრდნობით და შემდეგ ითარგმნა ფრანგულად.

წინამდებარე სახელმძღვანელოს ძირითადი ვერსია არის დოკუმენტი, რომელიც გამდიდრდა და განახლდა კონსულტაციების შედეგად. ახალი ვერსიის ავტორია ჟან-კლოდ ბეკო.

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს ენობრივი განათლების განვითარების სახელმძღვანელოს საბოლოო ვერსიას. ის ცვლის 2002 წლის ნოემბრის საპილოტე ვერსიას და 2003 წლის აპრილის პირველ კორექტირებულ ვერსიას.

ვერსიაში გათვალისწინებულია კონსულტაციების პროცესის დროს მიღებული რჩევები და შენიშვნები, რომლებიც მივიღეთ კონფერენციებს შორის: ენები, მრავალფეროვნება, მოქალაქეობა: ევროპაში მრავალენოვნების პოლიტიკა (სტრასბურგი, 2002 წლის 13-15 ნოემბერი) და პოლიტიკის ფორუმი: მრავალენოვანი განათლების გლობალური მიდგომები (სტრასბურგი, 2004 წლის 28-29 ივნისი).

სახელმძღვანელოს თან ერთვის საბაზისო გამოკვლევების სერია, რომლებიც უზრუნველყოფენ ძირითადი საკითხების ღრმა ანალიზს. ამ კვლევების ანალიზი მითითებულია ტექსტში და I დანართში. სახელმძღვანელო, ისევე, როგორც საბაზისო კვლევების ვერსიები, შეგიძლიათ იხილოთ ენობრივი პოლიტიკის განყოფილების ვებ-გვერდზე (www.coe.int/lang <<http://www.coe.int/lang>>).

ბიბლიოგრაფია

**Castelloti Veronique, Moore Daniele; Social representations of languages and teaching;
Costanzo Edvige; Language education in Italy: an experience for Europe?
Gogolin Ingrid; Linguistic diversity and new minorities in Europe;
Grin Francois; Using language economics and education economics in language education policy;
Huhta Marjatta; Tools for planning language training;
Johnstone Richard; Addressing 'the age factor': some implications for languages policy
O'Riagain Padriag; The Consequences of Demographic Trends for Language Learning and
Diversity;
Piri Riita; Teaching and learning less widely spoken languages in other countries;
Raasch Albert; Europe, frontiers and languages;
Skutnabb-Kangas Tove; Why should linguistic diversity be maintained and supported in Europe?
Some arguments;
Starkey Hugh; Democratic Citizenship, Languages, Diversity and Human Rights
Willems Gerard; Language teacher education policy promoting linguistic diversity and
intercultural communication;**

Studies on English and diversification

**Breidbach Stephan; Plurilingualism, Democratic Citizenship in Europe and the Role of English
Neuner Gerd; Policy approaches to English
Seidlhofer Barbara; A concept of international English and related issues: from 'real English' to
'realistic English'?
Truchot Claude; Key aspects of the use of English in Europe**

Studies on diversification elsewhere in the world

**Alexander Neville; Language education policy, national and sub-national identities in South
Africa;
Churchill Stacy; Language Education, Canadian Civic Identity and the Identities of
Canadians.**

შინაარსი:

წინათქმა.....	9
I. სახელმძღვანელოს მიზნები: ენობრივი განათლების პოლიტიკის ზოგადი მიდგომის განვითარების საშუალება	10
II. ვისთვის არის განკუთვნილი სახელმძღვანელო: ენობრივი პოლიტიკის მოქმედი პირები	12
ა. ვისთვის არის განკუთვნილი სახელმძღვანელო.....	12
ბ. სახელმძღვანელოს ორი ვერსია	12
III. სახელმძღვანელოს სტრუქტურა: განხილული საკითხები.....	13
ნაწილი პირველი: ენობრივი განათლების პოლიტიკა.....	16
თავი 1: ენობრივი პოლიტიკა და ენობრივი განათლების პოლიტიკა ევროპაში: ზოგადი მიდგომები.....	17
1.1 სახელმწიფოს ენობრივი პოლიტიკის მიმართულებები ევროპაში: ეროვნული ერთეოვნებიდან ნებადართულ მრავალენოვნებამდე?	20
1.1.1. ენობრივი ნორმები და ეროვნული იდენტურობა	21
1.1.2 სახელმწიფოებრივი ერთიანობა და ენობრივი უმცირესობები	22
1.1.3. მიგრანტები: ახალი ენობრივი უმცირესობები, ახალი ენობრივი უფლებები?	25
1.2. ენობრივი განათლების პოლიტიკა სახელმწიფო განათლების სისტემებში: სახელმწიფო ენა (ენები) უცხო ენების წინააღმდეგ	26
1.2.1 განათლების ენა – გაერთიანების ენა?.....	26
1.2.2. „უცხო“ ენები და ენის არაინტეგრირებული სწავლება	27
1.3. ენობრივი იდეოლოგიები	29
1.3.1 ზოგადენობრივი იდეოლოგია: ენების არათანაბრობა	29
1.3.2 ერის ენობრივი იდეოლოგია	30
1.4. ეკონომიის ლინგვისტური იდეოლოგია	31
1.4.1. ეკონომიის პრინციპები და lingua francas	31
1.4.2. ინგლისურის გავრცელება: ევროპის ლინგვისტური პომოგენიზაციისაკენ?.....	32
1.4.3 ინგლისური და მრავალენოვნება.....	33
1.5. დასკვნა.....	34
თავი 2: ევროპის საბჭო და ენობრივი განათლების პოლიტიკა: მრავალენოვნება, როგორც ფუნდამენტური პრინციპი.....	36
2.1. რა პრინციპები უდევს საფუძვლად ენობრივ პოლიტიკას ევროპაში?	36
2.1.1. ენობრივი პრინციპები, რომლებიც გამოიყენება ეროვნულ სახელმწიფოებში, არ არის ევროპის შესაფერისი.....	36
2.1.2. მხოლოდ საერთო პრინციპებს შეუძლიათ უზრუნველყონ ენობრივი პოლიტიკის საფუძველი ევროპაში	37
2.1.3. ევროპაში ენობრივი პოლიტიკის პრინციპები შესაძლებელია იყოს მხოლოდ დემოკრატიული სივრცის ნაწილი	37
2.1.4. ეს პრინციპები უნდა ითვალისწინებდეს მიმდინარე სოციალურ განვითარებას	38
2.1.5. ეს პრინციპები დაკავშირებულია აგრეთვე ევროპის ნაწილად შეგრძნების საკითხთან	38

2.2.	მრავალენოვნება, როგორც ენობრივი განათლების პოლიტიკის პრინციპი ევროპაში	38
2.2.1.	<i>ევროპის საბჭოს ძირითადი დოკუმენტები: მრავალენოვნება და ენობრივი პოლიტიკა</i>	40
2.2.2.	<i>მრავალენოვანი და მრავალკულტურული რეპერტუარი: მრავალკულტურული კომპონენტი.....</i>	42
2.2.3.	<i>მრავალენოვნება და დემოკრატიული მოქალაქეობა.....</i>	42
2.3.	მრავალენოვნება: ინტერპრეტაციები:.....	43
2.3.1.	<i>განათლების სისტემების მიერ შემოთავაზებული მრავალენოვნება, როგორც მშობლიური და უცხო ენების გამრავალფეროვნების გზა.....</i>	44
2.3.2.	<i>მრავალენოვნება – პლურინგვალაიზმი და მულტილინგვალაიზმი: ენობრივი მრავალფეროვნება მემკვიდრეობის სახით</i>	44
2.3.3.	<i>მრავალენოვნება, როგორც საერთო მიზანი.....</i>	45
2.3.4.	<i>ენობრივი განათლების პოლიტიკის განხორციელება მრავალენოვნებაზე დაყრდნობით</i>	47
2.4.	დასკვნა.....	48

ნაწილი მეორე: ენობრივი განათლების პოლიტიკის განვითარების მონაცემები და მეთოდები 49

თავი 3: ენობრივი განათლების პოლიტიკის განვითარება: სოციალური ფაქტორების როლი გადაწყვეტილების მიღების პროცესში..... 50

3.1.	საზოგადოებრივი აზრი და ენები.....	51
3.1.1.	ენების სოციალური რეპრეზენტაციების გაცნობა, ენათა საჭიროებების დადგენა.....	51
3.1.2.	სოციალური წარმოდგენების გათვალისწინება ენის სწავლების პროცესში.....	52
3.2.	ევროპული საზოგადოებები და ენები: დახმარება და მოსალოდნელი ცვლილება	53
3.2.1.	<i>დემოგრაფიული ცვლილება.....</i>	54
3.2.2.	<i>ეკონომიკური ცვლილება.....</i>	55
3.3.	დასკვნა: ევროპა და ენები მრავალცენტრიან მსოფლიოში.....	57

თავი 4: ენობრივი განათლების პოლიტიკის განვითარება: ლინგვისტური ფაქტორები გადაწყვეტილების მიღების პროცესში..... 58

4.1.	არსებული ენობრივი სახესხვაობები.....	58
4.1.1.	<i>ენობრივი სახესხვაობები მოსაუბრის თვალსაზრისით</i>	59
4.1.1.1.	<i>ენობრივ სახესხვაობათა შექმნის თანმიმდევრობა</i>	59
4.1.1.2.	<i>ენობრივ სახესხვაობათა ფუნქციები</i>	62
4.1.2.	<i>ენობრივი სახესხვაობები საზოგადოებაში მათი სტატუსის თვალსაზრისით</i>	63
4.1.3.	<i>ენობრივი სახესხვაობები სკოლაში: წერილობითი ენა, ინსტრუქციის ენა</i>	68
4.2.	ენობრივი სახესხვაობების გამოყენების ან ცოდნის რაოდენობრივი მონაცემები	70
4.2.1.	<i>ენათა შესახებ ხელმისაწვდომი ინფორმაციის დადგენა</i>	70

4.2.2.	სანდო, ზოგადი მეთოდოლოგიის მიღება ენათა შესახებ მონაცემთა შეგროვებისათვის	74
4.2.3.	ენა საჭიროებს ანალიზს.....	76
4.2.4.	ენობრივი განათლების პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის გამოყენება სხვა ქვეყნებში.....	77
4.3.	დასკვნა	79

**6 აწილი მესამე: მრავალენოვანი განათლების ორგანიზაციული ფორ-
მები..... 81**

თავი 5: მრავალენოვნების კულტურის შექმნა..... 82

5.1.	მრავალენოვნება: ენის, პიროვნული და მოქალაქეობრივი განათლების პრინციპი და მიზანი.....	82
5.1.1.	მრავალენოვნება ჯვარედინ პროექტად.....	82
5.1.2.	მრავალენოვნება და მრავალენოვანი განათლება: ენობრივი რეპერ- ტუარის მდგომარეობის გამდიდრება და განვითარება.....	83
5.1.3.	ინდივიდის მრავალენოვნება და განათლება: მრავალკულტურული ცოდნის განვითარება და კულტურათშორისი დიალოგი	86
5.1.4.	მოქალაქეთა მრავალენოვნება და განათლება: განათლების მიღება ევროპაში დემოკრატიული მოქალაქეობისთვის	88
5.2.	მრავალენოვნების გაგრძელება: მოსალოდნელი პოლიტიკური სარგებელი	90
5.3.	მრავალენოვნების გაგრძელება: სოციალური კონსენსუსის შექმნა....	92
5.3.1.	ენების „ჩვეულებრივი“ რეპრეზენტაციისა და ენათა სწავლების უფრო დახვეწა	93
5.3.2.	იმ ფორმების დახვეწა და გამრავალფეროვნება, რომლებითაც ენები მედიასა და საჯარო სივრცეშია წარმოდგენილი.....	94
5.4.	განათლების სისტემების მომზადება მრავალენოვნებისთვის.....	95
5.4.1.	პარტნიორების ცოდნის ამაღლება, განსაკუთრებით ადგილობრივ დონეზე.....	96
5.4.2.	შემსწავლელთა გათვითცნობიერება.....	96
5.4.3.	ენის პედაგოგთა გათვითცნობიერებისა და ტრენინგის გაზრდა.....	97
5.5.	დასკვნა.....	99

თავი 6: მრავალენოვანი განათლების ორგანიზება..... 101

6.1.	როგორ უნდა იყოს ორგანიზებული მრავალენოვანი განათლება? რამდენ- იმე პრინციპი.....	101
6.2.	განათლების სისტემების მომზადება მრავალენოვნებისთვის.....	103
6.2.1.	საგანმანათლებლო დაწესებულებებში საცდელი ენების პერიოდული მიმოხილვა.....	103
6.2.2.	მრავალენოვანი განათლების ბარიერების დადგენა.....	104
6.2.3.	მასწავლებლების როლის გამრავალფეროვნება.....	105
6.2.4.	პედაგოგიური ინოვაციის სტიმულირება, მართვა და შეფასება.....	107
6.3.	სწავლების / სწავლის და ენის დებულებების სიგრძივი კოორდინირება გა- ნათლების სისტემაში და საგანმანათლებლო დაწესებულებებში.....	108
6.4.	ენის სწავლების გათვითცნობიერება.....	109
6.5.	სწავლების სტრუქტურულად მრავალფეროვანი მეთოდები.....	112
6.5.1.	სწავლების და სწავლის ალტერნატიული ფორმები.....	112
6.5.1.1.	ავტონომიური ენის სწავლების ცენტრალიზება.....	112
6.5.1.2.	ენის გაკვეთილები სკოლებში: საკლასო სწავლება.....	113

6.5.1.3.	საკლასო სწავლება ჰომოფონურ გარემოში.....	114
6.5.1.4.	თვითმიმართული სწავლა.....	115
6.5.1.5.	დისტანციური სწავლა.....	116
6.6.	ენის სასწავლო პროგრამის მიღება.....	121
6.6.1.	სამიზნე ლინგვისტური და კულტურული კომპენტენციის დიფერენცირება: ენების განხილვის საერთო ევროპული სივრცის ფარგლები.....	122
6.6.2.	სწავლების შინაარსის მიღება.....	124
6.6.2.1.	მრავალენოვნების ცოდნა: გადამკვეთი დამოკიდებულება	124
6.6.2.2.	ენის სწავლებისა და სწავლის შინაარსი იძულებით განათლებაში	125
6.6.2.3.	ენის სწავლებისა და სწავლის შინაარსი და ენის მოთხოვნები	125
6.6.2.4.	ენის სწავლებისა და სწავლის შინაარსი უმაღლეს განათლებაში	126
6.6.2.5.	ენის სწავლებისა და სწავლის შინაარსი პირადი ინტერესების შესაბამისად	127
6.7.	ენის სწავლების მეთოდების გამრავალფეროვნება	128
6.8.	დასმული ამოცანისადმი მიდგომების გამრავალფეროვნება	130
6.9.	მრავალენოვანი განათლების შემოღება ლინგვისტური კონტექსტის მიხედვით	130
6.10.	მრავალენოვანი განათლების დანერგვა	132
6.10.1.	ენის სწავლებაში თანმიმდევრულობის (გამართულობის) გაზრდა.....	132
6.10.2.	შეთავაზებული ენის რანგის გამრავალფეროვნებისა და მრავალენოვანი კომპეტენციის განვითარების პროგრამა.....	134
6.11.	დასკვა.....	136
	ზოგადი დასკვნა.....	138
	დანართები	
	<i>დანართი 1:</i> დამოწმებული ლიტერატურის სია	142
	<i>დანართი 2:</i> ტერმინოლოგია.....	143
	<i>დანართი 3:</i> ევროპის საბჭოს განსახილველი ტექსტები	147
	<i>დანართი 4:</i> შერჩევითი დამატებითი საკითხავი	148

წინათქმა

ევროპაში ენობრივი განათლების პოლიტიკის განვითარების ეს სახელმძღვანელო წარმოადგენს პასუხს მოთხოვნაზე - განვითარდეს ენობრივი პოლიტიკა თანამიმდევრული მიდგომის საფუძველზე: პრინციპების დაზუსტება და მიზნების დადგენა, სიტუაციების გაანალიზება, რესურსების, მოლოდინების, მოთხოვნების დადგენა, ამასთან, ამ დონისძიებათა განხორციელება და შეფასება. მისი მიზანია სპონტანური გადაწყვეტილებების რიცხვის შემცირება, რომლებიც ხშირად არასასურველი მოვლენების ზეწოლით მიიღება; აგრეთვე ენებისათვის "გლობალური კონცეფციის" შემუშავება. მნიშვნელოვანია ევროპული განათლების სისტემების ენობრივი პოლიტიკის განვითარება დემოკრატიული დებატების კონტექსტში და მისი განხორციელება იმგვარად, რომ გაიზარდოს შესაბამისი სოციალური კომპონენტების ჩართვა, რადგანაც ნებისმიერი ფორმის გადახვევა, განსაკუთრებით ენებთან დაკავშირებით, უდავოდ მიზანშეუწონელია.

ეს დოკუმენტი არ იცავს ენობრივი განათლების პოლიტიკის რომელიმე კონკრეტულ მეთოდოლოგიას, არამედ ცდილობს დააზუსტოს ამ პოლიტიკაში ჩართული საკითხები, დაადგინოს, თუ რა ანალიზის ჩატარებაა საჭირო და უზრუნველყოს ენის სწავლების ორგანიზების გზები და ინვენტარი, რომელიც ემთხვევა ზოგადევროპულ პრინციპებს. ეს პრინციპები უკვე დამტკიცებულია, იმდენად, რამდენადაც ისინი განთავსებულია ევროპის საბჭოს მრავალრიცხოვან რეკომენდაციებსა და კონვენციებში. ეს დოკუმენტი ცდილობს დაადგინოს ეს პრინციპები იმ თანამიმდევრული ფორმულირებებით, რომლებითაც მოცემულია და, ამასთანავე, დაადგინოს მათი პრაქტიკული გამოყენება. ნახევრები იქნება, რომ ეს პრინციპები შესაძლებელია განხორციელდეს იმ პირობითი მოქმედებით, რომელიც მოიცავს ხანგრძლივ ინვესტირებას არსებული სასწავლო პრაქტიკისა და თეორიის საფუძველზე.

სახელმძღვანელო არ აცხადებს იმის პრეტენზიას, რომ არის ორიგინალური. იგი ეფუძნება არსებულ კვლევას, რომელიც, მიუხედავად იმისა, რომ არ მოიცავს მთელს სფეროს, შესაძლებელია ჩაითვალოს, როგორც სარწმუნო. სახელმძღვანელოს მიზანია, დაეხმაროს მკითხველს, რათა მან შეძლოს უკეთ გაერკვეს ენების რაობაში, ენათა სწავლების მენეჯმენტში, მის თანმხლებ საკითხებსა და ორგანიზებაში, რადგანაც სხვა სფეროებთან შედარებით, სწორედ ამ სფეროშია მიღებული უფრო მეტი ისეთი იდეა, რომლებიც ვერანაირად ვერ ეხმარება ამ სფეროში ჩართული რთული საკითხების გადაწყვეტას. ეს არის ევროპის საბჭოს მიმდინარე ინტენსიური შრომის ნაწილი თანამედროვე ენებსა და ენობრივ პოლიტიკაზე, რომლებიც წარმოდგენილია მრავალ დოკუმენტში, რეკომენდაციების, ენების საერთო ევროპული სტრუქტურის, ევროპული ენის პორტფოლიოს ჩათვლით და აგრეთვე კონფერენციის "ლინგვისტური მრავალეროვნება დემოკრატიული მოქალაქეობისათვის ევროპაში" (ინსბურგი, 1999 წლის მაისი) ნაშრომებში.

ევროპაში ენობრივი განათლების პოლიტიკის განვითარების სახელმძღვანელო გამოქვეყნებულია არათანაბარი მოცულობის ორ ვერსიად. წინამდებარე "ძირითადი ვერსია" (Version integrale) არის საბაზო ვერსია. შემოკლებული "საორგანიზაციო ვერსია" (Version de synthèse) აგრეთვე ხელმისაწვდომია. ისინი განსაზღვრული იყო, რომ დაეკმაყოფილებინათ მკითხველთა ინტერესი ენების საკითხებსა და განათლებაში: მკითხველები, რომლებიც არ არიან სპეციალისტები განათლების საკითხებში და რომელთაც ესმით განათლების პრობლემები, მაგრამ არ არიან კარგად ინფორმირებულნი ლინგვისტურ საკითხებზე. ისინი აგრეთვე განკუთვნილია სპეციალისტებისათვის, რომლებიც მათთვის აღმოაჩენენ ენობრივი პოლიტიკის და ენების სწავლების მეთოდების კარგად ცნობილ მიდგომებს და ანალიზს. სახელმძღვანელოს თან ერთვის საბაზო კვლევების ჯგუფის მიერ ცალკე გამოცემული გამოკვლევა, რომელიც კონცენტრირდება ძირითად ვერსიაში განხილულ ზოგიერთ საკითხზე.

I. სახელმძღვანელოს მიზნები: ენობრივი განათლების პოლიტიკის ზოგადი მიღბომის განვითარების საშუალება.

ევროპაში ენობრივი განათლების პოლიტიკის განვითარების სახელმძღვანელოს მიზანია ანალიტიკური მეთოდის შემოთავაზება, რომელიც ენის სწავლების ფორმულირებას ან რეორგანიზებას გაუწევს საბაზისო სამსახურს წევრ სახელმწიფოებში (არსებითად – განათლების სისტემებში) და, ამასთანავე – ევროპული ენობრივი პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს განიხილავს. მოქმედების ამ სფეროს სახელად ვუწოდებთ *ენობრივი განათლების პოლიტიკას* (რათა ხაზი გავესვათ, რომ ეს არ არის მხოლოდ ტექნიკური განზომილებების საკითხი, ისე, როგორც საგანმანათლებლო „ინჟინერიის“ სფეროში და ენის სწავლების მეთოდებში), რამდენადაც ისინი ეხებიან სახელმწიფო ან „უცხო ენებს“; ენებს, რომელთაც იცნობენ, როგორც მშობლიურ ენებს, ან „მეორე ენებს“, უმრავლესობის ან უმცირესობის ენებს და ა. შ. ეს დოკუმენტი ყურადღებას ამახვილებს სოციალურ პრობლემებში ნებისმიერი ტიპის ენებისა და განათლების სისტემების ცენტრალურ ადგილზე, რასაც ევროპაში უნდა დაეუპირისპირდეთ ერთიან პრინციპებზე დაყრდნობით.

უფრო ზუსტად, *სახელმძღვანელოს* მიზანია, ხელი შეუწყოს განახლებულ აზროვნებას წევრ სახელმწიფოებში ენობრივი განათლების პოლიტიკის შესახებ, როგორც ცალ-ცალკე, ისე კოლექტიურად. არის მცდელობა, მოვახდინოთ ენობრივი განათლების პოლიტიკის ფორმულირება, რომლებიც საგულდაგულოდ არის მოფიქრებული და არა *ad hoc* გადაწყვეტილებების ჯამი. სულ მცირე – პოლიტიკას უნდა გააჩნდეს ევროპის საბჭოს შეფასებების და პრინციპების ზოგადი მახასიათებლების შესაბამისობა, რომელშიც გაერთიანებულნი არიან წევრი სახელმწიფოები.

დოკუმენტის ერთ-ერთი ცენტრალური პრინციპი იქნება ის, რომ პოლიტიკა უნდა ეყრდნობოდეს მრავალენოვნებას, როგორც *ღირებულებასა* და *კომპეტენციას*.

მრავალენოვნების კონცეფცია უფრო სრულად განსაზღვრული იქნება მე-2 და მე-6 თავებში; ამჯერად მას უბრალოდ განვსაზღვრავთ, როგორც პოტენციურ და/ან ფაქტიურ შესაძლებლობას, რომ გამოვიყენოთ სხვადასხვა ენა ცოდნის სხვადასხვა დონეზე და სხვადასხვა მიზნებისათვის. უფრო ზუსტად, *ზოგადევროპული ენობრივი კომპეტენციების* (გვ.168) მიხედვით, მრავალენოვანი და მრავალკულტურული კომპეტენტურობა არის უნარი, "გამოიყენო ენები ურთიერთობის მიზნებისათვის და მონაწილეობა მიიღო კულტურათაშორის მოქმედებებში, სადაც პიროვნებას, განიხილულს, როგორც სოციალურ აგენტს, გააჩნია სხვადასხვა დონის ცოდნა რამდენიმე ენაში და აქვს რამდენიმე კულტურის გამოცდილება". ის არ განიხილება, როგორც განსაზღვრული გამოცდილებების შედარება, არამედ, როგორც უბრალო გამოცდილება, თუნდაც ის იყოს კომპლექსური. ამას მიყვავართ განსხვავებამდე *პლურინგვალის* - როგორც მოლაპარაკის გამოცდილებასა (რომელსაც შესწევს უნარი, გამოიყენოს ერთზე მეტი ენა) და *მულტილინგვალის* - როგორც მოცემულ გეოგრაფიულ ტერიტორიაზე ენების არსებობას შორის: ამის გამო, ადგილი აქვს ენებზე ფოკუსირების რაკურსიდან (მდგომარეობა შესაძლებელია განეკუთვნებოდეს როგორც მონოლინგვურს, ასევე მულტილინგვურს) გადანაცვლებას რაკურსზე, რომელიც ფოკუსირდება *მოლაპარაკეებზე*.

დადგენილია, რომ მრავალენოვანი განათლების მიზანია, განავითაროს მოლაპარაკის ენობრივი თვისებები და ენობრივი რეპერტუარი. უნარი, გამოიყენო სხვადასხვა ენა, თითოეულ მათგანში კომპეტენციის ნებისმიერი დონით, საერთოა ყველა მოლაპარაკისათვის. განათლების სისტემების მოვალეობაა, გააცნოს ყველა ევროპელს ამ უნარის ბუნება, რომელიც განვითარებულია მეტ-ნაკლებად ინდივიდებისა და კონტექსტების მიხედვით, რათა გამოვლინდეს ამ უნარის ღირებულება და განვითარდეს ის სკოლის ადრეულ წლებში თუ მთელი ცხოვრების განმავლობაში. მრავალენოვნება ქმნის კომუნიკაციის საფუძველს ევროპაში, მაგრამ, უპირველეს ყოვლისა, მის პოზიტიურ აღიარებას, რაც ენობრივი მრავალენოვნების შენარჩუნების წინაპირობაა. მრავალენოვნების გამოცდილება ყველა ევროპელ მოქალაქეს აგრეთვე უზრუნველყოფს ერთი პირდაპირი

უნართ, რომელშიც ნამდვილად გამოიცდება ევროპა მთელს მის მრავალფეროვნებაში. პოლიტიკას, რომელიც არ შემოიფარგლება ენობრივი მრავალფეროვნების რეგულირებით, მაგრამ რომელიც მრავალნოვნებას იღებს, როგორც მიზანს, შეუძლია შექმნას ევროპაში დემოკრატიული მოქალაქეობის უფრო კონკრეტული საფუძველი: ეს იმდენად არ ნიშნავს კონკრეტულ ენაში ან ენებში ზედმიწევნით კვალიფიციურობას, რაც ახასიათებს ევროპულ მოქალაქეებს (და ბევრი სხვა პოლიტიკური და კულტურული ერთეულების მოქალაქეებს), რამდენადაც მრავალენოვან, მრავალკულტურულ კომპეტენტურობას, რომელიც უზრუნველყოფს კომუნიკაციას და, უპირველეს ყოვლისა, რეზიუმირდება თითოეული ენის აღიარებაში.

იმისათვის, რომ ხელი შეეწყოს ასეთ მიზნებს, *სახელმძღვანელო*, პირველ რიგში, გვთავაზობს სტრუქტურებს:

- ენობრივი განათლების პოლიტიკის დასადგენად;
- ევროპაში მიმდინარე ცვლილებებთან და ევროპის საბჭოს დებულებებთან დასაკავშირებლად;
- გადაწყვეტილების მიმღებთა და ენობრივი განათლების პოლიტიკის აგენტების გასაცნობად ენობრივ პოლიტიკაში ჩართულ სოციალურ საკითხებს.

სახელმძღვანელო შექმნილია, რათა ენის ან ენათა სწავლებასთან დაკავშირებით იმთავითვე სამსახური გაუწიოს ეროვნული განათლების სისტემების ანალიზს. ის განხილვის საშუალება იქნება მათთვის, ვინც ეძებს სწავლების შემოღების ან რეორგანიზების გზებს, რათა ნებისმიერი ასაკის შემსწავლელელებში მრავალენოვანი კომპეტენცია განვითარდეს. ამ დოკუმენტს საფუძვლად გამოიყენებენ დაინტერესებული მხარეების ინიციატივის სახით, რაც ნაწილობრივ შესაძლებელი იქნება შეხვედრების ან სამუშაო ჯგუფების ორგანიზებისთვის, რომლებშიც სახელმწიფო და საერთაშორისო ექსპერტები შეძლებენ იმსჯელონ საკუთარ იდეებზე. იდეების ასეთი გაცვლის მიზანი იქნება:

- საშუალება მიეცეს შესაბამის საგანმანათლებლო ინსტიტუტებს, გაიზიარონ ევროპის საბჭოსა და სხვა ევროპული და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ შექმნილი საგანმანათლებლო პრინციპები;
- განიხილონ ენის სწავლების თემები გამრავალფეროვნებისა და მრავალენოვანი განათლების პერსპექტივით, ინდივიდუალური და ჯგუფური ენობრივი რეპერტუარის გამდიდრებისა და განვითარების მიზნით;
- პრობლემისა და პრობლემათა გადაწყვეტა მრავალენოვნების განხორციელებისა და ხელშეწყობის თვალსაზრისით, რაც შესაძლებელია იყოს საერთო ინტერესის საგანი;
- შეიქმნას საერთო საგანმანათლებლო კულტურა, რომელიც დაეყრდნობა ისეთ ინსტრუმენტებს, როგორიცაა *ევროპული ენის პორტფოლიო*;
- ყველა ეროვნულ მოღვაწეს, რომელიც დაკავშირებულია ენებთან და მათს სწავლებასთან, საშუალება მიეცეს, განავითარონ ერთმანეთთან კონტაქტები;
- ენის სწავლება განვიხილოთ ხარისხის, საერთო პრინციპების, სტანდარტებისა და ორმხრივად თავსებადი სერტიფიცირების პროცესების თვალსაზრისით.

ასეთი გაცვლის შედეგად შესაძლებელია შეიქმნას დოკუმენტები, რომლებიც განიხილავენ სიტუაციას და აღგენენ პრიორიტეტების რიცხვს. მიმოხილვის შექმნა, რომელიც მოიცავს სახელმწიფო ენებს, ახლად ჩამოსული რეზიდენტების ენებს, უცხო ენებს და ა. შ. მიიღებდა პრაქტიკულ მნიშვნელობას, რაც დაეხმარებოდა საერთო პრინციპების განხორციელებას და ეროვნული გადაწყვეტილების მიღებას, რომლის გამოყენებაც, ასევე, შესაძლებელი იქნებოდა სადმე სხვაგან – ევროპაში.

II. ვისთვის არის განკუთვნილი სახელმძღვანელო: ენობრივი კოლიტივის მოქმედი პირები

ა. ვისთვის არის სახელმძღვანელო

ევროპაში ენობრივი განათლების პოლიტიკის განვითარების სახელმძღვანელოს მიზანია, ინფორმაცია მიაწოდოს ყველას, ვინც ჩართულია ენობრივი განათლების პოლიტიკაში და არა მხოლოდ ამ სფეროს ექსპერტებს, რამდენადაც ეს საკითხები ეხება საზოგადოებას, როგორც მთლიანობას.

სახელმძღვანელო განკუთვნილია: მათთვის, ვინც განავითარებს სტრატეგიებს ამ სფეროში ან თავად იღებს მონაწილეობას გადაწყვეტილებების მიღებაში (როგორც არ უნდა იყოს მათი კონკრეტული ფუნქციები); მათთვის, ვინც პასუხისმგებელია განათლებაზე და კულტურაზე; მასწავლებლებისთვის, მეთოდისტებისთვის, მშობელთა ასოციაციების წარმომადგენელთათვის, რეზიდენტულ ენის კურსებსა და ტურიზმის სფეროებში მომუშავე კომპანიების მენეჯერებისთვის.

სახელმძღვანელო ცდილობს, მეტად გაათავიოცნობიეროს ფართო საზოგადოება და მედია ისეთ საკითხებში, რომლებიც დაკავშირებულია ერთზე მეტი ენის და ერთზე მეტი კულტურის ცოდნასთან, ისე, რომ ევროპულ სივრცეში ჩართვა ნიშნავდეს არა მხოლოდ საბაზრო ეკონომიკისა და დემოკრატიის პრინციპების დაცვას, არამედ მრავალენოვანი კომპეტენციების ათვისების სტიმულირებას, როგორც კომუნიკაციის საშუალებას და სხვასთან ურთიერთობის ზოგად, გამრავალფეროვნებულ მეთოდს. იგი გამოავლენს სახელმწიფო განათლების სისტემებზე დაკისრებულ როლს ამ მიმართულებით, თუ მათ ცნობენ, როგორც ენის გადაცემისა და მისი საზოგადოების მიერ მოთხოვნის სავარაუდო მექანიკური ეფექტის მარეგულირებელი ფუნქციის მქონედ და ევროპული ენობრივი განათლების ხელშემწყობებად.

ბ. სახელმძღვანელოს ორი ვერსია

აქ წარმოდგენილი დებულებების სხვადასხვა მოთხოვნების მკითხველთათვის ხელმისაწვდომობისათვის, *ევროპაში ენობრივი განათლების პოლიტიკის განვითარების სახელმძღვანელო* წარმოდგენილია ორ ვერსიად:

- ძირითადი (საბაზო) ვერსია, წინამდებარე დოკუმენტი, რომელიც განიხილავს, მსჯელობს და უჩვენებს ყველა პრინციპს, ანალიზს და მიდგომას ევროპული ენობრივი განათლების პოლიტიკის ორგანიზებისათვის, ისე, როგორც განიხილება ევროპის საბჭოს ფარგლებში. ეს ვერსია განკუთვნილია მკითხველთათვის, რომლებიც დაინტერესებულნი არიან ამ საკითხების ყველა ასპექტით - ტექნიკური პარამეტრების ჩათვლით. იგი იძლევა კითხვის პასუხს: *როგორ არის შესაძლებელი რეალურად დაენერგოთ ენობრივი განათლების პოლიტიკა, მიმართული მრავალენოვნებისკენ?* ეს ვერსია, თავის მხრივ, განვრცობილი მთელი რიგი საბაზო კვლევებით, სპეციალურად შეიქმნა *სახელმძღვანელოსთვის* შესაბამისი სფეროების სპეციალისტთა მიერ. ისინი იძლევიან იმ საკითხების სინთეზს, ან უფრო დეტალურ კვლევას, რაც განხილულია ამ ვერსიაში. დაინტერესებულ მკითხველს შეუძლია, ცალკე გამოცემების სახითაც მოიძიოს სხვებული გამოკვლევები.
- ორგანიზაციული ვერსია, რომელიც მოიცავს ძირითად ვერსიაში გადმოცემულ ძირითად აზრს. ის შექმნილია მათთვის, ვინც ჩართულია ენობრივი განათლების პოლიტიკის გადაწყვეტილების მიღების პროცესში და პასუხობს კითხვას: *როგორ უნდა შედგეს პოლიტიკა, რომლის მიზანია დაიცვას და განავითაროს ენობრივი მრავალფეროვნება?*

III. სახელმძღვანელოს სტრუქტურა: ბანხილული საკითხები

ევროპაში ენობრივი განათლების პოლიტიკის განვითარების სახელმძღვანელო უზრუნველყოფს აღწერისათვის საჭირო მეთოდებს და, აქედან გამომდინარე, გარკვეული დონით ევროპული საზოგადოებების ენობრივი, კერძოდ კი განათლების სისტემებთან დაკავშირებული პრობლემების უკეთ გაგების საშუალებას იძლევა. ზოგადად თუ ვიტყვით, იგი მიმოიხილავს და მითითებს იძლევა ენობრივი განათლების სფეროში ევროპის საბჭოს პრინციპებს; ამასთან, აღწერს ამ პრინციპების განხორციელების ადმინისტრაციულ და დიდაქტიკურ მეთოდებს. თითოეულ წევრი სახელმწიფოსათვის უნდა შეირჩეს წამოყენებული დებულებებიდან ის, რომელიც ყველაზე მეტად შეესაბამება მის კონკრეტულ მახასიათებლებს.

სახელმძღვანელო გაიყო სამ ნაწილად ამ საერთო პროექტის შესაბამისად.

პირველი ნაწილი (ენობრივი განათლების პოლიტიკა) ცდილობს უჩვენოს ენისა და ენობრივი განათლების პოლიტიკის საკითხების ფუნდამენტურად პოლიტიკური ბუნება. იგი მოიცავს წევრ სახელმწიფოებში ამჟამად ჩატარებული ენობრივი პოლიტიკის საერთო მახასიათებლების განხილვას, რათა უჩვენოს სხვაობა, რომელიც არსებობს გაწერილ პრინციპებსა და ეროვნული განათლების პოლიტიკას შორის:

- ეს პოლიტიკა შესაძლებელია განისაზღვროს ეროვნული სახელმწიფოს თვალსაზრისით, რომელიც განიხილება, როგორც პოლიტიკური ერთეული, რომელშიც კავშირი არ ეფუძნება ჯგუფს, წარმოშობას, ტერიტორიას ან რელიგიას და ამის გამო გადალახავს კულტურულ მახასიათებლებს **მოქალაქეობის** ცნებით. მაგრამ მოქალაქეობა აღიქმება ლინგვისტური შეხედულებებიდან შემოსაზღვრულად, რადგანაც ის არის სახელმწიფო ენა ან ენები, რომლებიც ქმნიან მოქალაქეს. მოქალაქეობის ოფიციალური განსაზღვრება მკაცრად შემოიფარგლება, რითაც სახელმწიფო ენა / ენები ცდილობს, ერთენოვნება გახადოს ოფიციალური (ეროვნული ან რეგიონული) ნორმა და შემოიტანოს ანტაგონისტური დამოკიდებულება ენებს შორის, რითაც მას მიჰყავს ზოგიერთი ენების უპირატესი მოპყრობისაკენ და რადიკალური განსხვავებისაკენ, რომელიც იქმნება ეროვნულ / ოფიციალურ ენას (ენებს) და ყველა სხვას შორის;
- ენების საკითხის პოლიტიკური ბუნება, როგორც ასეთი, იშვიათად ამოიცნობა. ის ხშირად განიხილება მიზანმიმართული კამათისა ან შეხედულებების ფარგლებში, რომლებსაც სთავაზობენ აშკარად, მაგრამ რომლებიც ფაქტიურად წარმოადგენენ გამოუვლენელი, ურთიერთსაწინააღმდეგო საბაზო პრინციპების თვითშემეცნებას. მუშაობენ ლინგვისტური იდეოლოგიები, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი პოლიტიკურ იდეოლოგიებთან (ნაციონალიზმი, ლიბერალიზმი, სოციალიზმი და ა. შ.) და რომლებსაც ისინი ცალსახად არ შეესაბამებიან. აღიარება, რომ ენობრივი განათლების პოლიტიკის საკითხები არის საჯარო დებატების საკითხი და არა უბრალოდ ისეთი საბაზრო ძალა, ან ლინგვისტური მოთხოვნა, რომელიც შეადგენს ევროპის კოლექტიურ ფარგლებში საპერსპექტივოდ (თავი I) მათი გათვალისწინების წინაპირობას.

სხვა პრინციპებიც იქნება წარმოდგენილი ლინგვისტური მრავალფეროვნებისა და მრავალენოვნების პრინციპების განხილვის ასპექტში, რომლებიც ევროპის საბჭოს მიერ მრავალჯერ დამტკიცდა. ეს არ შეიძლება გავიგოთ ენათა მრავალფეროვნების უფრო დეტალური მენეჯმენტის ვიწრო გაგებით. ლინგვისტური მრავალფეროვნება, ფაქტობრივად, დამოკიდებულია სხვა ხალხთა ენების აღიარებაზე და იმ ცოდნის წადილზე, რომელიც გააჩნია ყველა ინდივიდს ამ ენების მიმართ: ეს არის დამოკიდებულება, რომელსაც შეუძლია უზრუნველყოს უმცირესობათა ენების გადარჩენა გეოგრაფიულ ტერიტორიაზე და შესაძლებელია გამოვლინდეს სხვა საზოგადოებების მიმართ კეთილგანწყობაში. ლინგვისტური მრავალფეროვნება შესაძლებელია შემოვიდეს ევროპულ საზოგადოებებში მრავალენოვანი განათლებით, რომელიც ცდილობს, მოიხმაროს ყველა ინდივიდის ენობრივი რესურსები და განავითაროს მათი პოტენციალი. ეს ნიშნავს მშობლიური ენის სწავლების (რომელიც შესაძლებელია იყოს ან არ იყოს ოფიციალური ენა) და სხვა ენების სწავლების ჩართვას იმავე საგანმანათლებლო მიდგომაში (თავი 2).

მეორე ნაწილი (ენობრივი განათლების პოლიტიკის განვითარების მონაცემები და მეთოდები) აღწერს ენობრივი განათლების პოლიტიკის მენეჯმენტისა და განხორციელების მართვად მიდგომას, პრინციპებს, რომლებიც განისაზღვრა ევროპული თვალთახედვიდან. ხელმისაწვდომია ობიექტური მონაცემები, რომლებიც გათვალისწინებული უნდა იყოს, რათა ენებთან დაკავშირებით განათლების სისტემებს მისცეს მიმართულება. ამის გამო დისკუსია არის მეთოდოლოგიური, იმდენად, რამდენადაც იგი განიხილავს ასეთი მონაცემების შეგროვებას, იდენტიფიცირებას და ინტერპრეტირებას, რათა აიხსნას ფაქტორები, რომლებიც გათვალისწინებული უნდა იქნეს ამ სფეროში გადაწყვეტილების მიღებისას.

ნაჩვენებია იქნება, რომ ენის სწავლების გეგმა და კურსის შექმნა არის არა მხოლოდ პედაგოგიური საკითხი: ენები არ განეკუთვნება ცოდნის იმ ტიპს, რომლის შედარებაც შესაძლებელია სხვა საგნებთან გარდაქმნილი განათლების სისტემების ფარგლებში. ენების შესწავლა შესაძლებელია სკოლის გარეთ და აგრეთვე გამოიყენება ინდივიდუალური და ჯგუფური იდენტურობის შესაქმნელად. ამის გამო არ შეიძლება დავიდეს კომუნიკაციის საშუალებამდე და ეს მათ მენეჯმენტს საკმაოდ დელიკატურ საკითხად აქცევს. აქცენტი გაკეთდება როლზე, რომელსაც თამაშობს ენათა სოციალური შემეცნება (თუ რამდენად იოლი ან რთულია, სწავლების საუკეთესო გზები და მისთ.) და მათში გათვინიერების საჭიროება, რათა მასზე გაგვინა იქონიო. ყურადღება მიექცევა წინასწარი ანალიზის მნიშვნელობასაც, რამდენადაც ენის სწავლებას დიდი ხანი სჭირდება ორგანიზებისათვის და უნდა გაითვალისწინოს სოციალური ცვლილებანი (დემოგრაფიული, ეკონომიკური და მისთ.). ზოგადი ასპექტები (მაგალითად, როგორც არის ახალგაზრდობისა და უფროსი ასაკის გახანგრძლივება) სხვები არეგულირებენ ენებზე საზოგადოების მოთხოვნებს ისე, რომ მათთვის შესაბამისი კოლექტიური პასუხები დაიგეგმოს (თავი 3).

ენები, რომლებიც წარმოდგენილია კონკრეტულ გეოგრაფიულ ტერიტორიაზე, გადაწყვეტია ენობრივი განათლების პოლიტიკის საქმეში. ამის გამო მნიშვნელოვანია გავიგოთ, თუ რამდენად არიან ისინი დაკავშირებულნი სხვადასხვა მაკროდონეებზე (სახელმწიფო და რეგიონული ენების არსებობა და უმცირესობათა ენები), ისევე, როგორც ის, თუ როგორ იყენებენ მოლაპარაკეები (ან მოლაპარაკეთა ჯგუფები) ან ისურვებდნენ მათ გამოყენებას. ეს თავი აღწერს ენობრივი სიტუაციების გაანალიზების შესაძლო გზებს, რათა დადგინდეს კოლექტიური კონფლიქტის ტიპები, რომლებიც შეიძლება გამოიწვიოს ასეთმა განსხვავებებმა. სამოქალაქო საზოგადოება, ენობრივი განათლების პოლიტიკის არჩევანის მეშვეობით, შემოიტანს კამათის მისაღებ მოდელს და ქმნის კონსენსუსს (თავი 4).

მესამე ნაწილის (მრავალენოვანი სწავლების და სწავლის ორგანიზაციული ფორმები) მიზანია უჩვენოს, რომ შესაძლებელია შემოდებული იყოს სწავლების მოდელი, რომელიც მოიცავს მრავალენოვან განათლებას და მიმართული იქნება მრავალენოვანი კომპეტენციების განვითარებისკენ იმ შემთხვევაში, თუკი უზრუნველყოფილი იქნება აუცილებელი პირობები.

ენის სწავლება / სწავლისათვის შესაძლებელია, რომ აღარ არსებობდეს კონფლიქტის საფუძველი, რადგანაც ყოველი ენისათვის შესაძლებელია გამოინახოს ფუნქციონირების სფერო. კერძოდ, თუ ყველა ენა ხელს შეუწყობს სამოქალაქო განათლებას. მრავალენოვნება ამის გამო ინტერპრეტირებული იქნება არა როგორც ევროპელებსა და დანარჩენ მსოფლიოს შორის უკეთესი კომუნიკაციის მომტანი, არამედ როგორც კულტურათაშორისი შემეცნების განვითარების საშუალება და როგორც ევროპაში დემოკრატიული მოქალაქეობის მახასიათებელი კომპონენტი. ასეთი განათლების პოლიტიკის სავარაუდო ეფექტი ნიშნავს პრინციპების მხარდაჭერის სტიმულირებას ენებზე სოციალური მოთხოვნის განათლებით, მაგალითად, იმ მეთოდების გამრავალფეროვნების გაზრდა, რომლებითაც ენები წარმოდგენილია მედიაში. ასეთი მიდგომა აგრეთვე მოითხოვს აქტივობებს, რომლებიც განათლების სისტემების პერეოგატივია: ადგილობრივი ოფიციალური პირები და ყოველი საგნის მასწავლებელი საჭიროებს, გაეცნოს ენების როლს და იმ ზოგად საკითხებსაც, რაც უკავშირდება ენების სწავლებას. ეს მიზანი აგრეთვე გულისხმობს ენის მასწავლებლების საწყისი ტრენინგის ხელახალ გააზრებას, მიუხედავად იმისა, რომელ ენას ასწავლიდნენ ისინი (თავი 5).

ბოლო თავი გეთავაზობს ტექნიკური საშუალებების ინვენტარს, რომლითაც ამ პრინციპებზე დაფუძნებული ენის სწავლების ორგანიზება შესაძლებელია, აღიარებულია,

რომ ენის თუნდაც არასრულყოფილად ცოდნა რეალურია და ენებს შესაძლოა კონკრეტულ ხელსაყრელ დროს ან მთელი ცხოვრების განმავლობაში დაეუფლოთ, ენობრივი თანაცხოვრება შესაძლებელი ხდება, განსაკუთრებით, თუ ყველამ იცის, რომ ისინი იყენებენ ან შეუძლიათ გამოიყენონ რამდენიმე ენა. ეს საშუალებები დადგენილი იქნება ენების დროსა და სივრცეში ცვალებადობის ზოგად შეხედულებაში: ცვალებადობა შესწავლილ ენებში, სწავლების ფორმებში, სწავლების და სწავლის ადგილებში და მისთ. სასწავლო პროგრამები შესაძლებელია დარეგულირდეს თითოეული ჯგუფის ენობრივ რეპერტუარში ენების როლის მიხედვით, სადაც ყველას აქვს შესაძლებლობა, რამდენიმე ენა სწავლების ზუსტად დადგენილი მეთოდებით გამოიყენოს. ეს მოითხოვს შესაძლო საგანმანათლებლო რესურსების მობილიზებას, იქნება ეს ოფიციალური, ნებაყოფლობითი თუ კერძო. ევროპის საბჭოს მეთოდები, რომლებიც განვითარდა ბოლო ოცდაათი წლის განმავლობაში, ძალიან მნიშვნელოვანია საერთო ღირებულებებზე დაყრდნობით შექმნილ საგანმანათლებლო სივრცეში (თავი 6).

ნაწილი პირველი

ენობრივი განათლების პოლიტიკა

ენათა სწავლებისათვის (სახელმწიფო, რეგიონული, უცხო ენები, ახლახან ჩამოსახლებული საზოგადოებების ენები და მისთ.) პოლიტიკის გატარება და განხორციელება მოითხოვს არა მხოლოდ ტექნიკურ გადაწყვეტილებებს, არამედ იმას, რომ ასეთი გადაწყვეტილებები გარკვეულ პრინციპებს უნდა ეყრდნობოდეს. ამის გამო, ენობრივი პოლიტიკა „ევროპულ პროექტთან“ ერთად იქნება განხილული, ღირებულების თვალსაზრისით მათი დეტალური სურათის მიღების მიზნით. ნაჩვენები იქნება პრინციპები, რომლებზე დაყრდნობითაც ამჟამად ევროპაში განხორციელებული ენობრივი განათლების პოლიტიკის ზოგიერთი ასპექტი აშკარად არ არის მიმართული ენობრივი მრავალფეროვნებისკენ (თავი 1). მას განიხილავენ ევროპის საბჭოს პრინციპებზე დაყრდნობით და ორიენტირებულია მრავალენოვნების კონცეფციაზე, მნიშვნელობასა და კომპეტენციებზე (თავი 2).

თავი 1

ენობრივი პოლიტიკა და ენობრივი განათლების პოლიტიკა ევროპაში: ზოგადი მიზნობები

იმისათვის, რომ უკეთ გავიგოთ პოზიცია, რომელიც ევროპის საბჭომ ენის სწავლებასთან დაკავშირებით დაიკავა, ეს თავი გარკვეული ენობრივი პოლიტიკის მიმოხილვასა და ენობრივი განათლების პოლიტიკას შეეხება, რომელიც ამჟამად ევროპაში დომინირებს. ჩვენ არ ვამტკიცებთ, რომ ეს არის ძალიან ზოგადი ანალიზი, რითაც, ალბათ, საპირისპირო დადასტურდებოდა რომელიმე კონკრეტული ქვეყნის სახელმწიფო პოლიტიკის აღწერასთან დაკავშირებით, მაგრამ ამ პოლიტიკის მიმართულების შეცვლის დრო ისე უნდა გამოვავლინოთ, რომ დადგინდეს ენობრივი პოლიტიკა საერთო ევროპულ ღირებულებებზე დაყრდნობით. ხაზი გაესმება იმას, რომ სახელმწიფო ენობრივი პოლიტიკა, განსაკუთრებით კი ის, რომელიც ეხება უმცირესობებს, კვლავ გაჯერებულია **ერთენოვნებით**, როგორც ეროვნული ერთიანობისა და რელიგიური იდენტურობის საფუძვლის აღიარებით. ფაქტია, რომ ბოლო დროს ევროპაში დასახლებული ჯგუფების ენებს შეზღუდული უფლებები ენიჭება.

ამის შედეგად, ენობრივი განათლების პოლიტიკას ძირითადად ახასიათებს სახელმწიფო ან რეგიონული ენის (ენების) ინსტრუქტაჟის ენად ქცევა, რათა შეიქმნას ეროვნული / რეგიონული იდენტურობის გრძნობა: ამ ენების სწავლება საგულდაგულოდ გამოირჩევა უცხო ენების სწავლებისაგან, თუმცა ორივე შემთხვევაში მისი მიზანია მოსწავლეებს, სტუდენტებსა და მოზრდილებს მისცეს ენობრივი განათლება. ეს ძირითადი მიმართულებები დაკავშირებული უნდა იყოს მათი ხელშეწყობის პრინციპებთან, რომლებიც უნდა გულისხმობდნენ ჭეშმარიტ ლინგვისტურ იდეოლოგიას, ენების შესახებ მოსაზრებათა ლოგიკურ სისტემებს, მათ როლს ან სწავლებას. ხდება მათი შემადგენელი ელემენტების იდენტიფიკაცია, რომელიც გვიჩვენებს, რომ ეს ლინგვისტური იდეოლოგიები ურთიერთსაწინააღმდეგოა, მოკლედ, შეუთავსებელი იმ პრინციპებთან, რომლებიც ევროპის საბჭომ მიიღო ენობრივი განათლების პოლიტიკის საფუძვლად.

წინაპირობა:

ენის სწავლების საკითხების პოლიტიკური ბუნების აღიარება

ენები ევროპაში თავად ევროპისათვის პრობლემატურია, რასაც ხშირად თავიდან იცილებენ, თუმცა, მათი გადაწყვეტა მზა რეცეპტებით შეუძლებელია, რაც, ალბათ, მთელი კონტინენტის კულტურულ რეალობებთან შეუსაბამობაა და მეტი არაფერი. აუცილებელია საკითხის კომპლექსური შესწავლა, რის იმედიც აქვს ამ *სახელმძღვანელოს*; დადგენილია, რომ პრობლემები რთულდება (მიგრაციული გადაადგილებები, საზოგადოების მრავალკულტურული ბუნება და მისთ.) ან ისინი შესაძლებელია თავისთავად გადაიჭრას: ენების საკითხმა და, კერძოდ, მეთოდმა, რომლითაც ისინი ისწავლება, შესაძლებელია მიიღოს *დე ფაქტო* პასუხები იმ შემთხვევაში, თუ საბაზრო ძალების ფუნქციონირება, რომლებიც ცდილობენ შემოიღონ ენობრივი ერთგვაროვნება, საკმაოდ დიდი ხნით შეინარჩუნებს ძალას.

როდესაც განვიხილავთ ენის სწავლების საკითხებს, მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ ყველა პოლიტიკური გადაწყვეტილება ორი ტიპის მოსაზრების საფუძველზე მიიღება: პირველ რიგში, დაგეგმილ ღონისძიებებს (როგორებიცაა სოციალური თანაბრობა, ინდივიდუალური თავისუფლება, მრავალფეროვნების პოზიტიური მიღება, საზოგადოების მოდელი, საბაზრო ეკონომიკა და მისთ.) ზოგად პრინციპებთან აკავშირებს, რომლებიც განსაზღვრულია ამ გადაწყვეტილებების კანონიერების საფუძველზე, მაშინ, როცა მეორეს ტექნიკური ხასიათი აქვს და ეხება დაგეგმილი ღონისძიებების შესაბამისობას შესაძლო რესურსებთან, კოლექტიურ პრიორიტეტებთან, განხორციელების დროულ ვადებთან და სასურველ შედეგთან.

იგივე ითქმის ენობრივ პოლიტიკაზე, კერძოდ, ენობრივი განათლების პოლიტიკაზე. ეს უკანასკნელი სფერო არ არის ყოველთვის საზოგადოებაში ფართო დებატების საგანი, გარდა იმ სიტუაციების ან პირობებისა, რომელშიც ენა აუცილებლად იღებს მწვავე ფორმებს. ამის მაგალითია მრავალი პოლიტიკური მიმდინარეობა, რომლებიც, ფაქტობრივად, ენების საკითხს მათსავე მანიფესტებში ადგილს არ უთმობენ. პრობლემები სულ უფრო მეტად იჩენს თავს უმცირესობათა ენებთან დაკავშირებით, მაგრამ შესაძლებელია ნაწილობრივ მაინც ისარგებლონ და დაუახლოვდნენ ევროპის ენების სადისკუსიო კონტექსტს, რადგან უმცირესობათა ენობრივ და საგანმანათლებლო უფლებებზე ორიენტირება უმცირესობებს იმ აზრით აძლიერებს, რომ ასეთი საკითხები მათ არ ეხებათ, ის არ არის მათთან პირდაპირ კავშირში, რამდენადაც უმცირესობათა საქმეს არ წარმოადგენს.

ენის სწავლების პროცესში ყველაზე ხშირი ჩარევა ხდება მარეგულირებელი გადაწყვეტილებების სახით, რომლებიც სამინისტროების დონეზე, ან უფრო ქვედა რგოლებზე - განათლების რეგიონული მმართველობების მიერ მიიღება. ამ გადაწყვეტილებებს იღებენ უპირატესად საზოგადოებრივი მოთხოვნიდან ან მათთან ტექნიკური შესაბამისობიდან გამომდინარე (მაგალითად, იმის შერჩევა, თუ რომელი ენა უნდა ისწავლებოდეს დაწესებით სკოლებში). ისინი მიიღება განათლების სპეციალისტებს შორის დამკვიდრებული ზოგადი შეხედულებებიდან ან შეთანხმებებიდან გამომდინარე, და, რასაკვირველია, არ ითვალისწინებენ საჯარო განხილვას.

ეს იმის შედეგია, რომ, ენობრივი განათლების პოლიტიკის პრობლემები არაა მიჩნეული პოლიტიკური განხილვის საგნად, ეკონომიკური ან კულტურული პოლიტიკის ან ზოგადად განათლებასთან დაკავშირებული სხვა საკითხებისაგან განსხვავებით (შესაძლებლობების გათანაბრება, განათლების სისტემების მოქმედება, საგანმანათლებლო თავისუფლება და ა. შ.). მოქალაქეები ძირითადად აცნობიერებენ და შეგნებულად ემხრობიან ფილოსოფიის ამ ასპექტებს, თუმცა ზუსტად ის პრინციპები, რასაც ეფუძნება ენობრივი განათლების პოლიტიკა, ხშირად გაუგებარია. მიუხედავად ამისა, ის პრინციპები, რომლებიც შესაძლოა მიღებული იყოს ენობრივ იდეოლოგიად, არსებობს და ქმნის კიდევ სხვადასხვა ენობრივ პოლიტიკას.

ენისა და ენის სწავლების საკითხების პოლიტიკური ბუნების გაგებისადმი ზერედე მიდგომა ცვალებად ხასიათს ატარებს სხვადასხვა ქვეყანაში და ყურადღებას იმითომ ამახვილებენ, რომ მიუხედავად საუკუნეების განმავლობაში მისი არსებობისა, შეგნებული ჩარევა ენებთან დაკავშირებით მხოლოდ ბოლო დროს დამკვიდრდა პოლიტიკისა და ლინგვისტიკის სფეროში. ლინგვისტიკა ცოდნას აღრმავეს, რომლის გათვალისწინებაც შეუძლია გადაწყვეტილების მიღებას; ამ მიდგომას ვიყენებთ წინამდებარე სახელმძღვანელოშიც.

განსაზღვრება:

ენობრივი განათლების პოლიტიკა და მრავალენოვნება

ენობრივი პოლიტიკა არის ოფიციალური, ან, ასე ვთქვათ, „საბრძოლო“ მოქმედებაა, რომელიც ცდილობს, ჩაერიოს ნებისმიერი ტიპის ენის (სახელმწიფო, რეგიონული, უმცირესობათა, უცხო და მისთ.) ფუნქციონირების სფეროში (მაგალითად, წერის სისტემა, ოფიციალური ენის არჩევა) ან განათლებაში ამ ენების ადგილის საკითხებში. მოქალაქეებმა ან მოქალაქეთა ჯგუფებმა, შესაძლებელია, ნებაყოფლობით გაატარონ ენობრივი პოლიტიკა სახელმწიფო დონეზე ან კერძო სექტორში. ენებზე ზემოქმედებას ადგილი აქვს კონკრეტული სოციალური სიტუაციების ან მოვლენათა კონტექსტში, რომელსაც ის მიეკუთვნება. თუმცა ასეთი ენობრივი პოლიტიკა ეყრდნობა გარკვეულ პრინციპებს (ეკონომიკა და ეფექტურობა, ეროვნული იდენტურობა, დემოკრატია და ა. შ.), რაც მათ ისეთ მნიშვნელობას ანიჭებს, რომელიც არსებულ პირობებს სცილდება.

ენობრივი პოლიტიკა რიგი კომპონენტებით შემოიფარგლება (ერის კონცეფცია, განათლების მიზანი და მისთ.), მოქმედი პირებისაგან (პოლიტიკოსები, აქტივისტები, პროფკავშირის წევრები და მისთ.) და ჩარევის დონისაგან (საკანონმდებლო, მარეგულირებელი და მისთ.). ენისა და ენის სწავლების საკითხების პოლიტიკური ბუნების აღიარება არის ამ სფეროში ნებისმიერი ქმედების წინაპირობა, რადგანაც ტექნიკური სირთულეები (სტრუქტურული, ადმინისტრაციული, ფინანსური და მისთ.), რომლებიც მთავრობებმა ინდივიდუალურად ან ერთობლივი მოქმედებით უნდა დაძლიოს, ვერ გადაილახება, სანამ საკითხები ამ პრინციპებთან დაკავშირებით არ დაზუსტდება.

ენობრივი პოლიტიკის პროგრამა ეხება ენობრივ უფლებებს (კერძოდ, უმცირესობებს), სასამართლოებსა და ადმინისტრაციებს, საჯაროობის ასპექტებს, მედიასა და ენის სწავლებას (დაწყებითი სკოლიდან უმაღლეს და პროფესიულ-ტექნიკურ განათლებამდე). ამ უკანასკნელის სფეროში ჩარევას, რომელიც წინამდებარე სახელმძღვანელოს ცენტრალური საკითხია, ეწოდება *ენობრივი განათლების პოლიტიკა*.

საკვლევი საკითხები: აიჯერ დენისი: ენობრივი დაგეგმარება და ენობრივი პოლიტიკა

ენობრივი პოლიტიკა, ენობრივი განათლება და ენობრივი იდეოლოგიები *მრავალენოვნებასთანაა* დაკავშირებული და მათს საფუძველს წარმოადგენს, რაც, თავისთავად, ევროპის საბჭოს ენობრივი განათლების პოლიტიკის ფუნდამენტური პრინციპია. მრავალენოვნება უნდა გავიგოთ, როგორც:

- მოლაპარაკის შინაგანი უნარი, გამოიყენოს და ისწავლოს ერთზე მეტი ენა. *ენათა ფლობის ზოგადევროპული კომპეტენციების (გვ 168) მიხედვით*, სხვადასხვა დონეზე და კონკრეტული მიზნებისათვის რამდენიმე ენის გამოყენების უნარი განსაზღვრულია, როგორც უნარი, „გამოიყენო ენები ურთიერთობის მიზნით და მონაწილეობა მიიღო კულტურათმორის ურთიერთობებში, სადაც პიროვნება, მიზნულია სოციალურ აგენტად, ფლობს სხვადასხვა დონის უნარებს რამდენიმე ენაში და რამდენიმე კულტურის გამოცდილებას“. კონკრეტულად ეს უნარები ენების მარაგში გამოიხატება, რომელთა გამოყენებაც შეუძლია მოლაპარაკეს. სწავლების მიზანია ამ კომპეტენციების განვითარება (აქედან გამონათქვამი – *მრავალენოვნება - როგორც კომპეტენცია*);
- საგანმანათლებლო ღირებულება, რომელიც ენობრივი ტოლერანტობის საფუძველია, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მრავალფეროვნების პოზიტიურად აღქმას: მოცემულ ენაზე მეტყველთა მრავალენოვნების გაცნობამ, შესაძლოა, ყველა

ენის გათანაბრება გამოიწვიოს და, აქედან გამომდინარე, მათაც თანაბარი ღირებულება მიანიჭონ ყველა იმ სახესხვაობას, რომელსაც თვითონ ან სხვა ენაზე მეტყველები იყენებენ, თუნდაც მათ ერთი და იგივე ფუნქცია არ ჰქონდეთ (პირადი, პროფესიული თუ ოფიციალური კომუნიკაცია, ზიარი საკომუნიკაციო ენა და მისთ). მაგრამ მის გაცნობას ხელს უნდა უწყობდეს და აყალიბებდეს სასკოლო ენა, რამდენადაც ის არანაირად არ არის ავტომატური (აქედან გამომდინარეობს გამონათქვამი: *მრავალენოვნება როგორც ღირებულება*).

მრავალენოვნება ორმაგი აზრით უნდა გავიგოთ: ის განაპირობებს მეტყველის ფუნდამენტურ პლურალისტურ კონცეფციას და იმ ღირებულებას, რომელიც ენობრივი ტოლერანტულობის საფუძველია და კულტურათშორისი განათლების მნიშვნელოვანი ელემენტია. *მრავალენოვნება* აქ ეხება უშუალოდ რამდენიმე ენის არსებობას მოცემულ სივრცეში, იმისგან დამოუკიდებლად, თუ ვინ იყენებდა მათ: მაგალითად, ფაქტი, რომ ორი ენა წარმოდგენილია ერთსა და იმავე გეოგრაფიულ ტერიტორიაზე, არ მიუთითებს იმაზე, რომ მოსახლეებმა ორივე ან მხოლოდ ერთი ენა იციან.

ენობრივი პოლიტიკა და ენობრივი იდეოლოგია ამის გამო შესწავლილი იქნება იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ უდგებიან ისინი მრავალენოვნებას მრავალენოვანი განათლების მნიშვნელობით.

მრავალენოვანი განათლება შეეხება ნებისმიერი ხასიათის პროგრამულ თუ პროგრამის გარე ყველა ქმედებას, რომელიც ცდილობს, ენობრივი უნარები და მეტყველთა ინდივიდუალური ენობრივი მარაგი სკოლის პირველი დღეებიდან მთელი ცხოვრების განმავლობაში გააუმჯობესოს და განავითაროს. *მრავალენოვნებასთან* დაკავშირებული განათლების (მაგალითად, სახელმწიფო, უცხო, რეგიონული ენების სწავლება) მიზანია მრავალენოვანი უნარების განვითარება. აღნიშნულია, რომ მრავალენოვანი განათლება პრინციპულად შექმნილია ლინგვისტური ცოდნის ასამაღლებლად, მაგრამ არაა გამოიზნული ენების ტრადიციულად შესწავლის მიზნით და, ამის გამო, არ ნიშნავს ენის სწავლებას მისი ზუსტი მნიშვნელობით.

მრავალკულტურული განათლება, რომელიც მჭიდროდაა დაკავშირებული მრავალენოვან განათლებასთან, თავისებურად გამოხატავს აქტივობებს, რომლებიც ხორციელდება სწავლების ფორმით, ანდა, სხვა მხრივ, მისი მიზანია ცოდნისა და კულტურული, რელიგიური და ლინგვისტური განსხვავებების პოზიტიური მიღება და უნარი, სხვებზე იმოქმედოს, დაამყაროს მათთან კავშირი.

მრავალენოვნებისა და მრავალენოვანი განათლების მიზანი არ არის ენათა დიდი სპექტრის ერთდროულად (სხვადასხვა ენის შედარების მეთოდით ან, შექმლებისდაგვარად, მრავალი ენის) სწავლება. მიზანი განსხვავებულია – მრავალენოვანი კომპეტენცია და კულტურათშორისი განათლება გაიაზრებოდეს, როგორც თანაცხოვრების გზა.

1. 1. სახელმწიფო ენობრივი პოლიტიკის მიმართულებები ევროპაში: ეროვნული ერთენოვნებიდან ტოლერანტულ მრავალენოვნებამდე?

ქვემოთ მოყვანილი სიტუაციები არსებული ვითარების აღწერად უნდა მივიჩნიოთ, რომლებიც, სავარაუდოდ, სხვადასხვა კონტექსტს შეესაბამება. აქ ყურადღება ექცევა ენობრივი სიტუაციების მიმდინარე ცვლილებებს ევროპაში, თუმცა, საბოლოო ანგარიშით, მათი შედარება შესაძლებელია.

ევროპული ენები ერთმანეთს სიტუაციურად უკავშირდებიან, რადგან საერთო წარსულიდან მოდიან: კერძოდ, ევროპულ ქვეყნებს შორის საზღვრების ცვლილებების შედეგად გვიან, მეცხრამეტე და მეოცე საუკუნეებში ჩამოყალიბდნენ და თანამედროვე სახელმწიფოებისთვის დამახასიათებელი ბუნება შეიძინეს. ეს კავშირი იქიდანაც ჩანს, რომ ბოლო პოლიტიკურმა მოვლენებმა გეოპოლიტიკური საკითხები ევროპაში გაააქტიურეს: რეალური სუვერენიტეტის დაბრუნება იმ ქვეყნებისათვის, რომლებიც არ ექვემდებარებოდნენ ისტორიულ წყვეტას, ყოფილი სუვერენული ქვეყნების ხელახალი გამოჩენა, ზოგჯერ რეგიონების ტრაგედიად იქცევა, ისინი ადრე ფედერაციების ნაწილს შეადგენდნენ დამოუკიდებელი სახელმწიფოების ან რეგიონების უკმაყოფილო თვითმმართველობით სათავეში. მიგრაციული გადაადგილებები, რაც მთელი ევროპისთვისაა დამახასიათებელი და სხვადასხვა ფორმის მარგინალიზაცია, რაც დაკავშირებულია სოციალურ ურთიერთ-გაუცხოებასთან - პრობლემებს ენობრივი თვალსაზრისითაც ქმნიან.

შეიქმნა ახალი პოლიტიკა და პროექტები, რათა განათლების სისტემებს პასუხი გაეცათ ევროპულ და გლობალურ ცვლილებებზე. ასეთი ენობრივი პოლიტიკის მიზნები მოიცავს ევროპულ განზომილებებს, მაგრამ ეს განზომილებები ყოველთვის არ იღებს მრავალენოვანი განათლების ფორმას.

1. 1. 1. ენობრივი ნორმები და ეროვნული იდენტიფიკაცია

ზოგიერთი ევროპული პოლიტიკური ფილოსოფია გვთავაზობს თეორიას, რომლის მიხედვითაც სახელმწიფო, ეროვნება და ენა ერთმანეთთან მჭიდროდაა დაკავშირებული: **სახელმწიფო ენა** არის ეროვნულობის სიმბოლო და კომპონენტი და, ამასთანავე, მოქალაქეობის განმსაზღვრელი ფაქტორი. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ ის მკაფიოდ განისაზღვროს და გამოიყოს სხვა ენობრივი სახესხვაობებისაგან, რომლებიც გამოიყენება მოცემულ გეოგრაფიულ ტერიტორიაზე. ევროპის ისტორიის განმავლობაში თანდათანობით შეიქმნა ეროვნული ენების განსაზღვრისა და მათი სტაბილურობის უზრუნველყოფის ინსტრუმენტები (ლექსიკონები, გრამატიკა, აკადემიები და ა. შ.). ამ ენობრივ ორგანოებს გააჩნიათ ოფიციალური და / ან აკადემიური თუ კულტურული უფლებამოსილება და ავრცელებენ ენობრივ ნორმებს სხვა ინსტიტუტებისათვის, როგორცაა, უპირველეს ყოვლისა, განათლების სისტემა. სახელმწიფო გამონაკლისის სახით ამ სტანდარტული ენობრივი სახესხვაობის (სახესხვაობების) კანონიერებას მხოლოდ მისი (მათი) გამოყენების მეშვეობით აძლიერებს, რასაც მოქალაქეებთან და განათლების სფეროში ურთიერთობისათვის ნერგავს.

პრაქტიკულად, ეროვნული ნორმის განსაზღვრას აქვს, ერთი მხრივ, აშკარად პოლიტიკური და, მეორე მხრივ, საგანმანათლებლო მანევრებლები: კერძოდ, საკამათო თემებია:

- ნორმის წყაროს გამაერთიანებელ მოდელად განსაზღვრა: როგორია „სწორი“ ენა, მისი რა დონის უნარი უნდა უზრუნველყოს სკოლამ? ეს კითხვა ეხება მშობლებსაც (განსაკუთრებით იმ თვალსაზრისით, თუ როგორ შეუძლიათ მათ დაეხმარონ საკუთარ შვილებს) და სამუშაოს დამკვეთებსაც.
- **მართლწერა** შესაძლოა მოექცეს დებატების ცენტრში, რომელიც ხანდახან აშკარა პოლიტიკურ სახეს იძენს, რადგან მართლწერა არის ენობრივი კომპეტენციის ობიექტურად გარეგნული ფორმა, რის საფუძველზეც შესაძლოა შეფასდეს ენობრივი ან ინტელექტუალური უნარი. ეს საკითხი უკავშირდება წინა საკითხს, მაგრამ სპეციფიკური გრაფიკული კოდის შექმნა არის ეროვნული იდენტიფიცირების შექმნის გზაც, სადაც გვხვდება ვარიაციები.
- **გამოთქმა** არის სოციალური დიფერენციაციის სრულიად აშკარა მანევრებელი. ენობრივი საზოგადოებები ცდილობენ, უპირატესობა მიანიჭონ გარკვეულ გამოთქმებს, როგორც სწორს ან გამორჩეულს და აღნიშნონ „დაბალი კლასის“ გამოთქმები ან ვულგარულად აღქმული „აქცენტები“. სკოლები მონაწილეობას იღებენ ასეთი ენობრივი ნორმების ჩამოყალიბებაში.
- **ენობრივი უნარების** განმარტება საშუალებას იძლევა ვუჩვენოთ, რომ პიროვნების მიკუთვნება ამა თუ იმ საზოგადოებისადმი ან მოქალაქეობის მიღება ნატურალიზაციის გზით ხორციელდება. ეს განმარტება შესაძლოა გაურკვეველი დარჩეს (რაც მასპინძელი ქვეყნის ენის ცოდნის *კარგ დონეს* უჩვენებს) ან დაზუსტდეს შეფასებული ინტერვიუებით ან სპეციფიკური ტესტებით. ეს არის აშკარად ტექნიკური საკითხი, რომელმაც, შესაძლოა, მეტისმეტად პოლიტიკური სახე მიიღოს; მოთხოვნილი ცოდნის დონე ინტეგრაციის პოლიტიკის აშკარა მანევრებელია.
- ზოგიერთ ქვეყანაში და ზოგიერთ კულტურულ თუ პოლიტიკურ კონტექსტში სიტყვების სესხება სხვა ენობრივი სახესხვაობებიდან დებატებს წარმოშობს, რომელშიც ხელახლა ჩნდება სახელმწიფო ენის იდენტიფიცირების საკითხი.

ასეთ ენობრივ საკითხებში ინტერესის დონე იცვლება ეროვნული კონტექსტის მიხედვით, მაგრამ ისინი ეხება მხოლოდ ოფიციალური ენების სწავლების ზოგიერთ ასპექტს. მათდამი ზედმეტი ყურადღება ხშირად ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებს, რომ სწორედ ისინი შეადგენენ უმნიშვნელოვანეს ენობრივ პრობლემებს. ამას შესაძლოა

მნიშვნელობა ჰქონდეს ეროვნული თვალსაზრისით, მაგრამ ევროპის მომავლის საკითხთან მათი შესაბამისობა ნაკლებადაა გარკვეული.

1. 1. 2. ეროვნული ერთიანობა და ენობრივი უმცირესობანი

ცენტრალურ პოლიტიკურ საკითხად ენობრივი მრავალფეროვნების მართვა რჩება, რადგანაც არსებული ენობრივი პოლიტიკა არის ეროვნული სახელმწიფოს კონტექსტში შექმნილი და იგი, როგორც წესი, **ეროვნული ენისთვის** სხვა ენებზე უფრო მეტი უპირატესობის მინიჭებას გულისხმობს.

თანამედროვე ეროვნების იდეალური მოდელი არის ის, რომ ენობრივი, კულტურული... და პოლიტიკური საზღვრები ემთხვევა: ამ შემთხვევაში ყველა მოქალაქე ლაპარაკობს ერთ ენობრივ სახესხვაობაზე, რომელიც, ამის გამო, მიჩნეულია ეროვნულ ენად. ეს გაზიარებული ენობრივი სახეობა შემდეგ შესაძლოა ჩაითვალოს მიკუთვნების მაჩვენებლად: ერი შედგება საზოგადოებისაგან, რომელიც ლაპარაკობს ამ ენაზე.

მაგრამ ეროვნული სახელმწიფოს ეს მოდელი, შექმნილი ადრეულ მეცხრამეტე საუკუნეში, მხოლოდ **თეორიულია**, შეიძლება ითქვას, **მითიურიც**: პოლიტიკური, ენობრივი და კულტურული საზღვრები არ არის ყოველთვის იდენტური და მოცემულ პოპულაციაში ან გეოგრაფიულ სივრცეში ყოველთვის სახლობენ სხვა ენებზე მოლაპარაკებელი: ძველი მიგრაციების შედეგად (ხშირად წინ უსწრებენ იმათ ჩამოსვლას, ვინც მოიტანა ენა, რომელიც გახდა დომინანტური) ან ახალი მიგრანტები. ყველა ეროვნული ერთიანობა მრავალენოვანია, თუნდაც რომ ჰომოგენური იყვნენ. ამის გამო, ყველა ეროვნული სახელმწიფო, შეიმუშავებს პრობლემის გადაჭრის მეთოდს მოქალაქეობის აბსტრაქტული განმარტებისათვის, მაგალითად როგორცაა, გარკვეული საერთო ღირებულებების დაცვა, რაც ქმნის სოციალურ კონტრაქტს (სადაც მოქალაქე განმარტებულია წარმოშობის, ტერიტორიის, სიმდიდრის, რელიგიისგან და მისთ. დამოუკიდებლად) და რასაც შეიძლება ვუწოდოთ უფრო კონკრეტული ეფექტური მიკუთვნება ერთი ეროვნული ჯგუფისადმი, ვიდრე მეორისადმი. იმისათვის, რომ გადაიტარას ეს წინააღმდეგობა, სახელმწიფო მოქალაქეობას ისეთი განმარტება მიეცა, რომელიც რეალურ მნიშვნელობას იძენს მემკვიდრეობისა და ენის მეშვეობით. ეს უკანასკნელი სახელმწიფო ერთენოვნების საფუძველია და მას ენობრივი ჰეტეროგენურობის შემცირებამდე მიყვავართ.

ევროპაში ენობრივი და კულტურული ჰეტეროგენურობა არ გამჭრალა თანამედროვე ერების წარმოშობით: ის ჯერ განახლდა ეროვნული სახელმწიფოს საზღვრების ხელახალი გადმოტანით ვერსალის ხელშეკრულების მიხედვით და მას მეორე მსოფლიო ომის დასასრული მოჰყვა. ის შენარჩუნდა ხალხთა ჯგუფების შემოსვლით, რომლებმაც სპეციფიკური ორგანიზაციების შექმნის პროექტი აირჩიეს, და საკუთარი თავი ამგვარად განსაზღვრეს. დაბოლოს, ის შეივსო ევროპულ სახელმწიფოებში მსოფლიოს ყველა კუთხიდან ჩამოსული საზოგადოებებით. ახალჩამოსულები, რომლებიც დაკავშირებული არიან ერთი და იმავე კულტურული ჯგუფისადმი მიკუთვნების გრძნობით მათი საერთო წარმომავლობის გამო, შესაძლოა აგრძელებდნენ მშობლიური ენების გამოყენებას და მათი მემკვიდრეობით გადაცემა სურდეთ.

ეს რეგიონული და უმცირესობათა საზოგადოებები, რომელთა იდენტურობა შემოიფარგლება საერთო ენით, იცვლიან წარმომავლობასა და სტატუსს:

- ჯგუფები, რომელთა ტერიტორია ადრე არსებული სახელმწიფოს ნაწილი იყო და რომელიც სხვა სახელმწიფოს დაემატა;
- ისტორიულად თვითმყოფადი უმცირესობები, როგორც კოლექტიური ერთეულების ნაწილი (სამეფოები, იმპერიები, თანამედროვე ერები და მისთ.), რომლებსაც დიდი ხნის განმავლობაში ჰქონდათ ავტონომია და თანამედროვე ერების ფარგლებში შეძლეს მისი შენარჩუნება;
- ბოლო დროს გამოვლენილი ეთნიკური ჯგუფები, რომლებიც ეროვნულ უმცირესობად ცნეს. ესენი არიან ჯგუფები, რომლის წევრებიც დაკავშირებულნი არიან როგორც სპეციფიკური ჯგუფისადმი მიკუთვნების, ასევე - ეროვნული სახელმწიფოს მოქალაქეობისადმი კუთვნილების გრძნობითაც;

- ახლად დასახლებული ჯგუფებისაგან შემდგარი საზოგადოებები, რომლებიც, შესაძლოა, ცდილობდნენ დეზინტეგრაციას თაობების განმავლობაში;
- საზოგადოებები, რომლებიც ლაპარაკობენ სახელმწიფო ენის რეგიონულ სახესხვაობებზე რაიმეს მკაცრად მტკიცების ან პოლიტიკური თუ კულტურული იდენტურობის მოთხოვნის გარეშე.

ეს უმცირესობები ამწვავებენ პრობლემების აღიარებას, რომლებსაც წარმოშობს უმცირესობები, რაც დამოკიდებულია ისეთ მახასიათებლებზე, როგორცაა:

- მათი დემოგრაფიული ხვედრითი წონა იმ ეროვნულ ერთეულთან კავშირში, რომელშიც ისინი არიან წარმოდგენილნი და მათი გეოგრაფიული კონცენტრაციის დონე (უმრავლესობის ჯგუფის გაფანტვა ან კონცენტრაცია ცალკეულ ადგილებში, სადაც მისი წევრები ქმნიან უმრავლესობას);
- მათი ეკონომიკური შესაძლებლობა (გეოპოლიტიკური სიტუაცია, ხელმისაწვდომობა ბუნებრივ რესურსებთან, ეკონომიკური დინამიზმი და მისთ.);
- მათი ისტორია, კერძოდ, დემოკრატიული დეფიციტი, რომელიც საჭიროებს კორექტირებას, თუ ისინი ენობრივ რეპრესიებს ექვემდებარებიან;
- მათი ენობრივი მრავალფეროვნების მდგომარეობა და უმრავლესობის ენაზე მეტყველთა მიერ მისი მიღება: თუ ის „ეგზოტიკურად“ (მაგალითად, მისი სტრუქტურებთან მიმართება) ან უაღრესად „მცირედ“ მიაჩნიათ, უცხოელობის განცდა უფრო მეტი გამწვავების საფრთხის ქვეშ დგება.

ამ მახასიათებლების საფუძველზე *აპრიორი* არ არის შესაძლებელი საზოგადოებრივი პრობლემების ფორმის განსაზღვრა, რომელსაც წარმოშობს ასეთი სიტუაციები. კონფლიქტის პოლიტიკური (დამოუკიდებლობის მოთხოვნა, თვით-მმართველობა, ლეგალური და კულტურული აღიარება და მისთ.) ან ძალადობრივი ფორმები ისევე იქნება. მოთხოვნები შეიძლება ვარირებდეს საზოგადოების გარკვეული ინსტიტუტების ოფიციალურ ან სასკოლო ენად მისი ცნობიდან მინიმალურ მოთხოვნამდე – ენა შერჩევითად უნდა ისწავლებოდეს ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით იმისთვის, რათა გარანტირებული იყოს მისი დაუფლება.

ამ კითხვებზე სახელმწიფოს ცენტრალური მთავრობის პასუხები ევროპული ენობრივი განათლების კონტექსტში იმით ერთიანდება, რითაც ისინი ორიენტირებულნი არიან ერთ ეროვნულ სახესხვაობასა (სახესხვაობებსა) და სხვა ენობრივ სახესხვაობებს შორის მისაღები ბალანსის რეგულირებაზე: მრავალენოვნება მიღებულია, როგორც ფაქტი, რომელსაც ეგუებიან, რადგანაც უმცირესობათა საზოგადოებების ენებთან დაკავშირებული საკითხები საბოლოო ჯამში მიღებულია მხოლოდ ამ უმცირესობათა ჯგუფების მიერ გადასაწყვეტ პრობლემად. ერთი და იმავე სახელმწიფოში თანაარსებული სხვადასხვა საზოგადოების მრავალენოვანი ბუნება ყველგან ენობრივი პოლიტიკის ძირითად საფუძველად მიღებული.

სახელმწიფო ერთენოვნების უკანდახევა

ევროპაში ენობრივი რეპრესია ამჟამად მიჩნეულია პოლიტიკურად მოძველებულ, წამებთან „გადაწყვეტილებად“, თუმცა, სახელმწიფო / ოფიციალური ენის გარდა, სხვა ენის გამოყენება ჯერ ისევ შესაძლოა დაჯარიმდეს ან აიკრძალოს; განსაკუთრებით იქ, სადაც სერიოზული დაძაბულობა საზოგადოებებს შორის. პოლიტიკა კვლავ ხორციელდება, თუნდაც არაპირდაპირ, მძლავრი ეროვნული იდეოლოგიის გავრცელების მეშვეობით, რომელიც ჯამდება ენობრივი თვითკრიტიკით არაოფიციალურ ენობრივ სახესხვაობებში მოსაუბრეთა მიერ ან იმის გამო, რომ საზოგადოებებს მასმედიასთან ხელი არ მიუწვდებათ. დემოკრატიაში წინსვლის შედეგად შემოთავაზებული ერთენოვნება, თუნდაც არალეგიტიმურად, არალეგალურად ითვლება.

ასეთი პოლიტიკა ხშირად ხორციელდებოდა წარსულში. ის ევროპასა და ყველგან მსოფლიოში სხვადასხვა ფორმით მიმდინარეობდა, მისი მიზანი იყო, გამოეკლინა დიალექტები, ადგილობრივი მეტყველება და ადგილობრივი ენები. იქ, სადაც პოლიტიკურად შესაძლებელი იყო სხვა ენობრივი სახესხვაობების იგნორირება ან განდევნა, ნაბი-

ჯები იდგმებოდა ენობრივი პოლიტიკის გასატარებლად, რომლის მიზანი იყო, დაეწესებინა ერთენოვნების შეძლებისდაგვარად უმაღლესი ხარისხი პირადი ცხოვრების ჩათვლით. ყველაზე რადიკალური გადაწყვეტილება ეროვნული სახელმწიფოს ენობრივი ერთგვაროვნების საგარანტიოდ აღმოჩნდა სახელმწიფოსაგან განსხვავებული სახესხვაობების გამოყენების თავიდან აცილება ყველა შესაძლო გზით.

დღეისათვის, როდესაც სხვა სახესხვაობებს იცნობენ, ეროვნული ენობრივი პოლიტიკა სახელმწიფო სახესხვაობისათვის (სახესხვაობებისათვის) უპირატესობის მინიჭებას აგრძელებს მისი (მათი) ოფიციალური გამოყენებით (სახელმწიფო დეპარტამენტებში, სკოლაში, სასამართლოებში, სადაც ენის საკითხი გადაწყვეტილია); სხვა სახესხვაობები მიღებულია ვიწრო გამოყენებისათვის. ამის შედეგად, ამჟამად საზოგადოებრივი რეპრეზენტაციის გაძლიერება მიმდინარეობს, რომელიც პიროვნებებს არსებითად ერთენოვნებად მიიჩნევს.

ენობრივი პოლიტიკის მიზანია მოქალაქეთა ენობრივი მრავალფეროვნების შენარჩუნება, როგორც აუცილებელი წინაპირობა ურთიერთობისათვის ან სოციალური ჰარმონიისათვის. მაგრამ ასეთი მრავალფეროვნებისთვის მას არც მხარი დაუჭერია და არც უღიარებია.

ავტონომიური მოდელი: სახელმწიფო ერთენოვნების რეზულირება

იქ, სადაც ქვეყანაში სხვა ენობრივი სახესხვაობების მოლაპარაკეთა არსებობის იგნორირების შეუძლებლობა დადასტურდა, ასიმილაციის პოლიტიკა შესაძლოა უკეთ ერგებოდეს ეროვნულ ერთიანობას, რადგან ენობრივი პოლიტიკა ლეგალურ პირობებს ქმნის ასეთი ენობრივი ჰეტეროგენურობის უზრუნველსაყოფად. საზოგადოებების წევრებს, რომლებიც რეგიონულ ან უმცირესობათა სახესხვაობებს იყენებენ, მიღებული აქვთ ენობრივი ავტონომიის გარკვეული ფორმები ტერიტორიული მოწყობის საფუძველზე, რომელიც ხშირად ან ხანდახან შესაძლოა არ ასახავდეს პოლიტიკური ავტონომიის ფორმებს.

შესაბამისი ენობრივი ავტონომიების ამ პრინციპის საფუძველზე სპეციფიკური სისტემების ორგანიზება (ლეგალური, საგანმანათლებლო, და მისთ.), რომლებიც ადგილს უჩენენ რეგიონულ და უმცირესობათა ენობრივ სახესხვაობებს, გულისხმობს კომპლექსურ რეგულირებას (მაგალითად, უნიტარული ან ფედერალური სახელმწიფოს კონსტიტუციებთან), რომლებიც დელიკატური მოლაპარაკებების საგანია. ავტონომიის ხარისხი ძალიან ცვალებადია და შესაძლოა იმდენადაც, რომ ოფიციალური ეროვნული სახესხვაობის მოპოვებას მარტივ სიმბოლურ აღიარებად გახდის.

ისეთი ღონისძიებები, რომლებიც უზრუნველყოფენ ან იცავენ საზოგადოებების იდენტურობას უმცირესობათა ენობრივი სახესხვაობების გამოყენებით, ყოველთვის უმნიშვნელოა; ისინი პრაქტიკულ გამოხატულებას ჰპოვებენ დეტალურ ტექნიკურ ღონისძიებებში, რომლებიც ყოველთვის შეიძლება გახდეს კამათის საგანი მათი განხორციელების სირთულის გამო. შესაძლოა, ამან გამოიწვიოს მეორად საკითხებზე წონასწორობის შენარჩუნების კითხვის ნიშნის ქვეშ დაყენება.

ფედერალური მოდელი: ეროვნული სახელმწიფოდან რეზიონულ სახელმწიფომდე?

ევროპაში ეროვნულ უმცირესობათა უფლებების აღიარება იღებს ფედერალური ან ფედერალისტური კონსტიტუციების ფორმასაც. ეს ხდება იქ, სადაც შეუძლებელი იყო სპეციფიკური ენობრივი საზოგადოებების არსებობის იგნორირება (მაგალითად, ერში მათი დემოგრაფიული წონის გამო) ან შეუძლებელი იყო კონსენსუსის მიღწევა ამა თუ იმ ენის სახელმწიფო ენად აღიარებაში. ეს ის შემთხვევაა, როცა ახალი სახელმწიფოები არსებული სახელმწიფოების ტერიტორიული დაშლის გზით იქმნება. ენობრივ პოლიტი-

კას მნიშვნელოვნად შეეხო მრავალენოვნების მიუკერძოებელი მენეჯმენტი, ანუ იმ მეთოდის შექმნა, რომელშიც რამდენიმე ენობრივი სახესხვაობა იარსებებდა ერთად ოფიციალური ენის სახით.

თუმცა, ამგვარ პოლიტიკას ერთენოვანი პოლიტიკის მსგავსი ფეჟეტი აქვს, რადგანაც ის წარმოიშობა ადგილობრივ დონეზე, ანუ ადმინისტრაციულ ან ტერიტორიულ-ადმინისტრაციულ ერთეულებში, რომლებიც ქმნიან ფედერალურ ერთეულებს (რეგიონები, კანტონები, ავტონომიები, ლანდერები, და მისთ): თითოეულის მართვა ისეა შესაძლებელი, რომ ის ენობრივად ჰომოგენური იყოს; სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, კონცეპტუალური თვალსაზრისით, ის ერთენოვანი რჩება.

ამ ტერიტორიებზე დომინანტური ჯგუფები, მიუხედავად მათი მცირერიცხოვნებისა, არ არის ერთგვაროვანი და, ენობრივი პოლიტიკის თვალსაზრისით, რომლის მიზანია ამა თუ იმ ენისადმი მიკუთვნების გრძნობის განვითარება, დაბოლოს „ტერიტორიის“ ამ ქვედანაყოფზე ოფიციალური ენობრივი სახესხვაობის სტანდარტის შექმნა მისი ყველა მოსახლისათვის, შესაძლოა განვითარდნენ.

მიუხედავად ამისა, ასეთი საზოგადოებების წევრები, გარკვეულწილად ორენოვანი უნდა გახდნენ, რადგანაც ისინი ფედერალური ერთეულის რომელიმე ენობრივ სახესხვაობას უნდა ფლობდნენ. აქედან გამომდინარე, მათ გარკვეული ადგილი უნდა დაუთმონ ფედერალური კანონმდებლობის ჩარჩოებში ენობრივ სახესხვაობას, რომელიც განსხვავდება იმისგან, რასაც ისინი თავისად მიიჩნევენ. მრავალენოვნების ეს ტიპი შესაძლოა სიამოვნებით არ მიიღონ და ამის გამო არადაამაკმაყოფილებლად განხორციელდეს (ან სამწუხარო შედეგებით, თუ სკოლებში სავალდებულო სწავლებაა შემოღებული), რადგანაც ეს ხედვა მომდინარეობს სოციოლოგიის სოციოლოგიის და ინსტიტუციონალური სიტუაციებიდან.

ამის გამო, ხორციელდება პოლიტიკა, რომელიც იცავს ან არეგულირებს სახელმწიფო ან სხვაგვარ ერთენოვნებას, ცნობს უმცირესობათა ენობრივ სახესხვაობებს. მათ შორის განსხვავებები აშკარად შორსაა უმნიშვნელო დემოკრატიული ერთეულებისაგან. ეს ენობრივი პოლიტიკის პრინციპები, რომლებიც საწინააღმდეგოდაა გააზრებული, ფაქტობრივად მსგავსია: ისინი დაფუძნებულია პოლიტიკური ერთეულების ენობრივად ჰომოგენურ პრინციპებზე დაყრდნობით. იქ, სადაც ერთენოვანი იდეოლოგია მიუღებელია და აუცილებელია ოფიციალური ორენოვნება, რათა მივალწით დროებით შეთანხმებას, მოქალაქეების მრავალენოვნება უნიტარული კონცეფციის საწინააღმდეგოდ უნდა მივიჩნიოთ. ტერიტორიულ საფუძველზე უმცირესობათა ენობრივი უფლებების აღიარებამ არ უნდა გამოიწვიოს მონოლინგუური ლოგიკური დასკვნის გაკეთება, რომელიც ახასიათებს მხოლოდ ენობრივად ერთგვაროვან ერთეულებს, რომელთა წარმოშობა და მოცულობა შეკითხვებს ბადებს. სახელმწიფო ერთენოვნების ან ორენოვნების ფორმების გაერთიანებით გამოწვეული დადებითი საზოგადოებრივი ურთიერთობების მოთხოვნები არ არის მრავალენოვნების განვითარების იგივეობრივი: მიზანი ისევე ერში ენის სიმბოლური და კანონიერი ასიმილაციაა.

1. 1. 3. მიგრანტები: ახალი ენობრივი უმცირესობანი, ახალი ენობრივი უფლებები?

1970-იან წლებში უცხოური მუშახელის დასაქმების დასრულებამ კი შეანელა, მაგრამ არ შეუჩერებია იმიგრაცია. მუშახელის, ახალი კვალიფიციური მუშახელის საჭიროება ისევ იგრძნობოდა ახალი ათასწლეულის დასაწყისში. მიგრაციის ახალი ტალღა გრძელდებოდა, კერძოდ, ხმელთაშუაზღვისპირეთის აუზიდან, აღმოსავლეთ-დასავლეთისა და სამხრეთ-ჩრდილოეთის მიმართულებით. ეკონომიკური ფაქტორები სავარაუდოდ ახალ მოთხოვნებს აჩენს ევროპაში, რაც დაახლოებით რამდენიმე მილიონ კაცს გულისხმობს. ამის გამო, მიგრანტებითან დაკავშირებით ენობრივი პოლიტიკის საკითხები მრავალი წლის განმავლობაში გადაუჭრელი რჩებოდა.

ახალი ემიგრანტების მიღებას თან ერთვის მათთვის და მათი ბავშვებისათვის ენობრივი განათლების სტრუქტურების მოწყობა, რის გარეშეც ეროვნული ან ოფიციალური ენის დაუფლება სპონტანურად, მხოლოდ ზეპირმეტყველების გზით მიმდინარეობს. წერის უნარობის შედეგად ეს პროცესი იწვევს ენის დამახინჯებას. გარკვეული დროის განმავლობაში მასპინძელი ქვეყნის ენა (მედის, სამუშაო და ყოველდღი-

ური სოციალური ურთიერთობების ენა) ამგვარი ახალი მოქალაქეებისათვის მოსალოდნელია, იყოს მეორე ენა. მაგრამ მასპინძელი ქვეყნის ენის გამოვლინება იცვლება თითოეული პიროვნების ან პიროვნებების ჯგუფის თავის თავში დარწმუნების დონის მიხედვით: მაგალითად, უმუშევარი ქალებს ეს სუსტად განუვითარდეთ.

ასეთი პოპულაციების ინტეგრირება, თუნდაც დროებითი თუ შექცევადი, ხდება (ერთ-ერთი) ეროვნული სახესხვაობის (სახესხვაობების) შემოსვლისას. საბოლოო ჯამში, ეს მოხდება სკოლაში მეორე თაობის არსებობით. მაგრამ ეს აგრეთვე წარმოშობს მიგრანტთა ბავშვების მიერ მშობლიური ენის აღიარების პრობლემას (ეროვნული უმცირესობების მშობლიურ ენებთან მიმართებით). ეს ენები სავარაუდოდ დაიკარგება მესამე და მეოთხე თაობებში და იქნება უბრალოდ მემკვიდრეობის ენა. კულტურულ თავისებურებათა ირგვლივ „ეთნიკური მობილიზაცია“ ცალსახად არაა ორიენტირებული საწყისი ენების გადაცემაზე. მაგალითად, ჩრდილო აფრიკელების მეორე თაობა, რომლებიც ემიგრანტებად ყოფნიდან გადავიდნენ უმცირესობათა ჯგუფებში, ხშირად საინტერესოდ ვლინდება კულტურულ ქმედებებში, რომელიც ახალ ფასეულობებზეა ორიენტირებული (მაგალითად, ანტირასიზმი და მოქალაქეობრივი უფლებები), ხოლო სალაპარაკო არაბულ (ქაბულის დიალექტი), ან კლასიკური არაბულის ცოდნის გადაცემას ყოველთვის არ მიიჩნევენ პრიორიტეტად.

ამ ენობრივ სახესხვაობებს ეძლევათ მინიმალური სივრცე. არსებობს ახლად დასახლებული უმცირესობების უამრავი მაგალითი; მათ არანაირი სპეციფიკური ტერიტორიული ბაზა არ გააჩნიათ, ისინი ევროპაში ეკონომიკური მიზნებით 1945 წლის შემდეგ ჩამოვიდნენ და ენობრივი სახესხვაობები თან ჩამოიტანეს, რომელთაც მნიშვნელოვანი ადგილი სკოლებში არ ეძლევათ და, კულტურული ტოლერანტობის თვალსაზრისით, ნაკლები უფლებებით სარგებლობენ.

ზოგიერთს სჯერა, რომ პოლიტიკა, რომელიც პატივს სცემს მულტიკულტურიზმის პრინციპებს (აღიარებული ეთნიკური საზოგადოებები), თავიდან იცილებს სოციალურ რღვევას, არ იძლევა თანაბარ შესაძლებლობებს, ან თუნდაც ინტეგრირების საშუალებას. მიუხედავად ამისა, ის, სულ მცირე, საკითხის დროებითი გადაჭრას უწყობს ხელს, სადაც ძალიან ცოტა რამ არის გათვალისწინებული ახალჩამოსულთა ენების თვალსაზრისით. ეს შესაძლოა გავიგოთ უბრალოდ წარუმატებელი ეკონომიკის განზომილებად, რომელსაც წარმოადგენს ქვეყნის უცხო ენაზე მოლაპარაკეთა მიერ გამდიდრების ფაქტი. პოლიტიკური საკითხი ასე დგას – ახალი მოქალაქეების ინტეგრაცია ითვალისწინებს თუ არა მათი მემკვიდრეობითი ენების შესაძლო გაქრობას?!

1. 2. ენობრივი განათლების პოლიტიკა ეროვნული განათლების სისტემებში: სახელმწიფო ენა (ენები) უცხო ენების საწინააღმდეგოდ

ოფიციალური ენების სტაბილურობის შენარჩუნების საჭიროება უმრავლესობის სოციალურ ჯგუფებსა და სახელმწიფო აპარატს უბიძგებს, დაადგინოს ნორმები, რომლებიც განათლების სისტემების მიერ ინერგება, კონკრეტულად, ე. წ. *მშობლიური ენის* სწავლებით და სხვა ენების მათ ენაზე სწავლებით. ენის საკითხები, ამის გამო, გარკვეულწილად, განათლების სისტემაში ცენტრალური საკითხია, განსაკუთრებით ადრეული სკოლის წლებში, რადგანაც მათი ფუნქცია არის როგორც ბავშვის საკომუნიკაციო თვისებების გაუმჯობესება, ასევე მათი ძირითადი შემეცნებითი უნარების, მათი სოციალური ტრენინგისა და როგორც მოქალაქეების ტრენინგით უზრუნველყოფა.

1. 2. 1. განათლების ენა, როგორც გაერთიანების ენა?

ენის, როგორც ეროვნული საზოგადოების წევრობის ელემენტის როლი იმ ყურადღებაზე მეტყველებს, რომელსაც ისინი განათლების სისტემაში იღებენ. ამ მიზეზის გამო, სახელმწიფო ენა ხშირად პირველადი ნაირსახეობებით განათლების სისტემაში იმ ბავშვებს გადაეცემა, ვისაც არ შეუძენია ზეპირმეტყველების უნარები მათ ოჯახურ გარემოში. მოსალოდნელი უნდა იყოს, რომ ყველა შემთხვევაში, სადაც სკოლის ენობრივი ნაირსახეობები არ არის მშობლიური, ეს სიტუაციები ბავშვის სწავლების პროცესების შეფერხებას ან დაგვიანებას იწვევენ. შესაძლებელია მოხდეს ისე, რომ ზოგიერთი ბავშვი მხოლოდ მოგვიანებით შეითვისებს მშობლიური ენის წერით უნარებს. ეს ხდებოდა

ასეთი საშიშროების გამო და დემოკრატიული პრინციპების დასაცავად, რომლებსაც საერთაშორისო დეკლარაციები ურჩევდნენ: ბავშვებს განათლება მათ მშობლიურ ენაზე უნდა მიეღოთ.

ზოგიერთი ქვეყნის განათლების სისტემაში აღიარეს ემიგრანტი მოსახლეობის უფლება, ესწავლათ მასპინძელი ქვეყნის ოფიციალურ ენაზე (რათა თავიდან აეცილებინათ ნებისმიერი დისკრიმინაცია), ამავე დროს, ყურადღება ექცევა მემკვიდრეობით მიღებული ენისა და კულტურის გათვალისწინების საჭიროებას. მიღებულია, რომ წერამ პირველი ადგილი უნდა დაიკავოს ბავშვის ოჯახის სოციალიზაციაში. მაგრამ ამ შემთხვევაში მიღებულია, რომ ეს მხოლოდ უმრავლესობის ენის წერითი უნარების დაუფლების გადაცემის პროგრამებია, თუმცა ევროპაში არსებობს გამონაკლისები ამ კვაზი-ზოგადი წესებიდან. ასეთი პროგრამების ცხოვრებაში გატარება წარმოშობს პრობლემებს ასაკთან დაკავშირებით: თუ რომელი ასაკიდან უნდა დაიწყო ბავშვებმა სკოლაში სახელმწიფო ენაზე ამა თუ იმ საგნის სწავლა, შესაძლებელია თუ არა ისწავლებოდეს ეს საგანი მშობლიურ ენაზე. სასურველია მშობლიური ენის სწავლება შეძლებისდაგვარად ადრე და, შეძლებისდაგვარად, მეტი საგნის სწავლება მშობლიურ ენაზე. ეს პრობლემები აშკარად პედაგოგიური ხასიათისაა.

მიუხედავად იმისა, რომ ასეთი სწავლების პროგრამები მხოლოდ მოსწავლეების ენობრივი მრავალფეროვნების დროებითი დონისძიებაა სკოლის ჰომოგენურად ქცევის მიზნებთან დაკავშირებით.

სიტუაცია უფრო რთული ხდება პოლიტიკური ავტონომიის გარკვეული ფორმების არსებობისას სუვერენულ ქვეყნებში ახლახან ფორმირებულ რეგიონებში, რადგან იქ უმცირესობებმა უფლება მიიღეს, ასწავლონ შვილებს საკუთარ ენობრივ ნაირსახეობაზე და არა ენობრივი უმრავლესობის ენაზე. თუ წერილობითი უნარის შექმნა ხდება ამ საწყის სახესხვაობაზე, აგრეთვე აუცილებელი გახდება სახელმწიფო ენის წერითი უნარების დაუფლებაც, რომელიც შესაძლებელია განმტკიცდეს მთლიანად კოლექტიურ ცხოვრებაში მონაწილეობის პირობებში. ეს კომპრომისულ ორენოვან სკოლას სავალდებულოს ხდის, მშობლიურ / რეგიონულსა და ეროვნულ ენობრივ ნაირსახეობებს შორის დამაკმაყოფილებელი ბალანსის ზემოთ ჩამოთვლილ პრობლემებთან ერთად.

ამ ტიპის ენობრივი განათლების პოლიტიკაში, რომელიც კვლავ მნიშვნელოვან მიმდინარეობად რჩება ეროვნულ პოლიტიკაში, მრავალენოვნებისა და მრავალფეროვანი ენობრივი რეპერტუარის კონცეფცია სათანადოდ ვერ აღიქმება. შუამდგომლობის შედეგად გაჩენილი ენობრივი ნაირსახეობების თანაცხოვრება, რომლის ხარჯებსაც ზოგჯერ ნაწილობრივ ეწევიან, შესაძლოა სრულად იყოს მიღებული და გამოიწვიოს სხვადასხვა ენის სწავლების კოორდინირება (მშობლიური, ოფიციალური, სახელმწიფო და მისთ), რითაც მრავალენოვანი განათლების საფუძველი იქმნება.

1. 2. 2. „უცხო“ ენები და ენის არაინტეგრირებული სწავლება

ე. წ. უცხო ენები სხვადასხვა პრობლემას ქმნიან. დღეისათვის სასწავლო პროგრამებში მათს ჩართვას ხშირად ეკონომიკური და პრაქტიკული მიზეზები აქვთ, თუმცა ენის სწავლა, კერძოდ, კლასიკური ენებისა (ბერძნული და ლათინური) დიდი ხნის განმავლობაში „გონებრივ ვარჯიშად“ იყო მიჩნეული კლასიკური ლიტერატურის სწავლებასა და ზოგად განათლებასთან ერთად, რომელსაც თან სდევდა უცილობელი პრესტიჟი.

ევროპული განათლების სისტემების ძირითადი მიმართულება უცხო ენებს უფრო მნიშვნელოვან ადგილს ანიჭებს, ვიდრე ამას ადრე აკეთებდა, ყველაზე ხშირად კლასიკური ენების საზიანოდ. ეს ინტერესი გამომდინარეობს ენების სოციალური მოთხოვნის გაზრდიდან, რომელიც, თავის მხრივ, გამომდინარეობს იმის უფრო მეტად გაცნობიერებიდან, რომ უცხო ენების ცოდნა კარიერისთვის უპირატესობაა. ახლა უფრო მეტი რაოდენობის ენები ისწავლება და მათთვის დათმობილი დრო სულ უფრო იზრდება. ცხადია, რომ ევროპულმა განზომილებამ ამ ზოგადი მიმართულებისკენ გარკვეული ნაბიჯები უნდა გადადგას. ეს დასკვნები ნათლად ჩამოყალიბებული სკოლებში ენების შესახებ გამოკვლევაში Eurydice (ევრიდიკე), რომელშიც შემდეგი დაკვირვებებია შემოთავაზებული:

- ენებს ეთმობა უფრო მეტი ადგილი (ადრეული სწავლა, სკოლის პერიოდში ენებისათვის უფრო მეტი დროის დათმობა);

- ძირითადი ყურადღება ეთმობა რეგიონული ენების სწავლებას და ბევრად ნაკლები - ემიგრანტი ბავშვების მშობლიურ ენას, ვისთვისაც ყველაზე ფართოდ გავრცელებული პრობლემის გადაწყვეტის გზად ჯერ კიდევ რჩება მათი ინტეგრაცია განათლების სისტემებში;
- შემოთავაზებულია ენების ფართო სპექტრი, თუმცა რეალური არჩევანი კვლავ შეზღუდულია.

ასე რომ, საერთო ჯამში, უცხო ენების სიტუაცია პოზიტიურია და, ამავდროულად, კომბინირებული, განათლების სისტემების მიერ შემოთავაზებულ ენებთან დაკავშირებით რაოდენობრივი ზრდისაგან დამოუკიდებლად; სავარაუდოდ, ისინი მისდევენ ერთსა და იმავე ზოგადი განათლების პოლიტიკას, რაშიც ისინი უცხო ენებს იმავე სტატუსს ანიჭებენ, რასაც ადრე:

- ენები ისწავლება ზუსტად იმავე მეთოდით (სიხშირე, ხანგრძლივობა, სერტიფიცირების ტიპები, და მისთ.) როგორც სკოლის სხვა საგნები, თითქოს ენები ისევე საგნები იყოს, როგორც სხვები; ჯერჯერობით ენის დაუფლება ბუნებრივი უნარია;
- განათლების სისტემები უცხო ენებს ერთმანეთთან კონკურენტულ ჯგუფებში განათავსებენ;
- ისინი ენებს სხვა საგნებთან ერთად კონკურენტულ გარემოში უჩვენენ ადგილს (მაგალითად, კლასიკური ენები და კომპიუტერული მეცნიერება);
- ისინი მათ რეგიონულ უმცირესობათა ენების კონკურენტულ გარემოში განათავსებენ.

არჩევით ან მისადმი დაქვემდებარებულ საგნებად დაყოფა ენებს ცალკე სასკოლო დისციპლინებად აქცევდა, რითაც შემსწავლელის მოლოდინის გათვალისწინებაა ნავარაუდები. მაგრამ ხშირად არჩევანის ამ შესაძლებლობას თან არ ახლავს მრავალენოვანი განათლება, რაც ესმარება ენების მრავალმხრივი ღირებულების გაგებაში. უფრო მეტიც, არჩევანის სისტემა საგნების დანაწევრებაში ესმარება, საიდანაც თითოეული მათგანი დაექვემდებარება მასწავლებელთა მოცემულ გუნდს (დაწყებითი სკოლის მასწავლებლები, კონკრეტული ენის მასწავლებლები), რომლებსაც ხშირად ნაკლები პროფესიული ურთიერთობა აქვთ ერთმანეთთან, მიუხედავად ეროვნული და მასწავლებელთა საერთაშორისო ფედერაციების მიერ გაწეული შრომისა და რომლის მიხედვითაც ყველა თანამედროვე ენას ერთად აჯგუფებენ.

ადმინისტრაციული და პედაგოგიური დანაწევრება ესმარება უცხო ენების სწავლების მრავალფეროვან მიდგომას, მშობლიურ ნაირსახეობებსა და უცხო და კლასიკური ენების შესწავლას, თუმცა ყველა ერთსა და იმავე უნარს მოიცავს: რამდენიმე ენის სხვადასხვა დონეზე სხვადასხვა მიზნებისათვის გამოყენების პოტენციური და/ან ეფექტური უნარი, რაც შეიძლება შეიცვალოს დროთა განმავლობაში. ენების ასეთი დაყოფა არის ძალიან შესამჩნევი უცხო ენების შემთხვევაში, სადაც ის შემსწავლელთათვის პრობლემებს ქმნის (მაგალითად, არაერთგვაროვანი გრამატიკული ტერმინოლოგია ამ ენებში). ადეკვატური კოორდინირების ნაკლებობა თანამედროვე მეთოდების მიხედვით ნასწავლ ენებს შორის, სკოლის სხვადასხვა დონეს შორის (ინტენსიურად ნასწავლი ენები) და იმ მეთოდებს შორის, რომლებითაც ისწავლება სახელმწიფო / ოფიციალური ნაირსახეობანი და უცხო ენის ნაირსახეობები, რაც უუნარობის მიზეზია და იგი ესმარება მრავალენოვნების კომპეტენტურობის ცალსახა ბუნების წარმოჩენას.

თუნდაც ამ ენების ისეთ „უცხო ენად“ მიჩნევა, რომ „სახელმწიფო ენის“ მინიჭება მათთვის, ვინც ამ ენებს სკოლის ფარგლებს გარეთ მშობლიურ, პირველ ენად დაეუფლა და ფართოდ იყენებს. ეროვნული იდენტურობა მტკიცდება ამ დაპირისპირებით სახელმწიფო ენასა (ენებსა) და იმ ენებს შორის, რომლებიც არ არის პლურალისტური, რაც, ზოგიერთის აზრით, საშიშია. თუ ამგვარ ოპოზიციაში გადასვლა გულისხმობს ნებისმიერი ენობრივი ნაირსახეობის ევროპულ ენად მიჩნევას, რომელიც ევროპაში ფუნქციონირებს, რა წარმოშობისაც არ უნდა იყოს. ამ თვალსაზრისით მრავალენოვან განათლებას ენობრივ ნაირსახეობათა აღქმის როლი ეკისრება, თუნდაც იმ ღირებულებებისაგან განსხვავებით, რაც შესაძლოა ჰქონდეს როგორც ეროვნული, ასევე რეგიონული იდენტიფიცირების ელემენტებს.

სახელმწიფო / ოფიციალური ენების პოლიტიკა უმცირესობათა და ემიგრანტი მოსახლეობისათვის და მათთვის, ვინც **უცხოელად** ცნეს, აშკარაა, რომ ხანდახან არათანამედროვე ფორმებით და იმ პოლიტიკური პრინციპების მიხედვით იქმნება,

რომლებიც ერთენოვნებით იყო შთაგონებული და ჩამოყალიბებული, სადაც ენობრივი მრავალფეროვნება უფრო ასატანია, ვიდრე მისაღები. ეს *სახელმძღვანელო* მოწოდებულია, რომ ენის საკითხები სერიოზულად იქნეს შესწავლილი და საბოლოოდ განვიხილოთ მთლიანობად იმ გაგებით, რაც მათ აერთიანებთ დადგენილი ზოგადეუროპული პრინციპების მიხედვით. ეს შესაძლებელია, რადგან ევროპაში ჩამოყალიბდა საერთო საგანმანათლებლო კულტურა. თუმცა, სამწუხაროდ, ჯერჯერობით ფართოდ არ არის მიღებული საზოგადოებრივი აზრის გარკვეული ნაწილის მიერ და ენის პოლიტიკასა და ენობრივი განათლების პოლიტიკაში მუშაობისას მას ხელს უშლის რამდენიმე ენობრივი იდეოლოგია.

1. 3. ენობრივი იდეოლოგიები

განათლების სისტემებში ენობრივი საკითხების მენეჯმენტი ემყარება იმ თვალსაზრისს, რომ ის შეიძლება სისტემად ჩამოყალიბდეს: ენის სწავლის გაადვილებამ, თანამედროვეობის ასახვის ან ცოდნის გადაცემის შესაძლებლობამ, სათანადო მახასიათებლების მიხედვით სამუშაო ბაზარზე მისმა ღირებულებამ შესაძლოა მიგვიყვანოს აზრების სტაბილური, კოჰერენტული ნაკრების ჩამოყალიბებამდე. ჯგუფები, რომლებიც განეკუთვნებიან ასეთ სტერეოტიპებს, სავარაუდოდ, იყენებენ სხვა სოციალურ ჯგუფებთან დებატებისათვის. სოციალური წარმოდგენების ამ კრებულებს, რომლებიც ენების შესახებ წამოყენებული არგუმენტების საფუძველს წარმოადგენს, შესაძლოა *ენობრივი იდეოლოგიები* ეწოდოს. ეს წარმოდგენები თანაბრად მოქმედია ევროპულ დებატებში: მათი აღწერა მნიშვნელოვანია, რათა ისინი დავაღაგოთ უფრო ზუსტად, სხვა მოსაზრებებთან მიმართებით, მათი უკეთ განხილვის მიზნით.

1. 3. 1. საერთო ენობრივი იდეოლოგია: ენების არათანაბრობა

ყველაზე უფრო ფართოდ გავრცელებული იდეოლოგია დაიბადა მარტივი გრძნობიდან, რასაც არანაირი განსაკუთრებული საფუძველი არ გააჩნია – ენები ერთნაირები არ არიან. ხშირად ეს მართული იდეოლოგია გვასწავლის, რომ ენები არსობრივად არათანაბარია მათი ღირებულების თვალსაზრისით. ეს არათანაბარი მდგომარეობა თავისი წარმოშობით ეთნოცენტრულია, რაც აუცილებელს ხდის სხვების მიერ ნალაპარაკევი ენის გაკრიტიკებას ამა თუ იმ კონკრეტული ენისა და ჯგუფის უპირატესობის გასამყარებლად. სხვა ენები წარმოდგენილია არასასიამოვნო, რუდიმენტულ ან ძირეულად არასათანადოდ დახვეწილი გამოყენებისათვის, მაგალითად, ლიტერატურული ან მეცნიერული გამონათქვამებისთვის.

სწორედ ამიტომაც გამოიყენება ტერმინი *ენობრივი ნაირსახეობა* ამ დოკუმენტში ყველა სათანადო ადგილას, რათა თავიდან ავიცილოთ სიტყვა *ენა*, რომელიც უკვე გულისხმობს ღირებულებებით მსჯელობას. ენობრივი ნაირსახეობის ნებისმიერი პრობლემა რეალურად არ არსებობდა, რადგანაც, მაგალითად, მას მეტ-ნაკლებად შეუძლია გამოხატოს თანამედროვე მეცნიერული ცოდნა, არის გარე ფაქტორების შედეგი და არა თითოეული ენობრივი ნაირსახეობის შინაგანი პოტენციალი. ყველა ენობრივი ნაირსახეობა შესაძლოა იმ ფუნქციების შესასრულებლად აღიჭურვოს, რომელთა განხორციელებაც მათ ადრე არ მოეთხოვებოდათ.

ენობრივი თვალთახედვით, ნებისმიერი ენობრივი ნაირსახეობა, მიუხედავად მათი სოციალური სტატუსისა, ნიშანთა სისტემაა, რომელიც გამოიყენება ადამიანთა ჯგუფის მიერ ურთიერთობის საფუძველად, როცა ყველა ენა კაცობრიობის დამახასიათებელი ლინგვისტური შესაძლებლობების გამოხატულებაა. თუმცა კონკრეტულ საზოგადოებაში ენებს სხვადასხვა ღირებულებებს მიაკუთვნებენ. ასეთი მსჯელობა, როგორც ჩანს, ეფუძნება, თავის მხრივ, ენების ბუნებას, მაგრამ ფაქტობრივად საზოგადოებაში მათი ფუნქციონირების სფეროებიდან ან იმ ხალხის სტატუსიდან გამომდინარეობს, რომლებიც ამ ენაზე მეტყველებენ. ერთი ენობრივი ნაირსახეობის ლეგიტიმაცია მეორესთან შედარებით მოცემულ ადგილას დამოკიდებულია გარე ფაქტორებზე, რაც ნათლად დადგინდა სოციოლინგვისტური კვლევებით:

- ურთიერთობის ენის გამოყენება დომინანტური სოციალური ჯგუფების (სამხედრო, ეკონომიკური, კულტურული, რელიგიური, მეცნიერული, სიმბოლური ან ელიტარული) ან ცენტრალური მთავრობის მიერ;
- სტანდარტიზაცია წერილობითი ფორმით, გრამატიკით, ლექსიკონებითა და მისთ;
- ენობრივი ნაირსახეობის ისტორიული დაკანონება, რომელიც ამა თუ იმ ტერიტორიის კულტურულ ჯგუფს განეკუთვნება და მათი თუნდაც მცირე ნაწილის იდენტურობის გამოვლენის აღიარება;
- კულტურული ლეგიტიმაცია, რაც მიღწეულია ლიტერატურული, ხელოვნების, სამეცნიერო, ფილოსოფიური, რელიგიური და სხვა ნაშრომებით;
- შესასწავლი ენის სახით სტატუსი და მისი როლი, როგორც ენა, რომელზეც სხვა სასკოლო და საუნივერსიტეტო საგნები ისწავლება.

სხვა ენებისა და მათზე მოლაპარაკეთა შესახებ საკმაოდ საზიანო მოსაზრებები შეიძლება წამოიწიოს ენების კლასიფიცირებით, მათი დახასიათებით (ენებს აღიქვამენ მეტ-ნაკლებად გასაგებად, მარტივად, როგორც მდიდარ, ლამაზ ენებს და მისთ.) ან მათი გამოყენებისას გარკვეული მითითებით ეროვნული ენების „აქცენტით“ ლაპარაკზე „დაბალ ფენაში“ ან „გულგარულად“, „არასწორად“ და მისთ. ზოგიერთი ემიგრანტი ბავშვი ამბობს, რომ მას შეუძლია მხოლოდ ერთ ენობრივ ნაირსახეობაზე ლაპარაკი – მაგალითად, მასპინძელი ქვეყნის სახელმწიფო ენაზე, რადგანაც მათ განიცადეს მძლავრი ზეწოლა, რომლის მიხედვითაც მათი მშობლების ენა არ ითვლება „ნამდვილ“ ენად იქ, სადაც ისინი ახლა ცხოვრობენ.

ენის აღმნიშვნელი სიტყვები, თავის მხრივ, მათს აღიარებაზე მომუშავე ჯგუფის უმთავრესი საკითხია: კონკრეტულ რეგიონულ დიალექტს სურს მიიღოს აღიარება, როგორც *სრულყოფილ ენას*, რომელსაც აქვს ლეგიტიმაციის უფლება, ისევე, როგორც ჯგუფს, რომელსაც სურს, რომ ხალხად აღიარონ, რათა კანონიერად დააარსონ სახელმწიფო. ეს ენობრივი იდეოლოგია მედიაში და პოლიტიკურ მსჯელობებში ისევე საკმაოდ ცოცხალია, ალბათ, ისეთ ფორმებში, რომლებიც ნაკლებად სახიფათოა, ვიდრე ადრე იყო. ამჟამად, რომ ამან შესაძლოა მიგვიყვანოს ენობრივ შეუწყნარებლობამდე, რითაც ის მხარს არ უჭერს ყველა ენობრივი ნაირსახეობის თანაბარი დაფასების აღიარებას.

ენობრივი პოლიტიკისა და ენობრივი განათლების პოლიტიკის შედგენაში, ფორმულირებასა და განხორციელებაში ჩართული გადაწყვეტილების მიმღებნი არ არიან ცალსახად თავისუფალნი ენების თაობაზე ამ ზოგადი სტერეოტიპებისაგან. დემოკრატიულ კონტექსტში განათლების პოლიტიკის შემუშავება ნიშნავს ენის აღქმას, რომლებიც განსხვავდება ამ სტერეოტიპებისაგან, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ენების არათანაბარი ღირებულების იდეოლოგია გამოყენებული იყო კულტურული და რელიგიური რეპრესიების წინაპირობად, რათა დამტკიცებულიყო ან სამუდამოდ დამკვიდრებულიყო დაპყრობილი ტერიტორია სოციალური ჯგუფების გასამიჯნად, მათი ემანსიპაციის დასაბრკოლებლად ან წარსულში მათი კოლონიური წარმოშობის დასამტკიცებლად.

1. 3. 2. *ერის ენობრივი იდეოლოგია*

თანამედროვე ევროპელი ერები, რომლებმაც შექმნეს და განახორციელეს სახელმწიფოს კონცეფცია, შეიქმნა გვიან მეფორამეტე და მეცხრამეტე საუკუნეებში და დღეისათვის ისევე იქმნებიან კომპლექსური კულტურული და პოლიტიკური პროცესების საფუძველზე, რომლებშიც ენები თავიანთ როლს თამაშობენ. სუვერენული ტერიტორიული ერთეულების ეს განვითარება ეფუძნება შეგრძნებას, რომელიც განსხვავდება ცალკეული მმართველისადმი დაქვემდებარების შეგრძნებისაგან: ეს მოდის კოლექტიური, განახლებული და, ამის გამო, საერთოდ, ყოველთვის პროექტზე დამოკიდებულებისაგან.

ერები ყალიბდება თანაბარი საზოგადოებების ურთიერთობით. მაგრამ როგორც კი დადგინდება, რომ საზოგადოებაში მყოფნი თანაბრად მიეკუთვნებიან არჩეულ და კანონიერ სტატუსს კლანის, წარმოშობის, რელიგიისა თუ ტერიტორიისაგან დამოუკიდებლად, მიუხედავად იმისა, თუ ამათგან რომელს ეკუთვნის, უნდა ჩამოყალიბდეს საერთო გამოცდილებითა და ღირებულებებით, საერთო მემკვიდრეობით, რომელიც შეადგენს მათი გაერთიანების საფუძველს. ეს ეფექტური დანართი, რომელიც პატრიოტიზმის ფესვებში უნდა ვეძიოთ, ევროპაში სიმბოლურ და მატერიალურ ელემენტებს ემყარება, რომ-

ლებიც იცვლებიან, მაგრამ სხვადასხვა სახელმწიფოში შედარებადია. ეროვნული იდენტურობის ასეთი მრავლობითი ფორმები ისეთი მასალისაგან იქმნება, როგორცაა დიდი წინაპრების მეხსიერება, ეროვნული ღირებულებების განმასახიერებელი გმირებით ან გამორჩეული ადგილებით, მიღწევებით, მონუმენტებით და ა. შ. ამ ზოგად ეროვნულ მახასიათებლებს ხელახლა შემოაქვთ კულტურული დიფერენციაციის ელემენტები, სადაც ამ საზოგადოებების აბსტრაქტული დიფერენცია უნდა დომინირებდეს, სადაც გაერთიანება ემყარება ისეთი ღირებულებების დამატებას, როგორცაა კანონთან თანაბრობა და ხალხის სუვერენიტეტი.

სხვა კომპონენტებთან ერთად, კონკრეტული ენობრივი იდეოლოგია ზოგად კულტურულ-ლოგიურ კლასიფიკაციას აყალიბებს, რომელიც ისტორიული ერების დასადგენად გამოიყენება. გეოგრაფიული ადგილის ერთი ენობრივი ნაირსახეობა, რომელსაც ცენტრალური ადგილი უკავია ან, მაგალითად, დომინანტური ურბანული კლასების მიერაა მიღებული, აირჩევა ოფიციალური ენად: ის ხდება ერისა და ეროვნული სულის ერთ-ერთი გამოხატველი, სიმბოლო. თავის მხრივ, ერი ამას ამყარებს მისთვის უპირატესობის მინიჭებით (ის გამოიყენება მთავრობის მიერ, გაფანტული სწავლის გზით). ამ „დაშტამპვის“ მექანიზმს შესაძლოა ადრე თუ გვიან სხვა ენობრივი ნაირსახეობების ამოძირკვის მექანიზმი ან სისტემატურად მათი უფრო მცირე ნაირსახეობად გადაქცევა დაემატოს. ეროვნული იდენტურობების ასეთმა გამძაფრებულმა განდიდების გრძნობამ ევროპა შემცირებამდე მიიყვანა.

იგივე იდეოლოგია შესაძლოა გატარდეს უმცირესობათა ჯგუფების მიერ, რომლებიც კონკრეტულ საზოგადოებებზე აღიარებას ცდილობენ, რათა შემცირდეს ადგილი, რომელიც მიცემულია სხვა ენობრივი ნაირსახეობებისათვის ისევე „უფრო მცირე“ სახელით, ვიდრე მათია, რადგან საჭიროა შენარჩუნდეს ან შეიქმნას ახლად ფორმირებული და აღიარებული საზოგადოების ერთიანობა. ასეთი ენობრივი იდეოლოგია აშკარად შეუსაბამოა ევროპული პროექტისათვის: შეუძლებელია ევროპა ერთენოვან პოლიტიკურ ერთეულად მოვიზნოთ და მისი ერთიანობა დავაფუძნოთ ცალკეული ენების მოქალაქეების მიერ ნებაყოფლობით ერთი ენის მიღებაზე, რაც უზრუნველყოფდა კონკრეტულ საფუძველს მათი ამ საზოგადოების გაერთიანებაში.

საბაზისო ბამოკვლევა: *ალექსანდრე ნევილი: ენობრივი განათლების პოლიტიკა, ეროვნული და შიდაეროვნული იდენტურობა სამხრეთ აფრიკაში; სტეის ჩერჩილი: ენობრივი განათლება, კანადური სამოქალაქო იდენტურობა და კანადელების იდენტურობა; ჯოზეფ ლო ბიანკო: ენობრივი პოლიტიკა: ავსტრალიური ხედვა.*

1. 4. ეკონომიკის ენობრივი იდეოლოგია

მეორე ენობრივი იდეოლოგია **საერთო ენის** საჭიროებაზეა აგებული, რომელიც მრავალენოვნების ღირებულებას შეამცირებდა. ის გაძლიერდა მიმდინარე ეკონომიკური გლობალიზაციისა და კომუნიკაციური ტექნოლოგიების განვითარებით, რამაც კონტაქტების შესაძლებლობის ხელსაყრელი პირობები მეტად გაზარდა.

1. 4. 1. ეკონომიკის პრინციპი და „ლინგვა ფრანკა“

საერთაშორისო ურთიერთობისა და, კერძოდ, ვაჭრობის მოთხოვნებმა წვლილი შეიტანა ენათა ცოდნის განვითარებაში, რაც სპეციალისტთა ჯგუფების ერთმანეთთან ურთიერთობის შედეგად მოხდა: ჯარისკაცები და ემისრები, ბერები და პილიგრიმები, ვაჭრები და კომერსანტები; ახლა - ბიზნესმენები და ტურისტები... ურთიერთგაგებინება შეიძლება მიღწეულ იქნეს ცოდნით, ორმხრივად, ან სხვაგვარად, თანამოსაუბრის ენისა ან კონკრეტული ენობრივი ნაირსახეობის გამოყენებით საერთაშორისო კომუნიკაციის ამ ფორმებში.

საერთო ენა შესაძლებელია შეიქმნას ერთი ან უფრო მეტი არსებული ენობრივი ნაირსახეობის საფუძველზე და გამოიყენებოდეს ურთიერთობის უფრო აქტიურ საშუალებად სხვადასხვა მშობლიურ ენაზე მოლაპარაკებებს შორის. შუა საუკუნეებში *ლინგვა*

ფრანკა ეყრდნობოდა ფრანგულს და მათ შექმნეს ოქსიტანი, რომელიც გამოიყენებოდა ხმელთაშუა ზღვის აუზში საკომუნიკაციოდ და შემდგომ გაქრა. სოციოლინგვისტიკაში ამ ენის სახელი უკავშირდება ენობრივ ნაირსახეობებს, რომლებიც ამ ფუნქციებს ასრულებენ, სულ ერთია, ხელოვნურად იყვნენ შექმნილნი (მაგალითად, ესპერანტო) თუ შედგენილი (მაგალითად, თვით ლინგვა ფრანკას მსგავსად). ლინგვა ფრანკას როლი შესაძლებელია ენათა კონკრეტულმა ჯგუფმაც ითამაშოს (ლათინური, ესპანური, ინგლისური), მისი გამოყენება არის უპირატესობის მრავალგვარი ფორმის გამოყენების შედეგი (სამხედრო, იდეოლოგიური, კულტურული, ეკონომიკური და მისთ.), რითაც შესაძლებელია ამა თუ იმ ჯგუფმა ისარგებლოს. მაგრამ ერთხელაც ის ხდება საერთაშორისო, დომინანტი ერის ენა, შესაძლებელია, საბოლოოდ ამოიძირკოს მისი წარმოშობის საბაზო ტერიტორიიდან და დომინანტური ძალაუფლების ვექტორის ფუნქცია მეტად აღარ ჰქონდეს. დივერსიფიკაციის წყალობით, ის შეიძლება ახალი ფორმებით მიიღონ სხვა საზოგადოებებმა, რომლებიც შემდგომ მას საკუთარ ენად მიიჩნევენ.

ეკონომიკის პრინციპზე დაყრდნობილი ენობრივი იდეოლოგია ხშირად ეკონომიკის სამსახურში დგება. შემდეგ ფასდება ადამიანთა ენობრივი ნაირსახეობის დივერსიფიკაციის ღირებულება: სწავლისა და თარგმნის ღირებულება, ორმხრივი გაგების სირთულე. ეს არის ეროვნული პოლიტიკის წყარო, რისთვისაც საერთო ჰომოგენური ენის გამოყენება უზრუნველყოფს ეროვნული ბაზრის მოქნილობას, კერძოდ, სამუშაო ბაზრისა და სახელმწიფოსათვის მაქსიმალურ ეფექტურობას. ენის ეკონომიკა გამოიყენება ენობრივი გამრავალფეროვნების ხელის შეშლის მცდელობის გასამართლებლად. ეს იდეოლოგია შესაძლებელია ლიბერალური იდეოლოგიის ნაწილად მივიჩნიოთ.

1. 4. 2. ინგლისურის გაგრძელება: ევროპაში ენობრივი ჰომოგენიზაციისაკენ?

ინგლისურის (ან უფრო ზუსტად - ანგლო-ამერიკულის) ამჟამინდელი პოზიცია საერთაშორისო კომუნიკაციებში ყველაზე ხშირად დასტურდება ასეთი ენობრივი იდეოლოგიით: ეს ენობრივი ნაირსახეობა ვაჭრობაში ეკონომიკის შეფასების საშუალებას იძლევა, რომელიც ახლა ვრცელდება მთელ მსოფლიოში. ინგლისური სხვა საერთაშორისო გამოყენების ენების რიგში ჩადგა, რადგანაც წამყვანი სახელმწიფოების ენაა. მხოლოდ ევროპაში არ გამოიყენება უნივერსალურად საკომუნიკაციო ენად, მხოლოდ ისეთზოგიერთ სფეროში, როგორცაა ვაჭრობა და ფინანსები.

საბაზისო ბამოკვლევა:
ტრუშოტ კლოდი: ევროპაში ინგლისურის გამოყენების ძირითადი ასპექტები.

უპირველესად შესაძლოა საშიში იყოს ის სოციოლინგვისტური პროცესები, რომლებმაც ინგლისურის ინტერ-ჯგუფების კომუნიკაციის საერთო ენის გამოყენებიდან, მისი ყოველდღიური ურთიერთობის ენის გამოყენებისაკენ გარკვეულ სფეროებს მისცეს მიმართულება (ეკონომიკური, ხელოვნების, სამეცნიერო და მისთ.) და საბოლოოდ რომელიმე ეროვნულ ენას კონკურენცია გაუწიოს. ენობრივი ეკონომიკის იდეოლოგიით, ინგლისური ზოგადად წარმოდგენილია მომავლის ერთადერთ ენად, რომელიც საკმარისი არ არის ევროპაში ენობრივი ჰომოგენიზაციის საშიშროების დასასაბუთებლად.

რა თქმა უნდა, არ დამტკიცებულა, რომ ენობრივი მომავლის ეს სცენარი რეალურია ან განხორციელდება: გლობალური ინგლისურის განვითარების პერსპექტივა მოიცავს სხვადასხვა საკითხს. მართლაც, შესაძლებელია საკითხის განხილვა:

- რომ ამ ენობრივმა ნაირსახეობამ შესაძლებელია, თუნდაც ნაწილობრივ, დაკარგოს მისი, როგორც ერთი ოფიციალური ენის როლი აშშ-ში სხვა ენების წამოწევის შედეგად, მაგალითად, ესპანური და აზიური ენები;
- რომ ეს ენობრივი ნაირსახეობა მისი რეგიონული გამრავალფეროვნების და არა მშობლიურ ენაზე მოლაპარაკეთა შორის გამოყენების გამო (ინგლისური, ინდური, ამერიკული და ავსტრალიური ნაირსახეობები ისე დაშორდნენ, რომ ორმხრივად გაუგებარნი გახდნენ), ალბათ მეტი აღარ დაემორჩილება მკვიდრი მოლაპარაკეების ენობრივ სტანდარტებს და განავითარებს მას ისეთ ფორმებში, რომელიც მას,

უბრალოდ, ახალ ნაირსახეობად აქცევს იმ სახელმწიფოთა შორის განსაკუთრებული ურთიერთობისათვის, რომლისთვისაც ის არის ოფიციალური ენა;

- რომ შესაძლებელია დაიყოს *ლინგვა ფრანკა* და დომინანტური ძალაუფლების მქონე ენის როლები, როგორც შედეგი უფრო მძლავრი უარყოფისა, ვიდრე ამჟამადაა შესაძლებელი (ამერიკული მოდელის გარკვეული ელემენტებით). ანტიგლობალიზმური მოძრაობები შესაძლებელია ამის მანიშნებელი იყოს;
- რომ ამ ენობრივი ნაირსახეობების მიერ შესრულებული ფუნქციები გამოიყოფა საქონლისგან, რომელიც გამოიყენება ვაჭრობაში. არის შესაძენევი მიმართულება, რომ აღიწეროს გარკვეული პროდუქტები მყიდველის ენაზე და არა მისი დიზაინერის ან გამყიდველის ენაზე: *ნემლ ჯეოგრაფიკი* ახლა გადაიცემა რამდენიმე ენაზე, *სი-ენ-ემბა* შექმნა რეგიონული გადაცემები, *კოკა-კოლას* სარეკლამო კამპანიები არის ყველა ეროვნული; ეს ყველაფერი არსებობს ინდივიდუალიზებული გაყიდვების ტექნიკის გავლენით და იმის მანიშნებელია, რომ გამოვლინდება მიზნობრივი კლიენტურის სპეციფიკურობა და, ამის გამო, მათი ენები და კულტურული მახასიათებლები;
- რომ სოციალური განსხვავების სტრატეგიები სხვადასხვა ენაში კომპეტენტურობის შექმნას შეაფასებენ (სულ მცირე ორს), და ნაკლებად ფართოდ შესწავლილ ენებს. რამდენადაც უცხო ენების ცოდნა ხდება ჩვეულებრივი (მაგალითად, გარკვეულ დონეზე ინგლისური), შესაძლებელია ნაკლებად გავრცელებული ენებისათვის სოციალური სივრცე გამოთავისუფლდეს.

ყველა ეს მიზეზი მიუთითებს ეკონომიკის ენობრივ იდეოლოგიაზე დაფუძნებული ჰომოგენიზაციის ეფექტების ფრთხილი შეფასების სასარგებლოდ. თუმცა, სხვა ელემენტები გვაჩვენებენ, რომ გავრცელების პროცესი შესაძლოა დაწყებულია, რომელიც რაოდენობრივ პირობებში აღწევს კრიტიკულ ზღვარს. ინგლისურს დომინანტური ადგილი უკავია განათლების სისტემებში და საერთაშორისო საზოგადოებებში. ამ უნივერსალურობამ (თუმცა, ძალიან პირობითმა) შესაძლებელია შეასუსტოს მცირე საზოგადოებების ენები; კომუნიკაცია მის წევრებს შორის უმეტესწილად ან გამონაკლისის სახით ხორციელდებოდა მთელ რიგ სფეროებში (სამეცნიერო და ეკონომიკური გაცვლები, უნივერსიტეტში სწავლება და ა. შ.). ამის გამო, თითოეული სახელმწიფო უნდა ფიქრობდეს საკუთარ ენობრივ მომავალზე, რათა გადაწყვიტოს - იღებს თუ არა აზრს მისი სახელმწიფო ენის „მარგინალიზაციის“ თაობაზე, რომელსაც საერთაშორისო მდგომარეობა არ გააჩნია, და მიჰყვეს თუ არა ამგვარ განვითარებას. მნიშვნელოვანია, რომ ამ ძალებმა ვერ უნდა შეძლონ ლოგიკური დასკვნის გაკეთება თითოეული საზოგადოების წევრის მკაფიოდ ინფორმირებისა და დემოკრატიულ დებატებში მათი მოწვევის გარეშე. ზოგიერთს წარმოუდგენია, რომ ევროპული შეხედულებები გარკვეულ როლს ითამაშებენ იმ დებატებში.

1. 4. 3. ინგლისური და მრავალენოვნება

ცხადია, ძალიან რთულია იმ საკითხის შესახებ დასკვნის გამოტანა, რომელსაც გააჩნია მთელი რიგი ფარული პოლიტიკური ტენდენციები. ასეა თუ ისე, ზოგიერთს სჯერა, რომ ინგლისური „აშინებს“ ევროპას ენობრივი ჰომოგენურობით, ეს ის შემთხვევაა, როდესაც დომინანტური სოციალური აღქმა ყველა ღირსებას ამ ენას მიაწერს (სამსახურისათვის, ურთიერთობისათვის, ახალი ტექნოლოგიებისათვის და მისთ.) და, აქედან გამომდინარე, ხელს უწყობს ერთენოვნების იდეოლოგიის გავრცელებას. ინგლისურის გაბატონებისა და მრავალენოვნებას შორის ურთიერთობა, ფაქტობრივად, უფრო კულტურული ხასიათისაა, ვიდრე სოციოენობრივი.

ინგლისურის, როგორც მსოფლიო ენის როლი, დიდწილად არის „ამერიკული მოდელის“ ამჟამინდელი დომინირების შედეგი, კერძოდ, პოპკულტურასთან მიმართებით. საზოგადოებრივ ცხოვრებაში კულტურული დონისძიებების მნიშვნელოვნების ზრდამ და ამერიკის შეერთებული შტატებისა და სხვა ინგლისურ ენაზე მოლაპარაკე ქვეყნების ეფექტურობამ კულტურის ინდუსტრიაში, ისევე როგორც მათმა წვლილმა ყველა სხვა სახის მსოფლიო მნიშვნელობის აქტივობებში, ქცევებისა და ღირებულებების საერთაშორისო გავრცელება გამოიწვია. ამის გამო ინგლისურს აკისრია არა მხოლოდ საერთო ენის, არამედ ცხოვრებისა თუ საზოგადოებრივი ენის როლი. ამ აზრით, ის

ადარ არის ლინგვა ფრანკა, თუმცა გასაგებია, რომ შესაძლებელია მხოლოდ შეესაბამებოდეს მას, რათა გადმოსცეთ კულტურა და შექმნათ საკუთარი კულტურული იდენტობა. ეს შესაძლებელი იქნებოდა მაშინ, თუ სწავლების არსი კულტურულად განეიტრალებოდა (ინგლისურად მოლაპარაკე საზოგადოებებთან არანაირი კავშირით) და ენობრივი საბაზო მოდელი იქნებოდა საერთაშორისო ინგლისურის ერთ-ერთი ნაირსახეობა. ასეთი მოქმედების წესი უკვე გამოკვლეული და მხარდაჭერილია, სხვათა შორის, ზოგიერთი მასწავლებლის ნეოკოლონიალიზმის ბრალდების შიშითაც.

საბაზისო ბამოკვლევა:

ბარბარა სეიდლჰოფერი: *საერთაშორისო ინგლისურისა და მასთან დაკავშირებული საკითხების კონცეფცია: „რეალური ინგლისურიდან“ „რეალისტურ ინგლისურამდე“?*

ამის გამო ინგლისური ფასდება მეტად საჭირო საკომუნიკაციო ინსტრუმენტად და თანამედროვეობასთან ადაპტირების საშუალებად. ფუნქციითა ამ კომბინაციამ შესაძლებელია მიგვიყვანოს შეხედულებამდე, რომ სხვა ენობრივი ნაირსახეობები რეალობის მიმართ არაადეკვატურია (და ეს არ არის მხოლოდ მშობლიურ ინგლისურზე მოლაპარაკეთა მოსაზრება), რადგან, თითქოსდა, ინგლისურის ცოდნა საკმარისია საკომუნიკაციო მოთხოვნილებებისა და საზოგადოებრივი სურვილების დასაკმაყოფილებლად.

მნიშვნელოვანია ინგლისურის და იმავე პოზიციაზე მყოფი ყველა ენობრივი ნაირსახეობის თავისებურად სწავლება, კერძოდ, მრავალენოვან განათლებასა და კულტურათა შორის კომუნიკაციაში მის ფუნქციებთან მიმართებით. ინგლისურის საკითხის განხილვა მისთვის მიცემული ადგილის გაუთვალისწინებლად გამოიწვევდა უკურეაქციას ისეთ სიტუაციებში, სადაც საგანმანათლებლო შედეგები მაინც გადამწყვეტია.

ამ პირობებში საკმარისი არ არის, გავამრავალფეროვნოთ სკოლებში შემოთავაზებული ენები; განათლების სისტემას უნდა შეეძლოს მრავალენოვანი ცოდნის მიღების შეთავაზება, რაც ნიშნავს საგანმანათლებლო ღონისძიებების, როგორც ენის სწავლების შემადგენელი ნაწილის ორგანიზებას და ამის შემდეგ შეძლოს, თანაბრად დააფასოს დაფიქსირებული ყველა ენობრივი ნაირსახეობა, საზოგადოებაში მათი სტატუსის მიუხედავად. ინგლისურის სწავლება ისე უნდა იყოს ფორმულირებული, რომ მოლაპარაკის მრავალენოვნებას სტიმული მიეცეს და არ დაიბლოკოს მისი შემდგომი განვითარება მონოლინგვური იდეოლოგიის სახელით.

1. 5. დასკვნა

ფაქტია, რომ არსებობს პრობლემები, რომლებიც უფრო მეტად ართულებენ ევროპის სახელმწიფოთა შორის ენების სფეროში კონსენსუსის გამოძებნას (მშობლიური ენა, მეორე ენა და ა. შ.); მათი სწავლების აუცილებლობა გამოძინარეობს ფაქტიდან, რომ ენებს აქვთ მრავლობითი სოციალური ფუნქცია; ისინი ასოცირდებიან კოლექტიურ იდენტურობასთან: (ერი, რეგიონი, საზოგადოება და მისთ.), ინდივიდუალურ და მოქალაქეობრივ განვითარებაში გარკვეულ როლს თამაშობენ, სულ უფრო აუცილებელი ინსტრუმენტებად გვევლინებიან ყოველდღიურ ცხოვრებაში, ხელს უწყობენ სხვა კულტურებისა და საზოგადოებების აღმოჩენას და აქვთ საგანმანათლებლო როლი და შესაბამისად, არატოლერანტულობა და რასიზმი გამოვლენილია სხვათა ენებისადმი უპატივცემულობაში.

ვინაიდან ენები კომუნიკაციისა და სხვებისადმი გახსნილობის რეალური საშუალებაა, მათი სწავლების ხელშეწყობა, თავისთავად, უნდა გახდეს განათლების პოლიტიკის მნიშვნელოვანი მიზანი, რათა უფრო დიდი ვალდებულებაც ავიღოთ განათლების პოლიტიკის წინაშე, რომელიც არ არის შეზღუდული ენების გადაფარვაში და აზრი მიეცეს ნაკლებად სამეცყველო და სწავლებად ენებს, შექმნათ ფუნქციონირების შესაბამისი არე (იქნება ეს ეროვნული, რეგიონული, უმცირესობის, საზოგადოების, ექსტრავეროპული და მისთ.). აუცილებელია, მოვიძიოთ *მრავალენოვნების* ყველანაირი რესურსი. *„ყველა ენა ყველასთვის“* მაქსიმალისტური, არარეალისტური სლოგანია, მაგრამ ეს არის სხარტი, საიუბილეო გამოთქმა სიცოცხლისუნარიანი საგანმანათლებლო პროექტისა

(მრავალენოვანი განათლება, რომელიც აფასებს და ავითარებს ენობრივ კომპეტენტურობას, ისევე, როგორც ინდივიდუალურ ენობრივ მარაგს) და კონსენსუსის ფასეულობის იდენტიფიცირება (ენობრივი და კულტურული მრავალფეროვნების პოზიტიურად მისაღებად განხორციელებული მრავალენოვანი და მრავალკულტურული განათლება), რაც ევროპაში დემოკრატიული მოქალაქეობრიობისათვის მნიშვნელოვანი კომპონენტია.

საბაზისო ბამოკვლევა:

სკუტნაბ-კანგას ტოვი, რატომ უნდა შენარჩუნდეს ენობრივი მრავალფეროვნება და მხარდაჭერილი ევროპაში? რამდენიმე არგუმენტი.

თავი 2

ევროპის საბჭო და ენობრივი განათლების პოლიტიკა: მრავალენოვნება ფუნდამენტურ პრინციპად

წინა თავში შევეცადეთ ევროპაში მოქმედი ენობრივი იდეოლოგიების ძირითადი მახასიათებლები და ენის სწავლების სტილები აღგვეწერა, რომლებსაც ეს მახასიათებლები აყალიბებენ. ნაჩვენები იყო, რომ ეს არ არის ურთიერთდაპირისპირებული ენები, როგორც ამას ჩვეულებრივ გვკარნახობენ, არამედ ანტაგონისტური ენობრივი იდეოლოგიებია. თუმცა, მუშაობს აგრეთვე სხვა პრინციპებიც: სკოლებსა და საზოგადოებაში ენების დივერსიფიკაციის პრინციპი უკვე მიღებულია მრავალი მთავრობის მიერ, თუმცა მისი პრაქტიკული რეალიზება ერთნაირად არ ხორციელდება; კერძოდ, დივერსიფიკაციასთან მიმართებით. შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ ფუნქციონირების ეს პრობლემები არის არა უბრალოდ პოლიტიკური სიტუაციების ან იდეოლოგიური გამძლეობის, არამედ გამრავალფეროვნების ნამდვილი პრინციპის ადეკვატური განათლების უკმარისობის შედეგი.

ევროპის საბჭომ ევროპაში ზოგადი ენობრივი განათლების საფუძვლის შექმნის პრინციპები დაადგინა. ეს თავი ხელმეორედ განიხილავს წვერი სახელმწიფოების მიერ მხარდაჭერილ რატიფიცირებულ კონვენციებსა და რეკომენდაციებს, რომლებშიც ენებისა და განათლების ის პრინციპები დადგინდა და დამტკიცდა, თუ როგორ გამომდინარეობს მათი ლეგიტიმურობა დემოკრატიისა და ადამიანთა უფლებების უმაღლესი პოლიტიკური პრინციპებიდან. გამოვიკვლევთ და ვაჩვენებთ, რომ მრავალენოვნების ცნება, რომელიც მოცემული ენობრივი იდეოლოგიის ცენტრალური ნაწილია, შეიძლება სხვადასხვანაირად გავიგოთ, თუმცა ამ ცნების გამოყენება სხვადასხვა კონცეფციაში არ ეწინააღმდეგება ერთმანეთს. ამასთანავე, მრავალენოვნება დაკავშირებულია უმცირესობათა ჯგუფების კანონიერ დაცვასთან, ევროპის ენობრივი მემკვიდრეობის შენარჩუნებასთან, ინდივიდების ენობრივი უნარების განვითარებასთან და ევროპისადმი მიკუთვნების გრძნობის შექმნასთან დემოკრატიული მოქალაქეობრიობის კონტექსტში.

2. 1. რა განსაზღვრავს ენობრივ პოლიტიკას ევროპისათვის?

ევროპული ენობრივი განათლების პოლიტიკის პრინციპების დეფინიცია არის ურთიერთგადაჯახებული მოვლენების ნაწილი, რომელიც ვარირებს ტექნიკური არჩევანიდან იდენტურობასთან დაკავშირებულ არჩევანამდე. ყველა ეს შესვლულია წარმოდგენილია დებატებში ევროპის მომავალზე, რომლებიც ევროპის ერთიანობის სხვადასხვა ინტერპრეტაციებიდან წარმოდგებიან, ეკონომიკურ (საქონლისა და პიროვნებების მოძრაობა), კულტურულ, სოციალურ (სოციალური ერთიანობა), პოლიტიკურ (დემოკრატია და უმცირესობათა უფლებები) და თუნდაც ანთროპოლოგიურ (თუ რა ქმნის ევროპისათვის საზოგადოების იდენტურობას?) ჩარჩოებში.

2. 1. 1. ეროვნულ სახელმწიფოებში გამოყენებული ენობრივი პრინციპები არ შეესაბამება ევროპას

ევროპა არ არის ისეთივე სახის პოლიტიკური ერთეული, როგორც ეროვნული სახელმწიფოა, რომლისთვისაც მიზანშეწონილი იქნებოდა ერთი (ან მეტი) ოფიციალური სახელმწიფო ენის (ენების) მინიჭება, რათა მისგან (მათგან) მიგველო გაერთიანების ან იდენტურობის მყარი საფუძველი. ეს არის ძირეულად არასტანდარტული, პლურალური სივრცე, სადაც მრავალი ენობრივი სახესხვაობა გამოიყენება - იმ კულტურული

მრავალფეროვნების გამოხატულება, რომლისგანაც ის შედგება - რომლებმაც ერთმანეთი გაამდიდრეს, მაგრამ სადაც ხანგრძლივი დროის განმავლობაში არანაირ ენობრივ სახესხვაობას არ ეკავა წამყვანი პოზიცია. ალბათ არ არის არცერთი ენა, რომლით სარგებლობასაც ევროპელები შეძლებდნენ ამ სივრცეში გაერთიანების ენად.

ყველა მათგანისთვის საკმაოდ ბევრი სახელმწიფო / ოფიციალური ევროპული ენა არსებობს სხვა ქვეყნების განათლების სისტემაში წამყვანი პოზიციის მოსაპოვებლად და, ამდენად, ნებისმიერ ენობრივ და კულტურულ საზოგადოებაში ურთიერთაღიარების მისაღწევად. ოფიციალური ურთიერთობებისთვის გამოყენებული იქნებოდა საერთო და არა მათი სამეტყველო ენები. აქედან გამომდინარე, იმისათვის, რომ ენობრივად უზრუნველყოფილი იყოს საქონლისა და ხალხის თავისუფალი მოძრაობა, საკმარისი იქნებოდა ერთი ან მეტი საერთო ენის (*ლინგვა ფრანკა*) ოფიციალურად გამოყენება, მაგრამ ამას ექნებოდა ძალიან მცირე ეფექტი ევროპელების კულტურული ერთიანობისათვის. ევროპას ესაჭიროება საერთო ენობრივი პრინციპები იმაზე მეტად, ვიდრე მას საერთო ენები ესაჭიროება.

2. 1. 2. მხოლოდ საერთო პრინციპებს შეუძლიათ შექმნან ენობრივი პოლიტიკის საფუძველი ევროპისათვის

ვფიქრობთ, შესაძლებელია დავეთანხმოთ იმ აზრს, რომ კონკრეტულ ენას უნდა დაეთმოს ადგილი განათლების სისტემებში, მაგრამ ეს არჩევანი ალბათ არ იქნება ერთი და იგივე თითოეულ ქვეყანაში განსხვავებული სოციოენობრივი სიტუაციების გამო. ჩანს, რომ ასეთი საკითხები უნდა განიხილებოდნენ ღირებულებებისა და პრინციპების საერთო განსაზღვრების საფუძველზე, რასაც უნდა ევრდნობოდეს კონსენსუსი არა მარტო ევროპელებს შორის, არამედ მრავალენოვან განათლებას და ევროპული ენების გამოყენებას შესაძლებლობა აქვს, ჩამოაყალიბოს თითოეული მოქალაქისათვის ზოგადად პოლიტიკური და კულტურული სივრცისადმი მიკუთვნების პირადი გამოცდილება, რომლის ინსტიტუტები შესაძლებელია შორეულად და იდეალები აბსტრაქტულად მოგვეჩვენოს. ამ თვალსაზრისით გადაწყვეტია ენობრივი განათლების პოლიტიკის არჩევა. ეს უნდა მოხდეს გადაწყვეტილების მიღების უმაღლეს დონეზე, რათა მათი განხორციელება შესაძლებელი გახდეს ჰარმონიულ, ზუსტად განსაზღვრულ ფარგლებში და ერთდროულად მოიცავდეს სავალდებულო განათლებას, მეორად განათლებას, საარდადეგებო მეცადინეობებს და უმაღლეს და საკვალიფიკაციო განათლებას.

2. 1. 3. ევროპაში ენობრივი პოლიტიკის პრინციპები შესაძლებელია იყოს მხოლოდ დემოკრატიული საზღვრების ნაწილი

ენობრივი უფლებები ადამიანთა უფლებების კომპონენტებიცაა. მაშინ, როდესაც პიროვნების უფლებები დაცული უნდა იყოს, ადვილი გასაგებია, რომ საფრთხის ქვეშ მყოფი ენების სწავლება, მათი შეზღუდული მოხმარების გამო, შესაძლებელია, უზრუნველყოფილი იყოს მხოლოდ ენობრივ უმრავლესობებთან ურთიერთთანამშრომლობით. ენების გადარჩენა დამოკიდებულია იმათზე, ვინც განათლება ენობრივ სახესხვაობებთან დაკავშირებით მიიღო. ეს ნიშნავს ენების თანაარსებობის ორგანიზებას დაპირისპირების გარეშე. ენობრივ კონფლიქტებს უფრო სერიოზულ კონფრონტაციაში გადასვლის უფლება არ უნდა მიეცეს. მეოცე საუკუნის ევროპის ისტორია საშინაო და საერთაშორისო კონფლიქტებით აღინიშნებოდა, რომლებშიც ენობრივი საკითხები უფრო რთული კონფლიქტების გამოვლენაა. ევროპაში სტაბილურობა და მშვიდობა დამოკიდებულია ისეთ საკითხებზე, რაც გათვალისწინებული უნდა იყოს დემოკრატიულ ჩარჩოებში და პატივისცემას გამოხატავს ყველა ჯგუფების უფლებების მიმართ.

უფრო მეტიც, ენობრივი პოლიტიკა გადაწყვეტია, რადგანაც ის არის სოციალური პოლიტიკის შემადგენელი ნაწილი. ვერანაირი ევროპული სოციალური პოლიტიკა, რომელიც ცდილობს შეამციროს სიღარიბე, უთანასწორობა და მარგინალიზმი, მიუღწეველია, თუ ვერ გაითვალისწინებს სახელმწიფოს, რეგიონულ უმცირესობათა თუ უცხო ენებს. ყველას მიერ სახელმწიფო ენის, კერძოდ, მისი წერილობითი ფორმისა და უცხო ენის დაუფლება საზოგადოებრივი ერთიანობისა და ყოველდღიური ცხოვრებისთვის

დამახასიათებელი ძალიან მზარდი, მნიშვნელოვანი ნიშანია. მარგინალიზმთან ბრძოლა აუცილებლად მოიცავს ვერბალურ კომუნიკაციებს სოციალიზაციის წინაპირობად და ფორმად.

ამ პრინციპების ფუნქციაა ერთ წერტილში მოაქციოს განათლების პოლიტიკა, რათა ევროპაში შექმნას ენობრივი მრავალფეროვნება, კომუნიკაციის მენეჯმენტი და შეათავსოს დემოკრატიული მოქალაქეობრიობა.

2. 1. 4. ეს პრინციპები უნდა ითვალისწინებდეს მიმდინარე სოციალურ მოვლენებს

ენობრივი განათლების პოლიტიკის მიერ დაწესებული პრინციპები უნდა ითვალისწინებდეს მიმდინარე მოვლენებსაც: ერთი მხრივ, ინტერნაციონალიზაციას, უმრავლესობის მოღვაწეობის კომერციალიზაციას, მრავალენოვანი კომპანიების მზარდ როლს, საზოგადოების ფორმირებაზე ეკონომიკის ზეგავლენას და სატელევიზიო კულტურის ზემოქმედებას და, მეორე მხრივ, ნაციონალიზმზე ეთნოცენტრულად დამყარებულ იდენტურობის გრძნობის ამოტივტივებას და აღდგენას. ამ ორმაგ მოძრაობას მივყავართ შემადგენელი ჯგუფების კულტურული ჰომოგენიზაციისკენ ან იდენტურ-ცენტრირებული იზოლაციისკენ, რომლის დინამიკაც შესაძლებელია პარალელურად ან მონაცვლეობით მიმდინარეობდეს. შემადგენელი ნაწილებისკენ მოძრაობისთვის მათი მახასიათებლებით ეროვნულ და ტრანსნაციონალურ ერთეულებს შორის, ევროპაში ენობრივი პოლიტიკის პრინციპები უნდა ეფუძნებოდეს რაიმე სხვას, ვიდრე ერთი და იმავე პოლიტიკურ ერთეულებზე დამყარებული კავშირი და იმ ჯგუფის წევრების მიერ ნალაპარაკვე ენაზე განხორციელებული კომუნიკაცია.

2. 1. 5. ეს პრინციპები აგრეთვე დაკავშირებულია ევროპისადმი მიკუთვნების განცდაში

თანამედროვე ევროპული სახელმწიფოების კონსტიტუციებში ეროვნულ ენას ეროვნული გაერთიანების ფუნდამენტური როლი დაეკისრა. ეს იმიტომ, რომ ენის მეშვეობით ინდივიდები ადგენენ და განსაზღვრავენ მათთვის საჭირო გაერთიანების ფორმებს, ზუსტად ისევე, როგორც ამას აკეთებენ რელიგიური რწმენისა და მორალური ფასეულობების მიმართ. ი. მორინის სიტყვებით, ხედავს თუ არა თავად ევროპა, როგორც *ფატალური საზოგადოება*, ამ სახის ენობრივი პროექტის საჭიროებას, რათა თანდათან შეიქმნას ახალი ერთიანობა, ისევე, როგორც ეს დადგენილია ჰიმნისა და დროშის საჭიროების შემთხვევაში. ამ მოსაზრებით, ენის სწავლას უნდა ეკისრებოდეს თუ არა ისეთივე როლი, როგორც ისტორიის სწავლას, რომელიც ზოგადი, მაგრამ არა მონოლითური წარსულის კითხვით ცდილობს შექმნას მისი მრავალფეროვანი შეხედულებების კავშირი მოქალაქეობრიობასთან? თუ ასეთი ფორმის გაერთიანება არ ემყარება უცხოობის ან განსხვავებულობის უარყოფას, გამოჩნდება, რომ მას შეუძლია დაეყრდნოს მხოლოდ ენობრივი განათლების ღია კონცეფციას და ენობრივ უნარებს, რომლის მოპოვებაც საჭიროა. შედეგად, *ევროპა შესაძლებელია გაერთიანდეს არა ენებით, რომლებიც იქ ისწავლება (მიუხედავად იმისა, არიან თუ არა ისინი მკვიდრი ენები), არამედ იმ პრინციპების დაცვით, რომლებიც განსაზღვრავენ ენებთან ზოგად დამოკიდებულებას.*

2. 2. ენობრივი განათლების პოლიტიკის პრინციპი ევროპაში

არსებობს მრავალი პოტენციური ფაქტორი ენობრივი განათლების პოლიტიკაში: მოქალაქეების ჯგუფები, სხვადასხვა ბიზნესი, ქალაქები და რეგიონები, ერები და საერთაშორისო ორგანიზაციები - იუნესკო და ევროპის კავშირი.

ევროპის კავშირი მნიშვნელოვან როლს თამაშობს ენობრივი განათლების პოლიტიკის სფეროში, რადგანაც ენები მის პროგრამაში თავიდანვე მოიაზრებოდა (მაგალითად, განათლების რეზოლუცია, ახალგაზრდობა და კულტურა, (EYC) 1976 წლის 9

თებერვლის საბჭო). მისი ქმედება ნაწილობრივ ოპერატიული გახდა დებულებით, რომელიც შედიოდა განათლებისა და ტრენინგის შესახებ 1995 წლის ოფიციალურ დოკუმენტში (*სწავლება და სწავლა შემსწავლელთა საზოგადოებისთვის*), რომლის მეოთხე ძირითადი მიზანი არის სამი საზოგადოებრივი ენის დაუფლება (გვ. 47). ეს გაგებულები იყო, როგორც „მშობლიურ ენას დამატებული ორი (უცხო ენა)“, რომელიც ნამდვილ ლოზუნგად იქცა, მაღალი საკომუნიკაციო ღირებულებით და რომელმაც გაზარდა იმის შეგნება, თუ რა არის გადამწყვეტი ენის სწავლების / სწავლის აუცილებელ გამრავალფეროვნებაში. მრავალენოვნების პოლიტიკის ერთეულმა (განათლებისა და კულტურის ცენტრალური დირექტორატი) 2004-2006 წლების მოქმედების გეგმა განახორციელა ენის შესწავლისა და ენობრივი მრავალფეროვნების გასავითარებლად. ეს ტექსტი, რომელიც ძირითად პროგრამებს ერთვის - *ერასმუსი, ლეონარდო და ვინჩი და სხვა* - მოიცავს ფართო სპექტრს, რომელშიც წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ მოქმედება როგორც სკოლებში, ისე ფართო საზოგადოებაში (ნაწილი III: *მეტად ენობრივად მეგობრული გარემოს შექმნა*). მოქმედების გეგმა უბიძგებს ინიციატივას, რომელიც მრავალმა ქვეყანამ აიტაცა, რათა გაუმჯობესდეს პროგრამაში ენის სწავლის მოცულობა და ხარისხი (მაგალითად, სილაბუსები უფრო გამჭვირვალე გახდა *ენების საბაზისო ზოგადეგროპული კომპეტენციების* გამოყენებით). მას ხელახლა აქონდა ადგილი 2005 წელს მრავალენოვნებისადმი მიძღვნილ ევროპულ კომიტეტთან ურთიერთობის გამო: *ახალი ჩარხო-სტრატეგია* მრავალენოვნებისათვის. სხვასთან ერთად ტექსტი გვთავაზობს ეროვნული / რეგიონული გეგმის შედგენას მრავალენოვნებისათვის, რომელიც ნიშნავს პიროვნების უნარს რამდენიმე ენის გამოსაყენებლად და სხვადასხვაენოვანი საზოგადოებების თანაარსებობას ერთ გეოგრაფიულ ტერიტორიაზე. ევროგაერთიანება იზიარებს ევროპის საბჭოს მიზნებს და კარგ თანამშრომლობას ამყარებს მასთან.

ევროპის საბჭო ერთ-ერთი ძირითადი როლის შემსრულებელია ენობრივი განათლების პოლიტიკაში თითქმის ხუთი დეკადის განმავლობაში - განათლებისა და ენების შესახებ საკითხი ყოველთვის იყო მნიშვნელოვანი განათლების ადმინისტრაციის კომიტეტის საქმიანობაში. ენობრივი განათლების პოლიტიკის ცენტრალური პოზიცია ნათლად ჩანს მრავალ ტექსტში. ევროპის საბჭოს მიერ მიღებული პოლიტიკა უკვე ქმნის ენობრივი განათლების პოლიტიკის განვითარების საფუძველს, რასაც ერთობლივად შეაქვს წვლილი მრავალენოვნებით გამორჩეული ევროპელი მოქალაქეების განვითარებაში.

ამ იდეამ პრაქტიკული გამოხატულება ჰპოვა საბაზისო ინსტრუმენტების განვითარებაში ენის სწავლების დაგეგმვისა და ორგანიზებისათვის საერთო პრინციპების საფუძველზე. ის დასაწყისში უპირატესობას ანიჭებდა ენის სწავლების ეგრეთ წოდებულ *კომუნიკაციურ* მეთოდებს სპეციალური საბაზისო იარაღების შექმნით (*ხღერული დონე*). 1972 წლიდან მოყოლებული და შემდეგ ენის სწავლების ანალიტიკური პროგრამა და საერთო საბაზისო აღწერის დონეები განავითარა, რათა ენის ცოდნის შეფასება შესაძლებელი ყოფილიყო: ენათა ფლობის ზოგადეგროპული კომპეტენციები (2001) შეიქმნა იმისათვის, რათა წევრ სახელმწიფოებში ენათა სწავლების პროგრამები უფრო გამჭვირვალე და კოჰერენტული გახადოს.

მიუხედავად ამისა, ამ ტექნიკურ და ინსტიტუციურ მიღწევებთან ერთად, არსებობს მრავალენოვნების ჭეშმარიტი ღირებულება, რომელიც ევროპულ რეალობას შესაბამის ენობრივ განათლებას წარმოადგენს. ეს მიმართულება უფრო კონკრეტული და შემდგომში ლეგიტიმური გახდა *ევროპული ენობრივი პორტფოლიოს* გავრცელებით, რომელიც შეიქმნა მოზრდილებისა და ბავშვების ენობრივი გამოცდილების ფასეულობების გასაუმჯობესებლად და, ასევე, *ენების ევროპული წლის გავლენით* (2002), აღსანიშნავია, რომ უკვე დამტკიცებულია ენების ევროპული დღე (აღინიშნება 26 სექტემბერს). ეს საგანმანათლებლო კულტურა გავრცელდა ენის პროფესიონალებს შორის და საკმაოდ განვითარდა თეორიულ და პრაქტიკულ დონეებზე, რათა, ფაქტობრივად, წარდგენილიყო პოლიტიკური კვლევისათვის.

2. 2. 1. ევროპის საბჭოს დოკუმენტების შექმნა: მრავალენოვნება და ენობრივი პოლიტიკა

ენებთან და მათ სწავლებასთან დაკავშირებული საკითხების გათვალისწინება ევროპის საბჭოს მრავალი ოფიციალური დოკუმენტის შედგენის საფუძველი გახდა. ისინი ევროპისათვის ენობრივი განათლების პოლიტიკას ასახავენ, რომლის აქ სრულად წარმოდგენაც შეუძლებელია. ყველაზე მნიშვნელოვანი დოკუმენტები მოკლედ იქნება განხილული, რათა იმ მკითხველებს, რომლებიც არ იცნობენ ამ სფეროს, გავაცნოთ მათი არსი და, ამასთანავე, შევადართოთ ის პრინციპები, რომლებიც დამტკიცდა წევრი სახელმწიფოების მიერ ეროვნული დებულებებითა და მათი განხორციელებით.

ევროპის კულტურული კონვენციის პარაგრაფი 2 (დათარიღებული 1954 წლის 19 დეკემბრით) აღწერს იმ მოქმედებას, რომელიც ყველა წევრმა სახელმწიფომ უნდა განახორციელოს ენების განვითარების, სწავლებისა და შესწავლისათვის:

„ამდენად, შეთანხმების ყველა მხარეს უნდა შეეძლოს:

ა მხარი დაუჭიროს თანამემამულეთა მიერ სხვა შეთანხმების მხარეების ენის, ისტორიისა და ცივილიზაციის სწავლას და დაეხმაროს მათ მის ტერიტორიაზე ასეთი სასწავლო პროგრამების განსახორციელებლად.

ბ შეეცადოს მისი ენის ან ენების ისტორიისა და ცივილიზაციის სწავლების ხელშეწყობას შეთანხმების სხვა მხარეების ტერიტორიაზე და დაეხმაროს იმ მხარეების თანამოქალაქეებს, რათა მათ ისწავლონ მის ტერიტორიაზე.“

რეგიონული ან უმცირესობათა ენების ევროპული ქარტია არის კონვენცია, რომელიც ხელმოსაწერად 1992 წლის 5 ნოემბერს შედგა (ევროპული ხელშეკრულებების სერია, ნომერი 148), მნიშვნელოვანი ლეგალური ინსტრუმენტია მრავალენოვნების მენეჯმენტთან კავშირში. ეს თავი სპეციფიკურ ღონისძიებებს სახავს, რათა განათლებაში ასეთი კატეგორიის ენების გამოყენება განვითარდეს (კერძოდ, ნაწილი III, პარაგრაფი 8), როგორც ენები ან ენების, რომლებშიც სხვა საგნები ისწავლება სკოლამდელ ასაკში, დაწყებით სკოლაში და/ან საშუალო და უმაღლეს განათლებაში, საარდადეგებო განათლებაში და ა. შ.

1995 წელს ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოები (ეროვნული უმცირესობების დაცვის პროგრამით, 1995 წელი ევროპული დოკუმენტების სერია, ნომერი 157) შეთანხმდნენ შემდეგზე:

„განხორციელდეს ღონისძიებები, რომლებიც აუცილებელია იმ პირების დასახმარებლად, რომლებიც ეროვნულ უმცირესობებს განეკუთვნებიან, რათა შენარჩუნდეს და განვითარდეს მათი კულტურა და დაცული იქნეს მათი იდენტურობის მნიშვნელოვანი ელემენტები, კერძოდ, მათი რელიგია, ენა და კულტურული მემკვიდრეობა“ (ნაწილი II, პარაგრაფი 5).

ზოგადი ენობრივი განათლების პოლიტიკის სტრატეგიული როლით რამდენჯერმე შეიქმნა ენის სწავლის უფრო სპეციფიკური რეზოლუციები და რეკომენდაციები. მათ სახელმწიფო მოქმედებისათვის და ამ სახელმძღვანელოში განვითარებული დებულებების საფუძვლის შესაქმნელად ძირითადი საზღვრები დაადგინეს. ამათგან ყველაზე მნიშვნელოვანია შემდეგი:

- (69) 2 რეზოლუცია, რომელიც მიღებულია „ძირითადი პროექტის“ კულტურული თანამშრომლობის საბჭოს სხდომაზე - მიიღეს ჰამბურგში (1961) ევროპის სახელმწიფოთა განათლების მინისტრების კონფერენციის მასალების საფუძველზე;
- რეკომენდაციები (ნომერი R (82) 18), რომლებიც მიიღეს № 4 CDCC პროექტის („თანამედროვე ენები 1971-78“) ფარგლებში;
- ევროპული სამიტის (1997 წლის 10-11 ოქტომბერი) მეორე საბჭოს საბოლოო დეკლარაცია. აქ წევრი სახელმწიფოების მეთაურებმა აღნიშნეს ევროპის განვითარება მრავალენოვანი დემოკრატიის პრინციპებზე, ადამიანთა უფლებებისა და სამართლის ნორმებზე დაყრდნობით. დეკლარაციაზე დართული მოქმედების გეგმის მეოთხე თავი აყალიბებს მოქმედების სამ სფეროს, რომლებშიც შესაძლებელი იყო სწრაფი პროგრესი დემოკრატიულ ფასეულობებთან და კულტურულ მრავალფეროვნებასთან კავშირში: განათლება დემოკრატიული მოქალაქეობრიობისათვის, ევროპული მემკვიდრეობის გაუმჯობესება და ახალი საინფორმაციო ტექნოლო-

ვიები გამოსატვის თავისუფლებასთან და მათ საგანმანათლებლო და კულტურულ პოტენციალთან მიმართებით;

- წვერი სახელმწიფოებისადმი მინისტრთა საბჭოს რეკომენდაციები (ნომერი R (98) 6) „ენის შესწავლა ევროპული მოქალაქეობრიობისათვის“ პროექტის ფარგლებში, რომელიც განხორციელდა განათლების კომიტეტის მიერ 1989 და 1996 წლებს შორის, სადაც მრავალი ჩასატარებელი ღონისძიება თანამედროვე ენების სწავლისა და სწავლების თაობაზე მოიცავდა „ფართოდ გავრცელებული მრავალენოვნების განვითარებას“ (რეკომენდაციის დანართი ა.2), „შემოთავაზებული ენების გამრავალფეროვნებასა და თითოეული ენის შესაბამისი მიზნების დადგენას“ (2.2) და „სასწავლო პროგრამების მხარდაჭერას ყველა დონეზე, რომლებიც იყენებენ მოქნილ მიდგომას...“ (2.3);
- ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის რეკომენდაციები (№ 1383; 1998) ცალსახად მიედგინა „ენობრივ გამრავალფეროვნებას“: „კულტურული და პრაქტიკული განზომილებების მიღმა უცხო ენების ცოდნა ხალხთა შორის ურთიერთგაგების გადამწყვეტი ფაქტორია, სხვა ადგილობრივი თუ უცხო წარმოშობის საზოგადოებების ტოლერანტობისათვის და ერებს შორის მშვიდობისათვის, ისევე როგორც ეფექტურ ბარიერად ყოფნისათვის ბარბაროსობის სხვადასხვა გამოვლენებში დაბრუნების წინააღმდეგ“. (2);
- ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის რეკომენდაციის (№ 1539; 2001) მიხედვით, მრავალენოვნება „გაგებულ უნდა იყოს სხვადასხვა ენებში კომუნიკაციის გარკვეულ საშუალებად და არა მათ ბრწყინვალე ფლობად“ (4). მოცემულია რჩევა, რომ მინისტრთა საბჭომ მოუხმოს წვერ სახელმწიფოებს, რათა „შეინარჩუნონ და განავითარონ ევროპის საბჭოს ენობრივი პოლიტიკის შემდგომი ინიციატივები მრავალენოვნების, კულტურული მრავალფეროვნების, ხალხებსა და ერებს შორის ურთიერთგაგების გასავითარებლად (11.II) და „ხელი შეუწყოს ყველა ევროპელს, გამოიმუშაოს გარკვეული უნარი რამდენიმე ენაზე საურთიერთოდ, მაგალითად, ინდივიდუალურ მოთხოვნილებებთან მისადაგებული გამრავალფეროვნებული არასტანდარტული ახალი მიდგომის განვითარებით...“ (11.II).

ყველა ეს დოკუმენტი და სხვებიც იწვევენ წვერი სახელმწიფოების მთავრობებს, მათი სპეციფიკური თავისებურებების გათვალისწინებით, რიგი ღონისძიებების განსახორციელებლად, რათა განავითარონ ენობრივი უნარების შექმნა გარკვეულ საგნებში უცხო ენების გამოყენების მხარდაჭერით, ხელი შეუწყონ მთელი ცხოვრების მანძილზე ენის სწავლას, რათა ენობრივი გამრავალფეროვნება გახდეს პრიორიტეტი ენობრივი განათლების პოლიტიკაში. მაგალითად, რეკომენდაცია № 1383 (1998), პარაგრაფი 3, შეგვახსენებს: „არსებული სტატისტიკა უჩვენებს, რომ ევროპაში მოსწავლეთა უმრავლესობა სწავლობს ინგლისურს, მაშინ, როცა სხვა „ძირითადი“ ევროპული ენები, როგორცაა ფრანგული, გერმანული, ესპანური და იტალიური, ბევრად უკან ჩამორჩება. ენებს, რომლებზეც ლაპარაკობს ასობით მილიონი ადამიანი მსოფლიოში, როგორცაა რუსული, პორტუგალიური, არაბული და ჩინური - სასკოლო პროგრამაში მხოლოდ მცირე ადგილი ეთმობა...“

ეს კონვენციები და რეკომენდაციები ქმნიან ნაწილობრივ ჰარმონიულ კონსენსუსს, რომელიც შეესაბამება ყოველისმომცველი ენობრივი პოლიტიკის განვითარებისა და განხორციელების სახელმწიფო მოთხოვნებს. მნიშვნელოვანი წინსვლა დაეცემა ენათა სწავლების სფეროს ევროპის საბჭოს მიერ მობილიზებული რესურსების საერთო წილს: მისი მუშაობა და საბაზო ინსტრუმენტები გაფართოვდა მათი შინაგანი შესაბამისობის გამო და ხშირად ეროვნული ენის განათლების პოლიტიკის ხელახალ წარმართვაში კატალიზატორის როლში გამოდის. *სახელმძღვანელო* იღებს ამ ტექსტებში შემუშავებულ ელემენტებს (მრავალფეროვნება, მრავალენოვნება, ტოლერანტობა, გაერთიანება და მისთ.) და მათ პიროვნებების მრავალენოვანი რეპერტუარის კონცეფციად აღიარებს. ენობრივი განათლების პოლიტიკის ზოგადი მიზანი შესაძლებელია იყოს სოციალური აგენტების მიერ ენობრივი რეპერტუარების განვითარებისა და ღირებულების ხელშეწყობა მრავალენოვანი სწავლების საშუალებით (ენის სწავლებისა და სწავლის ხელშეწყობი ღონისძიებების ფორმით) და მრავალენოვანი და მრავალკულტურული განათლება ენის მრავალფეროვანი ცოდნის მისაღებად და კულტურათაშორისი ურთიერთობების გასაღრმავებლად.

2. 2. 2. მრავალენოვანი და მრავალკულტურული რეპერტუარი: მრავალკულტურული კომპონენტი

ჩვეულებრივ, ადამიანები ერთ და ზოგჯერ ერთზე მეტ ენას ეუფლებიან მცირე ასაკშივე (სოციალიზაციის პროცესში). ენის ასეთი დაუფლება არის ფუნდამენტური ელემენტი ერთი ან უფრო მეტი სოციალური და კულტურული ჯგუფისადმი მიკუთვნების გრძობის განვითარებაში. აქედან გამომდინარე, ენის დაუფლება მოიცავს *კულტურული კომპეტენტურობის* შექმნას და სხვებთან ერთად ცხოვრების უნარს. მრავალენოვანი რეპერტუარის განვრცობა მთელი სიცოცხლის განმავლობაში ასევე გულისხმობს სხვა კულტურებისა და კულტურული ჯგუფების შემდგომ განვითარებას, რამაც ინდივიდს შეიძლება ახლად შექმნილ ენაზე მოლაპარაკე საზოგადოებასთან დაკავშირებისკენ უბიძგოს. სხვა ენაზე მოლაპარაკე ჯგუფებთან დაკავშირება დამოკიდებულია არა მხოლოდ შექმნილ ენაზე, არამედ მრავალ სხვა ინდივიდუალურ და სოციალურ ფაქტორებზე და აქ ჩართული სწავლის ფორმაზე.

აქედან გამომდინარე, მრავალენოვანი რეპერტუარის შექმნა ცხოვრების განმავლობაში ასოცირდება გარემოს კულტურული კომპლექსურობის ცოდნის განვითარებასთან, რომელიც ჩანს როგორც ევროპულ ქვეყნებში, ასევე მათ შორისაც. ეს ცოდნა შესაძლებელია ასოცირდეს კულტურული კომპეტენციის ცვლილებასთან. პიროვნებებმა შეიძლება შეძლონ სხვებთან ერთად ცხოვრება ახალ ენობრივ გარემოში და, ამის შედეგად, შეძლონ სხვა ჯგუფების ფასეულობებისა და ქცევის გაგება.

სადაც ადგილი აქვს ასეთ ცვლილებებს, პიროვნებებმა უნდა გაიგონ და გამოსცადონ სხვა ენისა და სხვა კულტურის ხალხთა ცხოვრების თუნდაც რამდენიმე ასპექტი. ეს იმასაც ნიშნავს, რომ მათ აქვთ შესაძლებლობა, გაიგონ სხვაგვარი ცხოვრება და განუმარტონ მათ, ვინც სხვაგვარად ცხოვრობს. ეს *კულტურათაშორისი კომპეტენტურობა* ძალიან მნიშვნელოვანია სხვადასხვა ჯგუფის ორმხრივი გაგების გასაავითარებლად და ყველა სახის *კულტურათაშორისი მედიატორის* როლს თამაშობს, მოგზაურთა გიდობიდან - მასწავლებლობამდე, დიპლომატობამდე და ა. შ. აქედან გამომდინარე, *კულტურათაშორისი კომპეტენტურობა* და *კულტურათაშორისი შუამდგომლობის* შესაძლებლობა ენის სწავლების მიზანია, რაც მრავალენოვან ინდივიდებს საშუალებას აძლევს, შეიძინონ ცხოვრების უნარები მრავალენოვან გარემოში, ისეთ გარემოში, როგორსაც სთავაზობს მათ თანამედროვე ევროპა. მნიშვნელოვანია სხვა ენის ხალხებთან და კულტურებთან ურთიერთობა ორმხრივი მხარდაჭერის კონტექსტში პოლიტიკურ საზღვრებში და მის საპირისპიროდ, რომელიც აყალიბებს დემოკრატიული მოქალაქეობრიობის აქტივობებს.

2. 2. 3. მრავალენოვნება და დემოკრატიული მოქალაქეობრიობა

1999 წლის 7 მაისის დემოკრატიული მოქალაქეობრიობისათვის განათლებაზე დეკლარაციასა და პროგრამაში მრავალენოვნებას, როგორც ენობრივი განათლების პოლიტიკის მიზანს, უფრო ფართო მნიშვნელობა აქვს, ვიდრე ეს შეიძლება ერთი შეხედვით გამოჩნდეს, მინისტრთა საბჭომ აღნიშნა, რომ ევროპული ენობრივი მრავალფეროვნების დაცვა თავისთავად არ იყო დასასრული, რადგანაც ის იმავე დონეზე მოთავსდა, როგორც სოლიდარობაზე დამყარებული უფრო ტოლერანტული საზოგადოების მშენებლობა: „*უფრო თავისუფალი, უფრო ტოლერანტული და სამართლიანი საზოგადოება დამყარებული სოლიდარობაზე, საერთო ფასეულობებსა და კულტურულ მემკვიდრეობაზე გამდიდრებული მისი მრავალფეროვნებით*“ (CM (99) 76). დემოკრატიული მოქალაქეობრიობისათვის განათლების ევროპის საბჭოსათვის და მისი წევრი სახელმწიფოებისათვის 1977 წელს პრიორიტეტის მინიჭებით სახელმწიფოთა მეთაურებმა ცენტრალური ადგილი მიაკუთვნეს ენებს ევროპაში დემოკრატიული მოქალაქეობრიობისათვის მომზადებაში: დემოკრატიის საჭიროება მოქალაქეებისათვის პოლიტიკურ გადაწყვეტილებაში აქტიური და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის მისაღებად გულისხმობს, რომ ის არ უნდა იყოს შეუძლებელი სათანადო

ენობრივი უნარების უკმარისობის გამო. ევროპის პოლიტიკურ და საზოგადოებრივ და არა მხოლოდ ვინმეს საკუთარი ქვეყნის ცხოვრებაში მონაწილეობის მიღების შესაძლებლობა მრავალენოვნების უნარებს გულისხმობს; სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ – სხვა ევროპულ მოქალაქეებთან ეფექტურად და სათანადოდ ურთიერთობის უნარს.

მრავალენოვნების განვითარება არ არის უბრალოდ ფუნქციური აუცილებლობა: ის დემოკრატიული ქცევის მნიშვნელოვანი კომპონენტია. მოლაპარაკეთა მრავალენოვანი რეპერტუარების მრავალფეროვნების აღიარებამ შესაძლებელია ენობრივი განსხვავებების მიღებისკენ გვიბიძგოს: ინდივიდებისა და ჯგუფების ენობრივი უფლებების პატივისცემა სახელმწიფო და ენობრივ უმრავლესობებთან ურთიერთობებში, გამოსატყვის თავისუფლების პატივისცემა, ენობრივი უმცირესობების პატივისცემა, ეროვნული ენების პატივისცემა, რომლებზეც ზოგადად ყველაზე ნაკლებს ლაპარაკობენ და ნაკლებად ისწავლება, ენების მრავალფეროვნება რეგიონთაშორისი და საერთაშორისო ურთიერთობებში. ენობრივი განათლების პოლიტიკა მჭიდროდ არის დაკავშირებული განათლების დემოკრატიული მოქალაქეობრიობის ღირებულებებთან, რადგანაც მათი დამატებითი მიზნებია: ენის სწავლება: იდეალური პოზიცია კულტურათაშორისი კონტაქტებისათვის. ენის სწავლება: იდეალური პოზიცია საერთაშორისო კონტაქტებისათვის არის ის სექტორი, რომელშიც ენობრივი განათლება დემოკრატიული ცხოვრების მიზნით და მის კულტურათაშორის განზომილებებში შესაძლებელია ჩართული იყოს განათლების სისტემებში.

საბაზისო ბამოკვლევა:

პიუჯ სტარკი, დემოკრატიული მოქალაქეობრიობა, ენები, მრავალფეროვნება და ადამიანთა უფლებები.

ისწავლო - იმის აღიარება, რომ ყველა სახესხვაობას, რომელიც ქმნის ინდივიდების ენობრივ რეპერტუარებს, გააჩნიათ ღირებულება, შეძლებდა ევროპასთან მიკუთვნების უფრო დიდი გრძნობა გაეჩინა ენის მნიშვნელობის გაზრდით. თუმცა ასეთი განათლება ენების მეშვეობით არ იქნებოდა შემოფარგლული ევროპული ქვეყნების ენების შესწავლით, რადგანაც იგივე საგანმანათლებლო პროექტი მოიცავდა ენებს, რომლებზეც ევროპაში ლაპარაკობენ და რომლებსაც ნაკლებად იყენებენ, რაც განსხვავებას ეროვნულ / ევროპულ ენებსა და უცხო ენებს შორის შეამცირებდა.

2. 3. მრავალენოვნება: ინტერპრეტაციები

მაშინ, როცა მრავალენოვნება შეიძლება მიზანი და თუნდაც ღოზუნგი იყოს, ის ვერ იქნება ორაზროვნებისგან თავისუფალი, რადგან მისი მოქნილობა ღიად დარჩება სხვადასხვა ინტერპრეტაციებისათვის, რომლებიც გულისხმობენ სხვა კონცეფციებს ენობრივი მრავალფეროვნების, მულტილინგვალიზმის, ბილინგვიზმისა და მისთ. ჩათვლით. შესაძლოა მრავალენოვნება გამოვიყენოთ ენის სწავლების ფორმების ორგანიზებისათვის, რომლებიც მხოლოდ ზოგიერთ პრინციპს შეესაბამება, მაგრამ არა აუცილებლად ყველაზე მნიშვნელოვან მიმართებებში. სავარაუდოდ, ის ცდილობს მიაღწიოს კონსენსუსს, რადგანაც რჩება ინსტიტუციური გამოყენებიდან განცალკევებული, რაც გულისხმობს პრაქტიკულ არჩევანს. სხვა მიზნები, რომლებიც შესაძლოა პრინციპებს ემყარებოდეს, უფრო ნათლად ქვემოთ იქნება გამოკვლეული.

2. 3. 1. მრავალენოვნება, როგორც განათლების სისტემის მიერ შემოთავაზებული ცნობილი ენებისა და უცხო ენების გამრავალფეროვნება

მრავალენოვნების ერთ-ერთი ინტერპრეტაცია შეიძლება იყოს იყოს, რომ სახელმწიფოს უცხო ენების სასწავლო პროგრამების დაშვების საშუალება მიეცეს, რათა ევროპელებს შორის უკეთესი კომუნიკაცია უზრუნველყოს, ვიდრე ადრე იყო, რადგან ენების ცოდნა მნიშვნელოვანია საქონლისა და სერვისების თავისუფალი მოძრაობისათვის, ინფორმაციისა და ცოდნის გაცვლისა და პიროვნებების გადაადგილებისათვის. ამის გამო შესაძლებელია შევეცადოთ ენის სწავლება ფუნქციურ მოთხოვნებს მივუსადაგოთ, რომლებიც ევროპული საზოგადოებების განვითარების შედეგად არის მიღებული. სწორედ ეს არის მიზანი, რასაც გამოვიყენებდით ენობრივი რეგულირების კანონიერ საფუძველად. ეს ხორციელდებოდა არა მრავალენოვნების, არამედ უცხო ენების უფრო ეფექტური ცოდნის სახელით.

მრავალენოვნების მეორე მნიშვნელობა არის მისი პრინციპულობა, რომელიც ცდილობს შემოთავაზებული ენების გაზრდას განათლების სისტემების მიერ (შემსწავლელთა რიცხვი უცხო ენის სწავლების შესაძლებლობით, იმ ენებისათვის განკუთვნილი საათების რაოდენობა, იმ ენობრივი სახესხვაობების რიცხვი, რომელთა სწავლა შესაძლებელია და მისთ.). თუმცა, ფაქტი, რომ სახელმწიფო ოფიციალურად არის მრავალენოვანი, ავტომატურად არ უზრუნველყოფს იმას, რომ მოქალაქეებს ენობრივი უნარების პლურალურობა მიენიჭებათ. ამის შესაბამისად, განათლების სისტემებში ენების მოწოდების გაზრდა ცალსახად არ გულისხმობს ყველას მიერ უფრო მეტი ენას შესწავლას. მაგალითად, აღინიშნა, რომ განათლების სისტემების მიერ შემოთავაზებული ზოგიერთი ორენოვანი პროგრამა შეიძლება ათვისებულ იქნეს სოციალური ჯგუფების მიერ, რომლებიც შემდგომში მათ სრულყოფილების ბილიკებად გარდაქმნიან. ეს მიმართულებები, რომლებსაც, როგორც წესი, ეწოდებათ „ორენოვანი“ ენებისაგან განსხვავებული სუბიექტებით გამოირჩევა, რომლებიც უცხო ენაზე ისწავლება და ალბათ შესაძლებელია ენებში შემსწავლელების გაზრდილი ინტერესი გამოიწვიოს და მათში უფრო მეტი კომპეტენტურობა უზრუნველყონ. მაგრამ ასეთ პროგრამებს აგრეთვე იმ მიზეზების გამო მიმართავენ, რომლებიც განსხვავდება მათი დამახასიათებელი თვისებებისაგან: ფაქტი, რომ მათ ირჩევენ, მიიჩნევა შემსწავლელთა სწავლების ხარისხის სოციალური ერთგვაროვნების უზრუნველსაყოფად და, ამასთან ერთად, ტრენინგის ფორმებთან ხელმისაწვდომობა, რომლებსაც უკეთესი დასაქმების შესაძლებლობის რეპუტაცია აქვს. ენების მიწოდების გამრავალფეროვნება აუცილებელია, მაგრამ არასაკმარისი პირობა მრავალენოვანი განათლების მიღების მოტივაციაზე ზემოქმედებისათვის.

2. 3. 2 მრავალენოვნება - პლურილინგვალიზმი და მულტილინგვალიზმი: ენობრივი მრავალფეროვნება მემკვიდრეობის სახით

მრავალენოვნება შესაძლებელია გაგებულ იყოს ევროპული ენების მრავალფეროვნების ცხოვრების დაცვის პრინციპად, ეს ინტერპრეტაცია დამოუკიდებელია უცხო ენების პრობლემასთან. ახლა ევროპაში 220 მკვიდრ ენობრივ სახესხვაობაზე მეტი არსებობს, რომელთაგანაც 40-ს ოფიციალური, ეროვნული ან სახელმწიფო ენის სტატუსი აქვს. ემიგრანტებისა და დევნილების ენები არ არის ჩათვლილი ამ შეფასებაში. ისინი რომ ჩაგვეთვადა, ამჟამად ევროპაში გამოყენებული ენობრივი სახესხვაობების რიცხვი შეადგენდა რამდენიმე ასეულს. ამ შემთხვევაში მრავალენოვნება არის თანამედროვე ევროპული სახელმწიფოების აღიარებული მულტიენობრივი თვისობრიობის ფუნქცია. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ფაქტია, რომ ამ ტერიტორიებზე სხვადასხვა ენებია წარმოდგენილი. ეს არის საყოველთაო მრავალსახეობა, რომელიც მიიჩნევა ანთროპოლოგიურ და კულტურულ მემკვიდრეობად, რაც საჭიროებს ისეთსავე დაცვას, როგორსაც ხელოვნური შთამომავლობა ბიომრავალფეროვნების სახელით.

ევროპული საზოგადოებების მრავალენოვანი ბუნების დაცვა შესაძლებელია განხორციელდეს კანონიერად განსაზღვრული ადგილის შექმნით, რომელიც საკმაო სივრცეს უტოვებს საშიშროების ქვეშ მყოფ თუ განათლების სისტემებში გეოგრაფიული ტერიტორიის ენებად ჩართულ სახესხვაობებს. ასეთი ქმედებით საკუთარი თავი

შეიძლება არსობრივი თვალთახედვიდან უფრო ენებს მიაკუთვნოს, ვიდრე უბრალოდ ენის მომხმარებლების მხარეს.

თუმცა, ამ პოლიტიკამ უნდა გაითვალისწინოს საზოგადოებებიც, რომლებშიც ზოგიერთ ენაზე მხოლოდ უმცირესობები მეტყველებენ. პირველ რიგში ეს ეხება ოჯახურ გარემოს, სადაც ეს ენობრივი სახესხვაობები სკოლამდე გადაეცემა. მაგრამ ეს რომ მოხდეს, მშობლებმა ეს ენები გადაცემის ღირსად უნდა მიიჩნიონ და შეიძლება უნდა მიიღონ შესწავლის ღირსად და, თავის მხრივ, ისიც ყველას მიერ გამოსაყენებლად უნდა იყოს აღიარებული. მრავალენოვან ტერიტორიებზე არის ხალხი, ვინც ძირითადად ეროვნულ ენას მოიხმარს და ვერ არკვევს, რომ ისინი რაიმე კავშირს ხედავენ რეგიონული და უმცირესობათა ენობრივი სახესხვაობებისათვის საზოგადოებაში და განათლებაში მათთვის ადგილის გამოყოფასთან დაკავშირებით. ენობრივი იდეოლოგია, შესაძლებელია, საბოლოოდ მიღებული იყოს რეგიონულ და უმცირესობათა ენებზე მეტყველთა მიერ და შედეგად გამოიწვიოს ენების ოჯახურ გარემოში გადაცემა დაყოფად.

ასეთ სფეროებში პოლიტიკური და საგანმანათლებლო ინსტიტუტები არა მხოლოდ უნდა ქმნიდნენ ადგილს გეოგრაფიულ ტერიტორიაზე გამოყენებული ენებისათვის, არამედ უნდა დააინტერესონ ბავშვები და მთელი საზოგადოება, რომ ენობრივი სახესხვაობების ჭეშმარიტი ღირებულება შეიმეცნონ, რომელსაც ისინი უკავშირდებიან, მაგრამ საყოველთაოდ არ იყენებენ.

გეოგრაფიულ ტერიტორიაზე ენობრივი მრავალენოვანების გათვალისწინებამ ღვევადური პასუხების გაცემა გამოიწვია. ნაბიჯები უნდა გადაიდგას, რათა ყველამ გაიგოს, რომ მრავალენოვნება არის სოციალური და პერსონალური ღირებულება იმისათვის, რომ მრავალენოვნება ჩამოყალიბდეს ურთიერთსაკონტაქტო ფორმად. ეს იმას ნიშნავს, რომ ყველა ენის სწავლების დროს ერთსა და იმავე განათლების პროექტში ეროვნულ, რეგიონულ ან უმცირესობათა ენებს და ახლადჩამოსული საზოგადოებების ენებს აღარ მოათავსებენ „წყალგაუმტარ“ განყოფილებებში.

2. 3. 3. მრავალენოვნება, როგორც საერთო მიზანი

მრავალენოვნების კონცეფცია მას ჩვეულებრივ უნარად მიიჩნევს, რომელიც ყველა მეტყველს გააჩნია. მრავალენოვნების უნარი შესაძლებელია შენარჩუნდეს ფარულად ან განვითარდეს მხოლოდ იმ სახესხვაობებთან მიმართებით, რომლებიც ძალიან ჰგვანან პირველ ენას. ენობრივი განათლების პოლიტიკის ერთ-ერთი როლი იმაში გამოიხატება, რომ ამ ენაზე მეტყველთა ეს პოტენციალი გააცნოს, შეაფასოს ის, როგორც ასეთი და განავრცოს სხვა სახესხვაობებზე. ამგვარად, პლურიენობრივი უნარი, რომელიც ენასთან ურთიერთობის ზოგადი ფორმაა, საზოგადოების მრავალენოვნების შენარჩუნების წინაპირობას წარმოადგენს.

მრავალენოვნების გაგება, რომელიც გამოიყენება სახელმძღვანელოში, შესაძლებელია უფრო ნათელი გახდეს, თუ აღინიშნება, რომ:

- ეს არის *კომპეტენცია, რომლის შექმნაც შესაძლებელია*: ყველა მეტყველი ბუნებრივად მრავალენოვანია; შესაბამისად, მათ შეუძლიათ დაეუფლონ რამდენიმე ენობრივ სახესხვაობას სხვადასხვა დონეზე სწავლის შედეგად. **ენების დაუფლების უნარი ბუნებრივია** და ყველას შეუძლია მისი მართვა.
- მრავალენოვანი არ ნიშნავს პოლიგლოტს და მრავალენოვნება შეუძლებელია განვიხილოთ „ტალანტური“ ელიტის პრივილეგიად. მრავალენოვნება ჩვეულებრივია, თუნდაც იგი განსხვავდებოდეს „თვითღირებულებითა“ და ფსიქოენობრივი დაუფლების პროცესებით იმის მიხედვით, არის თუ არა პირველი თუ შემდგომში ნასწავლი უცხო ენა, ეს სახეობა ახლოსაა თუ დაშორებულია მოლაპარაკის მშობლიური ენისგან. მაგალითად, ადრეულ ბავშვობაში შექმნილი ენა და სკოლაში შექმნილი ოფიციალური ენა წერილობით და სტანდარტულ ფორმებში მჭიდრო კავშირშია.
- ეს არ არის აუცილებლად ერთგვაროვანი ენობრივი რეპერტუარი. იყო მრავალენოვანი - არ ნიშნავს, დაუფლებული იყო მრავალ ენას მაღალ დონეზე, - ეს ნიშნავს, შეიძინო უნარი, გამოიყენო ერთზე მეტი ენობრივი სახესხვაობა გარკვეულ დონეზე (რაც სულაც არ არის აუცილებელი, ყველა ენისათვის ერთი იყოს) სხვადასხვა მიზნებისათვის (სასაუბრო, კითხვა ან წერა, მისთ). პროფე-

სიულობის დონე აუცილებელი არ არის ერთნაირი იყოს ყველა გამოყენებული სახესხვაობებისათვის და, ამის გამო, განსხვავებული იქნება საკომუნიკაციო კონტექსტში (პიროვნება შეძლებს წაიკითხოს ისე, რომ არ იყოს დაუფლებული ზეპირმეტყველების ჩვევებს, ანდა ილაპარაკებს, მაგრამ არ შეეძლება წერა ამ ენაზე).

- მას ცვალებად რეპერტუარად აღიქვამენ. ცოდნის დონე სახესხვაობების რეპერტუარებში შესაძლებელია იცვლებოდეს დროთა განმავლობაში მისივე შემადგენლობასავით. როდესაც ენის შექმნა სპეციფიკური მეთოდით ხდება ადრეულ ბავშვობაში, ეს არ ნიშნავს, რომ მოგვიანებით დაწყებით ან შემდგომ განათლებაში შეუძლებელია ან უფრო ძნელია დაუმატო მის პლურინგვისტურ რეპერტუარს. ხშირად ეს არის საჭიროებისა და მოტივაციის საგანი.
- ითვლება, რომ რეპერტუარი საკომუნიკაციო რესურსია, რომელსაც მეტყველი საკუთარი საჭიროების მიხედვით იყენებს. ენობრივ სახესხვაობებში შექმნილს შესაძლებელია გაიჩინოს სხვადასხვა ფუნქცია: ოჯახში, სამსახურში, ოფიციალურ ან ყოველდღიურ სიტუაციებში, როდესაც საზოგადოებასთან ერთიანდებით და მისთ. მეტყველმა უპირატესობა შეიძლება მიანიჭოს ერთ-ერთ სახესხვაობას, როგორც „ძირითადს“ (ის, რომელსაც ყველაზე ხშირად იყენებს ყოველდღიურ ურთიერთობებში). მაგრამ ფუნქციის განაწილება სხვა ენების რეპერტუარში ცალსახად არ არის „ფიქსირებული“; მაგალითად, ახალი ენის შექმნამ ის შეიძლება შეცვალოს. უფრო მეტიც, მოცემული კომუნიკაციური სიტუაცია აუცილებლად არ არის გადაწყვეტილი ერთ ენობრივ სახესხვაობაში: მეტყველებს შეუძლიათ რამდენიმე სახესხვაობა იმავე გამოთქმებში უფრო მეტად გამოიყენონ. ეს არის რამდენიმე ენობრივი სახესხვაობის თანაბარი გამოყენება, რაც სახელდება *კოდურ კომუნიკაციად*; კოდური კომუნიკაცია მეტყველს საკმაო მოქნილობას ანიჭებს ურთიერთობაში.
- ცნობილია *გადაძვეული კომპეტენციად*, რომელიც ვრცელდება ყველა შექმნილ ან ნასწავლ ენაზე. *ენათა ზოგადევროპული კომპეტენციების* მიხედვით, გამოცდილება არ არის „კონკრეტული კომპეტენციების თავსებადობა ან დაპირისპირება, არამედ... კომპლექსური კომპეტენციის არსებობა“ (გვ. 186). როგორც არ უნდა იყოს ამ განსაზღვრების ფსიქოლინგვისტური საფუძვლები, უნდა აღინიშნოს მისი პედაგოგიური ბუნება, რომელიც სხვადასხვა ენების სწავლების ერთმანეთთან დაკავშირებისკენ მოუწოდებს, რადგანაც ისინი სავარაუდოდ ერთსა და იმავე უნარებს უნდა მოიცავდნენ.
- მას აღიარებენ კულტურული ასპექტის მქონედ და, აქედან გამომდინარე, *მრავალენოვანი და მრავალკულტურული* კომპეტენციის შემქმნელად, სხვადასხვა კულტურების პოტენციურ გამოცდილებად. თვლიან სიმეტრიულად მის ენობრივ უნარებთან ფუნქციონირებაში ამ ტერმინის პირდაპირი მნიშვნელობით.

ამ თვალთახედვით, მრავალენოვანი განათლების მიზნები, როგორც არ უნდა იყოს მისი ინსტიტუციური ბუნება, შემდეგნაირად იქნება ორგანიზებული:

- ყველას უნდა გააცნო მათი ენობრივი და კულტურული რეპერტუარის ბუნება;
- განავითარო და გააუმჯობესო ეს რეპერტუარი;
- ყველა მეტყველს მისცე საშუალება, თავისით განივითაროს იგი მისი ავტომატური დაუფლების გზით.

ეს არის სავალდებულო ზოგადი განათლების კონკრეტული პასუხისმგებლობა.

ხალხისთვის მათი ენობრივი რეპერტუარის არსი და სოციალურ კომუნიკაციებში მისი როლის გაცნობა და ჯგუფის გაერთიანება სხვადასხვა წარმოშობის ენობრივ სახესხვაობებს შორის ურთიერთობას ავითარებს, რომლებიც სხვადასხვა როლს თამაშობენ. აქედან გამომდინარე, სხვა მოქალაქის ენობრივი რეპერტუარის არსის უკეთ გაგება შესაძლებელია, ისევე, როგორც სხვა ენობრივი და კულტურული საზოგადოებების აღქმა, რადგან ინდივიდები ურთიერთობას უფრო ორმხრივი პატივისცემისა და ურთიერთნართვის საფუძველზე ეჩვენებიან. თანამოსაუბრის ენისადმი პატივისცემა არის მცდელობა, ისწავლო და გამოიყენო, თუნდაც ნაწილობრივ, მეზობლისა და თანამოქალაქეების ენა, ვინც არ უნდა იყოს ის, რაც დემოკრატიული მოქალაქეობრიობის წინაპირობა და ენობრივი კეთილგანწყობის გამოვლენაა. ღირებულებად დადგენილი მრავ-

ვალენოვნება შესაძლებელია მრავალენოვანი სწავლების საფუძველი იყოს, მაგრამ, ამასთანავე, მრავალკულტურული შემეცნება დაისახოს მიზნად.

2. 3. 4. ენობრივი განათლების პოლიტიკის განხორციელება მრავალენოვნებაზე დაყრდნობით

ევროპელების საერთო ენობრივი განათლების პოლიტიკის განხორციელება შესაძლებელია, თუ მიღებულია პოლიტიკური გადაწყვეტილება ეროვნული განათლების სისტემები არსობრივად და არა ექსკლუზიურად ამგვარ ქმედებაზე პასუხისმგებელი გახადონ. განათლების სისტემების ქვეშ იგულისხმება საჯარო განათლების ინსტიტუტები, რომლებსაც ამ პროექტში წვლილის შეტანა შეუძლიათ (ნებაყოფლობითი ორგანიზაციები, ფონდები, კერძო სკოლები და ა. შ.) მაგრამ ამ როლში ვერანაირი შემცველი ვერ ეყოლება ეროვნული განათლების სისტემებს (კერძოდ, სავალდებულო სკოლას), რომლებიც დემოკრატიული ღირებულებებით ენის სწავლების კერძო სფეროს უზრუნველყოფენ, რომელსაც სხვა ფუნქციური თუ პროფესიონალური მიზნები. როგორც სახელმწიფოს აკისრია დემოკრატიის ღირებულებებში განათლების უზრუნველყოფის როლი, ასევე, მისი პასუხისმგებლობაა, ხელი შეუწყოს ტერიტორიული ენების, ეროპული ენების, ევროპაში და სხვაგან სალაპარაკო ენების ცოდნის განვითარებასა და განხორციელოს მრავალენოვანი განათლების ფორმით და იმ ენების მეშვეობით, რომლებსაც შეუძლიათ განამტკიცონ ან იმავე დემოკრატიული სივრცისადმი მიკუთვნების გრძნობა გააჩინონ.

ეს კონვერგენცია აუცილებლად არ განხორციელდება მსგავსი საგანმანათლებლო პროგრამით ან სწავლების იდენტური ორგანიზებით. მრავალენოვნება მრავლობითია: ეს არ არის ევროპელებისათვის ერთეული პლურილინგვალიზმის დაცვა, სტანდარტული რეპერტუარის ტიპი, რომელიც ყველგან ერთნაირია და რომელიც მიიღება ერთნაირი ხვედრითი წონის ეროვნული, კლასიკური და უცხო ენებისა და თითოეული წევრი სახელმწიფოს ტერიტორიის ერთიანობით. რამდენიმე ენის ან ენაზე სწავლებამ შესაძლებელია სხვადასხვა ფორმა მიიღოს იმ ენების მიხედვით რომლებიც გამოიყენება მოცემულ ეროვნულ და საერთაშორისო კონტექსტში, ეროვნული და რეგიონთაშორის საჭიროებებში, თითოეული მოქალაქის გაერთიანებაში და მათს საჭიროებებსა და სურვილებში. მათ შეიძლება სწავლების საკმაოდ განსხვავებული ფორმები წარმოშვან. მრავალენოვანი და მრავალკულტურული კომპეტენტურობა შესაძლებელია შეიქნას საერთო საფუძვლის წყალობით (ოფიციალური ენის ცოდნა), მაგრამ რაც მრავალენოვნების ყველა ამ ფორმისათვის არის საერთო, არის უნარი იმისა, რომ სხვადასხვა დონეზე სხვადასხვა ენას დაეუფლო, ურთიერთობაში გამოიყენო ყველა ცნობილი ენის რესურსი და გააცნობიერო, რომ ყველა ენა ინდივიდუალურ რეპერტუარში საკუთარი და სხვა ხალხის ენაა, რომელიც თითოეული, თავის მხრივ, თანაბარი ღირებულების მქონედ აღიქმება.

ზემოთ აღწერილი განსაზღვრებების საფუძველზე მრავალენოვნების განხორციელება მოიცავს:

- მრავალენოვანი შემეცნებისათვის განათლებით უზრუნველყოფას (არ მოხდეს აღრევა ენის სწავლებისას, როგორც ეს უკვე აღინიშნა), რაც დაკავშირებულია განათლებასთან დემოკრატიული მოქალაქეობრიობისათვის;
- ეროვნული, რეგიონული ან უმცირესობათა და უცხო ენების, კინეტიკური ენებისა და კლასიკური ენების (ლათინური, ბერძნული, ებრაული, არაბული, სანსკრიტი და მისთ.) სწავლების კოორდინირება, როგორც საერთო საფუძველი, რასაც დაემყარება ენობრივი უნარების განვითარება;
- სილაბუსებში ენობრივი სახესხვაობის ცოდნის კონცეფციის გამოხატვა არ არის „ყველაფრის ან არაფრის“ საკითხი: ზოგადი მოსაზრება, რომ, თუ არ ფლობთ მკვიდრი მოლაპარაკის დონეზე ენას, *ლაპარაკობთ ენას ცუდად*. ამ საერთო შეხედულების საპირისპიროდ, სწავლება უზრუნველყოფილი იქნება იმით, რაც იწვევს მრავალფეროვან კომპეტენტურობას. (გამოცდილების დონის ფარგლებში და კომპეტენტურობის სახეობები: გაგებინება, გაგება და გამოთქმა, ინტერესი კულტურასთან დაკავშირებით და მისთ.);
- ენის სწავლების მართვა ინდივიდუალური საგანმანათლებლო კარიერის განმავლობაში, შეძლებისდაგვარად, განათლების სხვადასხვა დონეს შორის დიდი

გაერთიანებით (სავალდებულო, საშუალო, საარდადეგო, საუნივერსიტეტო, კომპანიის შიდა და სხვ.).

ამ ვარიანტების განსახორციელებლად სწავლების მეთოდების სიმცირე არ შეინიშნება. ევროპის საბჭომ უკვე გაითვალისწინა მრავალენოვნება ყველა ენობრივი გამოცდილების ღირებულების აღიარებით, კერძოდ, ბავშვობის ადრეულ ასაკში *ევროპული ენობრივი პორტფოლიოსა* და ენების სწავლების პროგრამებისთვის ანალიტიკური იარაღის მეშვეობით, ენებისათვის ზოგადევროპული კომპეტენციებით. ეს უკანასკნელი იძლევა სილაბუსების შედარების საშუალებას, რაც კონცენტრირებული მოქმედების მნიშვნელოვანი საფუძველია; ის გთავაზობს საბაზისო დონეებს, რომლებიც საერთოა ყველა ენისათვის, რათა გამოცდილების დონეები ერთგვაროვნად დადგინდეს; ეს გამრავალფეროვნება საფუძველს უქმნის დიფერენცირებული მრავალენოვანი სწავლის მეთოდებს. ენის სწავლებას, რაც ნაკარნახევია ევროპის პრობლემით, შეუძლია საკითხის პოლიტიკური მოქმედებისათვის საჭირო ტექნიკური პასუხების უზრუნველყოფა.

პოლიტიკა, რომელიც მოძრაობს მრავალენოვნებისკენ, შესაძლებელია გამოწვეული იყოს ენის სწავლების ფორმების გადაწყობის შედეგად, ისე, როგორც ახლა არსებობენ ეროვნული განათლების სისტემებში და ყველა განათლების სტრუქტურაში, რომელთა მდგომარეობა ამ საკითხთან დაკავშირებით ძალიან მნიშვნელოვნად იცვლება. სწავლების, ხარისხობრივი გაუმჯობესებისა და კოორდინირების გარკვეული რაციონალიზაცია შესაძლებელია, მაგრამ მრავალენოვნების უფრო ნათელი ორიენტაცია ალბათ არ მოხდება დამატებითი ინვესტიციის გარეშე, რაც სულაც არ არის სავალდებულო, ძალიან დიდი და ცვალებადი იყოს სხვადასხვა ქვეყანაში, სხვადასხვა საგანმანათლებლო სექტორში და მრავალენოვნების არჩეული ფორმების მიხედვით. ყველაზე მნიშვნელოვანია დადგინდეს დრო, რაც საჭიროა მრავალენოვანი განათლებისათვის, რადგანაც ფართოდ გავრცელებული შეხედულებები და წარმოდგენები უნდა შეიცვალოს. ოფიციალურ პირებს აგრეთვე ესაჭიროებათ დრო, რადგან უნდა დადგინდეს მიზნები, შედგეს სასწავლო პროგრამები და მასწავლებლებს ჩაუტარდეთ ტრენინგები.

2. 4. დასკვნა

ევროპის საბჭოს საბაზისო ტექსტების მიხედვით განსაზღვრული მრავალენოვნების ფონზე ენების სწავლების საკითხები უნდა გადაისინჯოს: ეს უფრო ნაკლებად ეხება იმ საკითხს, თუ რომელი და რამდენი უცხო ენა უნდა ისწავლებოდეს განათლების სისტემაში, ვიდრე ენობრივი განათლების მიზნების მიმართვა კომპეტენტურობის შექმნისაკენ, ფაქტობრივად ეს შეეხება „დედა ენას“, ეროვნულ ენას (ენებს), რეგიონულ და უმცირესობათა ენებს, ევროპულ და არაევროპულ ენებს და მისთ. ეს რეალისტური მიზანია, თუ ვაღიარებთ, რომ მრავალენოვანი რეპერტუარი, რაც განათლებით განვითარდება, შესაძლებელია იყოს მრავალფეროვანი, რომ ენები, რომლებიც მრავალენოვანი კომპეტენტურობის კომპონენტებია, ყველას არ აქვს ერთსა და იმავე დონეზე ნასწავლი და რომ ენობრივი განათლება ხორციელდება მთელი ცხოვრების განმავლობაში და არა მხოლოდ სწავლის განმავლობაში.

ასეთი საორგანიზაციო პრინციპები მოიცავს მრავალკულტურული განათლების ჩამოყალიბებას ინტერკულტურული და განათლების კონტექსტში დემოკრატიული მოქალაქეობრიობის ჩამოსაყალიბებლად. მრავალენოვანი კომპეტენციის განვითარება და ოპტიმიზაცია შესაძლებელია საერთო ენობრივ მატრიცად იქცეს, რომელიც ევროპულ პოლიტიკურ და კულტურულ სფეროებს მრავლობითი ენობრივი იდენტურობის ფორმას მისცემს საზოგადოებების მრავალფეროვნების საფუძველზე, რაც მსოფლიოსადმი მისი გახსნილობის ღირებულებებს შეესაბამება.

საბაზისო ბამოკვლევა: ჯან-კლოდ ბეკო. ენები და ენობრივი რეპერტუარები: მრავალენოვნება ცხოვრების წესად ევროპაში.

ნაწილი მეორე

ენობრივი განათლების პოლიტიკის განვითარების მონაცემები და მეთოდ- ები

ევროპაში ენობრივი განათლების პოლიტიკის სახელმძღვანელოს მეორე ნაწილი მოიცავს საკითხებს, რომლებიც შესაძლოა სისტემური განხილვის საგანი გახდეს ენობრივი პოლიტიკის განხორციელების პროცესში. აღწერილია მონაცემებისა და ინფორმაციის ბუნება და კომპილაცია. ენობრივი განათლების პოლიტიკის განვითარების მეთოდოლოგიის ამ მონახაზში რიგი ფაქტორები უნდა იქნეს გათვალისწინებული და მათი მნიშვნელობები - მითითებული. უფრო მეტი სიზუსტისათვის, ისინი დაყოფილია ორ ჯგუფად: ზოგადი, არსობრივად არაენობრივი სოციალური მახასიათებლები, როგორცაა დემოგრაფია და მისთანები (თავი 3) და ენობრივი მახასიათებლები (თავი 4).

თავი 3

ენობრივი განათლების პოლიტიკის განვითარება: სოციალური ფაქტორები გადაწყვეტილების მიღების პროცესში

ენობრივი განათლების პოლიტიკის განვითარება ენების სწავლების გამრავალ-ფეროვნებისთვის ევროპულ პერსპექტივაში, ყველა პოლიტიკური ქმედების მსგავსად, უნდა ეფუძნებოდეს სოციალური პირობების ანალიზს და აუცილებელი რესურსების შეფასებას. იმისათვის, რომ ენობრივი განათლების პოლიტიკამ მიიღოს საზოგადოებრივი თანხმობა და განხორციელდეს გარკვეული წარმატებით, გათვალისწინებული უნდა იქნეს შემდეგი ფაქტორები:

- სხვადასხვა ენის სწავლება / სწავლის საზოგადოებრივი განცდა. ეს გავლენას ახდენს როგორც პოლიტიკური კურსის გამტარებელთა, ასევე შემსწავლელთა არჩევანზე;
- ენებს შორის ბალანსის გამოძებნა, რომელსაც საზოგადოებრივი აზრი „გამოსაყენებლად“ მიიჩნევს და საზოგადოების ენობრივი მოთხოვნილებების იდენტიფიკაცია, რომელიც შესაძლოა მოსალოდნელ გეოპოლიტიკურ, ეკონომიკურ ან კულტურულ მიმდინარეობებთან მიმართებით დადგინდეს;
- დემოგრაფიული ცვლილება ხასიათდება შობადობის კლების მიმართულებით, უფრო მეტი საშუალო სიცოცხლის ხანგრძლივობით და ევროპის ფარგლებს შიდა მიგრაციული მოძრაობით. ეს ზოგადი მიმართულებები ქმნიან საერთო სოციალურ ვითარებას, რომელიც ისეთი პოლიტიკის აუცილებლობას იწვევს, რომ ენის სწავლება დაკავშირებული იყოს მთელი ცხოვრების განმავლობაში სწავლება/სწავლასთან, რითაც ხასიათდებიან თანამედროვე საზოგადოებები, რომლებიც შეისწავლიან;
- ისეთი პოლიტიკის სისტემატური ხარჯებისა და სარგებლის ანალიზი, რომელიც პასუხისმგებელია საზოგადოებრივ შემეცნებაზე და საზოგადოებრივ ცვლილებებზე.

რადგანაც ეს ფაქტორები იცვლება ერთი ქვეყნიდან მეორეში და, ასევე, ერთი ქვეყნის ფარგლებში, საჭიროა, რომ ენობრივი განათლების პოლიტიკა შეიქმნას ადგილზე, განათლებასთან დაკავშირებული თითოეული სიტუაციის სპეციფიკური კონფიგურაციის მიხედვით, მაგრამ მთელი ქვეყნისთვის პოლიტიკური განვითარების სტრატეგიის ფარგლებში.

ასეთი პოლიტიკის შექმნის შესაძლო სტრატეგიები უნდა ითვალისწინებდნენ ენის სწავლების არსებულ ორგანიზებას და სავალდებულო განათლებაში და მის გარეთ სპეციფიკურ ან ექსპერიმენტულ მექანიზმებს. მრავალენოვნებისაკენ მიმართული ენობრივი განათლების პოლიტიკის კომპეტენციისა და ღირებულების სახით განვითარებისთვის, სხვადასხვა უცხო ენის (თითოეული მათგანი ცალ-ცალკეა განხილული) სწავლებასა და ამ და ეროვნულ / ოფიციალურ ენებს შორის სხვაობა დომინანტური სოციალური და საგანმანათლებლო რეპრეზენტაციაა, რომლის პრიორიტეტულობის საკითხი გადასასინჯია.

3. 1. საზოგადოებრივი აზრი და ენები

ისა და ლიტერატურის მსგავსად, ენების სწავლება განათლების სისტემაში და სხვაგან შესაძლოა იოლად გახდეს საჯარო დებატების საკითხი, რომლის ძირითადი არსი შესაძლოა მხოლოდ ექსპერტების მიერ განიხილებოდეს. თითოეული მოქალაქე არის მეტყველი სუბიექტი და შეიძლება ჰქონდეს მისი პირველი სალაპარაკო ენისაგან განსხვავებული ენობრივი სახესხვაობის გამოცდილება; ენები ხშირად ფაკულტატურია (მთლიანად არჩევითი, არჩევის ვარიანტი და მისთ.) და ამ არჩევანის შედეგის სტრუქტურას მიეყვარათ ამ შედეგებამდე.

უფრო მეტიც, ამ თუ იმ სფეროში მოქალაქეები მოქმედებენ ენების სოციალური რეპრეზენტაციების მიხედვით. ტერმინი *სოციალური რეპრეზენტაცია* აქ გამოიყენება საგნის შესახებ სპონტანური, საზიარო, სოციალურად ჩამოყალიბებული ცოდნის ფსიქოსოციოლოგიური აზრით. ერი ხშირად ასოცირდება სხვა ერებთან სტერეოტიპებით, კლიშეებით ან აკვიატებული აზრებით. ამგვარი კოლექტიური შეხედულება ყოველთვის საფუძვლიანი არ არის, მაგრამ ისინი ზემოქმედებენ ცხოვრების ყველა ფორმაზე. იგივე ითქმის ენებზეც; ასეთმა შეხედულებამ შესაძლოა სწავლის მოტივაციაზე იმოქმედოს, რადგანაც ერთი რომელიმე უცნობი ენა შესაძლოა *მელოდიურად* მივიჩნიოთ, მაშინ, როცა მეორე *უხეშად* მოგვეჩვენება. მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ, თუ როგორ აღიქვამს საზოგადოება ენობრივ განათლებაში დაგეგმილ ცვლილებებს: ალბათ, მათ შეაფასებენ საგანმანათლებლო სარგებლობის თვალთახედვით ასეთი რეპრეზენტაციების საფუძველზე.

3. 1. 1. ენების სოციალური წარმოდგენების გაცნობა, ენის მოთხოვნილებების დადგენა

ამის გამო, ენობრივი განათლების პოლიტიკის არჩევა უნდა ითვალისწინებდეს ენების აღქმას. ასეთი წარმოდგენები ხასიათდება მათი მსჯელობის ობიექტით, მაგრამ ძირითადად იმიტომ, რომ ისინი წარმოადგენენ ღირებულების შეფასების საფუძველს, ხშირ შემთხვევაში გამოწვეულს ენების ყოველდღიური იდეოლოგიით.

ამის გამო, ენებზე სოციალური შეხედულებების თემები შეეხება შემდეგს:

- თუ რამდენად რთულია მათი სწავლა: ენების გამოთქმის ან წერის სისტემების სირთულე შესაძლოა გადამეტებით იქნეს შეფასებული ზოგიერთ ენაში, მაგალითად, მათი **სილამაზე** - ძალიან ბუნდოვანი და სუბიექტური კრიტერიუმი, რომელიც განეკუთვნება ენების გამოთქმას, ან არაპირდაპირ მოცემულ ენაზე დაწერილ ლიტერატურულ და მუსიკალურ ნაწარმოებს;
- მათი გამოყენება, ზოგიერთი მიხედვითაა ღირებულად კარიერაში წინსვლისთვის, ზოგიც პიროვნული, ინტელექტუალური და კულტურული ინტერესებისათვის;
- მათი საგანმანათლებლო ღირებულება: ზოგიერთი ენაზე ამობობენ, რომ **ადვილად შესასწავლია**. ეს კი შესაძლოა საეჭვო იყოს, რადგანაც ენათა სრულყოფილად დაუფლებას, როგორც წესი, საკმაო ძალისხმევა ესაჭიროება. სხვებს შესაძლოა უპირატესობას ანიჭებდნენ, რადგანაც მიაჩნიათ, რომ ისინი ინტელექტუალურ შესაძლებლობებს ავითარებენ (განსაკუთრებით ლოგიკური მსჯელობის განვითარებას).

საბაზო ბამოკვლევა:

ვერონიკა კასტელოტი და დანიელ მური, ენების სოციალური წარმოდგენები და სწავლება.

ასეთ სოციალურ წარმოდგენებს კომპლექსური წარმომავლობა აქვთ: ისინი მოდიან ისტორიიდან და ტრადიციიდან, რომლებშიც ასახავენ შემსწავლელის ქვეყნისა და იმ ქვეყანასა თუ ქვეყნებს შორის დამოკიდებულებაა, რომლებშიც სხვა ენები გამოიყენება. კოლონიური დამოკიდებულება, პოლიტიკური თუ სავაჭრო კონფლიქტები, გეოგრაფიული და კულტურული სიახლოვე, ისევე როგორც მასობრივი ტურიზმი და შესაბამისი ჯგუფების მედიაში რეპრეზენტაცია (ვიფიქროთ მხოლოდ ფეხბურთის კომენტარებზე), წარმოადგენს ასეთი შეხედულების წარმოქმნის ან ხელახლა წარმოქმნის წყაროს.

აქამდე ასეთი შეხედულებები სტაბილური იყო. დასაშვებია ჰიპოთეზა იმის შესახებ, რომ ისინი ახლა სპეციფიკური მოვლენებისათვის (პოლიტიკური, ეკონომიკური, სპორტული და მისთ.) მათ შესაძლოა ზეგავლენა ჰქონდეთ ძირითად მიმართულებაზე ერთი თუ მეორე მხრივ, თუნდაც ხანმოკლე დროის განმავლობაში. საერთოდ, ინფორმაციის გლობალიზაცია, ალბათ, გულისხმობს, რომ უცხო ქვეყნების და ამ ქვეყნებში სალაპარაკო ენების ფორმა ნაკლებად მნიშვნელოვანი და მითურია, ვიდრე ეს ოდესმე იყო.

ამ შეხედულებებს იზიარებენ, მაგრამ ის სოციალური ჯგუფების შესაბამისად იცვლება: ისინი შესაძლოა იყვნენ ენობრივი წარმოდგენების სახესხვაობები, მაგალითად, გარკვეული ენების სავარაუდო სარგებლიანობის სხვადასხვა შეხედულება ძალიან განათლებულ ჯგუფებსა და სასაზღვრო რეგიონებში მაცხოვრებელ ჯგუფებს შორის და ჯგუფებში, რომლებსაც აქვთ პერიოდული ან არაპირდაპირი კონტაქტი სხვა ენებთან. შესაძლოა საკამათო იყოს, რომ ასეთი წარმოდგენები უფრო მგრძობიარეა დროისა და სოციალური სივრცის მიმართ, ვიდრე ადრე. ეს იძლევა უფრო მეტ ელასტიურობას და ზრდის სასწავლო პროგრამებისა და მათ შესაცვლელად შექმნილი ინფორმაციული კამპანიების წარმატების შანსებს.

ასეთ ზოგად წარმოდგენებზე დაფუძნებული ენებისადმი წაყენებული მოთხოვნებისადმი პასუხი არ არის ერთადერთი, რაც უნდა გავითვალისწინოთ განათლების პოლიტიკის შექმნისას. ენებთან მიმართებით საზოგადოების მოთხოვნილებები, საზოგადოდ, უნდა იქნეს გათვალისწინებული. სავარაუდოზე უფრო მეტად უნდა ვიფიქროთ, რომ მოსაზრებები, რომლებიც ხალხს გააჩნია მათ საკუთარ შეხედულებაზე, მთლიანად არ ემთხვევა საზოგადოებრივ დონეზე აღქმულ ენის მოთხოვნილებებს. მაგალითად, შესაძლოა მუსირებდეს ის აზრი, რომ ყველამ უნდა ისწავლოს ის ერთი ენა, რომელიც ზოგადად ბავშვების მომავლისათვისა სასარგებლო მაშინ, როცა ეკონომიკური პროგნოზი კარნახობს, რომ სასარგებლო იქნებოდა სხვა ენების სწავლაც მომავალი კარიერისთვის. ეს პოტენციური დაძაბულობა ინდივიდუალურად აღქმულ მოთხოვნილებებსა და საზოგადოების მოთხოვნილებებს შორის ნიშნავს, რომ ენობრივი პოლიტიკის საკითხები უნდა აიხსნას შეძლებისდაგვარად სრულად.

ამ ლინგვისტური მოთხოვნილებების გამორჩევა ინსტიტუციონალური ცნებებიდან ქვეყანაში ენის სწავლების გადაწყვეტილების მიღების მნიშვნელოვანი კომპონენტია. ენის მოთხოვნილებები შესაძლოა ზოგიერთი სფეროსთვის ობიექტურად დადგინდეს, მაგალითად, მეცნიერული და ტექნიკური თარგმანი, დიპლომატია და საერთაშორისო ურთიერთობები, შეიარაღებული ძალები, ვაჭრობა, მედია და კულტურული მოძრაობა. ენის მოთხოვნილებები არ დგინდება მატერიალური და ინსტიტუციონალური არსით: ენა შესაძლოა ისწავლოთ მხოლოდ განათლების მიზნებისათვის, როგორცაა პირადი განვითარება საზოგადოების სხვა წევრებთან და სხვა საზოგადოებებთან ურთიერთმიმართებით.

3. 1. 2. სოციალური წარმოდგენების გათვალისწინება ენის სწავლების პროცესში

უკვე აღინიშნა, რომ ენის სწავლება / სწავლა განსხვავდება სხვა საგნებისგან, რომლებიც განათლების სისტემაშია დანერგილი იმით, რომ ენის დაუფლება არის არა მხოლოდ სასკოლო საგანი, არამედ **ადამიანური კომპეტენცია**. ამის გამო მოლაპარაკებებს აქვთ გარკვეული მოსაზრებები, თუ როგორ უნდა ისწავლოთ და ასწავლოთ ენები. ასეთი შეხედულებები, რომლებიც ცვალებადია კულტურულად და სოციალურად, ეხება იმას,

თუ როგორ არის ორგანიზებული ენის სწავლება (მაგალითად, მკვიდრი მეტყველი უპირატესია სხვებთან, და ის, რომ უკეთესია იცხოვრო ქვეყანაში ადგილობრივი ენის სწავლებისათვის), ტექნიკა (სიტყვების ზეპირად დასწავლა) ან, კვლავ, მიზნების მიღწევა (ილაპარაკო თავისუფლად).

ბოლო ათწლეულების განმავლობაში სწავლების მეთოდები საკმაოდ დაშორდა ასეთ შეხედულებებს, რამდენადაც ენის სწავლების მიზნების შესახებ მოსახრებებით არიან შეიარაღებულნი. წინა თაობები ენას ასწავლიდნენ შემდეგი სახით:

- ინტელექტუალური აქტივობები;
- სავარჯიშოებზე და მეცადინეობებზე დამყარებული აქტივობები;
- გრამატიკასა და შესწავლის წესებზე ოფიციალურად დამყარებული აქტივობები;
- აქტივობები, რომლებიც მოიცავს საკმაო რაოდენობის თარგმანს;
- აქტივობები, რომლებიც ორიენტირებული იყო წერაზე და ნაკლებ ადგილს უთმობდა ლაპარაკს;
- აქტივობები, რომელიც ორიენტირებული იყო იმაზე, რაც შეიძლება სწრაფად წაკითხულიყო ძირითადი ლიტერატურის ან ინტელექტუალური ტესტები, რომლებიც წარმოდგენილი იყო ლინგვისტურ მოდელებად.

ეს მახასიათებლები მოიცავს ისეთ სოციალურ წარმოდგენებს, როგორებიცაა:

- ენის სწავლას დიდი დრო სჭირდება;
- მიზნის ეტალონი არის ამ ენის მატარებელი (აქცენტებისა და შეცდომების გარეშე ლაპარაკი და მისთ.);
- მხოლოდ მათ, ვისაც აქვთ ენის მატარებლის კომპეტენტურობის დონე, შეიძლება მიხნეული იყოს ენის მცოდნედ, ნებისმიერი ნაწილობრივი ცოდნა აღიქმება მარცხის ნიშნად.

სწავლების თანამედროვე მეთოდები ყურადღებას ამახვილებენ მეტყველებაზე და თეორიულად ნაკლებ ადგილს უტოვებს გრამატიკულ ანალიზს, ამასთან, გვიჩვენებენ, რომ ის, რაც კლასში ისწავლება, ყოველდღიური ურთიერთობისათვის არის გამოსაყენებელი. საერთო ჯამში, ისინი ცდილობენ დაემსგავსონ ენის სწავლის უფრო „ბუნებრივ“ მიდგომას. მაგრამ მნიშვნელოვანია ის, რომ მათ რადიკალურად დააყენეს კითხვის ქვეშ ენის მატარებლის, როგორც ერთადერთი ლეგიტიმური ობიექტის მოდელი: ახლა მიღებულია, რომ მოლაპარაკეს შესაძლოა ჰქონდეს ლინგვისტური უნარების არათანაბარი დონე ერთსა და იმავე ენობრივ სახესხვაობაში ან სხვადასხვა ენობრივ სახესხვაობებში, რომ ის შესაძლოა იყენებდეს მშობლიურ ენას სხვებთან ურთიერთობისათვის და ენობრივ სახესხვაობებს იმავე რესპოდენტებთან გამოხატვის მოთხოვნის მიხედვით ცვლიდეს. მიუხედავად ამისა, სწავლების / სწავლის მნიშვნელოვან მოდელებს ჯერ არ მოუხდენიათ ზეგავლენა თანამედროვე პედაგოგიურ აზროვნებაზე. პატარა ბავშვებსა და მათ მშობლებს შესაძლოა ჯერ ისევ სჯეროდეთ, რომ ენის სწავლა მოითხოვს სასწავლო (აკადემიურ) წლებს და შედეგი მხოლოდ სასწავლო წლის ბოლოს იქნება.

ამ პირობებში, ალბათ აუცილებელია შევეცადოთ ავხსნათ ის გზები, რამაც პედაგოგიური აზროვნება შეცვალა. კერძოდ, ეს უკავშირდება დაწყებით სკოლას, რომელიც, ასე თუ ისე, ენის სწავლებასთანაა დაკავშირებული. იმაზე ფიქრი, თუ როგორ ისწავლო, მრავალენოვანი განათლების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხია: მრავალენოვანი კომპეტენციის განვითარება გულისხმობს იმას, თუ როგორ ვისწავლოთ ენები და ვისწავლოთ, თუ როგორ ვმართოთ საკუთარი სწავლა დამოუკიდებლად და თვითშემეცნების ფორმით.

3. 2. ევროპული საზოგადოებები და ენები: ცვლილების ხელშეწყობა და მოლოდინი

ენობრივი განათლების პოლიტიკა გულისხმობს აშკარა არჩევანს, რომელმაც უნდა გაითვალისწინოს სოციალური არსის ანალიზი, რომელშიც ის უნდა განხორციელდეს. მაგრამ იგრძნობა, რომ ხშირად გადაწყვეტილების მიღებაში ჭარბობს რაციონალურობა:

პოლიტიკას ძალიან ხშირად მართავს დროებითი საზოგადოებრივი აზრის მდგომარეობით, საბიუჯეტო არჩევნებით ან მოსალოდნელი არჩევნებით, თუნდაც საყოველთაო სამთავრობო პოლიტიკის ჩარჩოებში გადაწყვეტილი. სტრუქტურული, სოციალური და ეკონომიკური მონაცემები, რომლებიც შეესაბამება ენობრივი განათლების პოლიტიკის საშუალო და ხანგრძლივ მენეჯმენტს, გარკვეულ როლს თამაშობს, რაზედაც ქვემოთ გვექნება საუბარი. მნიშვნელოვანია მოველოდეთ ცვლილებებს, რამდენადაც ენობრივი კლასების განხორციელება დროს მოითხოვს, თუნდაც მასწავლებლების ტრენინგისათვის აუცილებელს, საზოგადოდ – ოთხ ან ხუთი წელიწადს.

3. 2. 1. დემოგრაფიული ცვლილებები

სწავლების ორგანიზება ევროპაში ძირითადი დემოგრაფიული მიმართულებების გათვალისწინებას გულისხმობს. ეს მიმართულებები კარგად არის ცნობილი: საშუალო სიცოცხლის ხანგრძლივობის ზრდა და შობადობის დონის კლების მიმართულება. ამას თან ახლავს ბოლო დროს სამუშაო ბაზარზე შესვლის საშუალო რაოდენობა (უფრო ხანგრძლივი საწყისი ტრენინგი), მაშინ, როცა ეკონომიკური განვითარების პერსპექტივები მოითხოვენ პროდუქტიული ძალების გამოყენებას, რომლით უზრუნველყოფაც შესაძლებელი იქნება მხოლოდ დროებითი ან მუდმივი მიგრაციის უზრუნველყოფით ევროპის ფარგლებში ან მის გარეთ.

საბაზისო ბამოკვლევა:
პადრიავ ო რიაგენი, ენის სწავლისა და მრავალფეროვნების შედეგების დემოგრაფიული მიმართულებები

ეს ცვლილებები, რომლებიც შეიმჩნევა ეროვნულ თუ რეგიონულ დონეზე, უკვე მიმდინარეობს და, სავარაუდოდ, კვლავ უნდა გაგრძელდეს. ისინი წამოჭრიან ენობრივი ხასიათის კითხვებს:

- რა სახის ენობრივი კლასები, ან, უფრო ზოგადად, რა სახის ენობრივი მეცადინეობები შეუძლია შესთავაზოს განათლების სისტემებმა და სხვა საგანმანათლებლო ინსტიტუტებმა მოხუცებულ ხალხს, რომლებსაც აქვთ თავისუფალი დრო და ხანდახან საზღვარგარეთ მოგზაურობის საშუალება; აგრეთვე მათ, ვინც ჩართულია ამ ნებაყოფლობით სექტორში? ალბათ მოსახლეობის ეს ნაწილი ქმნის ახალ ენობრივ მოთხოვნილებებს, ისევე, როგორც სხვა ჯგუფები, რომლებსაც უფრო მეტი თავისუფალი დრო აქვთ;
- ენის სწავლების რა ფორმა შეიძლება შევთავაზოთ ზრდასრულ მიგრანტებსა და მათ შვილებს, რომლებიც შევიდნენ ეროვნულ განათლების სისტემაში? ეს დებატები გრძელდებოდა რამდენიმე წლის განმავლობაში და რამდენიმე პოზიციად ჩამოყალიბდა, რომლებიც მიიღეს, მაგალითად, მიგრანტების გრძელვადიანი პროექტების სახით, მიუხედავად იმისა, დროებით არიან ჩამოსულები თუ მათ შვილებს საკუთარ ქვეყანაში დაბრუნების სურვილი აქვთ. ამ უკანასკნელ შემთხვევაში მნიშვნელოვანია მათი მშობლების ან პაპა-ბებიების ენის გადაცემის ორგანიზება. თუ მიგრაცია დროებითია, მიღებისა და მეცადინეობის საშუალებები უნდა იქნეს უზრუნველყოფილი, რათა ხალხს მიანიჭონ ძირითადი ენობრივი უნარები, რაც მნიშვნელოვანია მათი სოციალური და პროფესიული ადაპტაციისათვის ადგილობრივ გარემოსა თუ სამსახურში;
- ენის სწავლების რა ფორმა შეიძლება შევთავაზოთ მოსწავლეებსა და სტუდენტებს, რომლებსაც უფრო მეტი კონტაქტი აქვთ სხვა ენებზე მოლაპარაკებთან, ვიდრე ადრე; კონტაქტი, რომელიც მნიშვნელოვანია ევროპული მოქალაქეობრიობისათვის?
- რა მნიშვნელობა ენიჭება დაწყებითი და საკვალიფიკაციო მასწავლებლების ტრენინგს სავალდებულო განათლების ხანგრძლივობის ზრდასა და გარკვეულ კონტექსტებში ენების გაზრდილ რაოდენობასთან დაკავშირებით?

ყველა ეს ცვლილება, რომელიც მოქმედებს ევროპულ მოქალაქეებზე, მოითხოვს ენობრივი განათლების პოლიტიკის განსაზღვრას ან არსებული რეორგანიზებას, რაც მოიცავს მოზრდილთა სკოლის შემდგომ განათლებას, თავისუფალ სემინტში ან ადგილობრივ თუ რეგიონულ ინსტიტუტებში. ნებისმიერ შემთხვევაში ეს ცვლილებები გულისხმობს ენობრივ განათლებას, რომელიც საზოგადოებაში პიროვნების ცხოვრებას ერთ მთლიანობად უნდა მოიაზრებდეს.

3. 2. 2. ეკონომიკური ცვლილება

ენების ცოდნა დიდი ხნის განმავლობაში გულისხმობდა პიროვნების კულტურული კაპიტალის ნაწილს (ხაზს უსვამდა განათლების მაღალ დონეს და სოციალური დემარკაციის როლს ასრულებდა). დღეს ეს ცოდნა უფრო ეკონომიკურ კაპიტალად იქცა: ენები დასაქმებისთვის გამოსაყენებლად მიჩნეული და მათ სამუშაო ბაზარზე ღირებულება გააჩნიათ. აქცენტების ამ ცვლილებამ კულტურული კომპეტენციისა და პირადი განვითარების ფარგლებში ენების როლის ზედმეტად გადაფასებისკენ არ უნდა გვიბიძგოს.

პროფესიული მობილურობის გათვალისწინება

ევროპული დასაქმების ბაზრის ძირითადი მიმართულებებიც კარგადაა ცნობილი:

- სამსახურების სულ უფრო მზარდი წილი ეკუთვნის სერვისის სექტორს და ამის გამო უფრო და უფრო მეტად მოითხოვს ინტელექტუალურ უნარებს. ეს შემსწავლელ საზოგადოებას ხანგრძლივი სწავლისკენ უბიძგებს, რაც, უპირველესად, ენების სწავლას მოიცავს;
- კარიერის ბილიკი ნაკლებად სწორხაზოვანია: ძველებური სამუშაოს მოდელი იმავე კომპანიის ცხოვრებისათვის ახლა უჩვეულოა; ხშირად ითხოვენ მობილურობას (გეოგრაფიულსა თუ პროფესიულს), თუმცა, ეს შესაძლოა რთული მისაღები იყოს. ასეთ პლასტიკურობას ახლავს ბუნდოვანების ახალი ფორმები, რომელიც მიღების სტრუქტურების რეგულირებას უფრო აბალანსებს. მარგინალიზმის ან გამორიცხვის თანამდევი რისკები გამოაშკარავენ ვერბალური კომუნიკაციის ღირებულებას სოციალური კავშირების შესანარჩუნებლად. აქ ისევ ეს ცვლილებები მოითხოვს, რომ ენათა სწავლება უცხო ენების მაღალ დონეზე დაუფლებისაგან განსხვავებულად უნდა იყოს გაგებულნი.

ენების ღირებულების შეფასება: ენობრივი განათლების პოლიტიკის ხარჯებისა და შედეგების ანალიზი

ენების ცოდნა ახლა ფასეულია დასაქმების ბაზარზე: ხანდახან ეს არის სამუშაოზე აყვანის პირობა და ინდივიდებს, რომლებიც აქვთ რამდენიმე ენას ფლობენ, შეუძლიათ მოიპოვონ უფრო მაღალი შემოსავალი, ვიდრე სხვებს, ვინც იმავე სამუშაოს ასრულებს. აქედან გამომდინარე, ვინაიდან ინდივიდების მიერ მოპოვებული სარგებელი შეიძლება განვიხილოთ საზოგადოების სარგებლად - შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ენებში განათლების სისტემების მეშვეობით ინვესტირება შედეგად საერთო სოციალურ სარგებელს იწვევს. ენის სწავლება არის ადამიანურ კაპიტალში ინვესტირების ნაწილი, შეხედულება, რომელსაც საგანმანათლებლო ეკონომიკის ანალიზის შესაბამისად აღიქვამენ.

სახელმწიფოსათვის ამ ინვესტირების ძირითადი ელემენტი არის განათლების სისტემის თვითღირებულება, რომელიც ზუსტად აღირიცხება ენის სწავლებაში. ამის გამო, ასეთი კოლექტიური ინვესტირება თეორიულად შესაძლოა გამოვითვალოთ ინვესტიციის დაბრუნების ნორმების პირობებში, იმ ფაზის განმავლობაში, რომელშიც ინდივიდები ეკონომიკურად აქტიურნი არიან. არ არის საკმარისი მონაცემები, რომლებიც ასეთი რაოდენობრივი მიდგომის საშუალებას იძლევიან, რადგანაც ეს არ არის რეგულარული განხილვის საგანი. უფრო მეტიც, ამ მონაცემთა დადგენა და მოგროვება

რთულია, რაც ამ მომენტისათვის ართულებს ასეთ გათვლებს. მითუმეტეს, მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ კალკულაციებში ის, რომ სხვა ენების არცოდნა ღირებულია სახელმწიფოსათვის (მაგალითად, ფასიანი თარგმანი და სხვადასხვა ბაზებთან ხელმისაწვდომობა).

ასეთი რაოდენობრივი მიდგომები საშუალებას მისცემდა, გამოთვლილიყო სხვადასხვა ენობრივი პოლიტიკის შესაბამისი თვითღირებულება, ისე, რომ შესაძლებელი გახდებოდა მათი შემდგომი შედარება. მაგრამ ასეთი ეკონომიკური მაკროანალიზი იშვიათია. ნებისმიერ შემთხვევაში, სავარაუდოა, რომ პოლიტიკურ დებატებში არგუმენტები, რომლებიც თვითღირებულებაზეა ორიენტირებული, უფრო ადვილადაა მისაღები, ვიდრე ისინი, რომლებიც დანაზოგებიდან საერთო სარგებლისკენაა მიმართული - რთული დასათვლელად, მაგრამ, მიუხედავად ამისა, რეალურად არსებული.

საბაზისო გამოკვლევა:
ფრანსუა გრინი, ენის ეკონომიკისა და განათლების ეკონომიკის ენობრივი განათლების პოლიტიკაში გამოყენება.

აღბათ გადაწყვეტილების მიმღები ენების ღირებულების ეკონომიკური ანალიზიდან უნდა დადგინდეს, რომ მათი ღირებულება არის მათი გავრცელების ხარისხის ფუნქცია და რომ ნაკლებად ცნობილი ენობრივი სახესხვაობების სწავლება პროპორციულად უფრო მეტ სოციალურ სარგებელს წარმოადგენს. ამ დაკვირვებამ, რომელიც ევროპულ სიტუაციას უკავშირდება, სადაც ინგლისური ფართოდაა გავრცელებული - მისი ზოგადი კანონიერება დაადასტურა, შესაძლოა აღინიშნოს საზოგადოებრივი გათვითცნობიერების კამპანიები, რომელთა მიზანია ნაკლებად ცნობილი ენების სწავლის უპირატესობების დემონსტრირება.

აგრეთვე მნიშვნელოვანი იქნება, უფრო მეტი ვიცოდეთ ეკონომიკური სექტორის შესახებ, რომელიც შედგება სკოლებში სხვადასხვა ენებისაგან (კერძო, ნებაყოფლობითი ტურიზმი და ენები და მისთ.): მათი ლეგალური სტატუსი, განაკვეთი (წარმოშობა, აყვანის მეთოდები, გადახდა, სტატუსი და მისთ.), მათი კლიენტების ბუნება და მოლოდინი, მათი ეკონომიკური მდგომარეობა (ჯამური ბრუნვა) და საკონტრაქტო ურთიერთობები კლიენტებთან (ხარისხობრივი მაჩვენებელი). ეს ინფორმაცია არ არის მხოლოდ შესაბამისი, რადგან ის ეხმარება მაკროეკონომიკაში (კომპანია, ორგანიზაცია და მისთ.) ღირებულებისა და სარგებლის უკეთესად გაგებას, ან სექტორულ კონტექსტს. მას უნდა შეეძლოს იმ როლის დემონსტრირებაც, რომელიც ასეთ ენობრივ განათლებას ეროვნულ ენობრივ განათლებასთან მიმართებით აქვს: თუ რა ფუნქციებს ასრულებს, რომლებსაც სახელმწიფო განათლება არ მიუზღვიანთ არადაამაკმაყოფილებლად? სექტორის ცოდნა კარგი მაჩვენებელია, თუ როგორ ხორციელდება ეროვნული ენის სწავლება და ხალხის შემეცნებას უზრუნველყოფს, თუ რა როლს უნდა ასრულებდეს სახელმწიფო განათლების სისტემა ენობრივ განათლებასთან მიმართებით.

როდესაც ფასდება ენობრივი პოლიტიკის სარგებლიანობა ეკონომიკურ საზღვრებში, საჭიროა ვეცადოთ, რომ არ მოხდეს ენების არაფინანსური ღირებულების იგნორირება. ისინი ხელს უწყობენ ინდივიდთა ცხოვრების ხარისხს, პირადი კონტაქტების გაფართოებას, სხვა კულტურებთან დაახლოებას, პირად განვითარებასა და წარმატებას. საზოგადოებებისათვის, რომლის წევრებმაც იციან ერთმანეთის ენა, შესაძლოა წარმოიშვას მშვიდობიანი თანაცხოვრების საფუძველი მაშინ, როცა მრავალენოვნება გარემოს გამდიდრების, უმცირესობათა აღიარებისა და უცხო ენების მიმართ დემოკრატიული მიდგომის წინაპირობად განიხილება. ამ ენების ცოდნის ეფექტურობის ღირებულება დათვლადია, მაგრამ არა აუცილებლად გათვალისწინებული. ენობრივი განათლების პოლიტიკის ეკონომიკური ანალიზი შესაძლოა დაექვემდებაროს პოლიტიკურ ანალიზს, რომლის გარეშეც განათლების სისტემები მხოლოდ საბაზრო ეკონომიკით იქნებოდა მართული, სადაც ზოგიერთი ადამიანი განათლებას ჩათვლიდა გლობალურ საჯარო საქონლად.

3. 3. დასკვნა: ევროპა და ენები მრავალცენტრიან მსოფლიოში

საშუალო და ხანგრძლივი ცვლილებების ასეთი ანალიზი ადგილს უტოვებს ახალი ენების წამოწვევის მოთხოვნილებებს. მაგალითად, ამან შესაძლოა გვიბიძგოს ენობრივი სახესხვაობებისკენ, რომლებსაც მცირე ღირებულება გააჩნიათ, რომლებიც აღიქმება „სასარგებლოდ“ ისეთ მზარდ ქვეყნებში, მაგალითად, როგორცაა ბრაზილია, ჩინეთი და ინდოეთი. ამას უკვე ადგილი ჰქონდა არაბულის და იაპონურის მიმართ გარკვეულ კონტექსტში, რომლებიც ცნობილია, როგორც ენობრივი რეპერტუარების შესაძლო კომპონენტები. აგრეთვე ამ შეხედულებიდან გამომდინარეობს ისიც, რომ ემიგრანტი საზოგადოებების მიერ ევროპაში ჩამოტანილი მრავალი ენა შესაძლოა შევისწავლოთ: საზოგადოებრივი აზრი ჯერჯერობით ცალსახად არ არის მზად იმ ღონისძიებებისთვის, რომლებიც უნდა ჩატარდეს მათი გაქრობის თავიდან ასაცილებლად, რამდენადაც ამ ენებზე მოლაპარაკებები ინტეგრირებულნი არიან მასპინძელ ქვეყანაში. მაგრამ სასარგებლო იქნებოდა მათი უპირატესობა საშუალო პირობებში მყოფი საზოგადოებებისათვის, მაგალითად, ეკონომიკური და კულტურულ კონტრიბუციის თვალსაზრისით გამოყენება.

ეს და სხვა ენები გათვალისწინებული უნდა იქნეს ინსტიტუტებისა და ევროპის მოქალაქეების მიერ არა მხოლოდ დემოგრაფიულ, ეკონომიკურ თუ დიპლომატიურ საფუძველზე, არამედ ევროპაში ენობრივად იზოლირებულობის თავიდან ასაცილებლად. ეს არის მრავალენოვანი განათლების ერთ-ერთი ამოცანა – უზრუნველყოთ ვერბალური და კულტურული კომუნიკაციები და დაეხმაროთ უფრო კომპლექსურ, დომინანტურ, სოციალურ რეპრეზენტაციებს, რომლებმაც, სხვა შემთხვევაში, შეიძლება ასეთი ლინგვისტური იზოლაცია შეაკავონ.

თავი 4

ენობრივი განათლების პოლიტიკის განვითარება: ენობრივი უაქტოროები გადაწყვეტილების მიღების პროცესში

ცხადია, რომ ენობრივი განათლების პოლიტიკის ორგანიზება უნდა ითვალისწინებდეს ლინგვისტურ გარემოს, ინდივიდებისა და სახელმწიფოს მიმდინარე და სამომავლო მოთხოვნილებებს (თუ რომელი ენებია, როგორი კომპეტენციებია ამ ენებში?) და ენათა სწავლების კონცეფციებს, განსაკუთრებით ევროპულ ქვეყნებში, რომლებსაც შესაძლოა ინტერესების ორგანიზაციული თავისებურებები ჰქონდეთ სხვა ქვეყნებისადმი.

ამ თავში ნაჩვენებია იქნება გეოგრაფიულ სივრცეში წარმოდგენილი ენების სტატუსისა და ფუნქციების მრავალფეროვნება. ენების თითოეული კატეგორია მოიცავს კონკრეტულ პრობლემებს, რომელთა სოციალური და პოლიტიკური შედეგების პროგნოზირება მეტად მნიშვნელოვანია. მრავალენოვანი რეპერტუარის განვითარება და გამდიდრება ბალანსის გამონახვას გულისხმობს, სადაც, შესაძლოა, ერთი შეხედვით მარტივი, მაგრამ პოლიტიკურად და კულტურულად მეტად ძვირადღირებული გადაწყვეტილებები მიიღება. გადაწყვეტილების მიღების პროცესში ყურადღება უნდა მიექცეს იმ უნარებს, რომლებიც შემსწავლელებმა შეიძინეს სკოლამდელ ასაკში და, უფრო ზოგადად, ენობრივ სახესხვაობებს სხვადასხვა ეროვნულ ან რეგიონულ თუ უმცირესობათა საზოგადოებებში.

შესაძლებელი უნდა იყოს ამ არჩევანის დაზუსტება მოგროვებული სპეციფიკური რაოდენობრივი მონაცემებით, კერძოდ, სოციოლინგვისტური მიმოხილვების საშუალებებით, რომლებიც საშუალებას იძლევიან (თუნდაც მაგალითებით) აღიწეროს ის მეთოდები, რომლებითაც ენა გამოიყენება, ასევე ლინგვისტური რეპერტუარები და საზოგადოების შემადგენელი სხვადასხვა ჯგუფების რეპერტუარები. დღეისათვის ხელმისაწვდომია ცოტაოდენი ასეთი ინფორმაცია განათლების სისტემებზე ინფორმაციისგან დამოუკიდებლად. ენის მოთხოვნილებების დადგენასთან (ანუ იმ სიტუაციების აღწერა, რომლებშიც შესწავლილი ენა იქნება გამოყენებული) მიმართებით შექმნილი ცოდნა შესაძლოა ხელახლა იქნეს გამოყენებული ენობრივი პოლიტიკის სამართავად.

უფრო მეტიც, სხვა ქვეყნების, განსაკუთრებით მეზობელი ქვეყნების გამოცდილება მნიშვნელოვანი რესურსია გადაწყვეტილების მიმღებთათვის. საერთაშორისო მიმოხილვები ყოველთვის ორიენტირია, მიუხედავად სახელმწიფოების „ლიგის ცხრილისა“ ამა თუ იმ სფეროში მოღვაწეობასთან დაკავშირებით (სკოლაში შექმნილი მათემატიკის ცოდნა, ლიტერატურა, მოზრდილთა განათლება და მისთ.) არის მათი მხოლოდ ერთადერთი დამახასიათებელი თვისება საზოგადოების თვალში და ირიბად – პოლიტიკოსების თვალში. საერთაშორისო შედარებები დანახული უნდა იყოს არა მხოლოდ როგორც დიაგნოსტიკა, არამედ როგორც კვლევისა და მოქმედების შესაძლებლობა, რაც გამიზნულია განათლების სისტემის ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად.

4. 1. არსებული ენობრივი სახესხვაობები

იმისათვის, რომ ენების გამოყენება დავახასიათოთ, შესაძლებელი უნდა იყოს ვისაუბროთ საერთო კატეგორიზაციაზე, რომელიც შექმნილია დაგვარად ობიექტურადაა დაწესებული. ჩვენ ვიცით, რომ, თავის მხრივ, უკვე ენების სახელები იდეოლოგიური არჩევნებია: „ენების“ დასახელებას და შესაბამის განსაზღვრებებს ინდივიდებისა და

ჯგუფებისათვის სოციალური და პოლიტიკური წვლილი შეაქვთ. აქედან გამომდინარე, ეს არ არის ბუნებრივი არჩევანი ტერმინებს შორის *დიალექტი* და *ენა*, *რეგიონული ენები* და *მევიდრი ენები*, არც ტერმინები *მშობლიური ენა* და *ეროვნული ენები* არიან ურთიერთშემცვლელნი. ორაზროვნების თავიდან ასაცილებლად ტერმინი *ენობრივი სახესხვაობა* იქნება გამოყენებული კონკრეტულად ამ თავშიც, რათა ბუნებრივად მოვისხენიოთ ენები – მათი სტატუსის მიუხედავად.

აღნიშნული იქნება ენობრივი სახესხვაობების მკაფიო ტიპოლოგია, რომლებსაც შეუძლიათ შექმნან ენობრივ სახესხვაობებზე მიმოხილვები და მათი გამოყენება გამჭვირვალე გახადონ. ეს მიდგომა პირველ რიგში გაითვალისწინებს მოლაპარაკის თვალთახედვას, შემდეგ სახელმწიფოში ენობრივი სახესხვაობების სტატუსისა და ფუნქციების სოციოლინგვისტურ შეხედულებებს. იქნება მცდელობა, აღიწეროს იმ ენობრივი სახესხვაობის თითოეული კატეგორია, რომელიც შესაძლოა კონკრეტულ საგანმანათლებლო პრობლემებად მოგვევლინოს.

განათლების სისტემამ და მისი მეშვეობით მთავრობამ ბალანსი უნდა დაამყაროს ან ქვეყანაში წარმოდგენილ ენობრივ სახესხვაობებს შორის და უცხო ენობრივ სახესხვაობებს შორის; მოსახლეობას უნდა მიეცეს არჩევანის საშუალება: რომელი ერთი (ერთნი) უნდა გამოიყენოს სახელმწიფომ მოქალაქეებთან ურთიერთობაში? რომელი უნდა ისწავლებოდეს სკოლაში და გამოიყენებოდეს სხვა საგნების სასწავლებლად? გეოგრაფიულ სივრცეში რომელი ენობრივი სახესხვაობები უნდა იქნას დაცული და ასე შემდეგ...

ეს პოლიტიკა უნდა განისაზღვროს მრავალი, შესაძლოა ურთიერთსაწინააღმდეგო ფაქტორის საფუძველზე – კოლექტიური მოთხოვნილებები, ენობრივი სახესხვაობების სავარაუდო გამოყენების დონე, მათთან დაკავშირებული პრეტენზიები, ენობრივი უმცირესობებისათვის მინიჭებული უფლებები, საგანმანათლებლო მიზნები, დემოკრატიული ცხოვრების ზოგადი პრინციპები და მისთ.

ენებთან დაკავშირებით ასეთი სოციალური არჩევნები უნდა ითვალისწინებდეს არსებული ენობრივი სახესხვაობის ხელმისაწვდომ ან პოტენციურ ცოდნასაც. ამგვარი ანალიზი იმითაა ხარისხობრივი, რითაც ის ეხება ენობრივი სახესხვაობის ბუნებასა და ფუნქციებს. მათ შესაძლოა გააჩნდეთ რაოდენობრივი განზომილებებიც, რამდენადაც ისინი შესაძლოა შეესაბამებოდნენ გადაწყვეტილების მიღებას, პროგრამირებასა და ინვესტირებას (მასწავლებელთა რიცხვი, რომელთაც უნდა გაიარონ ტრენინგი), კონკრეტულად სახელმწიფო ენის მოთხოვნილებებთან მიმართებით. სახელმძღვანელო კონცენტრირდება განსახილველი ენობრივი სახესხვაობების მახასიათებელ ხარისხობრივ ასპექტებზე, პოლიტიკური, სოციალური და კულტურული პრობლემების მიხედვით, რომლებიც უნდა დარეგულირდნენ.

4. 1. 1. ენობრივი სახესხვაობები მეტყველის შეხედულებით

4. 1. 1. 1. ენობრივ სახესხვაობებათა შექმნის თანმიმდევრობა

როდესაც განიხილება თითოეული მეტყველისათვის ენობრივი სახესხვაობის შექმნის თანმიმდევრობა (ან წყობა), უნდა გაკეთდეს შემდეგი განსაზღვრება:

მშობლიური ენა, პირველი ენა

პირველი ენა არის აკადემიური ტერმინი, რომელიც გამოიყენება ზოგადად **მშობლიური ენის** აღსანიშნად. ეს არის ენობრივი სახესხვაობა (სახესხვაობები), რომელიც შექმნილია ადრეულ ბავშვობაში, ორი-სამი წლის ასაკამდე. ამ სახესხვაობას განსაკუთრებული სტატუსი აქვს ბავშვისათვის, რამდენადაც ბავშვი მისით აღმოაჩენს სამყაროს ადრეული სოციალიზაციის ფარგლებში: ლინგვისტური ურთიერთქმედებანი სხვა მოლაპარაკებთან აუცილებელია ნორმალური განვითარებისათვის. ეს არის სახესხვაობა, რომელშიც ადამიანის ენობრივი ნიჭი პირველად გამოვლინდება ბუნებრივ ენაზე. ეს შესაძლოა სახესხვაობაც იყოს, რომლითაც ბავშვი ლინგვისტური „წესების“

გაცნობიერებასა და შეთვისებას იწყებს მის უშუალო გარემოში და, ამავე დროს, იძენს კომუნიკაციური ქცევის წესებს (მაგალითად, ვის, როგორ და როდის უნდა მიესალმოს?).

მშობლიური ენა არის ყოველდღიურად გამოსაყენებელი ტერმინი, რომელსაც, ამის მიუხედავად, აქვს ემოციური ქვეტექსტი, მაგალითად, **ოჯახი** და **წარმოშობა**, რომლებიც ხშირად არ არის *პირველადი ენობრივი* ტერმინი. უფრო მეტიც, ის ყოველთვის კორექტული არ არის, რადგან ბავშვები პირველ ენას შეიძენენ არა მხოლოდ მათი დედებისაგან, არამედ მათ შეუძლიათ შეიძინონ რამდენიმე ენა (ორი ან მეტი) ერთდროულად მრავალენოვან ოჯახურ გარემოში. *მკვიდრი ენა* და *შთამომავლობის ენა* ხშირად გამოიყენება ამ მნიშვნელობით, მაგრამ მათ მსგავსი ასოციაციები აქვთ ჯგუფთან, რომელსაც მიიჩნევენ, რომ მიეკუთვნებიან. აღნიშნული იქნება, რომ ენობრივი სახესხვაობა, რომელშიც შესაძლოა განისაზღვროს ამა თუ იმ წევრის მიკუთვნება ჯგუფისადმი, აუცილებელი არაა პირველი ენის პოვნისთვის, არამედ, შესაძლოა, ეს იყოს მოგვიანებით შექმნილი სახესხვაობა.

საბაზისო გამოკვლევა:
ჟან-კლოდ ბეკო, ენები და ენების რეპერტუარები: მრავალენოვნება ევროპაში - ცხოვრების წესად!

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ *მშობლიური*, უმრავლეს შემთხვევაში, პირველად შექმნილი ენაა, რომელიც შეესაბამება სასკოლო ენის ან ენების ნორმებს სხვადასხვა დონეზე. ეს შესაბამისობა ან განსხვავება შესაძლოა სკოლაში უპირატესობას ქმნიდეს ან პირიქით.

ჟესტების ენები

კვლევა უჩვენებს, რომ ჟესტების ენები სრულყოფილი ენებია: ისინი ისეა შექმნილი, რომ არსებობენ მათი სახესხვაობებიც; ამის გამო, ჟესტების ენა შესაძლოა გამოიყენოთ სწავლების ენად. მათ ევროპის საბჭო მიიჩნევს კომუნიკაციის „ბუნებრივ და კონკურენტულ“ საშუალებად (საპარლამენტო ასამბლეის 1598 (2003) რეკომენდაცია). ისინი გამოიყენება როგორც ინდივიდებს შორის კომუნიკაციისათვის, ასევე მოსასმენადაც. მიუხედავად ამისა, ყრუ ან სმენადაქვეითებულ პიროვნებებს გააჩნიათ სხვა მოსაზრება ჟესტების ენების შესახებ; ზოგიერთი მათგანი სიყრუეს ნაკლოვანებად თვლის, მაშინ, როცა სხვები მათ იდენტურობას ჟესტების ენით ქმნიან. ეს უკანასკნელი ჯგუფი ჟესტების ენას მიაკუთვნებს მშობლიური ენის სტატუსს. ჟესტების ენა ოფიციალურად აღიარებულია მრავალ წევრ სახელმწიფოში¹ და განაპირობებს ამ ენის სწავლებისა და თარჯიმნების ტრენინგების ორგანიზებას.

ზოგიერთ სახელმწიფოში ყრუ ან სმენადაქვეითებული ხალხი აღიარებას ითხოვს განსაკუთრებული ენობრივი საზოგადოების უფლებებით, რაც ასოცირდება ენობრივ უმცირესობებებთან. იმის მიჩნევა, რომ ასეთი ხალხი არის მრავალენოვანი, ვინაიდან ზოგიერთი იყენებს მას მეტყველებაშიც, თუნდაც ნაწილობრივ, ჟესტების ენასთან ერთად, აყალიბებს მათი ლინგვისტური პოზიციის აღიარების სხვა ფორმას. მათთან დაკავშირებით იგივე კითხვები დაისმის რაზეც აქამდე გვქონდა საუბარი: ერთი საზოგადოების საზოგადოებათშორისი ურთიერთობა მეორესთან, მრავალენოვანი უნარების შექმნის შესაძლებლობა იდენტურობის ჩამოყალიბებაში და მისთ.

პირველ (მშობლიურ) ენასთან დაკავშირებით წამოჭრილი ენობრივი პოლიტიკის საკითხებია:

- როდესაც სასკოლო (სწავლების) ენა პირველი (მშობლიური) ენაა, უნდა გადაწყდეს საკითხი: იყოს თუ არა და როგორ უნდა იყოს გათვალისწინებული პროგრამაში და სწავლების მეთოდებში ენის წინარე ფლობის დონე, რომელსაც ბავშვებმა მიაღწიეს სკოლის დაწყებამდე; ამასთან, გასათვალისწინებელია სოციალური დიფერენციაციის საკითხი; ეს არის სოციალური საკითხი, რადგან სკოლები უნდა უზრუნველყოფდნენ შესაძლებლობების თანასწორობას, მიუხედავად იმ განსხვავებებისა, რომლებიც არსებობდა ბავშვების მიერ სკოლაში სწავლის დაწყებისას.

- როდესაც სასკოლო ენა არ არის მოსწავლის პირველი ენა, უნდა გადაწყდეს, თუ რა ადგილი უნდა მიეცეს პირველ ენას. ეს არის პოლიტიკური საკითხი, რადგანაც ის ეხება ეროვნული ერთიანობის კონცეფციას და რისკის ქვეშ დგება ჯგუფური იდენტურობის შექმნის საკითხი. პრობლემათა ამ წყებაში შემოდის ისიც, რომ შესწავლილი უნდა იყოს უსტების ენებიც, რადგანაც ისინიც უნდა ისწავლებოდეს.

მეორე ენები, თანამედროვე ენები და ა. შ.

ეს ტერმინები და მრავალი სხვა ეხება ენობრივ სახესხვაობებს, რომელთა ათვისებაც ბავშვობაში კი არ ხდება, არამედ - მოგვიანებით: ამის გამო, ყველა ისინი უნდა მოვიხაროთ მეორე, მესამე და ა. შ. ენებად მათი შექმნის თანმიმდევრობის მიხედვით. პირველი ენის (ენების) შექმნის შემდეგ შექმნილი ენები შესაძლოა სხვადასხვა სახის იყოს, აქედან დიდი ტერმინოლოგიური მრავალფეროვნება მომდინარეობს.

შესაძლებელი ესენი იყვნენ სახესხვაობები, რომლებიც მუდმივად და უმეტესწილად გარკვეულ გარემოში ფუნქციონირებენ და მათი შექმნა შესაძლებელია მათთან კონტაქტით, ოფიციალური სწავლების გარეშე. ეს ხშირად რეგიონული ენების შემთხვევაში ხდება. მაგრამ ასეთი სახესხვაობები შესაძლოა ისწავლებოდეს სპონტანური დაუფლების პარალელურად: ასეა მიგრანტებისა და მათი ბავშვების შემთხვევაში, რომელთათვისაც მასპინძელი ქვეყნის ენა არ არის პირველი ენა, რომელიც ავტომატურად შეისწავლება და / ან ინსტიტუციონალური სწავლების ფარგლებშია. *მეორე ენა* ეხება არა მხოლოდ დაუფლების თანმიმდევრობას, არამედ სახესხვაობის სოციოლინგვისტურ სტატუსს, რომელიც შესაძლოა თამაშობდეს ენობრივი კომუნიკაციების როლს, ძირითადად წარმოდგენილი იყოს მედიაში და საზოგადოებრივ ცხოვრებაში (უფრო ხშირად, ვიდრე ოჯახური გარემოს გარეთ, ამის გამო) და ისიც სწავლების ენაა.

მეორე ენა შესაძლოა ისეთი სახესხვაობაც იყოს, რომელსაც არ ჰქონდეს არანაირი მნიშვნელოვანი ადგილი მოცემულ გარემოში. ტერმინი *უცხო* ან *თანამედროვე ენები* ხშირად გამოიყენება, რათა მოვიხსენიოთ ენობრივი სახესხვაობები, რომელთა სწავლება შესაძლოა ნაკლები მოტივაციით იყოს გამოწვეული, რათა ვისწავლოთ ე. წ. უცხო ენები იმით, რომ შემსწავლელები არ არიან იმ სახესხვაობებთან კონტაქტში, ან არიან მხოლოდ ვირტუალურ ან შეზღუდულ ფორმებში (კინო, ტელევიზია, იმ ქვეყნებში ვიზიტები, სადაც ისინი გამოიყენება და მისთ.). ამის გამო, ისინი შესაძლოა ნაკლებად ათვისდნენ მათს მოთხოვნილებებს უცხო ენებზე, რომლებსაც ისინი ჩვეულებრივი სკოლის საგნებად მიიჩნევენ და რომლებშიც ყოველთვის არა მათი **ფაქტობრივი დაუფლება**, არამედ მათი **შეფასება** (ტესტები, გამოცდები) მიღწევების დამადასტურებელი.

უნდა აღინიშნოს, რომ *პირველი ენა*, *მეორე ენა* და მისთ. **ადმინისტრაციული** ტერმინებია, რომლებიც გამოიყენება იმ სტრუქტურის (თანამიმდევრობის) აღსანიშნავად, რომლის მიხედვითაც უცხო ენები ისწავლება სასკოლო სისტემაში. ტერმინები ბუნდოვანია, რადგანაც არ აღნიშნავენ იმ სახესხვაობებს, თუ რომელი შეისწავლა მოწაფემ პირველად, რომელი მეორედ და ასე შემდეგ, არამედ იმ თანმიმდევრობას, როგორც ასწავლეს სკოლაში. ისინი მხარს უჭერენ იმ მოსაზრებას, რომ სკოლაში ორგანიზებული ენის სწავლება (სისტემური მნიშვნელობით და როგორც სპონტანურის საპირისპირო) არის ენების შესწავლის ან დაუფლების ერთადერთი კანონიერი გზა, რადგან შემსწავლელის ადრეული ენობრივი ისტორია არ არის გათვალისწინებული.

სიტყვა *უცხო* აბსოლუტურია იმით, რითაც ის ხაზს უსვამს გარე სამყაროსთან სხვაობას. ფაქტობრივად *უცხოდ* ცნობილი მეორე ენები, შესაძლოა, მეტ-ნაკლებად ახლოს იდგეს მშობლიურთან, მეტ-ნაკლებად ადვილი ან რთული იყოს სასწავლად. ზოგი მიჩნეულია *ეგზოტიკურად*. ეს არის ტერმინი, რომელიც გამოიყენებულია ჩვეულებრივ მსჯელობაში, რათა გამოვხატოთ სხვა საზოგადოებებთან ან ქვეყნებთან კულტურული და ლინგვისტური სიმორე. შემთხვევითი არ არის, რომ მნიშვნელოვანი კულტურული განსხვავებები ხშირად გაგებულია ხელიხელჩაკიდებული ენების სირთულეებად, რომლებიც გამოიყენება ასეთი კულტურული ჯგუფების მიერ. პირიქით, ერთი და იმავე წყაროდან წარმოშობილი, კულტურულად ახლო მდგომი ენები (მაგალითად, სემიტური, რომანული და სლავური ენები) შეიძლება უცხოდ მივიჩნიოთ. ენობრივი სახესხვაობების

უცხოურობის ხარისხის ასეთი აღქმა ალბათ გამოიყენება, თუმცა უფრო ნაკლებად კონკრეტული ქვეყნის უმცირესობებთან და რეგიონულ ენებთან მიმართებით. პირველ ენასა და ყველა სხვა მეორე ენას შორის მანძილი შესაძლოა მცირედ იყოს მიჩნეული, თუკი, სულ მცირე, ურთიერთგაგებინება იქნება შესაძლებელი მათ შორის და / თუ მათი მოლაპარაკე ჯგუფები კულტურულად ახლოს მდგომარეობა შეფასებული (იხ. ქვემოთ).

მეორე ენის შესახებ ენობრივი პოლიტიკის საკითხებია:

- განათლებაში შესათავაზებელი მრავალფეროვნების არჩევანი, სოციალური და საგანმანათლებლო არგუმენტები, რომლებიც ადასტურებს ამ არჩევნებს, ამ არჩევნების მიღების ხარისხი, რომლებიც ენების ერთობლივად აღქმული სიახლოვეა;
- სკოლის ეტაპი, რომელზეც მეორე ენა უნდა იყოს შემოთავაზებული: წინასწავლდებულ სკოლის პერიოდში, სწავლდებულ სკოლის პერიოდში (სოციალიზაციის მეორე პერიოდი, როცა კუთვნილების ფორმები იქმნება) თუ მოგვიანებით?
- თანმიმდევრობა, რომლითაც ისინი უნდა ისწავლებოდნენ, რაც აუცილებლად არ შეესაბამა იმ თანმიმდევრობას, რომლითაც სწავლაში მათი საჭიროების მიხედვით დალაგება სურთ;
- სხვადასხვა უცხო ენის სწავლების კოორდინირება ერთმანეთთან და ეროვნულ / ოფიციალურ სახესხვაობებთან, რათა უფრო ნათელი უწყვეტობა იყოს ყველა ენობრივი სახესხვაობის სწავლებას შორის.

მნიშვნელოვანია ამ კლასიკური პრობლემების სხვადასხვა ასპექტით განხილვა, რათა „მოუქნელი“ გადაწყვეტილებები არ მივიღოთ. მაგალითად, უცხო ენას, რომელიც პირველი ისწავლება სკოლაში, ექნება უპირატესობანი, თუნდაც იმიტომ, რომ მათ იღებენ ჩვეულებრივი სახით - ადრეული სწავლის, ხანგრძლივობის, სწავლების ხანგრძლივობის, გამოცდილების დონის, სავარაუდო სარგებლისა და მისთ. ეფექტურობა... მოგვიანებით უცხო ენის სწავლება ზედაპირულად ან არასრულყოფილად მიიჩნევა.

მეორე სახესხვაობის საკითხი უშუალოდ სკოლებს ეხება, რადგანაც, თუ არჩევანები შეზღუდულია და მარტივია ეროვნულ / ოფიციალურ ნასწავლ ენებთან მიმართებით (თუნდაც სწავლდებულ განათლების პერიოდში), ისინი საკმაოდ ფართოა მეორე ენებთან დაკავშირებით. ენობრივი პოლიტიკა ისე უნდა იყოს გაწერილი, რომ თავიდან ავიცილოთ მეორე ენების ერთმანეთში ადრევა (სასკოლო კარიერაში კონკრეტულ ეტაპზე რამდენიმე ენის განსაკუთრებული არჩევანი) დროთა განმავლობაში მათი თანმიმდევრული შეთავაზებით, რომელიც ითვალისწინებს, თუ რა არის შექმნილი ერთ ენაში, რათა ხელახლა ჩავართოთ სხვა ენის შესწავლაში.

4. 1. 1. 2. ენობრივი ნაირგვარობის ფუნქციები

თუ ისევ ინდივიდუალური მომხმარებლის თვალთახედვით იქნება გამოკვლეული, ენობრივ სახესხვაობათა ფუნქციების კლასიფიცირება შეიძლება მოხდეს მათი მნიშვნელობის ან გამოყენების სფეროების მიხედვით.

ტერმინი *ჩვეულებრივი (ან ძირითადი) ენა* გამოყენებული იქნება ყველა ან ყველაზე მნიშვნელოვან კომუნიკაციურ სიტუაციებში ენებთან მიმართებით (სამსახურის, საზოგადოებრივი ცხოვრებისა და ა. შ.) და ეს იქნება შედარებული იმ სახესხვაობებთან, რომლებიც გამოიყენება ცალკეულ შემთხვევებში ან ერთ კონკრეტულ სფეროში (მაგალითად, ოჯახის ენა). ტერმინი *დომინანტი ენა* გამოყენებული იქნება ამ მნიშვნელობით, რათა მივმართოთ ენობრივ სახესხვაობებს, რომლებშიც მეტყველი ყველაზე კომპეტენტურია; მაგალითად, კომუნიკაციის ზოგად ან ცალკეულ სახეობებში. თუმცა ეს ტერმინი განეკუთვნება ენობრივი სახესხვაობის განსაკუთრებულ სოციალურ სტატუსსაც (იხ. ქვემოთ).

განათლების სწავლდებულ მისია ხალხის უფრო მეტად განათლებაა (სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, უნარი იმისა, გაიგოს და გადმოთარგმნოს დოკუმენტები და ტექსტები და იმუშაოს რაოდენობებთან და რიცხვებთან), ისე, რომ არც ერთი მოქალაქე არ იყოს გარიყული საზოგადოებიდან. თუმცა განათლებულობის ბოლო დროის განმარტებების მიხედვით განათლებულობის უნარებში ცდილობენ ჩართონ უცხო

ენებთან დაკავშირებული კომპეტენციები საკომუნიკაციო მეთოდად, რაც მნიშვნელოვანი გახდა ეკონომიკურმა გლობალიზაციამ. რამდენიმე ენის ცოდნა სასარგებლო დანამატად კი აღარ მიაჩნიათ, არამედ მნიშვნელოვან და ძირითად კომპონენტად. ეს გეგარნახობს, რომ ენის სწავლებას უნდა დაეთმოს უფრო ფართო მასშტაბები სკოლებში ადრეული ასაკიდან.

ამ საკომუნიკაციო ფუნქციებთან ერთად, ენობრივი სახესხვაობები შესაძლოა სოციალური ჯგუფების გაერთიანების ფაქტორებად იქცნენ. ხალხი კლასიფიცირდება ჯგუფისადმი მიკუთვნებით მათ მიერ გამოყენებული ენობრივი სახესხვაობების მიხედვით. ენობრივი სახესხვაობები არის ნედლი მასალა, რომლიდანაც იქმნება ჯგუფების იდენტურობა და მათი დამახასიათებელი თავისებურებანი. ასეთი სახესხვაობები, ცნობილი *იდენტურობის ან გაწვევრიანების სახესხვაობების* სახელით, ძალიან ემოციური ან სიმბოლური დატვირთვის მატარებლები არიან იმ ინდივიდებისათვის, ვინც საკუთარ თავს მათი მეშვეობით აღმოაჩენს, განსაკუთრებით, თუ ისინი სხვა ჯგუფებთან კერძოდ კი უმცირესობათა ან ემიგრანტი ჯგუფების ენებთან კონფლიქტში მოდიან. ხალხი ცდილობს, ენების გამოყენებით შეინარჩუნოს წევრობა იმ ჯგუფებთან, რომელთა დატოვებაც მოუწიათ. მაგრამ გაწვევრიანების ენობრივი სახესხვაობა აუცილებელი არ არის პირველი ან ოფიციალური სახესხვაობისთვის: ნებისმიერი ენობრივი სახესხვაობა შესაძლოა იდენტურობის სახესხვაობა გახდეს, თუნდაც ეს იყოს მეორე ან უცხო სახესხვაობა. მაგალითად, საუბარი კონკრეტული რელიგიის თაობაზე შესაძლებელია ნიშნავდეს ამ რელიგიის ენის იდენტურობის ენად ათვისებას. სახესხვაობა, რომელიც დომინანტია სამსახურებრივ ცხოვრებაში, შესაძლოა იმავე როლს თამაშობდეს, რის ნათელი მაგალითებიც შეიძლება მოვიძიოთ ფინანსებისა და კინოს სამყაროში.

ჯგუფები, რომლებიც საკუთარი თავის იდენტიფიკაციას ახდენენ ენობრივი სახესხვაობის მეშვეობით, შესაძლოა შეეცადონ ისე იმოქმედონ, რომ მათი სახესხვაობა აღიარონ სხვა ჯგუფებმა. საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია გაწვევრიანების ენებთან, ყოველთვის რთული გადასაწყვეტია პოლიტიკურ ჭრილში და მოითხოვს იმ ენების სწავლების ორგანიზების მექანიზმებს, რომლებიც საკმაოდ რთულია მეტყველთათვის იმ ჯგუფებს შორის, რომლებიც ეროვნული საზოგადოების შექმნის შესაძლებლობას იძლევიან.

4. 1. 2. ენობრივი სახესხვაობები საზოგადოებაში მათი სტატუსის თვალსაზრისით

ყველა ენობრივ სახესხვაობას პოტენციურად გააჩნია უნარი, მისცეს მოსაუბრეებს კომუნიკაციის საშუალება - გამოხატონ და გადასცენ მათი ემოციები და ცოდნა. ისტორიულად და სოციოლოგიურად ზოგიერთმა მათგანმა ბევრად მნიშვნელოვანი ფუნქციები შეიძინა საზოგადოებაში, ვიდრე სხვებმა. ასეთი არათანაბარი სტატუსი შესაძლოა გამოხატული იყოს ლეგალური არათანასწორობით ან დამამცირებელი იმიჯით. სოციალური თვალთახედვით, ენები მნიშვნელოვანწილად ფასდება ამ ლეგიტიმაციის საფუძველზე.

ასეთი უთანასწორობის გადასაღებად, სახესხვაობები შესაძლოა დაიყოს ლეგალურ კატეგორიებად, იმავე სახელის წესდების *„რეგიონულ ან უმცირესობათა ენებად“*, განსაზღვრებული, როგორც: „ტრადიციულად გამოყენებული სახელმწიფოს მოცემული ტერიტორიის ფარგლებში იმ სახელმწიფოს მოქალაქეთა მიერ, რომლებიც რიცხობრივად უფრო მცირე ჯგუფს ქმნიან სახელმწიფოს დანარჩენ მოსახლეობასთან შედარებით და განსხვავდება სახელმწიფოს ოფიციალური ენისაგან (ენებისაგან)“. განსაზღვრება „არ მოიცავს სახელმწიფოს ოფიციალური ენის (ენების) არც დიალექტს და არც მიგრანტების ენებს“ (ნაწილი I, პარაგრაფი 1).

სახელმწიფო ენა, ოფიციალური ენა

სახელმწიფო ენა ენობრივი სახესხვაობაა, რომელსაც აქვს კონსტიტუციით ან სხვა ლეგალური ინსტრუმენტებით სანქცირებული როლი სახელმწიფოსა და მოქალაქეებს შორის საკომუნიკაციო ენის სახით (სამთავრობო დეპარტამენტები, იურიდიული სისტემა, სკოლები და ა. შ.). ეს გულისხმობს, რომ კერძო კომუნიკაციებში მოქალაქეებს

შეუძლიათ გამოიყენონ ნებისმიერი ენობრივი სახესხვაობა. მაგრამ, ხშირ შემთხვევაში, ოფიციალური ენა (ენები) არის (არიან) მოსახლეობის რიცხოვნობად ან სოციალურად მნიშვნელოვანი ნაწილის მშობლიური ენა, თუმცა, მაგალითად, დასავლეთ ევროპული ქვეყნების ყოფილ კოლონიებში ეს როლი შესაძლოა ითამაშოს ენობრივმა სახესხვაობამ (როგორც წესი, კოლონიზატორის ენა), რომელიც არ არის არც ერთი ჯგუფის მშობლიური ენა.

ეროვნულ სახელმწიფოებში (მიუხედავად იმისა, არიან თუ არა ფედერალური მოწყობისა), ოფიციალური ენა შესაძლოა იდენტურობის ანუ ეროვნულ საზოგადოებასთან გაწევრიანების ფაქტორი გახდეს. სახელმწიფო ენა ყოველთვის არ ემთხვევა მოქალაქეობას (თუ ინგლისურად ლაპარაკობთ, არ ნიშნავს, რომ ხართ ავსტრალიის მოქალაქე; ფრანგულად და ფლამანდიურად მოლაპარაკე ბელგიელები ერთი და იმავე სახელმწიფოს მოქალაქეები არიან), თუნდაც რომ ოფიციალური სახესხვაობის ცოდნა ზოგადად იყოს მოსალოდნელი ან სავალდებულო მათთვის, ვინც ითხოვს მოქალაქეობას. ამის გამო, ტერმინი **სახელმწიფო ენა**, არის უფრო ემოციურად დატვირთული, ვიდრე **ოფიციალური ენა**.

რაც შეეხება ოფიციალური სახესხვაობის სწავლებას, ძირითადი საკითხი მისი მიზნებია, რადგან ასეთი, შესაძლოა მრავალი იყოს: წერის ხელმისაწვდომობა (გაგება და შექმნა, წერის უნარების დაუფლების ჩათვლით), მეცადინეობები ზეპირმეტყველებაში, ენობრივი და სოციოენობრივი ნორმების სწავლება, ცოდნის გადაცემა, სამოქალაქო განათლება და ა. შ. ფაქტობრივად, ეს მრავალფეროვნება გულისხმობს ენის სწავლების სხვადასხვა მიზნებს: ფუნქციურ მიზნებს (ჯგუფის წევრებს შორის და სხვა ჯგუფებთან კომუნიკაციის უზრუნველყოფა), საგანმანათლებლო ფუნქციებსა (ტრენინგი მეტაენობრივ ასახვაში, იმ ენებზე დაწერილი ძირითადი ნაშრომების კითხვაში, მოქალაქეობრიობაში და მისთ.) და პოლიტიკური მიზნებს (ეროვნული საზოგადოებისადმი მიკუთვნების გრძნობის შექმნა). ეს მიზნები არ არიან ურთიერთშესაბამისნი, მაგრამ მათი სათანადო მნიშვნელობა უნდა დაზუსტდეს იმ ღირებულებებთან დაკავშირებით, რომლებიც მიღებულია ენობრივი განათლების პოლიტიკის საფუძვლად.

დომინანტი ენები, ენობრივი უმცირესობები და რეგიონული ენები

ტერმინი **დომინანტი ენა** განეკუთვნება სახესხვაობას, რომელსაც უფრო მაღალი ლეგალური ან სოციალური სტატუსი აქვს სხვა სახესხვაობებთან შედარებით მოცემულ გეოგრაფიულ ტერიტორიაზე. უპირატესობა შეიძლება გავრცელდეს სახელმწიფოში ან ეხებოდეს იმავე სახელმწიფოს მხოლოდ ერთ რეგიონს. ეს უპირატესობა არ გაიზომება მხოლოდ მოლაპარაკეთა რიცხვით. ადგილი, რომელსაც საზოგადოება მიანიჭებს სახესხვაობებს, რომელთაც აქვთ ასეთი სტატუსი, გვკარნახობს, რომ შესწავლილი უნდა იყოს სხვა სახეობებისადმი სივრცის გამოყოფის სათანადოობა და ამ სივრცის მახასიათებლები.

ტერმინი **ენობრივი უმცირესობა** განეკუთვნება ენობრივ სახესხვაობებს, რომლებიც გამოიყენება (როგორც პირველი, ისე მეორე ენა) გარკვეული ჯგუფების მიერ; ეს ჯგუფები თავიანთ თავს განსხვავებულად მიიჩნევენ მათი ტერიტორიის, რელიგიის, ცხოვრების წესის ან ნებისმიერი სხვა მახასიათებლის გამო და ამტკიცებენ ან არეგულირებენ თავიანთ განსხვავებას უფრო დიდი საზოგადოების ფარგლებში. სხვა განსაზღვრებებიც შეიძლება და უნდა აღინიშნოს, რომ მათ არ მოიცავს *ევროპის საბჭოს პროგრამის ეროვნულ უმცირესობათა დაცვის კონვენცია*.

ტერმინი **ხალხური ენა** ხანდახან გამოიყენება იმ ენობრივ სახესხვაობებთან მიმართებით, რომლებიც უმცირესობათა სახესხვაობებია; არა მოლაპარაკეთა რიცხვის გამო, არამედ იმიტომ, რომ იმ ტერიტორიაზე, სადაც ის გამოიყენება, სხვა, უფრო პრესტიჟული სახესხვაობა გამოიყენება გარკვეულად შეზღუდულ, მაგრამ საზოგადოებისთვის მნიშვნელოვან სფეროებში. აქედან გამომდინარე, ლათინურის გამოყენება განათლებული ხალხის საერთაშორისო ენად შუა საუკუნეებში შესაძლოა შევადაროთ ადგილობრივ ხალხურ სახესხვაობებს (რომელთაგანაც ზოგიერთი შეიძლება ეროვნულ ენად იქცეს).

ზოგიერთი საზოგადოების ენების უმცირესობის სტატუსი ცალსახად არ შეესაბამება რაოდენობრივ კრიტერიუმს: გარკვეულ გეოგრაფიულ ტერიტორიაზე ან საზოგადოებაში

ასეთი სახესხვაობები შესაძლოა ფართოდ იყვნენ გავრცელებული ან აქტიურად გამოყენებული. სტატუსი განეკუთვნება უფლებებს, რომლებითაც ეს ჯგუფები არ სარგებლობენ: სასამართლოში გამოყენება, ლეგალური ან ადმინისტრაციული დოკუმენტების წარმოება, განათლებაში პირველ ენად (როგორც დაწვევით სკოლაში, ისე უნივერსიტეტებში) გამოყენება, ფუნქციონირება ეროვნულ მედიაში, საგზაო ნიშნებში და მისთ. რეგიონული ან უმცირესობათა ენების წესდება ჩამოთვლის საზოგადოებრივი ცხოვრების სექტორებს, რომლებშიც წევრი სახელმწიფოები ვალდებულია იღებენ ასეთი ენობრივი სახესხვაობებისადმი ფართო აღიარების მინიჭებაზე.

უმცირესობათა ენების წარმოშობა განსხვავებულია და, ამის გამო, გარკვეულ პოლიტიკურ პრობლემას და ენობრივი განათლების პოლიტიკის პრობლემას წარმოადგენს. კერძოდ, როდესაც ის ეხება მათ მოგვარებას და განათლების სისტემის ცვლილებაზე დისკუსიებსა და მოლაპარაკებებს ისე, რომ შესაძლებელი იყოს მათი შეთავაზება სკოლებში. მაგრამ უმცირესობათა ყველა ენა წარმოშობს ერთსა და იმავე საკითხს: კერძოდ, მათ გათვალისწინებასთან და განათლების სისტემის პოლიტიკაში ჩართვასთან დაკავშირებით - უნდა ჩაანაცვლონ თუ არა ამ უმცირესობათა სახესხვაობებმა ეროვნული სახესხვაობა ნაწილობრივ, თუ მთლიანად დარჩნენ ინსტრუქციის ენებად? უნდა ჰქონდეთ თუ არა სასწავლო პროგრამებში იგივე სტატუსი, რაც უცხო სახესხვაობებს, რომლებიც მათთან ერთად ისწავლება? უნდა იყოს თუ არა ისინი ხელმისაწვდომი ძირითადად მეორად განათლებაში, ან პირიქით, ისწავლებოდეს ადრეულ სავალდებულო განათლებაში? რეგიონული ან უმცირესობათა ენების წესდება სხვა გასატარებელ ღონისძიებებს შორის ჩამოთვლის ამ ღონისძიებების სიას, რათა განათლება ან განათლების „მნიშვნელოვანი ნაწილი“ ხელმისაწვდომი გახდეს ამ ენების ყველა დონეზე. სწავლების ორგანიზების ამ მეთოდების მიზანი არის ამ სახესხვაობების გადაცემის ხელშეწყობა, რომელიც არსობრივად განხორციელებულია ოჯახში და პირად ცხოვრებაში და იმისთვის, რომ მათ უფრო ფართო კოლექტიური აღიარება მიეცეს. ასეთი გადაცემა გულისხმობს უმცირესობათა სახესხვაობების მიღებას უმრავლესობის მიერ და ეს ეფუძნება აღიარებასა და ენობრივ ტოლერანტობას.

დიალექტები

ტერმინი **დიალექტი** ხანდახან გამოიყენება რეგიონულ და უმცირესობათა სახესხვაობებთან მიმართებით, რომლებიც ახლა განვიხილეთ: საერთოდ, ისინი ფაქტობრივად სახესხვაობებია, რომლებიც განეკუთვნებიან ეროვნულ ან ფედერალურ ტერიტორიას. ისინი მიეკუთვნებიან *მკვიდრ* ან *ადგილობრივ* მოსახლეობას; მაგალითად, ახლად დასახლებული მიგრანტთა საზოგადოებების საპირისპიროდ. ისინი აუცილებლად არ მიეკუთვნებიან იმავე ენობრივ ოჯახს, როგორცაა სხვა რეგიონული და / ან ოფიციალური სახესხვაობები.

დიალექტი გამოიყენება ეროვნული ან ოფიციალური ენების ხმარებასთან დაკავშირებითაც. სახესხვაობები შესაძლოა წარმოშობით სოციოლოგიური იყოს (ასაკობრივი ჯგუფები, განათლების დონე, კომუნიკაციის ფორმალობა თუ არაფორმალობა და მისთ.) და / ან ტერიტორიული. გადახრები შესამჩნევია, მაგალითად, გამოთქმის ან ლექსიკის თავისებურებებით. ისინი წარმოშობენ ეროვნული ენის ნორმების პრობლემას, საიდანაც გადახრილად გამოიყურებიან (მაგრამ არა აუცილებლად აუტანლად). სახესხვაობები შესაძლოა დაკრისტალდეს და მოგვცეს იდენტურობის სუბსტანცია ახალ უმცირესობათა სახესხვაობის შესაქმნელად (კერძოდ, ერთ თაობაში ან პროფესიულ ჯგუფებში).

ასეთი ენობრივი სახესხვაობები საკმაოდ სტაბილურია: მათ შესაძლოა ჰქონდეთ დამწერლობა: მხატვრული ლიტერატურა, ლექსიკონები და საბაზისო გრამატიკა. ამის გამო, საკმაოდ ადვილია, სწრაფად გახდნენ ინსტრუქტირების სუბიექტი ან საშუალება. მათ აერთიანებთ ის, რომ არ აქვთ არანაირი ოფიციალური ან განსაკუთრებული სტატუსი, მაგრამ მათი აღიარება დანარჩენი ეროვნული საზოგადოების მიერ ცვალებადია. ეს აღიარება, სხვათა შორის, დამოკიდებულია ურთიერთგაგების შესაძლებლობაზე ამ ტიპის სახესხვაობასა და ოფიციალურ/დომინანტ სახესხვაობას შორის და ჯგუფის კულტურულ სიახლოვეზე სხვა მოქალაქეებთან. ეს ენობრივი სახესხვაობანი საზოგადოებისადმი მიკუთვნების ფუნდამენტური გრძნობის ჩამოყალიბებაა და მისი ყველაზე ნათელი გამოხატულებაა. ზოგ შემთხვევებში

რეგიონული მიკუთვნების აზრი არ ემთხვევა ეროვნულ მიკუთვნებას, მაგრამ ის შეიძლება ქმნიდეს ეროვნული პოლიტიკური საზოგადოებიდან გამოყოფის საკმაოდ რადიკალურ ფორმას. ამის გამო, საზოგადოებრივი აზრის გარკვეული ნაწილი შესაძლოა რეგიონულ და უმცირესობათა ენებს ეროვნული ერთიანობის წინაშე მდგომ საფრთხედ მოიაზრებდეს.

ამის გამო, ენობრივი სახესხვაობების, რეგიონული და ენობრივი უმცირესობის ეს ჯგუფი, რომელთა კერძო გამოყენება ხანდახან შეზღუდული და აკრძალულია, ან კიდევ არასრულად აღიარებული, წარმოშობს კომპლექსურ პოლიტიკურ საკითხებს, კერძოდ, მათ სწავლებასთან დაკავშირებით, რადგან, თუ ისინი დამაკმაყოფილებლად უნდა გადაეცნენ თაობებს, საკმარისი არ არის მათი შეთავაზება სავალდებულო განათლებაში და მის გარეთ.

თუ განსაზღვრულია, რომ ენის სწავლება უნდა უზრუნველყოფდეს ევროპისადმი მიკუთვნების ელემენტს, გასაგები იქნება, რომ შესაბამისი საგანმანათლებლო პრინციპები შესაძლოა არ ეყრდნობოდეს არც დომინანტ ენობრივ სახესხვაობას, რომელიც არ არსებობს, არც ამ რეგიონული სახესხვაობების ერთი ან მეტი სახესხვაობის არსებობას, რომლებიც უზრუნველყოფენ მოსახლეობის მხოლოდ პატარა ნაწილის იდენტურობას. ამის გამო, ეს გადაწყვეტილება არის არა ტერიტორიული, ტრანსლინგვისტური პრინციპი: მრავალენოვანი განათლების კონცეფცია მოითხოვს დაკმაყოფილებას.

ემიგრანტი საზოგადოებების ენები, მემკვიდრეობის ენა

იმ ხალხის ან ჯგუფების მშობლიური ენა, რომლებიც იძულებულნი გახდნენ, სხვა ქვეყნებში დასახლებულიყვნენ, წარმოადგენს უმცირესობათა ენის სხვა ტიპს. ისინი უნდა შეეგუონ ენობრივად ახალ გარემოს, თუნდაც იმდენად, რამდენადაც საუბარია დომინანტ სახესხვაობასთან შეგუებაზე, რომელიც ცნობილია ***მასპინძელი ენის*** სახელით ყოველდღიური და პროფესიული კომუნიკაციებისათვის. მოზრდილთათვის ამ ენის ათვისება აკადემიური სტრუქტურების მიღმა ხდება. ასეთი დაუფლება შეიძლება გადავიდეს მაღალ დონეზე ან შეჩერდეს, როდესაც დაკმაყოფილება ყველაზე აუცილებელი ენობრივი მოთხოვნილებებით. ოჯახის სტრატეგია ასეთი საზოგადოებების მშობლიური ენის გადაცემისთვის შეიძლება ძალიან ცვალებადი იყოს და შესაძლოა – აშკარა ან ბუნდოვანი: პირად კომუნიკაციებში ენის სისტემატური გამოყენება, წარმომავლობის ქვეყანაში რეგულარული ვიზიტები, კლასები, რომლებიც შემოთავაზებულია ასოციაციის მიერ ან მასპინძელი ქვეყნის განათლების სისტემებში. სხვებისათვის გარემომცველი საზოგადოების ზეწოლამ და მასპინძელ ქვეყანაში ინტეგრირების სურვილმა მათ უბიძგა პირველი სახესხვაობისგან თავის არიდებისაკენ. მიუხედავად ამისა, შთამომავლობის ენის ამ უარყოფას შესაძლოა ადგილი ჰქონდეს შთამომავლობის თაობის მიერ იდენტურობის დაკარგვას და შემდეგ ცდილობენ ხელახლა შეითვისოს ენობრივი სახესხვაობა, რომელიც მათ უნდა ჰქონდეთ მემკვიდრეობით მიღებული.

საბაზისო გამოკვლევა:

ინგრიდ გოლდლინი, ენობრივი მრავალფეროვნება და ახალი უმცირესობები ევროპაში.

მიგრანტების პირველად ენებს სხვადასხვა წარმომავლობა აქვს: ზოგიერთი სხვა ევროპული ენები, რომლებიც იძლევიან ურთიერთგაგების საშუალებას ზოგიერთი ქვეყნების ოფიციალურ სახესხვაობებთან და, თავის მხრივ, ოფიციალური ან რეგიონული სახესხვაობებია. სხვები ევროპის გარედან, მაგრამ ნაცნობი კოლონიური ისტორიის გამო, რომელმაც უზრუნველყო გარკვეული კონტაქტი ან პირიქით ძალიან განსხვავებულადაა მიჩნეული. ესენი, თავის მხრივ, არიან იმ ქვეყნების ენები ან დიდი კულტურული დაჯგუფებების, ან უმცირესობათა ენები წარმომავლობის ქვეყანაში.

ენები, რომლებიც ახალ მიწებზე ჩამოვიდნენ, სადაც ისინი მანამდე არ იყვნენ წარმოდგენილი არანაირი მნიშვნელოვანი დონით, შესაძლოა, უკვე შემოთავაზებული იყოს სავალდებულო სწავლებაში, საშუალო ან უმაღლეს განათლებაში. მაგრამ ცნობილი არ არის, რომ ასეთი მექანიზმები საკმარისი იქნება, რათა თავიდან იქნეს

აცილებული მათი დაკარგვა. ყოველთვის არსებობს დიდი რისკი, რომ ენები, რომლებიც საერთოდ არ ისწავლებიან (მიუხედავად იმისა, არიან თუ არა ისინი უცხო ოფიციალური/ეროვნული თუ რეგიონული ენები), დაიკარგებიან ორ თუ სამ თაობაში. რეგიონული ენებისგან განსხვავებით, ამ ენებს არ გააჩნიათ არანაირი ტერიტორიული ლეგიტიმაცია და ფაქტობრივად უცხოური წარმოშობისა არიან: შესაძლოა ვიფიქროთ, რომ ისინი კოლექტიური იდენტურობის, თუნდაც ტრანსფორმირებულის, ფორმირების ნაწილს არ შეადგენენ, მაგრამ უნდა გაიფანტონ აღიარებულ იდენტურობაში, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, უნდა გაქრნენ. ეს საკითხები მნიშვნელოვანი კომპონენტია იმ ქვეყნებისთვის, რომლებიც მათ მიიღებენ, მათს ორგანიზებას ახდენენ, და იმდენად არის მნიშვნელოვანი, რამდენადაც ამის საშუალებას იძლევა რეზიდენტობის მიღების პირობები.

ბოშების ენა

ბოშების ენა აუცილებლად მოითხოვს სპეციალური ენობრივი განათლების პოლიტიკის დებულებებს, რამდენადაც ეს არის „არა-ტერიტორიული“ ენა საზოგადოებისა, რომელიც, აღწერის მიხედვით რამდენიმე მილიონია ევროპაში. ბოშათა ენის სწავლა უნდა ითვალისწინებდეს სოციოლინგვისტური სიტუაციის მრავალფეროვნებას (ოჯახში გამოყენება თუ არგამოყენება, ზეპირი მეტყველების ცოდნა, რომელიც უნდა განვითარდეს სკოლაში სწავლისთვის და მისთ.). მათი ენობრივი რეპერტუარის გაფართოებას ესაჭიროება კონტაქტი სხვა ენობრივ სახესხვაობებთან, რომლებიც ხელს უწყობენ მათი კულტურული იდენტურობის დადგენას. სწავლება ფერხდება კვალიფიციური მასწავლებლებისა და შესაბამისი სასწავლო მასალების უქმარისობის გამო. შესაბამისად, დაფიქსირებულია წარუმატებლობა და სკოლის მიტოვების მაღალი დონე. ამ სიტუაციის მოგვარება ისევ ევროპაში ინტეგრაციის შესაძლებლობის კრიტერიუმი.

არსებობს ევროპის საბჭოს მრავალი ოფიციალური დოკუმენტი რომა/ბოშების ბავშვებზე, მინისტრთა კომიტეტის N° R (2000) 4 რეკომენდაცია წევრი სახელმწიფოებისადმი ბოშათა ბავშვების ევროპაში განათლების შესახებ. ევროპის საბჭომ შეიმუშავა ბოშათა ენის სწავლების პროგრამა ევროპულ ბოშათა და მოგზაურთა ფორუმის თანამშრომლობით.

უცხო ენები, კლასიკური ენები

ზოგიერთი ენობრივი სახესხვაობა არ გამოიყენება ყველა ქვეყანაში არსებული მნიშვნელოვანი ჯგუფების. ასეთი სახესხვაობები გამოიყენება მეზობელ ქვეყნებში (რომლებიც, ამის გამო, ნაწილობრივ „უცხო ენები“ არ არიან სასაზღვრო რეგიონების მოსახლეობისათვის) ან უფრო დაშორებული ან ნაკლებად ცნობილი ჯგუფების მიერ. ისინი შესაძლოა სახელმწიფოში წარმოდგენილნი იყვნენ სატელევიზიო პროგრამებში (სატელეტი, საკაბელო ქსელი, სააბონენტო ტელევიზია), კინოში, ზოგადად მიღებული პოლიტიკის მიხედვით მედიაში (დუბლირება, ხმაჩაწეული სინქრონული თარგმანი, სუბტიტრები ეროვნულ ენაზე და ა.შ.). მათი არსებობისთვის დახმარება ან ხელშეწყობა შეიძლება ოფიციალური საგანმანათლებლო ინსტიტუტების მეშვეობით (უცხოური უნივერსიტეტები, კულტურული ცენტრები და მისთ.) აღიარებული ტერიტორიაზე.

ერთ-ერთმა ასეთმა სახესხვაობამ შესაძლოა მნიშვნელოვანი როლი ითამაშოს კონკრეტულ ქვეყანაში, მაშინ, როცა ქვეყნის *მეორე ენის* პირობებში ის (უძველესი ან ახლანდელი) ან სახესხვაობა მიტოვებულია კოლონიზაციის შედეგად, რომელიც მნიშვნელოვანია მისი პრესტიჟის გამო. ეს სახესხვაობები შესაძლებელია ისევ შევასწავლოთ განათლების სისტემის გარეთ, ისწავლებოდეს როგორც პრიორიტეტი ან გამოიყენებოდეს საზოგადოებრივ ცხოვრებაში (როგორც ოფიციალური ენა ან ინსტრუქტირების ენა).

კლასიკურ ენებს სწავლობენ და ასწავლიან როგორც უცხოურს (იტალიისა და საბერძნეთის გარდა, კლასიკური ლათინურისათვის და უძველესი ბერძნულისათვის, შესაბამისად, ისტორიული და ტერიტორიული უწყვეტობის გამო ამ ენების კლასიკურ და თანამედროვე ფორმებს შორის). ისინი არსობრივად ისწავლებიან კითხვის გაგების თვალსაზრისით და გამოიყენება ლიტერატურული და ინტელექტუალური ნაშრომების

ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად, რომლებიც ევროპული კულტურის ერთ-ერთი საფუძველია. მათი მსმენელები ყველგან შემცირდნენ, რადგანაც ისინი ნაკლებად გამო-საყენებლად მიიჩნიათ და ახლა ძალზე მცირერიცხოვან მოზრდილთა ენობრივი რეპერ-ტუარის ნაწილს წარმოადგენს. მიუხედავად ამისა, ენობრივი განათლების პოლიტიკაში ისინი ცალკე არ უნდა განიხილებოდნენ.

საბაზისო გამოკვლევა:
რიიტა პირი, ნაკლებად ფართოდ გამოყენებული სამეტყველო ენების სწავლება და სწავლა სხვა ქვეყნებში.

პრობლემები, რომლებსაც ეს სახესხვაობები წამოჭრიან განათლების სისტემებთან მიმართებით, პრაქტიკულად ისეთივეა, რომლებიც ინდივიდებთან დაკავშირებით ვახსენეთ (იხ. 1.1.1. ზემოთ). მიუხედავად ამისა, უნდა განვასხვაოთ ის ენა, რომელიც უცხოა მეტყველისთვის და ის, რომელიც უცხოა საზოგადოებისათვის: ენა შესაძლოა იყოს ოჯახურ გარემოში, მაგრამ მოიაზრებოდეს უცხოდ ეროვნული საზოგადოების მიერ: ეს არის შთა-მომავლობის ენების ან იმ ენების შემთხვევაში, რომლებზეც ხალხი სასაზღვრო რე-გიონებში ერთმანეთს ეკონტაქტება. რამდენიმე ენა ნამდვილად უცხოა ევროპულ ქვეყ-ნებში, რამდენადაც ევროპაში გამოიყენება მრავალი ენობრივი სახესხვაობა, თუნდაც მოლაპარაკების რიცხვი, შესაძლოა, მოიაზრებოდეს ნაკლებად აბსოლუტური მნიშვნელობით კონკრეტული ქვეყნის საერთო მოსახლეობასთან შედარებით, თუმცა ასეთი პროპორციული შეფასებები პერსპექტივაში უნდა ჩაიდოს, რადგანაც ევროპული ქვეყნების მოსახლეობები მერყეობს ერთი-ორი მილიონიდან ას ორმოცდაათ მილიონამდე. ეს ყველაფერი გვეკარნახობს, რომ ზუსტი ტერმინი *უცხო ენა* სკოლებში და სხვაგან გა-მოყენებული გარკვეულ საგნებთან მიმართებით, საჭიროებს აღიარებას ისე, რომ ენის სწავლების უწყვეტობას გაესვას ხაზი, რაც იმავე უნარების აქტივაციას მოითხოვს. ეს გვეკარნახობს იმასაც, რომ ენების არსებობა გეოგრაფიულ ტერიტორიაზე უნდა გადავიდეს ეკონომიკური და საგანმანათლებლო რესურსების სასარგებლოდ.

4. 1. 3. ენობრივი სახესხვაობები სკოლაში: წერითი ენა, ინსტრუქციის ენა

სკოლების თვალსაზრისით არსებობს ენობრივი სახესხვაობების კლასიფიცირების ზემოთ განხილული მეთოდებისაგან განსხვავებული მეთოდები და ისინი შესაძლოა გა-ვითვალისწინოთ ენობრივი განათლების პოლიტიკის შექმნისას.

წერილობითი ენა

განათლების სისტემის ერთ-ერთი ფუნქცია არის წერილობითი ენა, რომელიც მარტი-ვად ზეპირი ან სალაპარაკო ვერსიის წერით გარდაქმნად მიჩნიათ. ფაქტობრივად ენო-ბრივი სახესხვაობების წერითი ფორმები არ არის დამახასიათებელი სკოლებში, მაგრამ სწავლება აუცილებელია გადაცემის უზრუნველსაყოფად.

განათლების თვალთახედვით, შეიძლება ვნახოთ, რომ ყოველი ბავშვი, რომელიც იმყოფება ოჯახურ გარემოში ენობრივი სახესხვაობის ზემოქმედების ქვეშ, მას ყოველ-დღიურ თანამოსაუბრესთან ურთიერთობაში და სისტემატური სწავლების გარეშე ასწავ-ლის. წერის უნარი ბუნებრივად არ მიეცემათ და მოითხოვს სწავლების სხვადასხვა მოცულობებს. უპირველეს ყოვლისა, ეს ეხება წერის სისტემის სწავლას (ანბანი ან იდეოგრამები), რომელიც შესაძლოა რთული იყოს, როგორც ამოცნობის (ხმამაღლა კითხვა) და ასევე შექმნის (ჩვეულებრივი მნიშვნელობით წერა) თვალსაზრისით. უპირვე-ლესი მიზანია, ტექსტები სწორი მეტყველების წესების მიხედვით გაიგო და შექმნა, რომლებიც არ უნდა აფურიოთ გრამატიკის წესებში. ეს უნარი გადამწყვეტია სო-ციალური და პროფესიული განვითარებისათვის. უცხო სახესხვაობებთან მიმართებით, ზეპირმეტყველების უნარების დაუფლების პროცესები განსხვავებულია წერის უნარების შექმნის პროცესისგან: ამ უკანასკნელს მრავალი მსგავსება აქვს პირველი ან ოფი-ციალური ენის სწავლებასთან და საჭიროებს კოორდინირებულ მიდგომას.

ამის გამო, სკოლები წერითი ენობრივი სახესხვაობების დეპოზიტორებია, რომლებიც, რა თქმა უნდა, ახლოს არიან შესაბამის ზეპირ სახესხვაობებთან, მაგრამ, ამასთანავე, გამოირჩევიან სპეციფიკური ხასიათით, რითაც ისინი აამოქმედებენ განსაზღვრულ შემეცნებით და ენობრივ უნარებს. სკოლები მნიშვნელოვან როლს თამაშობენ შემსწავლელებისათვის ეროვნული სახესხვაობის გამოყენების სოციალური ნორმების გაცნობაში. ეს სახესხვაობა ამის გამო ენობრივი განათლების პოლიტიკაში კონკრეტულ პრობლემებს ქმნის: იმისათვის, რომ უმცირესობათა ან რეგიონული ენა ისწავლებოდეს, სასურველია, მაგალითად, სტაბილური ტრანსკრიპციის სისტემა, მაგრამ, ამავე დროს, ყველაზე მეტად იმ სახესხვაობაზე დაწერილი ტექსტები უნდა არსებობდეს (ლიტერატურა, აკადემიური ნაშრომები, სახელმძღვანელოები, გაზეთები და სხვა), რომლებიც შეიძლება გამოყენებული იყოს სწავლების დამხმარე საშუალებებად. პედაგოგიურად, ასევე, უფრო სასურველია, ბავშვებს ჯერ შეისწავლონ მათი პირველი ენის წერის ფორმები, ვიდრე ოფიციალური ენა, რომელსაც შესაძლოა ისინი სათანადოდ არ იცნობდნენ და ეს ის შემთხვევაა, თუ მათი პირველი ენის წერის სისტემა უფრო რთულადაა მიხნეული. ასეთი მოსაზრება კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს ფართოდ გავრცელებულ პოლიტიკურ პრინციპს – წერა უნდა ისწავლებოდეს ოფიციალურ ენასთან კავშირში.

ინსტრუქციის ენა, ორენოვანი განათლება

იმისთვის, რათა საკუთრივ ენისაგან განსხვავებული საგნები ასწავლონ, სკოლები იყენებენ ენობრივ სახესხვაობას, რომელიც ძირითადად არის ოფიციალური ენა (ენები). შემუშავდა განათლების ნორმები ემიგრანტების ბავშვებისათვის (რომელთა პირველი ენა არ არის ის ენა, რომელიც გამოიყენება სკოლებში), რომელშიც ბავშვის მშობლიური ენა საგანთა სწავლების პროცესში გაიოლებას უწყობს ხელს, თუმცა ზოგიერთ ოჯახს ეს მასპინძელ ქვეყანაში მათი ინტეგრაციის დაბრკოლებად მიაჩნია. მიუხედავად ამისა, არსებობს მრავალი პროგრამა, რომლებშიც ოფიციალური ენა გამოიყენება ინსტრუქციის ვექტორით: სიტუაციებში, სადაც შემსწავლელები უმცირესობათა ენაზე მეტყველნი არიან, თუ სკოლის ოფიციალურ ენად მათი პირველი ენაა დადგენილი, მაშინ ის გადაშენების გზას დაადგება, თუ საზოგადოებაში არ გამოიყენება (ეს ცნობილია, როგორც სუბტრაქტული ორენოვნება), ან, პირიქით, ენობრივი სახესხვაობის დაუფლება, რომელიც გამოიყენება მასპინძელ ქვეყანაში (დამატებითი ბილინგვიზმი), არ გამოიწვევს პირველი ენის დაკარგვას.

ინსტრუქციის ენა, შესაძლოა, სხვა ოფიციალური სახესხვაობა იყოს ფედერალურ სახელმწიფოებში ან რეალურად უცხო სახესხვაობა. ამ შემთხვევებში ორივე ენა ხელმისაწვდომია სკოლებისათვის, პროფესიული და საუნივერსიტეტო განათლებისათვის. ეს ცნობილია *ორენოვანი განათლების* სახელით. აქ მიზანი უცხო სახესხვაობების სრულყოფილი დაუფლებაა: ისინი გამოიყენება საგნების სასწავლებლად: (ისტორია ან გეოგრაფია, მათემატიკა და ა.შ.). ორი ენა გაერთიანებულია ერთ საგანში (მაგალითად, ზეპირმეტყველების კლასი არის ერთ ენაზე, სახელმძღვანელო მეორეზე), ისწავლება ერთი მასწავლებლის მიერ (საგნის სპეციალისტი, რომელიც ფლობს ორივე ენას) ან ორი მასწავლებლის მიერ (საგნისა და ენის მასწავლებლის მიერ), და ა. შ. არსებობს სხვა შესაძლო მეთოდები, რომლებშიც ორი ენაა წარმოდგენილი: ალტერნატიული ან სხვადასხვა დღეები; ნასწავლი ენობრივი უნარების მიხედვით (წაკითხვის გაგება, პრეზენტაცია და მისთ.); ენების ფუნქციების მიხედვით: ენა დავალებებისათვის, პირადი საუბრებისათვის, სკოლის ადმინისტრაციასთან ურთიერთობისათვის და მისთ. ორენოვანი განათლება არის უმცირესობათა ენების გათვალისწინების გზა. სხვა კონტექსტში, სადაც მას არა აქვს ეს ფუნქცია (რამდენადაც ინსტრუქციის ენა არის უცხო ყველა მოსწავლისათვის) ის შეიძლება პოპულარული ტიპის განათლება იყოს, რომელსაც უპირატესობა გააჩნია ჩვეულებრივ საგანმანათლებლო ორგანიზაციებთან ან გზებთან და ცდილობს ორმხრივ სისტემაში ელიტარულ სქემად იქცეს.

ტერმინოლოგიის სიუხვე, რომელიც გამოიყენება ენის საჭიროებებთან მიმართებით, შეიძლება პოლიტიკური თვალთახედვიდან განვიხილოთ: ის აღნიშნავს გეოგრაფიულ ტერიტორიაზე წარმოდგენილ მრავალ ენობრივ სახესხვაობას და მათი ფუნქციების მრავალფეროვნებას, ეროვნული თვალთახედვიდან იმ საზოგადოებათა თვალთახედვას, რომლებიც ქვეყანას და პიროვნებას აყალიბებს. ასეთი მრავალფერო-

ნება ფაქტია, რომლის იგნორირება შეუძლებელია. კონკრეტულ ტერიტორიაზე და სოციალური ჯგუფების ენობრივი სახესხვაობების სტატუსის ცოდნა ცალსახად არ უზრუნველყოფს ენობრივი საკითხების დადგენას, რომლებსაც განათლების სისტემებში ვხვდებით და რომლებიც პოლიტიკურ ცხოვრებაში ვლინდება. კერძოდ, შეუძლებელია ასეთი სიტუაციების თანხმლები პოტენციური კონფლიქტის ხარისხის დადგენა. მიუხედავად ამისა, სიმართლეა, რომ კულტურულად შედგენილი საზოგადოებების ან კონკრეტულ ჯგუფების თვალთახედვით ენობრივი კონფლიქტების უმრავლესობის წარმოშობა მათთვის ხელმისაწვდომ ენობრივ სახესხვაობებსა და იმას, შორის რომელთაც ისინი იყენებენ პირად და უფრო ფართო საზოგადოებების ცხოვრებაში, ინდივიდუალური მრავალენოვნების ფორმებსა და სახელმწიფოს მიერ მხარდაჭერილი მრავალენოვნების ფორმებს შორის, ჰარმონიის ნაკლებობაა. განათლების სისტემებს აქვთ მთავარი როლი ასეთი კონფლიქტების თავიდან აცილებასა და გადაჭრაში, რაშიც ისინი შეიძლება დაეხმარონ საფრთხის ქვეშ მყოფი სახესხვაობების გადაცემას, ლეგიტიმაციის სხვებისადმი მიცემაში და შესაძლებელი გახადონ მოთხოვნადი სხვა სახესხვაობების წარმატებით შესწავლა ან დაუფლება.

4. 2. ენობრივი სახესხვაობების გამოყენებისა ან ცოდნის რაოდენობრივი მონაცემები

ასეთი პოლიტიკის გატარებას ესაჭიროება რაოდენობრივი მონაცემები, თუნდაც ტექნიკურად მოსწავლეთა და მასწავლებელთა რიცხვის მომავალი რეგულირებისათვის. ზოგადად, მათი მნიშვნელობის მიუხედავად, მცირეოდენი ასეთი მონაცემი ხელმისაწვდომია ეკონომიკური და დემოგრაფიული ცვლილებისათვის მდგომარეობის მახვევებლების შედარებით. ისინი შესაძლებელს ვერ ხდიან სისტემატურად აღდგეს მოლაპარაკეთა სტრატეგიები და საზოგადოებები, რომელთაც ეკუთვნიან, რადგანაც ისინი უფრო ინდივიდუალურ ენებს იკვლევენ, ვიდრე მრავალენოვან რეპერტუარებს.

4. 2. 1. ენების შესახებ ხელმისაწვდომი ინფორმაციის იდენტიფიკაცია

ინფორმაციის ყველაზე გავრცელებული წყარო ეხება ენის სწავლებას განათლების სისტემებში (კერძოდ, დაწყებით და საშუალო დონეზე). UNESCO/OECD/Eurostat-ის მონაცემები განათლების სისტემებში არსებული ინფორმაციიდან მოგროვებული, ეხება მოსწავლეების რიცხვს, მასწავლებლებს, გამოცდების ჩაბარებას და მისთ. მათი მეშვეობით შესაძლოა გავიგოთ, თუ როგორ რეაგირებს სკოლებში მოთხოვნა განათლების სისტემებში შემოთავაზებულ ენებზე, მაგრამ არა უშუალოდ, მაგალითად, შექმნილი ცოდნის დონის დასადგენად სწავლის ბოლოსთვის. საჭიროა იმ წყაროების მონაცემებით შევსება, რომლებიც მოპოვებულია თითოეული წევრი სახელმწიფოს განათლების სისტემებისათვის: თუმცა ყველა ის ერთი და იგივე მეთოდითაა მოპოვებული. ეს დაწყებით და საშუალო განათლებაში შემოთავაზებული კონკრეტული ენის შემსწავლელთა რიცხვის მონაცემებია, რომელსაც შეუძლია უზრუნველყოს მიმოხილვების ევროპული საფუძველი, *Eurydice network* (2001)-ის მიერ მოპოვებულის მსგავსად.

მონაცემთა სხვა წყარო ეხება არა ენის სწავლებას, არამედ მის გამოყენებას. ის შედგება ეროვნული აღწერისაგან, რომელიც არ სრულდება იმავე კატეგორიების გამოყენებით. მაგალითად, 1998 წელს *ევროპაში* გამოცემული *გამოკვლევები (რელიგიაზე სტატისტიკური წყაროების მიმოხილვა, ენა (ენები), ეროვნული და ეთნიკური ჯგუფები)* უჩვენებს, რომ გამოკვლევული ოცდათვრამეტი ევროპული ქვეყნიდან ცხრამეტმა ერთი ან მეტი კითხვა დასვა ენების თაობაზე უახლეს აღწერებში (გვ. 39); ცხრა ქვეყანაში ზოგადი მოსახლეობის მიმოხილვა იმ დროისათვის არ შეიცავდა კითხვებს სამეტყველო ენაზე (გვ. 46) და არც ერთი ქვეყანა არ ახდენდა შობადობის, ქორწინებისა და სიკვდილიანობის ენების მიხედვით სისტემატიზაციას (გვ. 46). დასმული კითხვები მოიცავდა ტერმინებს: *მშობლიური ენა, ყოველდღიური ენა* (რომელსაც ლაპარაკობენ სახლში და მის გარეთ), *ენა, რომელსაც ლაპარაკობენ პირად ცხოვრებაში, ენას რომელზეც ლაპარაკობენ სკოლაში ან სამსახურში, ენას, რომელსაც ხმარობენ მშობლიურ ენასთან ერთად*

და ა. შ. 1999 წელს საფრანგეთში ჩატარებული აღწერა მოიცავდა 380 000 მოზრდილისადმი მიმართულ კითხვას: „რა ენაზე (ენებზე), დიალექტზე (დიალექტებზე) ან კილოზე გელაპარაკებოდნენ დედათქვენი ან მამათქვენი, როდესაც ხუთი წლის იყავით?“ ასეთი ტერმინოლოგიური მრავალფეროვნება ხანდახან ართულებს მონაცემთა შედარებას სხვადასხვა ქვეყნებში.

ენების აღწერითი კითხვები უნდა იყოს მარტივი და ხშირად შემოკლებული: რესპონდენტებისათვის კითხვა - *ლაპარაკობენ* თუ არა ენობრივ სახესხვაობაზე, არ ასახავს არაფერს კითხვის უნარზე და არაფერს არ გვეუბნება საერთო კომპეტენტურობაზე. საბოლოოდ, აღწერები ხშირად არ მოიცავენ სალაპარაკო უცხო სახესხვაობებს: დაწყებისას, ხშირ შემთხვევაში, ისინი არ იძლევიან ენობრივ სახესხვაობებზე სრული სურათის მიღებისა და თითოეულ მოლაპარაკებე ან ამ თვალაზრისით ერთგვაროვნების ჯგუფების დადგენის საშუალებას.

შესაძლებელი იქნებოდა საერთო ტერმინოლოგიის შემოღება ენობრივი სახესხვაობების გამოყენების აღწერისათვის საზოგადოებებში, რომლებიც საკუთარ თავს მულტიენობრივ ან უმცირესობათა ჯგუფების შემცველად მიიჩნევენ, ეს არის ზუსტად იმ ენობრივი სახესხვაობების კლასიფიკაციის ფორმა (და, ამის გამო, განსაზღვრებაც), რომლებიც შესაძლოა პოლიტიკური დებატების ცენტრში იმყოფებოდეს. ყველგან რაოდენობრივი მონაცემების შედარებითი უკმარისობა, როგორც ჩანს, ასახავს ფაქტს ენობრივი პრობლემების მარგინალურობაზე ზოგიერთი ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში.

4. 2. 2. ენობრივ მონაცემთა შეგროვებისათვის სარწმუნო, საერთო მეთოდოლოგიების შემოღება

აღბათ სასურველია შეიქმნას ევროპულ დონეზე ამ სფეროში მონაცემთა შეგროვების საერთო მეთოდები. ენობრივ მონაცემთა შეგროვების მეთოდოლოგიები შესაძლოა ზოგად პრინციპებს ირჩევდნენ მათ შესადარებლად, რაც შემოთავაზებულია სპეციალისტთა ჯგუფის მიერ (Courbage Y., in Haug W., Courbage Y. and Compton P. (eds.) 1998:16) გამოკვლევაში ეროვნული უმცირესობების დემოგრაფიული მდგომარეობის თაობაზე:

- არჩეული კლასიფიკაციის სისტემის დადგენა (ენობრივი სახესხვაობების, გამოყენების სფეროები, ცოდნის დონეები, და მისთ.) მკაფიოდ განსაზღვრული მეცნიერული კრიტერიუმების საფუძველზე და მონაცემთა გარჩევისას კლასიფიკაციის ფორმის გათვალისწინება;
- გამოკითხული ხალხის წარმოდგენების გათვალისწინება (მაგალითად, ენების დასახელება) და ერთსა და იმავე კითხვაზე რამდენიმე პასუხის გაცემის საშუალების მიცემა;
- ენობრივი სახესხვაობების მრავლობითი ფუნქციების გათვალისწინება (კერძოდ, გაწვევიანების სახესხვაობებთან მიმართებით);
- ასეთი მიმოხილვები არ უკავშირდება პოლიტიკურ თუ საგანმანათლებლო დონისძიებებს, რომლებიც შეიძლება მიმოხილვის შედეგებზე იყოს დამოკიდებული;
- სტატისტიკის კონფიდენციალურობის უზრუნველყოფა, მონაცემთა ადმინისტრაციული გამოყენების თავიდან აცილების მიზნით (მაგალითად, დაბეგვრა);
- გეოგრაფიულ ტერიტორიაზე წარმოდგენილ ყველა ენობრივ სახესხვაობებში კითხვარების უზრუნველყოფა ისე, რომ საშუალება მოგვეცეს პასუხები გავცეს პირველ სახესხვაობას (კითხვარის ენის არჩევა მიმოხილვებით, დამატებითი მანკვინების უზრუნველყოფით).

შესაძლოა ჩატარდეს რაოდენობრივი მიმოხილვები ისეთი მანკვინებლების დახმარებით, როგორიცაა: გაზეთების რიცხვი (შესაბამისად - მკითხველთა წრე), პერიოდული და სხვა გამოცემები (ლიტერატურა, აკადემიური პუბლიკაციები, და მისთ.) ერთი ან მეორე სახესხვაობის გამოყენებით, დრო, რომლის განმავლობაშიც მედია (ტელევიზია და რადიო) იყენებს ამ სახესხვაობებს, მათზე ჩატარებული რელიგიური მსახურების რიცხვი და მისთ.

ხარისხობრივი მიმოხილვები დღეს უფრო ხშირად ტარდება, ვიდრე საერთოდ ტარდებოდა. კითხვარების გამოყენებით მიმოხილვების ჩატარება შესაძლოა პრობლემატური იყოს, რადგანაც მათ უნდა გაითვალისწინონ ენობრივი სახესხვაობების (და მათი სტატუსის) გამოყენების კომპლექსურობა ინდივიდთა ჯგუფების მიერ, რომლებიც განსაზღვრულნი უნდა იყვნენ ერთი და იმავე სახესხვაობის გამოყენებით საერთო მეთოდების საფუძველზე. ამის გამო, უნდა გავითვალისწინოთ შემდეგი:

- სხვადასხვა სახესხვაობის ფუნქციები თითოეული ინდივიდის სოციალურ ურთიერთობებში;
- სახესხვაობის არჩევა მოლაპარაკის კატეგორიის მიხედვით (საუკეთესო, ცნობილი თუ საზოგადოებისთვის უცნობი პიროვნება) ან საუბრის საგანი (სერიოზული, ტრივიალური საგნები და ა. შ) ზეპირი ურთიერთგაცვლისას;
- კითხვისა და წერის უნარების დონე (რომლებიც შესაძლოა ცვალებადი იყოს ერთი და იმავე ენობრივი სახესხვაობისათვის ტექსტის ან საგნის ტიპის მიხედვით), ასევე ლაპარაკისა და მოსმენის უნარები;
- სკოლის არჩევანი ენასთან დაკავშირებული კრიტერიუმების მიხედვით;
- წარმოდგენები გამოყენებული სახესხვაობების სტატუსის შესახებ: კითხვების დასმით ენების შესახებ შესაძლოა არ იძლეოდეს პასუხებს იმაზე, რასაც ეს მიმოხილვები არ მიიჩნევენ ენებად.

მიუხედავად ასეთი განსაზღვრებების საჭიროებებისა, კითხვარები პასუხებს თვითშეფასებაზე დაყრდნობით უზრუნველყოფენ და ამის გამო შესაძლოა ტენდენციურობა რესპონდენტების უუნარობით შეფასდეს: მათი სოციალური შესაბამისობა ობიექტურად (მაგალითად, იმის უარყოფა, რომ ვინმე იყენებს დიალექტს), მათი პერსონალური შეხედულება (იმის თქმა, რომ იყენებენ უმცირესობის ენას, რათა იმოქმედონ სტატისტიკურ მონაცემებზე) და ა. შ. ამის გამო, მნიშვნელოვანია შევავსოთ ისინი ფოკუს-ჯგუფების პროფესიონალთა მიერ ჩატარებული ხარისხობრივი ანალიზით, მაგალითად, საკომუნიკაციო ეთნოგრაფიის თეორიული ჩარჩოების გამოყენებით. დაკვირვების ეს ტიპი საჭიროებს დროს და ფულს და, შესაძლოა, მოიცავდეს მოსახლეობის მხოლოდ ძალიან მცირე ნაწილს. თუმცა, ის ძალზე მიესადაგება რეგიონული თუ ადგილობრივი მახასიათებლების გამოკვლევებს იმისთვის, რათა მოვიპოვოთ მათი შესაბამისი პასუხები, ეროვნული მახასიათებლების დამატებით, რომლებმაც, შესაძლოა, გვიკარნახონ, რომ სიტუაცია მთელ ქვეყანაში ერთგვაროვანია.

ნებისმიერ შემთხვევაში, ასეთი მიმოხილვებიდან შეგვიძლია მოველოდეთ იმის დადგენას, რომ ენობრივი სიტუაციები უფრო რთულია, ვიდრე მოველით პოლიტიკურ დებატებში და დეტალურ დამუშავებას ითხოვენ. ამასთან დაკავშირებით, თავის მხრივ, მიმოხილვები, მიუხედავად იმისა, არის თუ არა ფართო მასშტაბით ჩატარებული, საშუალებას იძლევა, რათა გავეცნოთ მნიშვნელობებს, რომელთაც გარკვეულ ტერმინებს უმატებენ, მაგალითად, *მშობლიური ენა, დიალექტი ან გამოსაყენებელი ენა*. ამის გამო, ისინი ბევრად უფრო დიდ მნიშვნელობას იძენენ, ვიდრე უბრალოდ ანალიტიკური ინსტრუმენტის ფუნქციაა.

4. 2. 3. ენას ესაჭიროება ანალიზი

შეზღუდულ გარემოში (ქალაქი, ფირმა, სამთავრობო ორგანიზაცია, სკოლა), შესაბამისი ჯგუფების წევრებმა უნდა იცოდნენ მათი ენობრივი მისწრაფებები და მათი ბუნება ობიექტურად ენის საჭიროებების არსის საფუძველზე დაადგინონ. *ენის საჭიროებებში*, როგორც წესი, უცხო ენის ენობრივი საჭიროებების ანალიზი და კომპეტენტურობა (კომპეტენტურობის დონე), იგულისხმება საჭირო სახესხვაობებში, რომლებიც მნიშვნელოვანია ნებისმიერი სახის ერთეულისათვის, რათა ეფექტურად მართონ მათი შიდა და გარე ურთიერთობა კონკრეტულ საკომუნიკაციო სიტუაციებში. ეს შესაძლოა განხორციელდეს მრავალი წყაროდან მიღებული მონაცემების გადამოწმებით. გთავაზობთ იმ ინსტიტუტების ჩამონათვალს, რომლებმაც შესაძლოა ისარგებლონ ენის საჭიროებების შეფასებით:

- საჯარო ადმინისტრაციის ყველა ნაწილი: საგარეო საქმეთა სამინისტროები, თავდაცვა და უცხოური ვაჭრობა, რეგიონებისა და ძირითადი ქალაქების საერთაშორისო ურთიერთობათა მმართველობები და მისთ;
- ეკონომიკის ყველა მოღვაწე: საერთაშორისო ორგანიზაციები, რომელთაც შეხება აქვთ ეკონომიკასა და ვაჭრობასთან, მრავალეროვანი კომპანიები (ეროვნული და უცხოური), პატარა და მცირე ფირმები (განსაკუთრებით იმპორტიორები და ექსპორტიორები), კონკრეტული ეკონომიკური სექტორები: ტურიზმი, ტრანსპორტი, სპორტი, კულტურული გაცვლები და მისთ. ორგანიზაციები: სავაჭრო და საწარმოო პალატა და პროფკავშირები;
- ყველაზე სპეციფიკური სფერო: სამართალი (საერთაშორისო, საჯარო და კერძო), განათლება (ენის მასწავლებლებზე და სხვა ენების მცოდნე მასწავლებლებზე მოთხოვნილება), სამეცნიერო და ტექნოლოგიური კვლევა, პოლიტიკური სამყარო და მისთ;
- ადგილობრივი ერთეულები: ქალაქები, რეგიონები, პროფესიული სასწავლო ორგანიზაციები, უნივერსიტეტები და მისთ.

ენის საჭიროებების ანალიზის ტექნიკა, არსებული ინსტიტუტისა და ორგანიზაციის ფუნქციონირების მიმოხილვები, რომლებიც:

- ადგენენ კომუნიკაციურ არაადეკვატურობას (მონაცემები, რომლებიც მიღებულია დამკვეთებისაგან, კლიენტებისაგან, მომხმარებლებისაგან, ოფიციალურ / სახელმწიფო ენაზე მოლაპარაკებისაგან და მისთ.);
- ადგენენ შესაბამის კომუნიკაციურ სიტუაციებს;
- ადგენენ შესაბამის ჯგუფებს;
- ადგენენ რესურსებს, რაც საჭიროა ტრენინგების დასაარსებლად: ტრენინგების ორგანიზაციები (სახლში, ენის სკოლების გამოყენება, ენის სპეციალისტების ან კონკრეტული სფეროს სპეციალისტების გამოყენება, რომლებიც ენის ტრენინგებს ატარებენ და მისთ.), დაფინანსება, საათების რაოდენობა, შემსწავლელთა არსებობა.

საბაზისო გამოკვლევა:
მარჯატა შუთა, ენის ტრენინგის დაგეგმვის მეთოდები.

ინფორმაციის შესაგროვებლად, რის საფუძველზეც ჩამოყალიბდება ტრენინგის პროგრამის მიზნები, შესაძლოა დაგვჭირდეს:

- ინდივიდუალური ან ჯგუფური ინტერვიუები;
- კითხვარები, რომლებიც მონაწილე პირებს შორის და/ან მათ ყოველდღიურ თანამოსაუბრებს შორის უნდა განაწილდეს (ზეპირი გაცვლა ვისთან და რა მიზნით? რა ტიპის ტექსტები უნდა შეიქმნას?). ეს მოიცავს ასეთი გაცვლების ნიმუშების შეგროვებით გამოყენებული საუბრის ფორმების ეთნოგრაფიულ და ენობრივ ანალიზს (ტექსტები, შეხვედრები, მისთ.);
- შემსწავლელის ცოდნის დონის განსაზღვრა (თვითანალიზი, ტესტები, შემსწავლელის დღიურები, პრობლემებისა და არსებული უნარების დადგენა, თვითნაწერისა და ტექსტების გამოყენება, რომლებიც უკვე შექმნილია მუშაობის პროცესში და მისთ).

სადაც მოზრდილთა ტრენინგი ექვემდებარება პრობლემური ეროვნული განათლების იურისდიქციას, ნაწილობრივ მაინც, აუცილებელი ხდება ენის საჭიროებების ფორმულირება, რაც შესაძლოა იდენტიფიცირდეს ზემოთ მოყვანილი საშუალებებითა და ხალხის მიერ აღქმული ენის საჭიროებებით, რომლებიც ამგვარ განათლებას მიიღებენ და მას საჭიროდ და შესაფერისად ჩათვლიან. ეს შესაძლოა მას შეესაბამებოდეს კიდევ, მაგრამ, როგორც ასეთი, ენის სწავლება გადახდილია დამბეგრავი ინსტიტუტების მიერ, ის ალბათ უფრო მეტად შეესაბამება ინსტიტუტების მიზნებს, ვიდრე კერძო, პერსონალური ინსტიტუტები. ყველა ტრენინგის მსგავსად, ეს მხოლოდ შემსწავლელის გულმოდგინებით მიიღწევა. ეს ნიშნავს, რომ მიზნები, ორგანიზება (ხანგრძლივობა, დრო და მისთ.) და ტრენინგის შინაგანი აღიარება უნდა რეგულირდებოდეს კონსენსუსით. ამ ტიპის შეთანხმება ტექნიკურად რთულია, მაგრამ შესაძლოა უმნიშვნელოვანესი იყოს, თუ

ენობრივი განათლება უნდა შეიქმნას სიფრთხილითა და კეთილგანწყობით და თავიდან იქნეს აცილებული გლობალური სტერეოტიპები, რომლებიც მოიცავენ მასობრივ გენერალიზაციას, როგორცაა: შენ უნდა ილაპარაკო ამ და ამ ენაზე იმისათვის, რომ გკონდეს ასეთი-და-ასეთი თანამდებობა კომპანიაში. ამ ტიპის ცდები, დეტალურად დაადგინონ მეთოდები, რომლებშიც ენები გამოიყენება, შესაძლოა შინაგანი ღირებულებების სტერეოტიპული წარმოდგენების გამოკითხვას იწვევენ, ჩაწერილი ზოგიერთი ენობრივი სახესხვაობებისათვის, რადგანაც ისინი აკავშირებენ ამ ენების სავარაუდო „ღირებულებას“ მათს რეალურ შესაბამისობასთან ცალკეულ სიტუაციებში. თუ ეს კარგად გადამუშავებული არ არის, მაშინ უბრალოდ ინგლისურის უნივერსალური ღირებულების „ხელახალ აღმოჩენას“ გამოიწვევს, მაგალითად, *ლინგვა ფრანკა*. ამასთან დაკავშირებით, ჩანს, რომ ენის საჭიროებების ანალიზი შესაძლებელს ხდის მრავალენოვან პრინციპს მიეცეს პრაქტიკული გამოხატულება.

4. 2. 4. ენობრივი განათლების პოლიტიკის ინფორმაციის გამოყენება სხვა ქვეყნებში

განათლების პოლიტიკა და ენობრივი პოლიტიკა საკმაოდ რეგულირდებოდა ეროვნულ კონტექსტში თითოეული ქვეყნისთვის დამახასიათებელი ტრადიციების მიხედვით და ადგილობრივად მოპოვებული რესურსებით. ევროპის ტერიტორიის ფორმირება, ისევე, როგორც ინფორმაციის გაცვლა და საერთაშორისო კოოპერირების მრავალი ფორმა, საგანმანათლებლო კულტურას მონაცემთა გამდიდრებაში დაეხმარა და მიიყვანა გადაწყვეტილებებამდე, რომლებიც მიღებული იყო სხვა ქვეყნებში შედარებად სოციალურ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებსაც შესაბამისად მიიჩნევდნენ. ცოდნის ეს ინტერნაციონალიზაცია იღებს პრაქტიკულ ფორმას კვლევის სფეროში კომპარატივისტულ განათლებასთან დაკავშირებით. ის არა მარტო სისტემებს შორის შედარებების საშუალებას იძლევა, არამედ ფუნდამენტურ, საკუთარი სისტემის უფრო უკეთესად გაგების საშუალებასაც სხვებთან შედარების გზით.

შედარებითი კვლევები ტარდება ეროვნული და საერთაშორისო ორგანოების მიერ, რომლებიც აგრეთვე ენის სწავლებაზე რაოდენობრივი მონაცემების მიღების წყაროა: განათლების საერთაშორისო ბიურო (IBE), ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია (OECD), (*XXI საუკუნის განათლების საერთაშორისო კომიტეტის მოხსენების* ჩათვლით, 1996), ევროპული კომიტეტი და ა. შ.

თუ ასეთი მიმოხილვები რეგულარულია, სხვადასხვა ქვეყნებში ენის სწავლება პირველ რიგში შედარებადი უნდა იყოს. ენებში ინვესტირების რაოდენობრივი განსაზღვრა განათლების სისტემებს შორის საერთაშორისო შედარებების საფუძველია. ეს ითვალისწინებს შემდეგ მონაცემებს: ღირებულება, შემოთავაზებული სწავლების წლიური და ჯამური მოცულობა (ენების მიხედვით, ეროვნულსგან განსხვავებული ყველა სხვა ენებისათვის, და მისთ.), ენების რაოდენობა, რომლებიც ისწავლება, თუ როგორია ენების მოწოდება, მასზე მომხმარებლის პასუხი და ა. შ. პარალელური აღწერები, რომლებიც რთული დასათვლელია, მოიცავს შეთავაზებული კურსის ანალიზს, სწავლების იდენტურობას, გადაწყვეტილების მიღების სტრუქტურებს (ენებთან მიმართებით - ვინ გადაწყვეტს შეთავაზებას, თუ რომელი სახესხვაობები შეისწავლებოდეს კონკრეტულ ორგანიზაციაში). მონაცემების სარწმუნოდ დადგენა რთულია, მაგრამ უნარების დონეების გაგრძელება, რაც იდენტურია ყველა ენისათვის, რომელიც ისწავლება და აღიარებულია ენების სპეციალისტების მიერ, ასეთ მიმოხილვებს სარწმუნოს გახდიან.

იგივე მართლდება სწავლების მეთოდებისთვისაც, ანუ იმას, რასაც მასწავლებლები იყენებენ: ამ მეთოდების განხორციელების მიზნით საჭიროა კომპლექსური დონისძიებების ჩატარება მაშინ, როცა შეზღუდული დაკვირვებებიდან ექსტრაპოლაციები დელიკატური საკითხია. ამჟამად, ამის გამო, რთულია სწავლებისა და იმ შედეგების კორელაცია, რომლებიც მიღებულია შედარებად პერიოდებში უნარების დონეების ფარგლებში. სოციოენობრივი კონტექსტი, რომელშიც ადგილი აქვს ინსტიტუციონალურ სწავლებას, არის შეფასების მეორე ფუნდამენტური ასპექტი, მაგრამ ძალიან რთული შესაფასებელია შედარების თვალსაზრისით. ამ ტექნიკური

სირთულეების მიუხედავად, გასაგებია საერთაშორისო მიმოხილვების აუცილებლობა. ხშირია კამათი მეთოდოლოგიის შესახებ, რაც გამუდმებით მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საზოგადოებრივ აზრზე. გადაწყვეტილების მიღებისათვის ასეთი ანალიზის სარგებლობა კარგად არის ცნობილი იმით, რომ ისინი შესაძლებელს ხდიან დადგინდეს არაადეკვატურობა და გეგარნახობენ გადაწყვეტილებებს, რომელთა მიღებაც სასურველია. ანალიზის შედეგები გამოიყენება პოლიტიკურ დებატებში ერთი ან მეორე გადაწყვეტილების სასარგებლოდ, განსაკუთრებით იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად დროულია არსებული სისტემის შეცვლა სხვაგან მომხდარი სოციალური ცვლილებების მიხედვით ან მოსალოდნელი გაუმჯობესებებით, რის მაგალითსაც სხვა ქვეყნები იძლევიან.

სიფრთხილეა საჭირო შედარებით ანალიზში, რომელიც შეიცავს ქვეყნის მიერ გაკეთებულ კლასიფიცირებას, რამდენადაც იმან, რაც ადვილად შესაძლოა იყოს ინტერპრეტირებული წარმატებულად, შესაძლოა სტიმული მისცეს ემოციურ ეროვნულ რეაქციებსა და განმეორებით ღია დებატებს, რასაც უფრო მეტი მღელვარება მოჰყვება, ვიდრე პოზიტივი. მეორე მხრივ, შესაძლებელია, რომ ენობრივი განათლების პოლიტიკის დეტალურმა აღწერამ, ჩატარებულმა თითოეულ ქვეყანაში გამჭვირვალე პროტოკოლის ფარგლებში, გარეშე დამკვირვებლების მონაწილეობით, შესაძლოა არ შეზღუდოს ტექნიკური მონაცემები, რომლებიც ობიექტურ საწყის მონაცემებად ითვლება შემდგომი გადაწყვეტილების მიღებისათვის. ასეთი საკითხების კოლექტიური გათვითცნობიერების შესაძლო მდგომარეობა უზრუნველყოფს ყველა მოღვაწის დაკავშირების შესაძლებლობას და ასე დადგინდება საკითხები, სხვადასხვა დამოკიდებულებები და შესაძლო ან მოსაძიებელი რესურსები. ეს იმ ტიპის პროტოკოლია, როგორსაც ქმნის ევროპის საბჭოს ენობრივი პოლიტიკის განყოფილება სათაურით: *ენობრივი განათლების პოლიტიკის პროფილები*.

4. 3. დასკვნა

შეგროვებული ინფორმაციის გათვალისწინებით, განათლების სისტემებსა და არსებული ენების სწავლებას ესაჭიროება გაანალიზება, რათა ახალი ენობრივი პოლიტიკის შექმნის საშუალება მიეცეთ. ამ ანალიზს შესაძლოა შემდეგი კითხვები უძღოდეს წინ:

რა ფუნქციებს ასრულებენ განათლების სისტემები და კონკრეტული ენის სწავლებაში რა ფუნქციები აქვთ საზოგადოებაში?

მაგალითად, სავალდებულო განათლებაში შესაძლებელია ჩამოყალიბდეს შემდეგი მიზნები ისე, რომ ბავშვები მოემზადონ ზრდასრულობისთვის: შეუქმნან ეროვნული მიკუთვნების გრძნობა ყველასათვის თანაბარი საშუალებების მიცემით; უთანასწორობის შემცირება, სოციალური მობილურობის გაზრდა, თაობიდან თაობაზე სტრატეგიკაციის თავიდან აცილებით; ევროპისადმი მიკუთვნების, როგორც დემოკრატიული მოქალაქის გრძნობის შექმნა და მისთ. მაგრამ ეს მიზნები შესაძლოა ხელახლა გამოჩნდნენ სხვა საგანმანათლებლო დონეებზე ხანგრძლივი განათლების ფარგლებში. ან კიდევ, რა როლს ასრულებს ენების შესწავლა რეგიონული და უმცირესობათა ჯგუფებისათვის: უნდა იყოს ის ცალკე, ასარჩევი საგანი? უნდა იყოს ის ინსტრუქციის ენა? რა ეტაპამდე? და მისთ.

როგორ კოორდინირდება ენის სასწავლო პროგრამები ერთმანეთთან?

ენის პროგრამები არის ცოდნისა და უნარების ერთობლიობა, რომლებიც ჰორიზონტალურად განცალკევდებიან (მაგალითად, სკოლის კლასით). რა ხანგრძლივი დამოკიდებულება დამყარდა განათლების სხვადასხვა დონეზე ენის სწავლებებს შორის (საფერშლო სკოლიდან უნივერსიტეტამდე და მის მიღმა)? რა საგნები უნდა ისწავლებოდეს სხვა ენებზე? შესაბამისი საგნების ცოდნასთან დაკავშირებით რა შედეგებით? რა დამოკიდებულება უნდა დამყარდეს სხვადასხვა შესწავლის ენების პროგრამებს შორის: მშობლიური, ოფიციალური / ეროვნული, რეგიონული და უმცირესობათა, კლასიკური, უცხოური და ა. შ.? რა კომპეტენტურობა ითვლება ხელახლა გამოყენებისთვის შესაბამისად და ერთი ენიდან მეორეზე გასავითარებლად და მისთ?

რა აღიარება მიეცემა პროგრამის გარე და სკოლის შემდგომ ენის ტრენინგს, მაგალითად, პროფესიული ტრენინგის ფარგლებში?

რა ადამიანური რესურსებია ხელმისაწვდომი კონკრეტულად მასწავლებლების თვალსაზრისით: არიან ისინი ერთი ან რამდენიმე ენის სპეციალისტები, ენისა და სხვა საგნის სპეციალისტები? არის თუ არა კონკრეტული ენის მასწავლებლების უკმარისობა? როგორ უმკლავდებიან ამ დეფიციტს: მკვიდრი მოლაპარაკების გამოყენებით, ვინც არ არიან მასწავლებლები, სწავლება / სწავლის თავისუფალი მიდგომის ფორმით, და მისთ?

ამ და სხვა კითხვებმა უნდა უზვენოს, თუ სად ხდება ენის სწავლების ამოქმედების მოთხოვნა, რათა უზრუნველყოთ მრავალენოვანი განათლება.

ენობრივი განათლების პოლიტიკის ძირითადი ფუნქციაა, დავინახოთ, რომ ენობრივი განათლების პოლიტიკის უზრუნველყოფა მთელი ცხოვრების განმავლობაში უფრო მჭიდროდ შეესაბამება სოციალური ჯგუფების ენობრივ მისწრაფებებს ევროპული შეთანხმების ფარგლებში. ასეთი მისწრაფებები, რომლებიც შეზღუდული არ არის ენებით, საჭიროებს ისეთ აღქმას, როგორც სინამდვილეშია (როგორც წესი, დასაქმების თვალსაზრისით), ეყრდნობა იმ მეთოდს, რომლითაც მოლაპარაკებები აღიქვამენ ენობრივ სახესხვაობას, რომელსაც ისინი ფლობენ და ისე, როგორც მათ სურთ, რომ შეიცვალოს: მათ შეიძლება საკუთარი თავი აღმოაჩინონ, რომ არიან ერთენოვანი ან ორენოვანი და დაკმაყოფილდნენ თავიანთი ენობრივი შესაძლებლობებით; ისინი შესაძლოა აგრეთვე აღიქვამდნენ საკუთარ თავს ან იყვნენ აღქმული, რომ მათთვის ხელმისაწვდომია არასათანადო ან არაადეკვატური სახესხვაობები; ბოლოს, მათ შეიძლება აღიქვან მათ მიერ გამოყენებული სახესხვაობების სისუსტე, და ამან შესაძლოა უბიძგოს უფრო მეტძობი დამოკიდებულებისკენ, როგორც საფრთხის ქვეშ მყოფი სახესხვაობის მატარებლებმა. პირველ სახესხვაობასა და ოფიციალურ სახესხვაობას შორის შეთანხმების უკმარისობამ დროთა განმავლობაში შესაძლოა შექმნას ენობრივი პოლიტიკის პრობლემები ისე, რომ პირველი სახესხვაობა მეორედ იქცეს, ან უცხო (მიგრანტების სახესხვაობების გაქრობა) ენის ან უცხო ენების გამოყენება მეორე ენად და ა. შ.

სოციალური ჯგუფების ენობრივ რესურსთა კონფიგურაციის კარგად გააზრებით, ენობრივი კონფლიქტი მოგვარებადია და შეიქმნება კონსენსუსი, თუნდაც ეროვნული საზღვრების მიღმა. ენობრივი განათლების პოლიტიკას აქვს ტექნიკური შესაძლებლობა, ევროპაში არსებული სოციოენობრივი სიტუაციების კომპლექსურობა და მრავალფეროვნება გამოიკვლიოს სტანდარტული, მრავალფეროვნებას მოკლებული გადაწყვეტილებებისგან განსხვავებული მეთოდით, ისე, რომ შეიქმნას ენობრივი განათლების ფორმები საერთო პრინციპებზე დაყრდნობით: მრავალენოვნება, როგორც დემოკრატიული ღირებულება, რომელიც აამაღლებს და განავითარებს კომპეტენტურობას.

ნაწილი მესამე

მრავალენოვანი განათლების საორბანიზაციო ფორმები

ენობრივი განათლების პოლიტიკის პრინციპები და მონაცემები, რომელთა გათვალისწინებაც საჭიროა იმ პოლიტიკის განხორციელების დროს, მიუხედავად მათი მიზნებისა, განხილული იყო პირველ და მეორე ნაწილში. მესამე ნაწილი უბრუნდება მრავალენოვნების სხვადასხვა ასპექტს, რომლებიც უნდა დაზუსტდეს, რათა ხელი შეეწყოს მის განხორციელებას საგანმანათლებლო ორგანიზაციებში. აღწერილი იქნება ყველა სახის სწავლებაში სასურველი სოციალური და საგანმანათლებლო გარემოს შექმნისთვის ხელმისაწვდომი საშუალებები (თავი 5). ჩამოთვლილი იქნება მეთოდები, რომელთა მიხედვით შესაძლებელია ენის სწავლების ორგანიზება ისე, რომ პრინციპები პრაქტიკულად განხორციელდეს. პრინციპები საკმაოდ მრავალფეროვანია, რაც განაპირობებს იმას, რომ შესაძლებელია თითოეული ქვეყანა პასუხისმგებელი დარჩეს იმ დეტალურ ღონისძიებებზე, რაც აუცილებელია ევროპისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხის განსახორციელებლად: ევროპელ მოქალაქეებს შორის კომუნიკაცია ყველა ენობრივ სახესხვაობასთან მიმართებით (თავი 6).

თავი 5

მრავალენოვნების კულტურის შექმნა

ზემოთ მოყვანილი ანალიზი მის სრულ მნიშვნელობას ევროპის საბჭოს პროგრამაში წარმოდგენილ პრინციპებთან დაკავშირებით ავლენს, რომლებიც ენის სწავლების მიზნებს გეთავაზობს. ახლა ეს მიზნები უნდა დაიხვეწოს უფრო პრაქტიკული მნიშვნელობით, რათა შეიქმნას მრავალენოვანი განათლება ევროპულ საზოგადოებებსა და განათლების სისტემებში და ვუზენოთ არა მათი პოლიტიკური, სოციალური თუ სავაჭარო-საბაზო შესაბამისობა, არამედ, უბრალოდ, მათი განხორციელების შესაძლებლობა.

„მრავალენოვნების კულტურა“ არ უნდა შეიქმნას ცარიელი ადგილიდან: ის უკვე წარმოდგენილია განათლებისა და პოლიტიკური სამყაროს ზოგიერთ სექტორში ყველა სახის ჯგუფებში (კერძოდ, ენის მასწავლებლები, ასოციაციები). უკვე დადგინდა ერთიანი მიდგომა ენის სწავლებისადმი თანამედროვე მსოფლიოს ცვლილებების თვალსაზრისით, რომლებმაც კულტურული მრავალფეროვნების მართვის საკითხი წამოჭრეს, ასევე სტანდარტიზაციის საყოველთაოობის დაბალანსებისა და იდენტურობაზე ორიენტირებული იზოლაციონიზმის საკითხები. ენების ღირებულების აღიარება, მათ ნაციონალურ და საერთაშორისო სტატუსში განსხვავებების მიუხედავად, არის საფუძველი, რომელზე დაყრდნობითაც ენები შეიძლება ისწავლებოდეს იმ მეთოდით, რომლის მიხედვითაც ისინი ფუნქციონირებენ (ადაპტირებული კომუნიკაციურ მოთხოვნილებებთან) და გააჩნიათ მაღალი სავაჭარო-საბაზო ღირებულება, რაც უზრუნველყოფს ენობრივი მრავალფეროვნების პოზიტიური აღიარების საფუძველს. ასეთი მიზნები განსაკუთრებით დასაბუთდა შესაბამის ფორმულირებებში, როგორცაა მრავალფეროვნების აღიარება, ან როგორცაა ენობრივი და კულტურული უმცირესობების დაცვის ფაქტორი, მაგრამ მრავალენოვნების მიზანშეწონილობა, როგორც მიზანი, სცდება ამ ფაქტორებს. შესაძლებელია ამ არსებული ცოდნის გამოყენება კულტურის გავრცელების პლაცდარმად მრავალენოვანი განათლების ორგანიზაციებში და სხვაგან.

5. 1. მრავალენოვნება: ენის პრინციპი და მიზანი, პიროვნული და მოქალაქეობრივი განათლება

5. 1. 1. მრავალენოვნება გადამკვეთ პროექტად

მრავალენოვანი განათლება, როგორც ენის სწავლების ორგანიზების ღირებულება და პრინციპი, იმ ფარგლებში განხორციელებული პროექტის კომპონენტია, რომელიც მოიცავს მშობლიურ ენებს, ისევე, როგორც სახელმწიფო ენებს, რეგიონულ ან უმცირესობათა ენებს და უცხო ენებს, რომლებიც არ უნდა გამოიყოს სასწავლო გარემოდან. ენის პრობლემები ეხება საზოგადოებრივი ცხოვრების მრავალ სოციალურ კომპონენტს და სფეროს: საზოგადოებრივი აზრი (მაგალითად, ენობრივი სახესხვაობების გამოყენების სახეობები), მედია (ოფიციალურისაგან განსხვავებული ენებისათვის დათმობილი სივრცე), მთავრობა და ბიზნესი (სახესხვაობები, რომლებიც გამოიყენება დამკვეთებთან, საზოგადოებრივი ტრანსპორტის მომხმარებლებთან, რეკლამა და სხვ.), პოლიტიკური და სავაჭრო ერთეულების სამყარო (პარტიული მანიფესტები და პოზიციები ენის საკითხებზე და ენობრივი განათლების პოლიტიკაზე ძირითადი პოლიტიკურ

იდეოლოგიასთან და მის ღირებულებასთან დაკავშირებით, როგორცაა სოლიდარობა, თავისუფლება და დემოკრატია).

მრავალენოვნება არის განათლების სისტემის განსაკუთრებული მნიშვნელობის საკითხი: ეროვნული ან ოფიციალური განათლების ორგანიზაციები, რომლებიც პასუხისმგებელი არიან სავალდებულო და შემდგომ განათლებაზე. ის აგრეთვე ეხება უმაღლეს განათლებას, კორპორაციულ უნივერსიტეტებს, საწყის და შემდგომ პროფესიულ სწავლებას, ნებაყოფლობითი სექტორების მიერ ორგანიზებულ სწავლებას, ტურისტულ ინდუსტრიას, კომერციასა და ინდუსტრიის კომპანიებსა და პალატებს, კერძო ენების სკოლებს და მისთ. ცოდნისა და ინტელექტუალური უნარების მზარდი როლის გაცნობიერება გადაანაცვლებს სავალდებულო ენის სწავლების საკითხს სავალდებულო სკოლის სწავლებიდან შემდგომ განათლებაზე და განაწილებისა და ჩამოყალიბების ამოცანების განსაზღვრაში ეხმარება: შესაძლოა იყოს მრავალი საჭიროება ან შესაძლებლობა, ისწავლო ან ისევ მიუბრუნდე ენობრივ სახესხვაობას, რომელიც განპირობებულია კარიერის ცვლილებით, ახალი გემოვნებითა თუ ინტერესებით, თავისუფალი დროის ორგანიზებითა და პირადი განვითარებით. კოორდინირებული ენობრივი განათლების პოლიტიკას უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, თითოეული სასწავლო პასუხისმგებლობის როლი განსაზღვროს და გადამკვეთი ინფორმაცია მოაწოდოს, რათა დაეინახოს, რომ ისინი ავსებენ ერთმანეთს.

ასეთი სწავლება, იქნება ეს თანმიმდევრული თუ პარალელური, შესაძლოა ისე გავიგოთ, თითქოს წინა პერიოდის სწავლება მიიღება მხედველობაში, რამაც უნდა განაპირობოს, ხელი შევუწყოს ერთი ენობრივი სახესხვაობიდან მეორეზე ცოდნის გადატანას ან იმავე სახესხვაობის წინა სწავლიდან ცოდნის გადმოტანას. ამ თვალთახედვით, ცხადად არ ჩანს, რომ ენის სწავლა იმ მეთოდით, როგორც ის არის ორგანიზებული არსებულ საგანმანათლებლო სისტემაში, იძლეოდეს გამართული ფუნქციონირების საუკეთესო მაგალითს.

5. 1. 2. მრავალენოვნება და მრავალენოვანი განათლება: ენობრივი რეპერტუარების სტატუსის გამდიდრება

როგორც უკვე აღინიშნა ამ დოკუმენტის დასაწყისში (თავი 1), მრავალენოვანი განათლების პროექტი ენის სწავლებას უნდა შეუსაბამებდეს ევროპული საზოგადოებების საჭიროებებს და მეტყველების მისწრაფებებს. ეს შესაძლებელი გახდა მოწოდებული ენების გამრავალფეროვნებით და სხვადასხვა ენების სწავლების კოორდინირებით, რომლებიც ხშირად ცალკეულ საგნებად მოიაზრება. ისინი მრავალენოვანი ცოდნის განვითარებაზე უნდა კოორდინირდებოდნენ და ისე უდგებოდნენ, როგორც საერთო მიზანს. შესაბამისი სწავლება უნდა მოიაზრებოდეს ცვალებადი განათლების სიტუაციებისა და მეტყველების მიხედვით საერთო პრინციპის გამოხატულებად.

მრავალენოვანი განათლებას აქვს ორი მიზანი, ლინგვისტური კომპეტენტურობისა და კულტურათაშორისი კომპეტენტურობის შექმნა, რომელიც ცალსახად არ მოიცავს ფაქტიური ენობრივი უნარების შექმნას. მრავალენოვანი განათლების ეს ორი ასპექტი მჭიდროდ არის დაკავშირებული, რადგან ერთი ზემოქმედებს მეორეზე:

- მეტყველის საკუთარი მრავალენოვანი რეპერტუარის ცოდნამ, შესაძლოა უბიძგოს თანაბარი ღირებულება მიანიჭოს თითოეულ სახესხვაობას, რომელსაც ის და სხვა მეტყველები იყენებენ, თუნდაც მათ არ ჰქონდეთ ერთნაირი ფუნქციები (კომუნიკაციაში, მიკუთვნების გრძნობის შექმნაში და მისთ.);
- მრავალენოვანი კომპეტენტურობისთვის განათლებამ, რომლის მიზანია ხალხს გააცნოს სხვადასხვა ბუნებრივი ენების ფუნქციები, რათა განახორციელოს ჯგუფის წევრებს შორის ურთიერთგაგება, შესაძლოა გამოიწვიოს ენების შესახებ მოტივაციისა და დაინტერესების ზრდა, რაც მათ მათი საკუთარი რეპერტუარები განვითარებისკენ უბიძგებს.

იყო მრავალენოვანი, როგორც ეს გამოკვლეული იყო ზემოთ (თავი 1), ნიშნავს, გქონდეს კომპეტენტურობის გარკვეული დონე (ზეპირი, წერის, მისთ) სხვადასხვა ენობრივ სახესხვაობაში, სხვადასხვა ფუნქციებით, რაც მთლიანად ექვემდებარება ცვლილებას

დროთა განმავლობაში. ეს არის პოტენციური და/ან რეალური შესაძლებლობა გამოიყენო რამდენიმე ენა ცოდნის სხვადასხვა დონეზე და სხვადასხვა მიზნებისათვის. უფრო ზუსტად, *ენათა ზოგადფეროვებულ კომპეტენციებში* (გვ. 168) მოცემული განსაზღვრების მიხედვით, მრავალენოვანი და მრავალკულტურული კომპეტენცია ეხება „ენების გამოყენებას კომუნიკაციის მიზნებისათვის და კულტურათაშორის დონისძიებებში მონაწილეობის მიღებას, სადაც პიროვნებას, რომელიც მიზნეულია სოციალურ აგენტად, აქვს სხვადასხვა დონის ცოდნა რამდენიმე ენაში და რამდენიმე კულტურის გამოცდილება“. მრავალენოვნება, სხვადასხვა ენის არსებობა ერთდროულად მოცემულ გეოგრაფიულ ტერიტორიაზე, განსხვავდება მოლაპარაკის მრავალენოვნებისგან, როგორც მის მფლობელობაში არსებული ენების რეპერტუარი.

მოლაპარაკისა თუ მეტყველთა ჯგუფისათვის ხელმისაწვდომი ყველა სახესხვაობა მიზნეულია *ენობრივ რეპერტუარად*. რეპერტუარის მართვა ნიშნავს, რომ მათგან შექმნილი სახესხვაობები ცალ-ცალკე არ განიხილება; ამის ნაცვლად, მიუხედავად იმისა, რომ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, მათ ერთ კომპეტენციად მიიჩნევენ, რომელიც ხელმისაწვდომია შესაბამისი სოციალური აგენტისათვის. მეთოდი, რომელშიც ეს ენობრივი სახესხვაობა შესაძლოა გამოიყენებოდეს კომუნიკაციაში – შესწავლილია; კერძოდ, როცა ორი ენობრივი სახესხვაობა გამოიყენება თანმიმდევრულად ან სინქრონიულად: მაგალითად, ეს არის შემთხვევა, როდესაც გადავიდებით ოფიციალურიდან რეგიონულ სახესხვაობაზე, რათა ვიმსჯელოთ საგნებზე უფრო ცალკეულ მეტყველთან (რომელიც ფლობს იმავე რეგიონულ სახესხვაობას), ან როდესაც მშობლიურ სახესხვაობას დამხმარის სახით ვიყენებთ უცხო ენაზე საუბრისას.

მრავალენოვნება, როგორც თითოეული მეტყველის პოტენციური, კლასიფიცირდება ინდივიდუალური რეპერტუარების მრავალფეროვნებით, მაგრამ ზოგიერთ ჯგუფს აქვს იდენტური, მსგავსი ან მოკავშირე რეპერტუარები. მრავალენოვანი რეპერტუარების მრავალფეროვნება შეიძლება აღიწეროს შემდეგი პირობებით:

- სახესხვაობები, რომლებისგანაც ისინი შედგებიან;
- სახესხვაობების ფუნქციები: ყოველდღიური თუ პროფესიული კომუნიკაცია, იდენტურობა, და მისთ.;
- სახესხვაობებს შორის დისტანცია: პირველ ზეპირ სახესხვაობასა და პირველ წერით სახესხვაობას შორის, მეორე ზეპირ სახესხვაობასა და პირველ ზეპირ სახესხვაობას შორის და მისთ. ზოგიერთი სახესხვაობა შეიძლება ახლოს იყოს (პირველი ენა და სკოლის ენა), სხვებს დისტანციურად აღიქვამდნენ (პირველი ენა და უცხო ენა, და მისთ.);
- კომპეტენცია ერთ სახესხვაობაში: ლაპარაკი, წერა, გაგება და მისთ.;
- გამოცდილების დონე სხვადასხვა კომპეტენციებში ერთ სახესხვაობაში და ერთ კომპეტენციაში სხვადასხვა სახესხვაობებში;
- ენის კომპეტენციებსა და კულტურულ კომპეტენცია/ცოდნას შორის კოორდინირება: სახესხვაობის შექმნას შესაძლოა ახლდეს ან არ ახლდეს საზოგადოების ან ჯგუფის ცოდნა, რომლის სახესხვაობა პირველი ან ოფიციალური სახესხვაობაა;
- სახესხვაობა რეპერტუარში დროთა განმავლობაში: ახალი სახესხვაობის შექმნა და ადრე გამოყენებულ სახესხვაობათა უმოქმედობა, გამოცდილების (თითოეული კომპეტენციის) დონის მოდიფიკაცია, ახალი კომპეტენციების შექმნა, მოდიფიკაციები სახესხვაობების ფუნქციებში. დროთა განმავლობაში ასეთი სახესხვაობები ყველანაირი მოვლენის შედეგია - პირადული, სამსახურობრივი, და მისთ. - რაც ნიშნავს, რომ ლინგვისტური რეპერტუარები მართლაც რეგულირდება გარკვეული დროის შემდეგ.

ნახვენები იქნება, თუ რა შეიძლება მოიაზრობოდეს ევროპელი ზრდასრულის, ვისაც მიღებული აქვს საშუალო განათლება, „ჩვეულებრივ“ ენობრივ სახესხვაობად:

- პირველი ენა (ზეპირი), მის ჩვეულებრივ და სტანდარტულ სახესხვაობაში;
- პირველი ენის წერითი სახესხვაობა (წერითი გადმოცემის უნარი, სკოლაში დაუფლება, და შემდეგ სამსახურში);
- პირველი სახესხვაობის შთამომავლობითი და / ან რეგიონული სახესხვაობა (კერძოდ, ლექსიკა და აქცენტი);

- საგარეოდ, რეგიონული ენა, რომელიც გამოიყენება ოფიციალური სახესხვაობის ალტერნატიულად გარკვეულ კომუნიკაციურ მდგომარეობებში;
- გამოცდილება (2 ან 1 დონე, მაგალითად) ან სკოლა და/ან მედიის გამოცდილება და/ან სამუშაო გამოცდილება სხვადასხვა ენის სახესხვაობაში, ან სულ მცირე ერთ განსხვავებულ სახესხვაობაში;
- ნაწილობრივი ცოდნა (გაგება) სოციალურ, შთამომავლობით, რეგიონულ თუ უცხო სახესხვაობებში.

მიღებულია, რომ მრავალენოვნება, განსაზღვრულია პიროვნებების კომპეტენტურობად, რაც გააჩნიათ როგორც მეტყველებს (რომლებიც უფრო ძირეულად და არა გამონაკლისის სახით მრავალენოვანები არიან), ისე განათლების სისტემას და ყველა სხვა სასწავლო ოფიციალურ ერთეულებს; შესაბამისად, მათ შემდეგი უნდა მოიმოქმედონ:

- გააცნონ ყველა მეტყველს მათი საკუთარი რეპერტუარი, მათი „მშობლიური“ ენის ჩათვლით და სხვა მეტყველთა და ჯგუფების რეპერტუარები;
- უჩვენონ იმ ყველა სახესხვაობის დამახასიათებელი ღირსება, რომლებიც ისინი შეესაბამებიან იმ ფუნქციებს, რომლებიც მათ თითოეულმა მეტყველმა მიანიჭა;
- უჩვენონ მათი ცვალებადი ბუნება;
- რეპერტუარების გამდიდრება კომპეტენტურობის, გამოცდილების დონისა და ნასწავლი სახესხვაობების რიცხვის ზრდით;
- მრავალენოვანი კომპეტენციის განვითარება გადამკვეთი კომპეტენტურობის გათვალისწინებით, რომლისგანაც ის შედგება;

მრავალენოვანი რეპერტუარების წინდახედული მენეჯმენტის შედეგებია:

- მრავალენოვნების ფორმები (ენობრივი სახესხვაობების რიცხვი და ბუნება), რასაც ხელი უნდა შეეწყოს და განვითარდეს სპეციფიკურად განსაზღვრული იქნება თითოეულ სიტუაციასთან (გეოგრაფიულ ტერიტორიაზე წარმოდგენილი სახესხვაობები) და კოლექტიურ საჭიროებებსა და ჯგუფურ მისწრაფებებთან კავშირში;
- განათლებისადმი განკუთვნილი მრავალენოვანი მიზნები შესაძლოა სხვადასხვანაირად გავიგოთ ხელმისაწვდომი რესურსების მიხედვით. *მიუხედავად ამისა, როგორც ზოგადი წესი, რაც ნაკლები შესაძლებლობაა მრავალენოვანი რეპერტუარის განსავითარებლად, მით მეტი მრავალენოვანი განათლება უნდა იყოს.*

განათლების ეს მოთხოვნები უფრო ემყარება ჰიპოთეზას, რომ ენობრივი უნარების განვითარება ავტომატურად არ ცვლის მოლაპარაკის შეხედულებებს, თუმცა ენების მიმართ უფრო დაინტერესებულს ხდის ან უფრო მეტ პატივს სცემს სხვა საზოგადოებათა ენებს.

ამის გამო, მნიშვნელოვანია, რომ ის, ვინც პასუხისმგებელია განათლების ორგანიზაციებში ყველაზე ფართოდ ხელმისაწვდომი ენების სწავლებაზე, ნაწილობრივ პასუხისმგებელი უნდა იყვნენ მრავალენოვან განათლებაზე და ასეთი განათლება იმ საგნების ძირითადი კომპონენტი უნდა გახდეს.

- რადგანაც მრავალენოვანი განათლება მთელი ცხოვრების მანძილზე უნდა ხორციელდებოდეს, სწავლებას შემსწავლელის საწყისი რეპერტუარის განვითარებისა და სტატუსის გაზრდის როლი დაეკისრება. ერთ-ერთი მისი მნიშვნელოვანი ამოცანათაგანი იქნება ყოველი ინდივიდისგან იმის ჩვენება, თუ როგორ უნდა ისარგებლოს მისი რეპერტუარის რესურსით კომუნიკაციებში. ყველაზე მეტად ენის სწავლება უნდა ცდილობდეს შემსწავლელებს ავტონომიურობა მიანიჭოს, ანუ ასწავლოს მათ, თუ როგორ ისწავლონ ენები თავად, ანუ საპასუხო მიდგომის განვითარებით - თუ როგორ სწავლობენ, რა იციან და რა სჭირდებათ: ყველა ენის სწავლება უნდა მოიცავდეს სწავლების სტრატეგიების განვითარებას და, თავის მხრივ, დასასრულად არ უნდა გამოიყურებოდეს;
- ენის სწავლება / სწავლა უნდა განვიხილოთ მიმდინარე პროცესად, რომელიც არ შემოიფარგლება დაწყებითი სწავლებით. ეს იმის გათვალისწინებას ნიშ-

ნავს, რომ ის უკვე ინდივიდუალურად ან სკოლაში პარალელურად იყო შესწავლილი და აღარ გამოიყოს სხვა ენების სწავლებისაგან.

ამგვარად განსაზღვრული მრავალენოვნება ყოველი მოსაუბრის მახასიათებლად გვევლინება: ის არ შეესაბამება მხოლოდ ოფიციალურად მრავალენოვან სახელმწიფოებს, ანუ სიტუაციებს, რომლებშიც საზოგადოების მრავალენოვანი ბუნება აღიარებულია და იდენტიფიცირებულია, როგორც ასეთი (ფედერალური სტრუქტურები, რეგიონები სპეციფიკური ლინგვისტური სტატუსით, ურბანული გარემოებები).

5. 1. 3. მრავალენოვნება და პიროვნული განვითარება: მრავალენოვანი ცოდნის და კულტურათაშორისი კომუნიკაციების განვითარება

ცოდნის გადაცემა სავალდებულო სკოლის ერთადერთ როლს არ წარმოადგენს. ყოველი სასკოლო საგანი, ენების ჩათვლით, უნდა დავინახოთ საგანმანათლებლო ფუნქციის ჭრილში, რომელიც ბავშვს საზოგადოებაში ზრდასრული ცხოვრებისათვის ამზადებს. სკოლებმა შესაძლოა სხვაგვარად აღიქვან ისეთი საგანმანათლებლო დამოკიდებულება, რომელიც პიროვნების სოციალიზაციაშია ჩართული: მიკუთვნების გრძნობის შექმნა (ეროვნული, ფედერალური, რეგიონული), რომელიც თითოეულ ბავშვს აძლევს თანაბარ შესაძლებლობას, რათა განავითაროს საკუთარი უნარები სოციალური მობილურობის ხელშეწყობით ისე, რომ შეიქმნას უფრო მოძრავი საზოგადოება, რომელშიც ერთი და იგივე მახასიათებლები არ გადაეცემიან თაობიდან თაობაზე. მრავალენოვანი რეპერტუარის სტატუსის გაზრდისა და განვითარებისათვის ერთი ასპექტთაგანი კულტურულ განსხვავებებში და თავისებურებებში განათლებაა.

ინდივიდუალური ლინგვისტური რეპერტუარები წარმოიშობა იქ, სადაც თითოეული სახესხვაობის ჯგუფი გაერთიანების სახესხვაობაა ან დომინანტური გამოყენების ინტერესი: შესაძლოა ლაპარაკობდნენ ახალგაზრდა ემიგრანტების ენაზე ან უცხო ენაზე, და არ მიეკუთვნებოდნენ ამ კონკრეტულ საზოგადოებას. ევროპულ საზოგადოებებში, სადაც სხვადასხვა ენობრივი სახესხვაობებისა და სხვადასხვა კულტურების მიერ იდენტიფიცირებული საზოგადოებებია, შესაძლოა იყვნენ მრავალენოვანი და არ იყვნენ აუცილებლად მრავალკულტურული. შეცდომაში არ უნდა შეგიყვანოთ ტერმინების *მრავალენოვანისა* და *მრავალკულტურულის* სიახლოვემ: მაშინ, როცა მოსაუბრეს მრავალენოვანი რეპერტუარი აქვს, აუცილებლად სხვა კულტურების მცოდნედ არ ხდის. ახალი ენობრივი სახესხვაობის დაუფლება იძლევა საშუალებას, მაგრამ მხოლოდ **საშუალებას**, შევიდინოთ სხვა საზოგადოებების შესახებ გარკვეული ცოდნა, რომლებიც იყენებენ ამ სახესხვაობას.

მაგრამ ერთზე მეტ კულტურასთან თუნდაც ეს კონტაქტი არ არის იმ სახის, რომ ეს ავტომატურად გადავიდეს კულტურულ ინფორმირებულობაში, სხვადასხვა საზოგადოების კოლექტიურ ღირებულებებში, ქცევაში, სტანდარტების, გამოხატულებებისა და მეხსიერებასთან მიმართებით განსხვავებების ცოდნისა და აღიარების მნიშვნელობით. ასეთი ცოდნა განათლების საკითხია, რომელიც შესაძლოა დავაკავშიროთ ენის სწავლებასთან ან განვიხილოთ უფრო კონკრეტულად. ენის სწავლებასთან ახლო კავშირშია: კულტურებს შორის მრავალ სფეროში გაუგებრობა სიტყვებსა და მათ მნიშვნელობებს შორის ეკვივალენტურობის უკმარისობა, ან სხვა დონეზე საკომუნიკაციო ქცევაში განსხვავებები (დამშვიდობება, მობოდიშება, უარყოფა, უთანხმოების გამოხატვა და მისთ). მრავალკულტურული ინფორმირებულობის განვითარებას აქვს როგორც შემეცნებითი, ასევე ემოციური ლინგვისტური განზომილება; ამის გამო, მას კულტურული გაუგებრობის რეგულირების ფუნქცია აკისრია, რომელიც შესაძლოა წარმოიშვას არასაკმარისი ლინგვისტური გაგებისაგან, ორმხრივი ცოდნის უკმარისობისაგან ან ქცევის ან ეთნოცენტრული შეფასების შედეგად სხვადასხვა საქმიანობის კეთების სხვა მეთოდების მიღების სირთულის გამო. კულტურათაშორისი განათლების მიზანი არის სხვა კულტურების გაგების გარკვეული დონის შექმნა ისე, რომ იმ საზოგადოებების წევრებთან დამყარდეს კომუნიკაციის ფორმა, რომელიც შეძლებისდაგვარად თავისუფალი იქნება აკვირებული შეხედულებებისა და სტერეოტიპებისაგან.

მაშინ, როცა გათვითცნობიერება ეხება სხვისი კულტურის გაგებას იმისთვის, რომ უზრუნველყოთ კომუნიკაცია და გაგება, კულტურათაშორისი კომპეტენტურობის შექმნის მიზანი არის ურთიერთობის მოგვარება საკუთარ თავსა და სხვებს შორის. ეს კომპე-

ტენტურობა, რომელიც მხოლოდ განათლების საკითხი არ არის, არამედ ნამდვილი სწავლება / სწავლის პროცესია, შესაძლოა დაიყოს ისეთ ელემენტებად, როგორებიცაა:

- ცოდნა, სხვა საზოგადოებების შესახებ ცოდნის თვალსაზრისით;
- სწავლის უნარი, რომელიც მიჩნეულია საზოგადოების შესახებ ცოდნის განვითარების უნარად, იმის საფუძველზე, რაც ვიცით და ახალი მონაცემების მოძიებითა და დამუშავებით ინფორმირება: სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სათანადო ინფორმაციისა და ინფორმაციის წყაროს დადგენის უნარი;
- გაგების უნარი, როგორც შესაძლებლობა, მნიშვნელობა მიანიჭო ნებისმიერი სახის კულტურულ საგნებს საყრდენი სტრუქტურების (ისტორიული, სოციოლოგიური, ანთროპოლოგიური და მისთ.) და ღირებულებების (ისეთები, რომლებსაც ეყრდნობა ადამიანის უფლებები, და მისთ.) საფუძველზე. ასეთ ინტერპრეტაციებზე და განსაზღვრებებზე შესაძლოა ზემოქმედება მოახდინონ, როდესაც საკუთარ თავს სხვის ადგილზე აყენებენ (ინტერპრეტაციის გზები და განსაზღვრებების ფორმები, რომლებიც გამოიყენება იმ საზოგადოების წევრების მიერ, რომელთაც ისინი ეხებიან) ან გარე „დამკვირვებლის“ შეხედულების მიღებით, რომელსაც შეუძლია მისი ინტერპრეტაციები დააფუძნოს სხვა საბაზისო სისტემაზე და სხვა სოციალურ გამოცდილებაზე. კრიტიკული დისტანციის ეს შესაძლებლობა, ამის გამო, გამოყოფილია ღირებულების შეფასებებიდან, დამოკიდებული ვინმეს საკუთარ კულტურულ საფუძველზე;

შეხედულებები და პიროვნული ფაქტორები, რომლებიც ხაზს უსვამენ უნარს, შეაფერხონ ვინმეს შეფასება და გაანეიტრალონ ვინმეს წარმოდგენები სხვების შესახებ და გამოყონ ვინმე მათი საკუთარი კულტურისაგან (იმის ახსნით თუ რა იგულისხმება ან თანხმობის მოსაზრებების გამოკითხვით) ისე, რომ ის აღიქვან გარე (ფიქტიური) შეხედულებით იმ მეთოდით, რომლითაც მათ ის საზოგადოებისთვის უცხოდ მიანიჭათ.

ასეთი კულტურათშორისი კომპეტენცია საბოლოოდ გაგებაში გადავა, რომელიც არ არის მკვეთრად ენობრივი, რადგანაც, შექმნის დაგვარად, თავისუფალია გაუგებრობებისაგან და ორმხრივი თანამშრომლობის სურვილით გამოირჩევა სხვადასხვა ჯგუფების თანამოსაუბრეებს შორის. ამგვარად, განსაზღვრული კულტურათაშორისი განათლება არის ენის სწავლების არსობრივი მიზანი, რითაც ის ხელს უწყობს პიროვნულ განვითარებას. ამ მიზანს ადგილი უნდა ჰქონდეს სწავლებაში ლინგვისტური ცოდნის გადაცემასა თუ დანერგვასთან ერთად, რაც ხშირად ფუნდამენტურადაა მიჩნეული. ის შეეწინააღმდეგებოდა მრავალენოვანი განათლების მთავარ მიმართულებას, როგორც წარმოდგენილია ამ სახელმძღვანელოში, თუ ფუნქციურ მიზნებს საშუალება ექნება მოიხსნას ეს საგანმანათლებლო ფუნქცია.

ისტორიულად საგანმანათლებლო განზომილება და ენის სწავლების მუდმივი სტერეოტიპი მრავალი ფორმითაა გამოხატული. ის შესაძლოა მიღებული იყოს ენის სწავლების ჩარჩოებში, სადაც საზოგადოებებს არა აქვთ კონტაქტი, თუნდაც აბსტრაქტულად ან ვირტუალურად. მაგრამ, როგორც საგანმანათლებლო მიზანი (განსაკუთრებით სავალდებულო სკოლაში), ის ეხება სხვა საგნებსაც, როგორიცაა ლიტერატურა, ფილოსოფია, ისტორია, გეოგრაფია ან სამოქალაქო განათლება.

5. 1. 4. მრავალენოვნება და სამოქალაქო განათლება: განათლება დემოკრატიული მოქალაქეობისათვის ევროპაში

ენების საკითხი არის ერთ-ერთი იმ საკითხთაგანი, რომელიც ჩართულია იმავე საზოგადოებასთან მიკუთვნების გრძნობაში და არა ზეეროვნულ იდენტობაზე დემოკრატიული მოქალაქეობისათვის პოლიტიკური კონცეფციის ბაზაზე. ადგილი აქვს კომპლექსურ დებატებს მოქალაქეობის ბუნებაზე. აქ შემოთავაზებულია რამდენიმე დაკვირვება კონცეფციაზე ენობრივი თვალთახედვით, რომელიც მხოლოდ ერთ-ერთია მრავალი მიდგომიდან.

საბაზისო გამოკვლევა:

შტეფან ბრეიდბახი: „მრავალენოვნება, დემოკრატიული მოქალაქეობა ევროპაში და ინგლისურის როლი“.

პირველ რიგში, მატერიალური მოსაზრებიდან გამომდინარე, ევროპული დემოკრატიული ცხოვრება გულისხმობს საჯარო სივრცის შექმნას, რომელშიც ყველას შეუძლია მონაწილეობა მიიღოს და თავი ცნოს *სამოქალაქო საზოგადოების* წევრად. ეროვნულ კონტექსტში, პოლიტიკური ცხოვრება თავისებურ კონკრეტულ ფორმებს იღებს: საჯარო დებატების ფორმები, პოლიტიკური პარტიების მოღვაწეობის ტიპები და ფუნქციონირების შიდა მეთოდები, მედიის როლი პოლიტიკურ დებატებში, საპარლამენტო მოღვაწეობის მახასიათებლები, საარჩევნო კამპანიების შესაბამისი ჩვევები, დებატებში გამოყენებული არგუმენტების ტიპები და მისთ. თუ ასეთი სივრცე დემოკრატიული დებატებისათვის და კონფრონტაციებისათვის უნდა შეიქმნას ევროპულ დონეზე, გამოყენებული იქნება სხვადასხვა ენობრივი სახესხვაობა: ძნელი სანახავია, თუ როგორ შეძლებენ საჯარო კომუნიკაციები ასეთი ფორმით ადგილის დამკვიდრებას, მაგალითად, *ლინგვა ფრანკაში* მრავალ ოფიციალურ შეხვედრებზე უმაღლეს დონეზე.

ევროპული მოქალაქეობა არ შეიძლება დავიყვანოთ ევროპელებს შორის კომუნიკაციის ფორმამდე. მოქალაქეობის კონცეფცია ლეგალური კონცეფციაცაა, სინამდვილეში ეს არის ის, რაც ქმნის მის კლასიკურ განსაზღვრებას: ერთ მთლიანობად მიჩნეული ევროპის თანამედროვე სახელმწიფოები შექმნილია ჯგუფებისაგან, ჩამოყალიბებული ლინგვისტური, რელიგიური, კულტურული, ეკონომიკური და სოციალური საერთო თვისებების გარშემო, რომლებიც მთელ ევროპაში ეროვნული სახელმწიფოების პოლიტიკურ ფარგლებში თანაარსებობენ (მაგალითად, ყრუების საზოგადოება, ან ბოშები). აბსტრაქტული დემოკრატიული პრინციპი ამ განსხვავებების ან თავისებურებების საზღვრების გადაღახვას, რათა დავინახოთ ამ ეროვნული (ან ევროპული) საზოგადოების წევრები მოქალაქეებად, ანუ უფლებების (უფლებები-თავისუფლება) და იმ მოვალეობების მიხედვით, რომლებიც ყველასათვის იდენტურია და ორმხრივია სახელმწიფოსა და ინდივიდებს შორის. მოქალაქეობის ეს კონცეფცია მოიცავს უფლებებისა და ვალდებულებების იდენტიფიცირებას, რომლებიც საერთოდ ჩაითვლება და უპასუხებს სპეციალურ მოთხოვნებს: მაგალითად, განსაკუთრებულად სუსტი ან საფრთხის ქვეშ მყოფი ჯგუფები, რომლებისთვისაც ჩვეულებრივი კანონმდებლობა ადაპტირებული იქნება თანასწორობის ან სოლიდარობის სახელით ან *დიფერენცირებული მოქალაქეობის* ფარგლებში კულტურული თავისებურებების გათვალისწინებით.

ენობრივი სახესხვაობები ამ ძირითადი საკითხის ნაწილია: სახელმწიფო ურთიერთობას ამყარებს მოქალაქეებთან ერთ ოფიციალურ ენობრივ სახესხვაობაზე (ან რამდენიმეზე), რომელთანაც ყველა მოქალაქე აუცილებლად არ იდენტიფიცირდება, რადგანაც ეს არ არის მათი პირველი (მშობლიური) ენობრივი სახესხვაობა. დამატებით, პოლიტიკური ცხოვრება „ხორციელდება“ ოფიციალურ ენაზე, სადაც რეგიონული ან სოციალური სახესხვაობების გამოყენება შემთხვევითია ან სპეციფიკური შედეგისთვისაა გამიზნული. ამ სიტუაციამ შესაძლოა გამორიცხოს უმცირესობათა ჯგუფები საზოგადოებრივი ცხოვრებიდან და დემოკრატიული პროცესიდან ან მათ უარისკენ უბიძგოს; შესაძლოა, სხვა საშუალებებს მიმართონ, რათა მათი ხმა იქნეს გაგონილი. საკამათო საკითხია აღიარების ფორმა, რომელიც უნდა მიენიჭოს ენობრივ სახესხვაობებზე მეტყველებს, რომლებიც თავს ისე აღიარებულად არ გრძნობენ, როგორც მათ სურდათ, რომ ყოფილიყვნენ.

მრავალენოვანმა პერსპექტივებმა შესაძლოა გარკვეული პასუხები მოგვცეს ასეთ პრობლემებზე: ის აღიარებს და იღებს ყველა მოლაპარაკის მრავალფეროვნებას; მრავალენოვანი განათლების პრინციპი არის მრავალენოვანი რეპერტუარის მენეჯმენტი და მათი განვითარება დიფერენცირებული უნდა იყოს: აუცილებელია შეიქმნას ენობრივი განათლების სხვადასხვა მიმართულება, თუნდაც რეგიონულად და სათანადო ფინანსურ ფარგლებში, რათა გათვალისწინებული იქნეს მეტყველების მრავალფეროვნება და საჭიროებები. ხელმისაწვდომია ტექნოლოგიები ენობრივი სახესხვაობების სწავლების მეთოდების დასაფუძნებლად, რაც ექსკლუზიური არჩევანის საკითხი არ არის, მაგრამ მათი რეგულირება შესაძლოა (მაგალითად, დროთა განმავლობაში) და, ამის გამო, შეთანხმე-

ბადია. ამ თვალსაზრისით მრავალენოვანი განათლებით საშუალება ეძლევათ როგორც უმრავლესობებს, ასევე უმცირესობებს, მათი ურთიერთობებისა და საკუთარი მისწრაფებების შესახებ უკეთ გაიგონ.

არსებობს ევროპული მოქალაქეობის შენების შესაძლებლობაც, რაც გამოიხატება მოქალაქეების მიერ სამოქალაქო ეტალონის შესაბამისობის დაცვაში ენობრივი თვალსაზრისით. შესაძლოა, რომ პირველი ენის ენობრივი სახესხვაობისა და რეპერტუარების დიდი ნაწილი ბარიერი ყოფილიყო ევროპული ინფორმირებულობის ჩამოყალიბებაში, თუმცა ეს საკითხი კამათის საგანია. უფრო მეტიც, არ არსებობს ენობრივი სახესხვაობა, რომელშიც ევროპელები ერთიმეორეს ამოიცნობდნენ და მთელი დანარჩენი მსოფლიოსათვის „ევროპელებად“ მოგვევლინებოდნენ. თუმცა, როგორც ჩანს, სხვადასხვა ჯგუფების წევრ ინდივიდებს შორის თანამონაწილეობა შესაძლოა გაჩაღდეს, მიუხედავად იმისა, მათ აქვთ თუ არა ერთი ან მეტი საერთო ენობრივი სახესხვაობა (სახესხვაობები). ამ პირობებში მრავალენოვან პროექტს აქვს ევროპული მნიშვნელობა, რადგან მისი მიზანი არ არის ის, რომ ევროპელ მოქალაქეებს ჰქონდეთ საერთო ენობრივი სახესხვაობები, არამედ ენებთან დაკავშირების საერთო მეთოდი, რომელსაც შეეძლებოდა ხელი შეეწყო მიკუთვნების რეალური შეგრძნებისათვის.

ევროპის მრავალფეროვნების ყველაზე პირდაპირი გამოცდილება გამოყენებულია ენის ყოველდღიურ პრაქტიკაში: ამის გამო, მრავალენოვნება შესაძლოა ყოფილიყო მოსაუბრეებს შორის „სამოქალაქო მეგობრობის“ საფუძველი, მიუხედავად იმისა, თუ რა ენობრივ სახესხვაობასაც უნდა იყენებდნენ ისინი. მოქალაქეები ერთმანეთს აღიქვამდნენ მრავალენოვნად და საერთო ლინგვისტურ სტანდარტებზე დაყრდნობით საზოგადოების შექმნას შეძლებდნენ. ამას ის აზრი აქვს, რომ გამოვეყნოთ პირველი ან ოფიციალური ენა ეროვნული ან ევროპული მიკუთვნებისგან იმის აღიარებით, რომ საზიარო კულტურა ან ენა არის არაფორმალური ელემენტი, რომელიც შესაძლოა დემოკრატიული მოქალაქეობის კომპონენტი იყოს.

მრავალენოვნება პრინციპია, რომლითაც ენის სწავლების ორგანიზება შეიძლება განხორციელდეს ამჟამად არსებული განათლების სისტემების რეორგანიზების სექტორებში. თუმცა აქ უფრო მეტი რამ შემოდის: ცვლილება საგანმანათლებლო ფილოსოფიაში, რომელიც ენის სწავლებას ნიშნავდა, მეტად დამოუკიდებელი საგნებისგან შემდგარ ერთეულად აღარ მიიჩნეოდა (ეროვნული ენა, კლასიკური ენები, უცხო ენები, მემკვიდრეობის ენები, რეგიონული ენები, და მისთ.), სამაგიეროდ, ერთგვაროვან, გამრავალფეროვნებულ განათლებად ერთ ენაზე და ენებზე. ეს არ არის რადიკალურად ახალი ცნება, რამდენადაც ის 1980-იან წლებში იტალიაში გამოჩნდა *ედუკაციონე ლინგვისტიკას* სახელწოდებით, წარმოდგენილი ინტეგრირებულ განათლებად ყველა (ვერბალურ და არავერბალურ) ენაში სავალდებულო სკოლის პროგრამის ფარგლებში.

საბაზო ბამოკვლევა:

კონსტანცო ედვიჯი: „ენობრივი განათლება იტალიაში: ევროპული გამოცდილება?“.

ასეთი ინტეგრირება უნდა განხორციელდეს მიზნებისა და სწავლების მეთოდების დონეზე და კოორდინირებული სილაბუსებით. ის არ გამოიწვევდა ენის გაკვეთილების გაქრობას ან ენობრივი სახესხვაობების რეალური ცოდნის შენაცვლებას ზოგადი ლინგვისტიკის ბუნდოვანი ელემენტებით, შედარებითი გრამატიკით ან სამოქალაქო განათლებით, არამედ ის მოიცავდა თუნდაც უფრო მეტ კოორდინირებას, პარალელურად და დროთა განმავლობაში, ასეთი მრავალენოვანი განათლების შემადგენელ ნაწილებს შორის. პროგრამის შედგენას, რომელიც გამოიყენებდა ასეთ პრინციპს და შესაბამისობაშია გადაწყვეტილების მიმღებებთან და მასწავლებლების საგანმანათლებლო კულტურასთან, დასჭირდება დრო და დამოკიდებული იქნება თითოეული სახელმწიფოს რესურსებზე. რა თქმა უნდა, ეს იქნებოდა ეტაპობრივი პროცესი, რადგანაც ის სასწავლო პროგრამების და მენტალიტეტის ტრანსფორმირებას გულისხმობს. მიუხედავად იმისა, ის არის არჩევანი, რომელიც ევროპას შეეძლო ლინგვისტური მრავალფეროვნების პრობლემის საპასუხოდ გაეკეთებინა, როგორც ეს ავსტრალიამ, სამხრეთ აფრიკამ და ინდოეთმა განხორციელა საკუთარი მეთოდებით.

5. 2. მრავალენოვნების გავრცელება: მოსალოდნელი პოლიტიკური სარგებელი

მრავალენოვნება ენის სწავლების პრინციპად, ისე, როგორც ზემოთაა აღწერილი, არ არის უდავო, რადგანაც ეს არაა ჩვეულებრივ წამყვანი წარმოდგენა და მხოლოდ ნაწილობრივ შეესაბამება მოლაპარაკის უშუალო გამოცდილებას. მისი მიზნები, აქამდე განხილული საგანმანათლებლო პერსპექტივის გარდა, ამის გამო საჭიროებს ახსნას. ქვემოთ განხილული იქნება ზოგიერთი სოციალური და პოლიტიკური მიზანი, რომელიც შესაძლოა განხორციელდეს, რათა დადგინდეს მისი მნიშვნელობა ენობრივი განათლების პოლიტიკის ორიენტირად.

მრავალენოვნების პრინციპზე დაყრდნობით, ენის სწავლების განხორციელების სასურველი შედეგები ევროპულ პროექტთან კავშირში უნდა განხილვებოდეს, რომელიც მისგან ასევე დამოუკიდებელია.

რაც შეეხება ყველას პლურალურ ენობრივ უნარს და მის განვითარებას, შესაძლებელი უნდა იყოს შემდეგი:

- ენის სწავლების ცვლილებებთან ადაპტირება ევროპულ საზოგადოებაში, რომელიც მზარდად მრავალკულტურული და მრავალენოვანია, ისე, როგორც შეგვიძლია მისი ძირითადი ცენტრების აშკარა მრავალენოვნებიდან დავინახოთ (ტურისტები, მიგრანტები, უცხოელი რეზიდენტები, და მისთ.);
- არსებული რეპერტუარების მეტყველებისგან წარმოდგენილი ლინგვისტური კაპიტალის უფრო ეფექტურად მართვა (მაგალითად, ემიგრანტების ენის შენარჩუნება) და მათი განვითარება, კოლექტიური ენის საჭიროებების პროგნოზირებით ხდება: ენობრივმა უნარებმა უნდა დაადასტუროს ძირითადი უპირატესობა უცხო ბაზრების ათვისებისთვის;
- ევროპის შემადგენელი კულტურული ჯგუფების ერთად თავმოყრა ენების მშვიდობიანი ფილოსოფიის ქოლგის ქვეშ, რომელიც უნდა დაეხმაროს კონფლიქტების თავიდან აცილებას მისაღები ენობრივი წონასწორობის საშუალებების უზრუნველყოფით;
- დაეხმაროს შეიქმნას საერთო მიკუთვნების გრძნობა პოლიტიკური და კულტურული სივრცისადმი ისე, რომ არ გამოირიცხოს ის ენები და კულტურები, რომლებიც არ არის ევროპული ან წარმოდგენილი ევროპაში;
- ეცადოს, შემცირდეს დანაკარგი საგანმანათლებლო ღირებულების პერსპექტივისგან, რომელიც წარმოიშობა ენის სწავლებისაგან და ძალიან იწველება დროში და ბუნდოვნად ურთიერთდაკავშირებული (იმავე ენობრივ სახესხვაობასთან მიმართების ჩათვლით), გავრცელების შემცირებით უფრო მიზნობრივი, დაუნაწევრებელი სწავლებით, რაც საშუალებას მისცემდა მოქმედებაში შემოსულიყო მრავალენოვანი კომპეტენტურობა. მაგალითად, ენის სწავლება მეტი აღარ ორიენტირდებოდა ოფიციალური ენისა და ნასწავლი სახესხვაობის დამოკიდებულებაზე და, აგრეთვე, შეძლებდა გარკვეულ დონის ძიებებში გამოყენებინა ორი უცხო ენობრივი სახესხვაობა.

მაშინ, როცა მრავალენოვანი განათლება ეყრდნობა სოციოლინგვისტურ (მრავალენოვანი რეპერტუარის ცნება) ფსიქოლინგვისტურ (მრავალენოვანი კომპეტენციის ცნება) და პედაგოგიურ (მრავალენოვანი ინფორმირებულობის განათლების ცნება) მოსაზრებებს, აშკარაა, რომ გადაწყვეტილების მიმდებთანათვის და ოფიციალური პირებისათვის ლეგიტიმაცია არსობრივად პოლიტიკურია, რითაც მან შესაძლებელი უნდა გახადოს უპასუხოს ევროპელი მოქალაქეების მიერ დასმულ კითხვებს.

ქვემოთ მოყვანილია ზოგიერთი ამ კითხვათაგან, რომელთაგან ყველა აუცილებლად თემატური არ არის:

- რეგიონული ან უმცირესობათა ენების საკითხი, რომლის აღიარებაც სურთ მეტყველებს: ეს შესაძლოა ეყრდნობოდეს სწავლების დიფერენცირებულ ფორმებს და არა მარტო სავალდებულო სკოლაში ინსტრუქტირების ენად გამოყენებას.
- ეროვნული საკითხი: მრავალენოვნება არ მოითხოვს ეროვნული ერთიანობის კითხვის ქვეშ დასმას ეროვნული ენის სტატუსის თვალსაზრისით: ის უბრალოდ აღიარებს თითოეული ინდივიდუალური რეპერტუარის მრავალენო-

ვან განზომილებას და გულისხმობს ზოგიერთი იმ სახესხვაობისგან სივრცის შექმნას როგორც განათლების სისტემაში, ისე მის გარეთ, სავალდებულო სკოლისა და მოელი საგანმანათლებლო კარიერის განმავლობაში. მიუხედავად ამისა, ევროპული ლოგიკური აზროვნება გვკარნახობს, რომ მოქალაქეობა უნდა ეყრდნობოდეს რაღაც სხვას, ვიდრე ოფიციალური ენა, რომლის შესწავლაც მოქალაქეებს უწევთ. ენის სტატუსი მიჩნეული უნდა იყოს პირად საკითხად, რელიგიის მსგავსად, რომელიც ევროპაში აღარ არის კონკრეტულ სახელმწიფოსთან მოქალაქეთა გაერთიანების ფაქტორი.

- ზრდილობის საკითხი დაკავშირებულია მოქალაქეების დემოკრატიული თანაცხოვრების კოლექტიური ღირებულებებით განათლებასთან. სამწუხარო სოციალური ეგოიზმი, რომელიც გარკვეულ ფორმებში იჩენს თავს ვერბალურ ძალადობად, ნიშნავს, რომ სოციალური ერთიანობის საკითხს უნდა მივუდგეთ ლინგვისტურ ფარგლებში: ჩვეულებრივი უზრდელობა არ არის მხოლოდ ჩვეულებრივ გაცვლებში გამოყენებული სოციალურ სახესხვაობებს შორის განსხვავებების შედეგი, არამედ წარმოიშობა ლინგვისტური ქცევის წესების ერთობლივად არგამოყენების ფაქტიდან. რეინტეგრაცია ჯერ კიდევ გულისხმობს ყველასთან კომუნიკაციას. ეს საგანმანათლებლო ამოცანა შესაძლოა ტექნიკურად მრავალენოვნების ფარგლებში გამოიხატოს.
- განათლების სისტემის ეფექტურობის საკითხი და მისი სავარაუდო უკმარისობა სამუშაო ბაზართან ადაპტირებაში: ეს ფართოდ გავრცელებული შეხედულება შეუძლებელია ემპირიულად იქნეს შემოწმებული ენებთან დაკავშირებით, სანამ ენის სწავლების მიზნები ნათლად არ დადგინდება. მრავალენოვანი განათლება გულისხმობს სილაბუსების დაგეგმვას კომპეტენციისა და გამოცდილების დონის მიხედვით (იხ. თავი 6), რომელიც საშუალებას იძლევა ენის სწავლება შეფასდეს ხარისხის კონტროლის მნიშვნელობით. ეს იმის უფრო ნათელ გაგებას იძლევა, თუ როგორ გამოიყენება ინვესტირება განათლების სისტემაში.

ამ თვალსაზრისით, *სახელმძღვანელო* უბრალოდ ცდილობს გამოკვეთოს ხშირად განმეორებული ენის საკითხის განახლებული დისკუსიის სათანადოობა ისე, რომ მას ერთმნიშვნელოვნად ნაკლებად სისტემატურად მიდგნენ ევროპული *ლინგვა ფრანკას* შემოღების პერსპექტივიდან. ალბათ ევროპულ პროგრამებს ჰყავთ მზარდი სტუდენტებისა და მასწავლებლების მობილურობა (გაორმაგება, გაცვლები, საზღვარგარეთ სწავლის ვიზიტები და მისთ.) და აშკარად აქვთ ენის შესწავლაზე ეფექტი, მაგრამ რიცხოვრივი შეფასების არარსებობისას ცნობილი არ არის, ჰქონიათ თუ არა მათ გავლენა ენებისა და მეტყველთა მრავალფეროვნებაზე. მიუხედავად ამისა, შესაძლოა ვიფიქროთ, რომ ეს ქმედებები დაესმარნენ საერთო ევროპულ საგანმანათლებლო კულტურის განვითარებას. ამის დასაბუთებაა *რომელიც ჰქონდა ენისა და ევროპული ენების პორტფოლიოს განხილვის საერთო ევროპული პროგრამის* მიღება, რომლებიც გავრცელდა მათი ნამდვილი მნიშვნელოვნების გამო და შეთვისებული განათლების სისტემების მიერ სპეციალური ტექნიკური შეთანხმებების საჭიროების გარეშე. საერთო საბაზისო მეთოდების ნებაყოფლობითი ათვისება უჩვენებს მდიდარ საგანმანათლებლო და პოლიტიკურ პოტენციალს.

5. 3. მრავალენოვნების გავრცელება: სოციალური კონსენსუსის შექმნა

გახადო მრავალენოვანი არჩევანი განათლების სისტემებისათვის მისაღებად – ნიშნავს მისი მნიშვნელოვნების დემონსტრირებას ენებისა და ენის სწავლების საერთო გამოცდილებასთან მიმართებით, რაც სკოლას ახასიათებს. გარე პირობების შექმნა, რომელიც სასარგებლო იქნება მრავალენოვანი იდეისათვის, კოლექტიური ამოცანაა, რომელიც ტრენინგებს მოითხოვს (საგანმანათლებლო სისტემებში და ყველგან) და ამ მიმართებით ძალიან არ განსხვავდება ტოლერანტობისა და რასიზმის დაძლევის განათლებისაგან.

მრავალენოვანი ინფორმირებულობის მიზნით განათლება ალბათ საჭიროებს დახმარებას სოციალურად შუალედური რგოლების მხრიდანაც, როგორცაა სავაჭრო ერთეულები და ნებაყოფლობითი სექტორი (განსაკუთრებით მშობელთა და მასწავლებელთა ასოციაციები და კულტურული ასოციაციები და მისთ.). ის გამიზნულია, საშუ-

აღება მისცეს ყველა სოციალურ ჯგუფს, გაითვალისწინოს ენის საკითხი, თუ რისთვისაა ის რეალურად და არა შეხედულებების საფუძველზე, რომელიც სწრაფად შეიძლება მოქვედდეს. ამ აზრით, ის არის დემოკრატიული აზროვნების შედეგიც.

ამან შეიძლება საგანმანათლებლო კამპანიების ფორმა მიიღოს (მსგავსად *ენების ევროპული წლისა 2001*) ან შეიძლება გაგრძელდეს რეკომენდაციების ფორმით ან „პრაქტიკის ენობრივი კოდით“, რომელიც შექმნილია ენებში ჩართული ყველა ორგანიზაციის ჯგუფების მიერ, ყველა პროფესიონალის მიერ (სკოლები, ინსტიტუტები, ეროვნული სისტემის გარეშე ენის ცენტრები და აგრეთვე სარეკლამო სააგენტოები, მედია და მისთ.).

შეთანხმებული ქმედების მიზანი, რომელიც გამიზნულია მაკროსოციალურ რეპრეზენტაციებზე, უნდა განმარტავდეს, თუ როგორია გადამწყვეტი ფაქტორის ბუნება როგორც კოლექტიურად, ასევე პერსონალურად ენების ცოდნასთან მიმართებით და ადგენდეს, თუ რას მოიცავს რეალურად ენის სწავლება, მიუხედავად იმისა, რა სტერეოტიპული წარმოდგენები აქვს მასზე ხალხს. ამან განათლების სისტემებს საშუალება უნდა მისცეს უპასუხოს სოციალურ მოთხოვნას ისე, რომ მათ მეტი აღარ მოეთხოვებოდეთ უპასუხონ იმ მოთხოვნას, რომელიც ხშირ შემთხვევაში ბუნდოვანია, არამედ უკეთესად უხელმძღვანელოს მას მიღებული პრინციპებით.

5. 3. 1. ენებისა და ენის სწავლების „ჩვეულებრივი“ რეპრეზენტაციების უფრო მეტად დახვეწა

მრავალენოვნებისათვის სასარგებლო კონტექსტის შექმნა, პირველ რიგში, ნიშნავს ენებისა და ენის სწავლების ზოგადი შეხედულების დრამატიზების შემცირებას. სოციალური შეხედულება ხშირად ერთენოვანია. სახელმწიფო ენის სახესხვაობას უპირატესობას ანიჭებენ ისინი, რომელთა პირველ ან ჩვეულებრივ სახესხვაობასაც ის წარმოადგენს პირველ სახესხვაობას (რეგიონულს, მემკვიდრეობითს) უპირატესობას ანიჭებენ, როგორც გაწევრიანების ერთადერთ სახესხვაობას და ა. შ. ენებს ხშირად მოიაზრებენ ურთიერთგამომრიცხავ ფარგლებში, ალბათ იმიტომ, რომ ისინი, ვინც ამას ამტკიცებს, ერთი ენის ცოდნის მიერ მეორის ათვისების შეფერხების საფრთხეს ხედავენ. ამ გაგებას სკოლებში თითოეული სახესხვაობის დანაწევრებული განხილვითა და ენებს შორის (გარიანტების) არჩევითი სისტემით ესმება ხაზი, რაც განათლების უზრუნველყოფის ერთ-ერთი თანამედროვე მეთოდია.

იოლი არ არის იმ განცდების დახვეწა, რომლებსაც ხშირად ხელშეწყობა აქვს სკოლების მხრიდან, თუმცა, შესაძლებელია იმ საშუალებების უზრუნველყოფა, რომლებითაც ასეთი აკვიტებული აზრების დაძლევა შეგვეძლება საკმაოდ მარტივი არგუმენტებით. ენებისა და ენის სწავლების ჩვეულებრივი კონცეფციები ხშირად შედგება რედუქციული განზოგადებებისაგან:

- *ხალხი ამბობს, რომ თქვენ დაჯილდოებული უნდა იყოთ განსაკუთრებული ნიჭით, რომ ისწავლოთ ენები მაშინ, როცა ენის კომპეტენტურობა ადამიანთა მოდგმისთვის თანაბრად განაწილებული მახასიათებელია; ზოგიერთი უფრო მეტ სახესხვაობას სწავლობს, ვიდრე სხვები, იმიტომ, რომ ისინი ცხოვრობენ მრავალენოვან გარემოში და შესაძლებლობა ჰქონდათ, თავიანთი მრავალენოვანი კომპეტენცია განეფიქსირებინათ;*
- *ხალხი ამბობს, რომ ენების შესასწავლად საზრიანი უნდა იყოთ. თუ უპირატესობა ენიჭება ანალიტიკურ ან თვითშესწავლის მიდგომებს, მაშინ აუცილებელი იქნება გარკვეული ინტელექტუალური მომზადება, მაგრამ ეს არ არის ამის წინაპირობა და ნაკლებ როლს თამაშობს ისეთი ტიპის წამბაძველ მიდგომაში, რომელსაც უპირატესობას ანიჭებს კომუნიკაციური, ბუნებრივი და არატრადიციული მეთოდოლოგიები;*
- *ხალხი ამბობს, რომ ენები ელიტისთვისაა განკუთვნილი. უცხო ენების სწავლა მართლაც ხანგრძლივი დროის განმავლობაში პრივილეგირებული განათლების ფორმად იყო მიხნეული, მაგრამ მეტყველთა რეპერტუარები გაფართოვდა ბოლო დროს ნაკლებად დანაწევრებული ეროვნული და საერთაშორისო სივრცის შექმნით. ენების ცოდნა ტიპურ შემთხვევად იქცა და ერთ-ერთი კომპეტენციაა, რო-*

მელსაც სამსახურეობრივ ცხოვრებაში ითხოვენ. ამჟამად ეს არის ცხოვრების ხარისხის კომპონენტი;

- ხალხი ამბობს, ენის სწავლას დიდი დრო სჭირდება. თუ მიზნად აღებულია სრულყოფილების დონე, მაშინ ეს სიმართლეა, მაგრამ შეიძლება ენის ნაწილობრივი შესწავლა შესაბამის დონეზე, თუნდაც დროებით, როგორც საკმარისი ცოდნა და ეს, ალბათ, მოითხოვს ნაკლებ ინვესტირებას. არსებობს აგრეთვე სწავლების ინტენსიური ფორმებიც. შესაძლოა ენის სწავლების შეწყვეტა და მოგვიანებით მისი გაგრძელება;
- ხალხი ამბობს, რომ ენის სწავლა მოსაწყენია. ახლანდელი სწავლების მეთოდოლოგიები აქტიურ მეთოდებზე, შემსწავლელის მონაწილეობაზე, კომპეტენციის დაუფლებაზე კომუნიკაციაში და არა მის ფორმებზე (გრამატიკა და ლექსიკა) არის ორიენტირებული;
- ხალხი ამბობს, რომ ენის სწავლა რთულია. მცდელობა, რომელიც საჭიროა ენის სწავლისთვის, არის რთული დასაანგარიშებელი სხვა უნარების ან ცოდნის დაუფლებასთან შედარებით. ამ რეპრეზენტაციას აქვს თავისი წარმოშობა სწავლების კონკრეტულ მოდელში, რომელშიც ენები ისეთივე დატვირთვის საგნებია, როგორც სხვები (დრო, ხანგრძლივობა, სისშირე). ესენი შესაძლოა დაექვემდებარონ საყოველთაო შეფასებებსაც და გამოყენებული იქნენ სკოლების მიერ შერჩევის კრიტერიუმად. ენის სწავლებისა და სწავლის ასეთი „აკადემიზაცია“ ტესტის შედეგებს (და, აქედან გამომდინარე, მისაღებ ნიშნებს) უფრო მეტ მნიშვნელობას ანიჭებს, ვიდრე თავად ენობრივ უნარებს;
- ხალხი ამბობს, რომ ენას ახალგაზრდობის ასაკში სწავლობ. მართალია, რომ პირველი ენა შეისწავლება ბუნებრივად სოციალიზაციის პირველ წლებში და, ამის გამო, ძალიან ადრეულ წლებში. შემდგომი სახესხვაობები, რომლებიც შეიძინება ბავშვობაში, ალბათ ცნობილია, როგორც ადვილი არა მხოლოდ ფსიქოლინგვისტური მიზეზებით, არამედ იმიტომ, რომ სწავლება არ არის ძალიან აკადემიური და წარმოშობს მცირე სოციალურ ზეწოლას (ვალდებულება იმისა, რომ მიიღო კარგი შედეგები). ზრდასრულობაში ენის შესწავლას არა აქვს უფრო მეტი თანამდევნი სირთულეები: მას შეიძლება ხელი შევეწყოთ წინა გამოცდილებით - ისწავლო, თუ როგორ უნდა სწავლა და მრავალენოვანი კომპეტენცია, რომელიც საშუალებას იძლევა სწავლის სტრატეგია და ცნობილი სახესხვაობები გამოვიყენოთ უცხო ენების დაუფლებაში.

ასეთი ზოგადი იდეები ბუნდოვანს ხდის წარმოდგენებს ინდივიდუალური მრავალენოვანი კომპეტენციის ბუნების შესახებ და ამცირებს სწავლის მოტივაციას. მათი დამკვიდრება შეიძლება, ვიდრე კომუნიკაციის სასურველი მოდელი ურთიერთობაა მკვიდრ მოსახლესა (ერთენოვანი) და არამკვიდრ მოსახლეს შორის, რომელიც იყენებს მეორის ჩვეულებრივ სახესხვაობას. მიუხედავად ამისა, არსებობენ კომუნიკაციის ფორმები, რომლებიც განსხვავდება იმისგან, რაც გამოიყენება მოდელად: ოფიციალური გაცვლა მკვიდრ და არამკვიდრ მეტყველს შორის. აღწერილია შემდეგი:

- ჩვეულებრივი გაცვლა, რომელიც მოიცავს სწავლის განზომილების სახეობას: მკვიდრი მეტყველი ითვისებს მისი თანამოსახუბრის შეცდომებს / უზუსტობებს და ესმარება მას ისწავლოს და უკეთესად დაამყაროს ურთიერთობა;
- ურთიერთგაცვლები, რომლებიც მოიცავენ მესამე ენას (ალბათ საერთაშორისო ლინგვა ფრანკა), რომელიც საერთოა ორივე მეტყველისთვის;
- ურთიერთგაცვლები, რომლებიც ერთიმეორის გაგებაზეა ორიენტირებული, როცა თითოეული ლაპარაკობს მის ჩვეულებრივ სახესხვაობაზე და სხვას ესმის მისი;
- ურთიერთგაცვლა, რომელიც ამავე დროს იყენებს სხვადასხვა ენობრივ სახესხვაობას და, სავარაუდოდ, ყველა არსებული მეტყველისთვის, სადაც გამოიყენება კოდის ცვლილება;
- ურთიერთგაცვლა, რომელშიც თითოეული მეტყველი სხვის ჩვეულებრივ ენას იყენებს და ასე შემდეგ.

არამკვიდრი მეტყველის შეცდომების, რეგიონალიზმის, უზუსტობების, ლინგვისტური „გამოგონებებისა“ და ცვლილებების მიღება ადამიანური შემოქმედების გამოხატულებად და მრავალფეროვნებად, რაც ლინგვისტური კეთილგანწყობის ფორმებია და, თავის

მხრივ, თავაზიანობის ფორმას წარმოადგენს. მრავალენოვნების, როგორც ენობრივი განათლების პოლიტიკის მიზანი დამოკიდებულია ასეთი პლურალურობის არსებობის აღიარებაზე და კომუნიკაციის მეთოდოლოგიაში მის ლეგიტიმაციაზე.

5. 3. 2. იმ ფორმების გაზრდა და გამრავალფეროვნება, რომლებითაც ენები წარმოდგენილია მედიასა და საჯარო სივრცეში

მრავალენოვნების აღიარებისთვის სასურველი კონტექსტის შექმნა მოითხოვს ევროპელი მოქალაქეების ახლო კონტაქტს ენობრივი სახესხვაობების პლურალურობასთან. იმისათვის, რომ მათ უფრო მეტად მნიშვნელოვანი გამოცდილების საშუალება მიეცეთ ლინგვისტურ პლურალურობაზე, ენები შესაძლოა უფრო თვალსაჩინოდ იყოს მიწოდებული საჯარო სივრცეში. ამ ტიპის ქმედება არ არის ცალსახად სახელმწიფოს პასუხისმგებლობა, რადგანაც ეს ეხება ისეთ სექტორს, როგორცაა ეკონომიკა, რომელიც დემოკრატიულ საზოგადოებაში არ არის სახელმწიფოს კონტროლქვეშ. თუმცა სახელმწიფოს შეეძლო თავისი როლი ეთამაშა, რომ ამასთან დაკავშირებით შესაბამისი მოღვაწეებისათვის მათი პასუხისმგებლობები გაეცნო, აუცილებლობის შემთხვევაში – ჩარჩო-ხელშეკრულებების ფარგლებში.

ფორმები, რომლებითაც ენობრივი სახესხვაობებია წარმოდგენილი, შესაძლოა ისეთი სექტორებით გამრავალფეროვნდეს, როგორცაა:

- სამთავრობო სერვისები: მრავალენოვანი შეტყობინებებით, სამოქალაქო მუშაკების ტრენინგებით სხვადასხვა ენობრივი სახესხვაობების სპიკერებთან ურთიერთობისათვის;
- საჯარო ადგილები: საჯარო ტრანსპორტი, აეროპორტი, სავაჭრო ცენტრები, უნივერსიტეტები და მისთ. სხვადასხვა ენობრივ სახესხვაობებზე ტექსტებისა და განცხადებების საშუალებებით;
- სატელევიზიო პროგრამები; კერძოდ, საინფორმაციო პროგრამები, სადაც სასურველი იქნებოდა ხალხის ხმებისა და მათ მიერ გამოყენებული ენების მოსმენის შესაძლებლობა (შესაძლებელია სუბტიტრების გამოყენებაც);
- კინო, სადაც სასარგებლო იქნებოდა ფილმების გაერცვლება მის ორიგინალურ ვერსიაზე, მაყურებლის ყოველდღიურ ენაზე სუბტიტრებითურთ ან, თუნდაც, ფილმის ენაზე, სუბტიტრების გამოყენებით, რათა დახმარებოდა მისი მნიშვნელობის გაგებაში, და, ამგვარად, ხელმისაწვდომი გამხდარიყო დიალოგი და მისი წერიითი ფორმა მაყურებლისათვის;
- შესაძლოა, შედარების მექანიზმები იყოს ისეთი, როგორცაა საკაბელო ტელევიზიის ორენოვან არხებს შორის ფრანგულ-გერმანულ არხზე არტკ რომელიც, ფაქტობრივად, თარგმანს ეყრდნობა;
- წერილობითი მედია: მათს წარმოშობის ენაზე სტატიების გამოცემის წინააღმდეგ და არა სასწავლო მიზნების აკრძალვის ხელშეწყობაა. ამჟამად მოითხოვენ თარგმანებსაც, რაც, თავის მხრივ, წინ გადადგმული ნაბიჯია;
- ტრენინგი, რომელიც ვრცელდება ყველა საწყისი ენის სწავლებაზე და ენების შემოტანაზეც, გარკვეულწილად მოკლე საცდელი კონტაქტის ფორმაა, რათა ხელი შეუწყოს ცნობისმოყვარეობას და შეამციროს დაბრკოლებები. ზრდასრულთა ტრენინგი ყველაზე მეტად უზულელებყოფილი სფეროა. მიზანშეწონილია, დაარსდეს ენის ცენტრები (ისე, როგორც უკვე გაკეთდა ზოგიერთ ქვეყანაში, ქალაქებსა და რეგიონებში), სადაც მოსახლეობას ენის სწავლების დამხმარე სერვისს შესთავაზებენ (ინფორმაცია კერძო ენის სკოლებზე, თარგმანები, ადმინისტრაციული დოკუმენტების თარგმანში დახმარება და მისთ.); თავისუფალი მიდგომა ენის სწავლის რესურსების ცენტრთან, მრავალენოვანი სახელმძღვანელოების ბიბლიოთეკასთან და მისთ. ასეთი ორგანოების ლეგალური სტატუსი შესაძლოა ძალიან ფართოდ იცვლებოდეს ადგილებზე (საჯარო, კერძო, კერძო-საჯარო პარტნიორობა, ნებაყოფლობითი, ფონდები და მისთ.).

ასეთი მიმართულებები მუშავდება უფრო მკაფიოდ წარმოსაჩენად, კერძოდ, ტურისტულ ტერიტორიებზე, სადაც ისინი წარმოადგენენ პასუხს პრაქტიკულ

მოთხოვნები. ქალაქში მრავალ ენაზე ლაპარაკი ისმის. ცენტრალურ ხელისუფლებას შეეძლო ხელი შეეწყო სახელმწიფო ენისთვის და ლინგვა ფრანკასაგან განსხვავებული სახესხვაობების წარმოჩენისთვის და მრავალენოვანი განათლებისათვის კომპანიებში, ადგილობრივ ავტორიტეტებში, ნებაყოფლობით ორგანიზაციებში და მისთ. ფინანსური წვლილი შეეტანა.

5. 4. განათლების სისტემების მომზადება მრავალენოვნებისათვის

განათლების სისტემებში მრავალენოვანი პერსპექტივის შემოტანა არ არის უბრალოდ უცხო ენების სილაბუსების საკითხის შეცვლა ან მეთოდი, რომლითაც ორგანიზებულია უცხო ენების სწავლება. ეს არის საკითხი, რომელიც ეხება ყველა სკოლას, რაც უნდა აცნობიერებდეს იმ ტრანსფორმაციების მიზნებს და მის თანამდევ საკითხებს. მრავალენოვანი კულტურის გავრცელება არის ტექნიკური ცვლილებების წარმატების წინაპირობა, რომლითაც მრავალენოვნება განხორციელდება განათლების სისტემებში.

5. 4. 1. პარტნიორების შესახებ ინფორმირებულობის გაზრდა, განსაკუთრებით ადგილობრივ დონეზე

რამდენადაც სოციალური მოთხოვნების დახვეწა მნიშვნელოვანია, რაც ხშირად ენის სწავლებას ემყარება, მრავალენოვნება უნდა აიხსნას საგანმანათლებლო ორგანიზაციების ფარგლებში.

იმისათვის, რომ მრავალენოვანი განათლების საჭიროება იყოს აღიარებული, მნიშვნელოვანია იცოდეთ, თუ რა აზრს ემხრობიან უფროსი მასწავლებლები, ადმინისტრაციული და ტექნიკური შტატი (განსაკუთრებით ისინი, ვინც პასუხისმგებელია ინფორმაციულ და კომუნიკაციურ ტექნოლოგიებზე), მასწავლებლები (და მათი ასოციაციები), ენის მასწავლებლები, მშობელთა ასოციაციები და ადგილობრივი სამთავრობო წარმომადგენლობები (განსაკუთრებით საოლქო დონეზე). რადგანაც ამ საზღვრებში მოქალაქეების მოთხოვნები გამოხატულია პრაქტიკულ განზომილებებში (მაგალითად, ენის კლასის გახსნა), მათ დანარჩენი ეროვნული მოსახლეობა, რომელიც კონტაქტშია ასეთ ლინგვისტურ რეალობებთან და იღებს სათანადო პასუხს, მათ თეორიული დებატებისაგან განსხვავებით გაუგებს.

ინფორმირებულობის ასეთი ზრდა ნაწილობრივ მნიშვნელოვანია მუნიციპალური ორგანიზაციების წევრებისთვის და მათთვის, ვინც სკოლასთანაა დაკავშირებული (დაწყებითი და საშუალო სკოლის მასწავლებლები და მისთ.). მათ ხშირად აქვთ გადაწყვეტილების მიღების უფლება საგნებთან დაკავშირებით (მაგალითად, არჩევითი საგნები) და შეუძლიათ ფინანსების განკარგვა სპეციფიკური ტიპის ტრენინგებისათვის. რა თქმა უნდა, მიზანშეწონილი იქნებოდა, მათთვის უფრო კარგად გაეგებინებინათ ენის სწავლების საკითხების სირთულის შესახებ ისე, რომ თავიდან აეცილებინათ რამდენიმე სტანდარტული არჩევითი საგნის სისტემატური მხარდაჭერა (როგორცაა ინგლისურის ადრეული სწავლა). ასეთი გადაწყვეტილებები გამოწვეულია პრაქტიკული (იმ საგნების არჩევა, რომლებიც უმარტივესია საორგანიზაციო თვალსაზრისით, მაგალითად, ერთი და იგივე უცხო ენა ყველასათვის) ან ფინანსური (იმ სპეციკურების არჩევა, რომელიც მოითხოვს ყველაზე ნაკლებ სწავლების საათებს) მოსაზრებებიდან გამომდინარე. თუმცა, გადაწყვეტილების მიმღებებს შესაძლებლობა უნდა მიეცეთ, სათანადოდ შეაფასონ განათლებაზე ხანგრძლივი ზემოქმედების ეფექტები.

მასწავლებლები ასეთი ასახვის მონაწილეები არიან: მათ უნდა იზრუნონ სამუშაო პირობებზე (მაგალითად, სწავლების საათების შემცირება, განკუთვნილი მათი საგნისათვის და მათი მოვალეობების ცვლილება), მაგრამ მათთვის მნიშვნელოვანია ჰქონდეთ იმ ზოგადი საკითხების გადამკვეთი გაგება, რომლებიც ჩართულია ენობრივი განათლების პოლიტიკაში. ეს ნაწილობრივ ჭეშმარიტია მასწავლებელთა და უფროს მასწავლებელთა პროფკავშირებისა და ასოციაციებისათვის, ვისთან ერთადაც ევროპისათვის, მაგალითად, მრავალენოვნების პერსპექტივა მიმართული უნდა იყოს ისეთი საკითხებისკენ, როგორცაა საგნების დიფერენციაცია და სკოლებში უთანასწორობის პრინციპი.

5. 4. 2. შემსწავლელის ინფორმირებულობა

თუ მრავალენოვნების არჩევანი განათლებაში აღიარებას მოიპოვებს, შემსწავლელი მის კანონიერებაში უნდა დარწმუნდნენ. მათი წინა გამოცდილება ან მათთვის გადაცემული სოციალური რეპრეზენტაციები არ მიიყვანს მეტყველების მრავალენოვნების აღიარებასთან ან ენობრივი სახესხვაობების თანაბარ ღირებულებებთან. ნამდვილი მრავალენოვანი განათლებისთვის ადგილი არის სკოლებში და უნივერსიტეტებში, კერძოდ, ზრდასრულთათვის და ახალგაზრდა შემსწავლელისათვის. ეს აგრეთვე უნდა შეადგენდეს ოფიციალური / სახელმწიფო ენის (ენების) სწავლების ნაწილს.

მრავალენოვანი რეპერტუარის დადგენა, ასეთი რეპერტუარების არსებობის გაცნობის სტიმულირება იმ ენობრივი სახესხვაობების საფუძველზე, რომელზეც ბავშვები უკვე ლაპარაკობენ ან ირგვლივ ისმენენ, იმ განსაზღვრული ფუნქციების ჩვენება, რომელსაც მეტყველები სოციალურ კომუნიკაციებში იმ სახესხვაობებს მიაკუთვნებენ, ეს ყველაფერი არის ინფორმირებულობის წარმოშობის მნიშვნელოვანი ელემენტები. მნიშვნელოვანია მათ გააგებინო ის, რომ პირველადი ენა აუცილებლად არ გახდება ყველაზე ჩვეულებრივი სახესხვაობა მათთვის, და უფრო ზოგადად უჩვენო, რომ სკოლაში ენებთან დაკავშირებით ყველაფერი გადაწყვეტილი არ არის ერთხელ და სამუდამოდ: სკოლის წლები გადამწყვეტი პერიოდია, მაგრამ ენობრივი სახესხვაობები შეიძლება მოგვიანებით შეიძინო დამოუკიდებლად სწავლით საგანმანათლებლო ორგანიზაციების გარეთ.

ენების ასეთი წარმოდგენების დანერგვის მეთოდები კარგადაა ცნობილი:

- ინფორმირებულობის გაზრდის ტიპებისა და ადრეული სწავლების ღონისძიებების შემოტანა ადამიანთა ენის შესახებ და მსოფლიოს ენებში ჩართული მრავალენოვნებისა / იდენტურობის საკითხები დაწყებითი განათლების კონტექსტში და მაშინ, როცა ბავშვები სწავლობენ ეროვნული ან პირველი ენის წერის სისტემას და იწყებენ ფიქრს ენის შესახებ. მრავალენოვნების ასეთი გაცნობა შესაძლოა გამოყენებულ იქნეს ენის სწავლების მოტივაციისათვის და განავითაროს ადამიანის მრავალენოვანი კომპეტენცია;
- შემსწავლელთათვის მრავალენოვანი რეპერტუარის პრეზენტაცია, რაც მათ საკუთარი რეპერტუარის: ენებთან მათი კონტაქტის ისტორიის, მათ ტერიტორიაზე და სკოლაში, მათ კლასში სხვა მოსწავლეების, მათი ოჯახების სალაპარაკო ენობრივი სახესხვაობის (რა სახესხვაობაზე ლაპარაკობს ან ლაპარაკობდა მათი პაპა?) აღმოჩენის საშუალებას აძლევს. ევროპული ენობრივი პორტფოლიო შესაძლოა საფუძველად გამოვიყენოთ, რომლითაც გამდიდრდება ენობრივი სახესხვაობის სტატუსი და რეპერტუარი. საკუთარი თავის უფრო მეტი გათვითცნობიერება შემსწავლელებს ეხმარება, უფრო დარწმუნდნენ საკუთარ უნარში, რომ განავითარონ ენების ცოდნა და შესაძლოა ეს იყოს ბიძგი მათი ენების შესწავლის მოტივაციისათვის.

5. 4. 3. ენის მასწავლებლების ინფორმირებულობის გაზრდა და ტრენინგი

შესაძლოა პარადოქსულად მოგვეჩვენოს იმ მეთოდების რჩევა, რომლებითაც ენის მასწავლებლები მიიღებენ ინფორმაციას მრავალენოვან საკითხებზე, რადგან ისინი ნაწილობრივ დიაა პედაგოგიური განხილვისთვის და მასში გადამწყვეტი წვლილის შესატანად. მაგრამ მრავალენოვანი არჩევანი მოითხოვს, რომ გათვალისწინებული იყოს ახალი ელემენტები და ჩაერთოს მასწავლებლის საწყის და შემდგომ ტრენინგში:

- მრავალენოვანი განათლების ევროპული ხედვა ეხმარება დემოკრატიული მოქალაქეობისა და კულტურათშორისი განათლების განვითარებას. ეს პოლიტიკური და საგანმანათლებლო მიზნები შესაძლოა მოიცავდეს იმ კონცეფციების პრეზენტაციასა და ენობრივი პოლიტიკის შემოტანას;

- მრავალენოვანი კომპეტენციის ზუსტ ცნებად, რომელიც როგორც ასეთად უნდა იქნას მიჩნეული (სოციოლინგვისტიკის მოდულში და, მაგალითად, მის ენის სწავლების დამოკიდებულებასთან);
- უფრო მეტი დიდაქტიკური შინაარსი როგორცაა სწავლების მიდგომა ემყარება კომპეტენციას ცოდნის დონეებით, განსაზღვრული საბაზისო დონეების მიხედვით. ეს პერსპექტივები შესაძლოა უცნობი იყოს ზოგიერთი მასწავლებლისათვის, კერძოდ, მშობლიური ენა / ოფიციალური ენა;
- მათი საკუთარი ენობრივი რეპერტუარის განვითარება: შესაძლოა მიზანშეწონილი იყოს გაიზარდოს იმ ენობრივი სახესხვაობების რიცხვი, რომლებიც შესწავლილია მასწავლებლების მიერ, ისე, რომ შეეძლოს ამ სახესხვაობების სწავლება გარკვეულ დონეზე და იმ ენის აღწერის მეთოდი, რომელიც მათ ანალიტიკურად არ იცინან: სახესხვაობები, რომლებიც გამოიყენება ემიგრანტების მიერ, რეგიონული სახესხვაობები და ა. შ.

ასეთი ტრენინგის დროს კომპეტენტურობის განსაზღვრა აგრეთვე უნდა ითვალისწინებდეს იმ ენის მასწავლებლის ტიპს, რომლისთვისაც ტრენინგი სასურველია: ეს მოითხოვს საგნების დაყოფის მისგან განსხვავებულ გზებზე ფიქრს, რომელიც ახლა ყველაზე ფართოდაა გავრცელებული. სასურველი იქნებოდა შესწავლილიყო ტრენინგის სარგებლიანობა:

- სკოლამდელი მასწავლებლები, რომლებიც იცნობენ ადრეული ენის სწავლების მეთოდებს;
- დაწყებითი სკოლის მასწავლებლები, რომლებსაც ნასწავლი აქვთ უცხო, რეგიონული თუ მემკვიდრეობითი სახესხვაობები და მისთ. და შეუძლიათ მათი სწავლება ელემენტარულ დონეზე (*ენების შეფასების საერთო ევროპული სქემის 2 ან 1*) და იცნობენ ენის ინფორმირებულობისა და ენის მრავალფეროვნების მეთოდოლოგიებს;
- საშუალო სკოლის მასწავლებლები ტრანსვერსალური კომპეტენტურობით (ეროვნული სახესხვაობა და უცხოური სახესხვაობა, ეროვნული სახესხვაობა და რეგიონული სახესხვაობა, ორი უცხო ენის სახესხვაობა სხვადასხვა ლინგვისტური ჯგუფიდან, ეროვნული სახესხვაობა და კლასიკური სახესხვაობები და მისთ.), ვისაც გავლილი აქვს ტრენინგები კულტურათაშორის განათლებაში;
- საგნების მასწავლებლები, რომელთაც შეუძლიათ მათი საგანი ეროვნული სახესხვაობისაგან განსხვავებულ სახესხვაობაზე ასწავლონ და, თავის მხრივ, იცნობენ მეორე ენის სწავლების მეთოდოლოგიას.

ეს ყველაფერი უბრალოდ რჩევებია და შემდგომ განხილვასა და განვითარებას მოითხოვს.

საბაზისო გამოკვლევა:

ჟერარდ უილიამსი: „ენის მასწავლებლის განათლების პოლიტიკა, რომელიც ხელს უწყობს ენობრივ სახესხვაობასა და კულტურათაშორის კომუნიკაციას“.

ეს ტრენინგი სწავლებაზეა ორიენტირებული და შესაძლოა ახალი ენობრივი პროფესიების არსებობას ითვალისწინებდეს:

- რეპეტიტორი მასწავლებელი თვითინსტრუქტირების ცენტრებში (რესურს-ცენტრებში);
- დისტანციური სწავლების რეპეტიტორები;
- განათლების ოფიცრები (რომლებიც პასუხს აგებენ მასწავლებლების აყვანაზე, შედეგების მიღებაზე, მენეჯმენტზე), კურსის დირექტორებზე (კომპანიები და კერძო სექტორი);
- ენის ცენტრის ან ენის სკოლების დირექტორები ან მენეჯერები ადგილობრივი წარმომადგენლებით და უცხოეთთან კონტაქტების ტრენინგის ოფიცრები (ენის ან მასწავლებელთა ტრენინგი) პასუხისმგებელი სილაბუსების შექმნაზე, კომპანიებში, არასამთავრობო ორგანიზაციებში, ასოციაციებში და მისთ.;

- ოფიციალური წარმომადგენლობები საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტებში (კერძოდ, ევროკავშირის ფარგლებში: ევროპული პროგრამების მართვა);
- სახელმძღვანელოებისა და სასწავლო მასალების შემქმნელების და / ან ავტორების (განსაკუთრებით კომპაქტ-დისკების, საინტერნეტო დისტანციური სწავლების მოდულების შემქმნელებისთვის), კომპანიებისათვის, დამოუკიდებელ საფუძველზე და მისთ., საგამომცემლო ბიუროებისთვის (აკადემიური გამოცემები, კომერციული ბიუროები);
- ენის აუდიტორები, კონსულტანტები (ენის სწავლების ანალიზი, სილაბუსისა და უნარების შეფასება, ხარისხის კონტროლი, შტატის დადგენა, ენობრივი განათლების პოლიტიკის შეფასება), განათლების ინსპექტორები, ტრენერების სწავლებაზე პასუხისმგებელი ოფიცრები;
- ენობრივი განათლების პოლიტიკის ოფიციალური წარმომადგენლები (ადგილობრივ, რეგიონულ და ცენტრალურ დონეებზე);
- პროექტის დიზაინერები და / ან ბიზნესმენები შემდეგ სფეროებში: კერძო ორგანიზაციები, ენის სკოლები, სასწავლო სკოლები ენის კომპონენტით (ტურიზმი და ა. შ.), სერვისის კომპანიები, კონსულტაციები, და ა. შ.

სწავლების ორგანიზების ეს ტიპი შესაძლოა დაფუძნდეს ცვალებადი დროის განზომილებით განათლების სიტუაციების მიხედვით წევრ სახელმწიფოებში: მაგალითად, სადაც მასწავლებლების კონტრაქტები შედგენილია სწავლების საათების საფუძველზე, უფრო რთული იქნება ენის სწავლების კომპონენტის ჩართვა, რადგან უფრო მეტად მოითხოვს მასწავლებლის თანამშრომლობასა და კოორდინირებას, ვიდრე იქ, სადაც მასწავლებლები ჩვეულებრივ სრული განაკვეთით არიან და აქვთ მეტი პასუხისმგებლობა, ვიდრე სწავლება ამ ტერმინის პირდაპირი მნიშვნელობით. მასწავლებელთა ტრენინგის ადაპტირება ამ მიმართულებებთან არის მრავალენოვანი განათლების წინაპირობა, ისევე, როგორც შესაბამისი სახელმძღვანელოების შექმნა.

5. 5. დასკვნა

განათლების ფორმის - მართული მრავალენოვნებით და მრავალენოვნებისკენ - განხორციელება, მოითხოვს ნათლად ჩამოყალიბებულ პოლიტიკურ ნებას, რომელიც განვითარებულია დემოკრატიულ ჩარჩოებში და იმ პრინციპებზე დაყრდნობით, რომელიც მოითხოვს ხანგრძლივ ახსნას და განვრცობას. სხვადასხვა ენობრივი სახესხვაობა სხვადასხვა ფორმებში ადგილს იპოვის მხოლოდ განათლების სისტემებში იმათი თანხმობით, ვინც უნდა მიიღოს ის: არსებობს ენის სწავლებისადმი წინააღმდეგობის გაწევის მრავალი ისტორიული მაგალითი. ეს საკითხი არ დაექვემდებარება საერთო სტანდარტებს ან დადგენილ მიზნებს, თუ მათ პირველად განიხილავენ სამოქალაქო საზოგადოებაში. ენის სილაბუსების განვითარება და ენის სწავლება / სწავლა უბრალოდ განათლების სისტემების როლის კოლექტიური გამოცდის ტექნიკური შედეგია, რაც მოიცავს სამოქალაქო საზოგადოებას, კერძოდ, ადგილობრივ და რეგიონულ დონეებზე.

განათლების პოლიტიკის ორგანიზებას ესაჭიროება დრო, რომლის მიზანია მრავალენოვანი კომპეტენციის შექმნა, მაგრამ ეროვნული განათლების სისტემები უკვე შეიცავენ საკმაოდ ბევრ ელემენტს, რასაც შეუძლია შექმნას ასეთი მექანიზმების საფუძველი. ეს არ არის ნულიდან დაწყების საკითხი, მაგრამ აუცილებელია, ხელახლა იქნეს მოფიქრებული სასწავლო მიზნები, შეიქმნას სასწავლო მასალები, რომლებიც შეესაბამება ახალი პოლიტიკის აქცენტებს, აღიზარდოს მასწავლებლები და განათლების შტატი და გაიზარდოს ინფორმირებულობა სკოლებში, უნივერსიტეტებსა და სამოქალაქო საზოგადოებაში. ეს მოითხოვს ხანგრძლივ ქმედებას და ყველა ეფექტი დაუყოვნებლივ ნათელი არ იქნება შექმნილი ცოდნისთანავე. თუმცა ასეთი განათლების არჩევანის პოლიტიკური და კულტურული მნიშვნელობა დაუყოვნებლივ შესამჩნევი იქნება.

მკაცრად რეკომენდებულია, რომ ეროვნული განათლების სისტემა, კერძოდ, სავალდებულო სკოლა, გამოყენებულ იქნეს მრავალენოვნების კულტურის შექმნის საფუძველად. სახელმწიფო საგანმანათლებლო ორგანიზაციები გადამწყვეტ როლს თამაშობენ მიკუთვნების გრძნობის ჩამოყალიბებაში. ენის პროგრამა ეხმარება ამ გრძნო-

ბის შექმნაში; ენობრივი რეპერტუარის პლურალურობისადმი გაზრდილი ყურადღება და მისი განვითარება დაეხმარება ენობრივი გაერთიანების ჩამოყალიბებას საზოგადოებასთან, რომელიც უფრო ფართოა, ვიდრე ეროვნული, რეგიონული ან „ეთნიკური“ საზოგადოება, ამავე დროს, ის ენის ცოდნაა, რომელიც მათი მიზნების შესაფერისია (ყოველდღიური კომუნიკაციები, სამსახური, სწავლა, მედია და მისთ.). განათლების და ტრენინგების ორგანიზაციებს სახელმწიფო სისტემის გარეთ (მაგალითად, კომერციასა და წარმოებაში) საკუთარი რეპერტუარები აქვთ, ნაწილობრივ განსაზღვრული საბაზრო მექანიზმებითა და პროფესიული საჭიროებებით, რომლებიც შესაძლოა მრავალენოვნებას ეწინააღმდეგებოდეს. ამის გამო სახელმწიფო ორგანიზაციები, ყველაფერთან ერთად, პასუხისმგებელი უნდა იყვნენ მრავალენოვან განათლებაზე, რადგანაც ისინი უკვე მოქალაქეობისათვის განათლებას უჭერენ მხარს.

თავი 6

მრავალენოვანი განათლების ორგანიზება

თუ მკვიდრდება სწორი კულტურული და პოლიტიკური პირობები, შესაძლებელი ხდება ენის სწავლების ორგანიზება მრავალენოვნების პრინციპის საფუძველზე. თუმცა, ეს არ იქნება განხორციელებული ყველგან ერთი და იმავე გზით, რადგანაც მიზნად არავის დაუსახავს, შეიქმნას მოქალაქის ტიპი იდენტური ენობრივი რეპერტუარებით მთელ ევროპაში; მიზანი სხვაა: აამაღლოს ენობრივი რეპერტუარების სტატუსი და გააფართოვოს ისინი ადგილობრივი სიტუაციების მიხედვით მრავალენოვანი განათლების ფარგლებში. შესაძლებელია, შეირჩეს სხვადასხვა ტექნიკური საშუალება, რაც დაგვეხმარება ამ მიზნის მისაღწევად და თითოეული წევრი სახელმწიფოსთვის უნდა დადგინდეს მათი რეალობისთვის, საგანმანათლებლო ტრადიციებისთვის და მატერიალური თუ ადამიანური რესურსებისთვის ყველაზე მიზანშეწონილი ხედავ. ტექნიკური არჩევანი უკავშირდება შემდეგ პირობებს:

- კურსები, ორგანიზებული (სასწავლო პროგრამისა და სასწავლო პროგრამის მოქმედების გეგმის მნიშვნელობით: წყობა, რომლითაც ისწავლებიან ენები) ცალკეული ინდივიდებისთვის ან ჯგუფისათვის;
- სწავლების ორგანიზება: სწავლების მეთოდები და მიზნები, სილაბუსები და სავარაუდო შედეგები, ჩართული საგანმანათლებლო ორგანიზაციები.

VI თავი გვთავაზობს შესაძლო არჩევანის მონახაზს, კერძოდ, სასკოლო სისტემების და ზოგადსაგანმანათლებლო ორგანიზაციების სტრუქტურული მექანიზმების ფარგლებში.

თუ მრავალენოვნება არის ადამიანური შესაძლებლობა, შესაბამისად, სავალდებულო განათლების ფარგლებში (ხედა) საშუალო, პროფესიული დახელოვნებისა და უმაღლესი სკოლები პასუხისმგებელი არიან ამ პერსონალური კაპიტალის ინფორმირებულობის ზრდაზე, მისი სტატუსის გაძლიერებაზე, იმაზე, რომ გახადოს ის ოპერატიული და მისი გაზრდით ისე, რომ ყველა მოლაპარაკემ შეძლოს საკუთარი რეპერტუარის გამდიდრება ავტონომიური სწავლის მეშვეობით.

6. 1. როგორ უნდა იყოს მრავალენოვანი განათლება ორგანიზებული? ზოგიერთი პრინციპი

არ არსებობს მზა გადაწყვეტილებები მრავალენოვანი განათლების განხორციელებისთვის, მაგრამ დასახულია მრავალი გზა, რომელიც ეყრდნობა პრინციპს, რომ ენის კურსები შესაძლებელია ორგანიზებული იყოს სპეციალური მოთხოვნებისთვის. ენების დაუფლება შესაძლებელია სხვადასხვა გზით და სხვადასხვა დონეზე. მნიშვნელოვანია, მოცილდე მიღებულ იდეას, რომ არის გარკვეული ტიპის ერთეული, სავალდებულო ფორმა ენის სწავლება/სწავლისთვის, რომელიც არის აუცილებელი. ფაქტობრივად, სწავლება შესაძლებელია გამრავალფეროვანდეს სასურველი კომპეტენციის დონეების, კომპეტენციის ტიპების (ზეპირი გაგება ან ზეპირი გამოხატვა მაგალითად), მსჯელობის ტიპები, დრო (დაუფლების წყობა), და მისთ. კურსების, კომპეტენციისა და დონეების პლურალურობა არის საფუძველი, რომელზე დაყრდნობითაც შეიძლება მრავალენოვნების ორგანიზება: თუ მიღებულია, რომ, მაგალითად, სავალდებულო განათლება არ უნდა მოითხოვდეს ყველა ენობრივი სახესხვაობის, რომელიც ისწავლება კომპეტენციის იმავე დონეს, უფრო მეტი სახესხვაობების შემოთავაზება შეიძლება. უფრო ზუსტად, სწავლების ორგანიზება, რომელიც შეესაბამება მრავალენოვან ორგანიზებას, მოითხოვს

მიზნების შესახებ გადაწყვეტილებების მიღებას და ამის გამო იმის დადგენას, თუ რა იქნება შემსწავლელთათვის მოსალოდნელი. შემდეგი უნდა დაზუსტდეს:

მახასიათებლები (რეგიონული, სოციალური და მისთ.), რომლებმაც შესაძლებელია ენის სწავლების სპეციფიკური ფორმების შემოღებამდე მიგვიყვანოს: სასაზღვრო რეგიონები, ტერიტორიები, სადაც ემიგრანტების საზოგადოებები დასახლდნენ ან სადაც ლაპარაკობენ ისტორიულ რეგიონულ ენაზე და ასე შემდეგ:

- ენის სწავლების კოორდინირების გზები სპექტრის (გრამატიკულ ტერმინოლოგიასთან, ლიტერატურის სწავლებასთან, სილაბუსების პრინციპების ორგანიზებასთან და მისთ. მიმართებაში) და სხვა საგნების პარალელურად (მაგ. საგნების სწავლება ეროვნული ენისაგან განსხვავებულ ენაზე);
- სილაბუსების ფორმები: იმ კომპეტენციების კომბინაციები, რომლებსაც ასწავლიან;
- კომპეტენციებისა და გამოცდილების დონეები, რომლებიც მიღწეულ უნდა იქნეს თითოეულ ნასწავლ უნარში კონკრეტულ დონეზე სკოლაში (მაგ. სავალდებულო ან საშუალო სკოლის დამთავრება და მისთ.);
- თემატური შინაარსი, რომელიც, მაგალითად, მოიცავს კულტურული შინაარსის არჩევის კრიტერიუმს: შემსწავლელის სავარაუდო ინტერესები, შესაბამისი სწავლების დახმარების ხელმისაწვდომობას, კულტურათაშორის საგანმანათლებლო მიზნებს, და ა. შ.
- ჩართული საგანმანათლებლო ორგანიზაციები (სკოლები და ენის კლასები / კურსები, ენის რესურსები და თავისუფალი შესვლის სასწავლო ცენტრები, ასოციაციები, ადგილობრივი საავტორო სკოლები და მისთ.);
- ფორმები, რომლითაც წარმოდგენილია ენები (სავალდებულო, არჩევითი და ა. შ.);
- ენის განათლების ფორმატი (საერთო საათების რაოდენობა, საათები წელიწადში, სემესტრში, კვირაში და მისთ.);
- თუ ნროგორ ისწავლება ენები (*სწავლების მეთოდები*);
- შეფასება და სერტიფიცირება.

ენის სწავლების თითოეულ ამ მახასიათებელს შესაძლებელია მიეცეს სხვადასხვა სპეციფიკაცია, რაც ნიშნავს, რომ ენის სწავლების მრავალი ისეთი პრაქტიკული ფორმა იყოს წარმოდგენილი, რომელსაც შეეძლება ლინგვისტური რეპერტუარების მართვა და მათი განვითარება შემსწავლელის ცხოვრების გეგმებისა და საჭიროებების მიხედვით. არჩევანი გაკეთდება მათ შორის იმ საგანმანათლებლო კონტექსტსა და ხელმისაწვდომ რესურსებზე დაყრდნობით, რომლებიც უნდა დადგინდეს ან შეიქმნას:

- თუ რამდენად მიზანშეწონილია არჩევანი კონკრეტულ საზოგადოებაში ლინგვისტურ განზომილებებთან ნებისმიერ პოლიტიკურ პრობლემასთან კავშირში;
- განათლების სისტემების პირობებისა და ცვლილებისადმი წინააღმდეგობა (სტრუქტურები, გეოგრაფიული მდებარეობა და მისთ.);
- განხორციელების გრაფიკი და განრიგი;
- საჭირო ან შესაძლებელი ადამიანური რესურსები: მასწავლებლები, მკვიდრი მოლაპარაკეები, რომელთაც უნდა გაიარონ ტრენინგი და მისთ.
- საჭირო ან ხელმისაწვდომი ფინანსური რესურსები: უძრავი ქონება, მასწავლებელთა ტრენინგისთვის საჭირო ფონდები, დამხმარე მასალები (აუდიო-ვიზუალური, კომპიუტერები და მისთ.), გრანტები, პროფესიული დახელოვნების მისაღწევად სასწავლო ვიზიტები, დოკუმენტაცია და ა. შ.
- სპეციფიკური მასალა: სახელმძღვანელოები, გრამატიკა, ლექსიკონები და მისთ.

გადაწყვეტილების მიღების მართვისათვის შესაძლებელია ქვემოთ ვიპოვოთ არასრული სია სტრუქტურული რესურსებისა, რომლებიც საჭიროა გამრავალფეროვნებული ენის სწავლება / სწავლის ორგანიზებისთვის, რაც არის თანმიმდევრული დროთა განმავლობაში.

6. 2. განათლების სისტემების აღჭურვა მრავალენოვნებისათვის

განათლების სისტემის ორგანიზებისათვის, რომელიც გულისხმობს მრავალენოვნებას, როგორც ღირებულებასა და კომპეტენციას, მოითხოვება ახალი მენეჯმენტი და ინსტრუმენტების კოორდინირება, რადგანაც ენის სწავლება მოიცავს სხვადასხვა მონაწილეს და არ შემოიფარგლება მხოლოდ ეროვნული განათლების სისტემით.

6. 2. 1. განათლების ორგანიზაციებში ენების შემოთავაზების პერიოდული მიმოხილვა

ეროვნული განათლების სისტემა პერიოდულად უნდა აფასებდეს ენის განათლებას, რომელთაც ისინი უზრუნველყოფენ ცნობილია მომხმარებლის მოლოდინის ცოდნის ფარგლებში. ასეთი კვლევა შესაძლებელია ჩატარდეს შიდა სტრუქტურების მიერ (სტატისტიკის ერთეულები ან დაგეგმვის დეპარტამენტები) ან გარედან, კერძოდ, ევროპული სტრუქტურების ჩართვით (*ეროვნული ენობრივი განათლების პოლიტიკის პროფილი ეროვნულ დონეზე*, რომელიც ამ სახელმძღვანელოს შეუძლია დაეხმაროს განთავსდეს თავის ადგილზე.

ენათა მოწოდება შესაძლებელია რიცხობრივად იყოს გამოხატული: მასწავლებლებისა და მიმართულებების რიცხვი, შემსწავლელთა რიცხვი კურსების მიხედვით კონკრეტულ ენობრივ სახესხვაობაში, ისევე, როგორც განაწილების და სიგრძივი კურსები (თაობების მიერ), კონკრეტულ ეტაპზე შექმნილი კომპეტენციის დონე (მაგალითად, სავალდებულო განათლების დასრულება). ფარდობითი სისტემის დახმარებით, რომლებზეც შესაძლებელია საერთაშორისო შედარებების კეთება, აგრეთვე შესაძლებელია ხარისხობრივი შეფასება: ენის სილაბუსების (ნებისმიერი ტიპის) ბუნება, შესაძლებელი ენობრივი სახესხვაობები, წყობა, რომლითაც ისინი არიან შემოტანილი, არიან თუ არა ისინი შემოთავაზებული თანმიმდევრული არჩევანით თუ მხოლოდ სკოლის კონკრეტულ ეტაპზე და ასე შემდეგ. ამ ტიპის ანალიზი შესაძლებელია, მაგრამ ხშირად აკრძალულია უცხო ენებისათვის და არ მოიცავს ენების მოწოდებას სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებში, როგორცაა უმაღლესი განათლება და პროფესიულ ტრენინგს (მოწოდებული კომპანიების მიერ) ან ისინი, რომლებიც შემოთავაზებულია ნებაყოფლობითი სექტორის მიერ.

სასარგებლო იქნებოდა ამ მონაცემების და განათლების ორგანიზაციის უზრუნველყოფაზე მომხმარებლის რეაქციების (მოსწავლეები, სტუდენტები, პროფესიონალები) ჯვარედინი-განხილვა შემდეგით:

- მაჩვენებელი, თუ რამდენად იყო გათვალისწინებული შემსწავლელის საწყისი რეპერტუარი;
- შემსწავლელთა და საზოგადოების მოწოდებული სწავლებით კმაყოფილების დონის მაჩვენებელი;
- შემსწავლელებისა და სამოქალაქო საზოგადოების ლინგვისტური მისწრაფებების მაჩვენებლები;
- სოციალური ჯგუფების და საზოგადოებების ლინგვისტური სტრატეგიების ანალიზი.

თუ არ არის ზემოთ ჩამოთვლილი მონაცემები, მაშინ ანალიზი, რომელიც მთლიანად ეყრდნობა მონაცემებს ენათა სწავლებაზე, იქნება უბრალოდ აღწერითი და არ იქნება პოლიტიკის წარმართვის დამოუკიდებელი იარაღი. უფრო ზუსტად, სხვა ტიპის კვლევები შესაძლებელია იყოს ძალიან რთული, მაგრამ ენების საგანმანათლებლო მოწოდების ანალიზი აგრეთვე მოიცავს მის მიმართ რეაქციებსაც. ასეთი ანალიტიკური ოქმის შექმნა შესაძლებელია იყოს ევროპულ დონეზე ჩატარებული კვლევის საგანი.

6. 2. 2. მრავალენოვანი განათლების ბარიერების დადგენა

ენების, და ცოდნის დაკავშირების ფაქტორი და მათი შესწავლა, რომელიც შესაძლებელია აფერხებდნენ მრავალენოვანი განათლების შემოტანას, უკვე დადგენილია. აგრეთვე არსებობენ ადმინისტრაციული დაბრკოლებები. ზოგიერთი მათგანი არის სტრუქტურული და თეორიაში, უფრო ადვილად დასაძლევია, რადგანაც ისინი ტექნიკური ბუნებისაა. ქვემოთ განხილულია მათგან რამდენიმე მაგალითი.

- სწავლების საფასური ერთ საათზე ენების სწავლებისთვის განკუთვნილი საათების რიცხვთან კავშირში და თითოეული ორგანიზაციისათვის ხელმისაწვდომ საათების საერთო რაოდენობასთან. ეს არ ნიშნავს ენობრივი განათლების ეკონომიკური

საფასურის საკითხთან მიბრუნებას, არამედ სასწავლო ადგილებისა და მათი მენეჯმენტის საკითხის განხილვას. სკოლებში ენის სწავლება, როგორც წესი, ეყრდნობა პარალელური არჩევანის სისტემას, შეფასებული საათების ფარგლებში. სასწავლო კურსები, განსაზღვრული დროში (სავალდებულო განათლება, (ზედა) საშუალო და მისთ.) და ჩვეულებრივი ციკლის გარეშე სწავლება (როდესაც არ არის შეთავაზებული სწავლების არც ერთ კონკრეტულ წელს) შესაძლებელი იქნებოდა ასეთი ფასების შემცირება და ახალ ენებს მოეტანა სარგებელი ასეთი დანაზოვით. მიუხედავად ამისა, საიდუმლო არ არის, რომ ნებისმიერი გაზრდილი ინვესტირება მრავალენოვანი განათლების შემოღებისთვის ალბათ მოიცავდა ახალი სამუშაო ადგილების შექმნას, თუნდაც მაშინ, როდესაც შემოღებული იქნებოდა სისტემა.

- მასწავლებლების პროფილები და მომსახურების პირობები. მრავალენოვანი განათლების შემოღება იქნება იოლი თუ რთული, დამოკიდებული იქნება იმაზე, მასწავლებლები ასწავლიან ერთ ენას თუ ორს, ენას და სხვა საგანს, საგნების ჯგუფს (ენის სპეციალიზაციით), სწავლება მიმდინარეობს უცხო, რეგიონულ, მემკვიდრეობის თუ სხვა ენაზე და ა. შ. ეს აგრეთვე შესაძლებელია იყოს ის შემთხვევა, როდესაც ენის კურსების მსგავსი ღონისძიებები (რომლებიც ტარდება სასწავლო გუნდების მიერ) არ ანაზღაურდება სკოლის მიერ ისე, რომ ფასი ძალიან ცვალებადი იყოს (სწავლების დატვირთვის შემცირება, პრიორიტეტების ხელშეწყობა, საპასუხისმგებლო პოსტებთან მიდგომა, გრანტების მოპოვება, გადაჭარბებული დროის ანაზღაურება, სპეციფიკური ადგილობრივი, რეგიონული თუ საერთაშორისო დაფინანსება).
- მასწავლებელთა ხელმისაწვდომობა, ან თუ ისინი არ არიან მოლაპარაკებები, რომლებიც უფლებამოსილნი არიან, ასწავლონ ან ზოგადი საგანმანათლებლო საფუძვლით, რომელიც მათ საშუალებას აძლევს, ასწავლონ მასწავლებლის ზედამხედველობის ქვეშ (როგორცაა ლექტორები, ასისტენტები, სპეციალისტები მშობლიური ან შთამომავლობის ენით და ა. შ.) რეგიონული, შთამომავლობის და ზოგიერთი უცხოური სახესხვაობებისთვის. ეს არის ადამიანური რესურსის საკითხი, რომელიც მოითხოვს, რომ აყვანა შესაძლებელი იყოს ადგილობრივი ტერიტორიის გარედან. ინტერნეტის გვერდები, რომლებიც გვთავაზობენ ამ ტიპის პოსტებს ეროვნულ დონეზე (ევროპული და საერთაშორისო კავშირებით) შესაძლებელია იყოს ეფექტური მეთოდი. ალტერნატივა ტრადიციული კლასის მოდელისათვის (ერთი მასწავლებელი ერთი და იმავე ჯგუფისთვის გარკვეული პერიოდით) შესაძლებელია მოვიძიოთ დროებით საფუძველზე: ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიების გამოყენება სწავლებისთვის, ინტენსიური კურსებისათვის, სადამოს კლასებისათვის (ჩვეულებრივი სკოლის საათების გარეშე), რეზიდენტული კურსები საზღვარგარეთ ან რეგიონში, სადაც გამოიყენება ლინგვისტური სახესხვაობა და ა. შ.
- მასწავლებლის სამუშაო დატვირთვა და დროის განრიგი. მენეჯმენტის ეს საკითხი მოიცავს მნიშვნელოვან კრიტერიუმს, როგორცაა „გახსნის (ან დახურვის) ზღურბლი“ კლასებისათვის (ჯგუფები ან ენების სექციები), ანუ მშობელთა ან მოსწავლეთა რიცხვი, რომლებიც ითხოვენ, ისწავლებოდეს გარკვეული ენა, რომელიც პრინციპში შემოთავაზებულია განათლების სისტემის მიერ. ფაქტობრივად, ეს ადგენს სარგებლიანობის ზღურბლს, რომელიც მოიაზრება, როგორც ადმინისტრაციულად მიღებული, მაგრამ საბოლოო ეტაპზე დამოკიდებული უნდა იყოს პოლიტიკურ მოსაზრებებზე. კვირაში საათების მოცულობა, რომელიც მოქმედებს სერვისის მასწავლებლის პირობებზე, აგრეთვე მოცულია. თუ მასწავლებლებს (განსაკუთრებით კონკრეტული ენობრივი სახესხვაობის მასწავლებლებს) მუშაობა უწევთ რამდენიმე სკოლაში, ეს დაკისრებული მობილურობა გათვალისწინებული უნდა იქნეს და ენების სწავლების რესურსცენტრები უნდა იქნეს უზრუნველყოფილი მეზობელი სკოლების ჯგუფებისათვის.
- ენის გამოცდების ადგილი: თუ ენების ცოდნა (ეროვნული, რეგიონული, უცხოური, და მისთ.) არ ფასდება ეროვნულ გამოცდებით (სავალდებულო სკოლის ან (ზედა) საშუალო განათლების ბოლოს, უნივერსიტეტის მისაღების გამოცდებით და ა. შ.), შესაძლებელია ეს განიხილებოდეს, როგორც მეორადი მნიშვნელობის და უგულვებელყოფილი შემსწავლელების მიერ. თუ არ არის ენის გამოცდები ან ენებში გამოცდები, შემსწავლელებს შესაძლებელია მოეთხოვოთ მათი უნარების

დემონსტრირება ენების სპეციფიკური სერტიფიკატების მიღებით, რომელთაც ვგთავაზობენ უფლებამოსილი ორგანიზაციები.

ეს და სხვა მრავალი ორგანიზაციული პრობლემა შესაძლებელია აფერხებდეს უფრო მეტად მოქნილი მრავალენოვანი სწავლების შემოღებას, რომელიც უკეთესად შეესაბამება შემსწავლელის ენობრივ რეპერტუარებს, მაგრამ მნიშვნელოვანია, არ დაიკარგოს ის ფაქტი, რომ არსობრივად ისინი არიან პოლიტიკური ხასიათისა, რადგანაც, საბოლოოდ, ისინი დამოკიდებულია საბიუჯეტო ან ფინანსურ არჩევანზე, რაც, თავის მხრივ, დამოკიდებულია პრიორიტეტებზე, რომლებსაც საზოგადოება მიაკუთვნებს ენის სწავლებას, როგორც ევროპული კულტურული სივრცის შექმნის საშუალებას.

6. 2. 3. მასწავლებელთა როლის გამრავალფეროვნება

მასწავლებელთა პროფილი, რომლებიც ჩართულია მრავალენოვან განათლებაში, საჭიროებს ხელახალ განსაზღვრას, საბოლოო შედეგის და კატეგორიის საკითხების (რომლებიც მასწავლებლებთან და მათ წარმომადგენლებთან მოლაპარაკების საგანი) წინასწარ განსჯის გარეშე, რასაც ეს წარმოშობს.

ამჟამად, ენის მასწავლებლები იყოფიან რამდენიმე კატეგორიად:

- უფროს მასწავლებლები, სავალდებულო სკოლის მასწავლებლები, ასისტანტები, მკვიდრი მოლაპარაკე ექსპერტები, ლექტორები (ეს ბოლო ხშირად მკვიდრი მოლაპარაკეები არიან)
- არამკვიდრი მოლაპარაკეები, მკვიდრი მოლაპარაკეები, რომლებიც შეზღუდული დროით ასწავლიან (მასწავლებელთა გაცვლები, მაგალითად), რეზიდენტი მკვიდრი მოლაპარაკეები, დროებითი რეზიდენტი მკვიდრი მოლაპარაკეები, მისთ.

უფრო მეტიც, ენის მასწავლებელთა პასუხისმგებლობა არ არის მხოლოდ პედაგოგიური: ისინი ხშირად აწეობენ არაპროგრამულ დონისძიებებს, როგორცაა კორესპონდენცია მოსწავლეებთან, რომლებიც ლაპარაკობენ სხვა ენებზე, ენის სწავლების გასვლები, თეატრალური დონისძიებები, შეჯიბრებები, ისევე როგორც კვლევები და საერთაშორისო პროგრამების მართვა, სასწავლო ჯგუფები და სხვ. ალბათ სასარგებლო იქნებოდა ამ სხვადასხვა ფუნქციების დადგენა - საგანმანათლებლო, ინსტიტუციონალური, კულტურული და კულტურათაშორისი - მათი გათვალისწინება ოფიციალურად მასწავლებელთა მოვალეობებში, რადგანაც ამჟამად ეს ხშირად ტარდება ნებაყოფლობით საფუძველზე, თუმცა რაც ფაქტიურად მნიშვნელოვანია ენის სწავლების პროგრამების თავისუფლად მუშაობაში. სასურველი იქნებოდა, რომ სხვადასხვა მოვალეობები შესაძლებელი ყოფილიყო განაწილებულიყო სკოლაში ცვალებადი პროფილების მქონე სხვადასხვა მასწავლებლებს შორის, ვიდრე უბრალოდ მართვა ხდებოდა ენა-ენით საფუძველზე.

მასწავლებლის პროფილების გამრავალფეროვნება აგრეთვე ეხება სწავლების კომპეტენციებს: ენების ტრადიციული დაყოფა სკოლაში ხშირად იწვევს კონკრეტული სწავლების მოდელის უპირატესობას: ერთი ენის მასწავლებელი (ინგლისური, გერმანული, ესპანური და ა. შ.). თუმცა, მრავალენოვანი განათლება გულისხმობს კომპეტენციისა და ცოდნის გადაცემის შესაძლებლობას ერთი ენიდან მეორეზე და ამის გამო გვირჩევს მასწავლებელთათვის სხვადასხვა პროფილების განვითარებას, რომელთაც უნდა ჰქონდეთ ლინგვისტური გამოცდილების სფერო და პოტენციალი, ასწავლონ მასალის უფრო ფართო რანგი. იმ მასწავლებლებთან დამატებით, რომელთაც გავლილი აქვთ სწავლება და დახელოვნებულნი არიან ერთი უცხო ენის სწავლებაში (შესაბამისი ლიტერატურის ჩათვლით), აგრეთვე უნდა იყვნენ ნასწავლი მასწავლებლები, რომ ასწავლონ:

- ორი ან მეტი “უცხო” ენის სახესხვაობა (სხვადასხვა დონეზე);
- ეროვნული სახესხვაობა (ლიტერატურის ჩათვლით) და უცხოური სახესხვაობა (კერძოდ ახლად ჩამოსული მოსახლეობების სახესხვაობების ჩათვლით);
- თანამედროვე ენა და ერთი ან მეტი კლასიკური ენები (მაგალითად ლათინური);
- ენა და ჰუმანიტარული საგანი (როგორცაა ისტორია ან ფილოსოფია);
- ენა და საბუნებისმეტყველო საგანი;
- ენა და ტექნიკური ან პროფესიული საგანი;
- ენა და ხელოვნების ან სპორტული დისციპლინა და მისთ.

როგორც პასუხი საგნების გამრავალფეროვნებაზე, შესაძლებელია აგრეთვე იყოს სპეციალიზებული მასწავლებლები (უკვე რამდენიმე არსებობს):

- გაცვლითი მასწავლებლები (მშობლიური ენის მასწავლებელი, ვინც იმ ენას ასწავლის როგორც უცხო ენას საზღვარგარეთ; მათი სპეციფიკური როლი არ უნდა განისაზღვროს მარტივად კოლეგის შენაცვლების ფარგლებში);
- ლექტორები, ასისტენტები და მისთ.
- ინდივიდუალური მასწავლებლები თვითსწავლისთვის, დისტანციური სწავლისთვის, და მისთ. ორგანიზაციებისათვის (რომელთა მოწინავე შემსწავლელი ამ როლს შეასრულებდნენ სხვა შემსწავლელისათვის)
- უცხო ენის მოლაპარაკეები, რომლებიც არ არიან მასწავლებლები, დროებით მოქმედებენ როგორც რესურსის პიროვნებები
- მასწავლებლები, რომლებიც პასუხისმგებელი არიან საერთაშორისო ურთიერთობებზე
- მასწავლებელი, რომლებიც პასუხისმგებელი არიან სკოლებში და უშუალო გარემოში ნაკლებად ხშირად მოწოდებული ენის ხელშეწყობაზე, პასუხისმგებელი კოლეგების, მშობლების, მომხმარებლების, ბიზნესისა და ენობრივი განათლების პოლიტიკის საკითხებზე სხვაზე ინფორმირებულობის გაზრდაზე.
- შემდგომი განათლების მასწავლებლები, რომლებიც პასუხისმგებელი არიან საგანმანათლებლო კვლევისა და შეფასების კოორდინირებაზე
- მასწავლებლები, რომლებიც პასუხისმგებელი არიან სასწავლო მასალის მოხმარებაზე და შექმნაზე (კერძოდ ციფრული) მასალისა და კომპიუტერის ოთახის კოორდინირებული მართვა, ტექნიკურ შტატთან თანამშრომლობით, და მისთ.

თითოეულმა განათლების სისტემამ უნდა დაადგინოს მასწავლებელთა ყველაზე სათანადო ტიპები რათა განხორციელდეს მრავალენოვანი სწავლება, სათანადო ყურადღების მიქცევით მასწავლებელთა გუნდების შექმნის საკითხისადმი, რომლებიც პასუხისმგებელი არიან ენებზე, სილაბუსების დადგენაზე, შემსწავლელების დახმარებაზე, სახელმძღვანელოების არჩევაზე და მისთ, ორგანიზაციების კონკრეტული ავტონომიური სტატუსის შესაბამისად.

6. 2. 4. პედაგოგიური ინოვაციის სტიმულირება, მართვა და შეფასება

მრავალენოვანი პროექტი აგრეთვე მოითხოვს კურსების ორგანიზების ახალი მეთოდების შექმნას. მრავალენოვანი განათლება კვეთს ჩვეულებრივ საზღვრებს საგნებს შორის, სწავლების ჩვეულ რიტმს და საგანმანათლებლო ციკლის ჩვეულებრივ სტრუქტურას და თუნდაც თვით სკოლას. მისი ეტაპობრივი განხორციელება მოითხოვს ადმინისტრირებაში კოლექტიურ შემოქმედებითობას, შედეგის განსაზღვრას (ცხრილებისა და პროგრამების შექმნას), და თავის მხრივ სწავლების “გზებში“.

ამის გამო მრავალენოვნების კულტურა შესაძლებელია შემოვიდეს ზუსტად დადგენილი სასწავლო ჯგუფების შექმნით ვალდებულებებით (კერძოდ სპეციფიკაციები და განრიგები), რომელიც ხალხს უყრის თავს განათლების სამყაროში, რომლებიც ჩვეულებრივ ახლო კონტაქტში არ არიან ერთსა და იმავე მიზნებთან და პროექტებთან: ადმინისტრაციული შტატი და მასწავლებლები, მასწავლებლები სკოლებიდან და სხვა საგანმანათლებლო ორგანიზაციებიდან, მასწავლებლები სისტემის სხვადასხვა დონეებიდან, ენის მასწავლებლები და სხვა საგნების მასწავლებლები, ოფიციალური ენობრივი სახესხვაობების მასწავლებლები და სხვა სახესხვაობების მასწავლებლები, სხვადასხვა უცხოური სახესხვაობების მასწავლებლები და ა. შ.

მასწავლებელთა გუნდები უნდა მოძრაობდნენ ჩვეულებრივი თემატურად ორგანიზებული, მულტიდისციპლინური მიდგომის მიღმა (ერთი და იმავე საგნის სხვადასხვა საგნების მიერ სწავლება). შეიძლება მათ აგრეთვე საქმე ჰქონდეთ კითხვებთან შემდეგის თაობაზე:

- სწავლების მეთოდები კომპეტენციის მიხედვით
- თვითმმართველი სწავლა და მეცადინეობა ამისათვის

- კომპეტენციისა და ცოდნის გადაცემის გზები ერთი ლინგვისტური სახესხვაობიდან მეორეზე
- ენის უნარების სწავლებასა და კულტურული უნარების სწავლებას შორის დამოკიდებულება
- ენის კურსების განვითარება (ენების მიდგომა გამრავალფეროვნებული მეთოდით) რომელიც აკმაყოფილებს რეგიონული საზოგადოებების და ეროვნული მოთხოვნილებების მოლოდინს

სასურველი იქნებოდა ამ სფეროებში უნივერსიტეტის გუნდებთან კონტაქტი. საფუძვლებზე კვლევის მონაცემები შესაძლებელი იქნებოდა შეფასებულიყო ადმინისტრაციული, აკადემიური და პოლიტიკური ავტორიტეტების მიერ, რათა შეფასებულიყო მათი განათლების ორგანიზაციებში განხორციელების მიზანშეწონილობა, თუნდაც ექსპერიმენტულ საფუძველზე.

მრავალენოვანი კულტურის შექმნა აგრეთვე მოიცავს კოლექტიურ კვლევას იმაზე, თუ როგორ შეიძლება მისი პრაქტიკაში დანერგვა კონკრეტულ ადგილზე. ეს არ არის სავსებით ადმინისტრაციული საკითხი, არამედ აგრეთვე მოითხოვს მენტალიტეტის გარდაქმნას ენის სწავლების რეორგანიზაციაში. მისი განხორციელება შეუძლებელია პოლიტიკური უწყვეტობის, საშუალო ან ხანგრძლივი დაფინანსების და რეფორმების განრიგის გარეშე, რაც საშუალებას იძლევა შეფასდეს განხორციელება და დადგინდეს მისი კულტურული და სოციალური სარგებელი.

6. 3. სწავლება / სწავლის სწორსაზოვანი კოორდინირება და ენის უზრუნველყოფა განათლების სისტემებში და განათლების ორგანიზაციებში

მრავალენოვანი განათლების განვითარება და მენეჯმენტი არის მრავალრიცხოვანი საგანმანათლებლო ინსტიტუტების საკითხი, მხოლოდ არა ეროვნული განათლების სისტემა, რადგანაც საგანმანათლებლო რესურსები შესაძლებელია ხელმისაწვდომი იყოს ისეთ ადგილებში, სადაც ლეგალური სტატუსი შეიძლება იცვლებოდეს, და რადგანაც ასეთი განათლება არის სიცოცხლის ბოლომდე. ამის გამო შესაძლებელი უნდა იყოს საშუალებები პასუხობდნენ საგანმანათლებლო მოთხოვნებს განათლების სხვადასხვა ეტაპზე, მხოლოდ არა სავალდებულო ან (ზედა) საშუალო სკოლაში. თუნდაც ეროვნული ან რეგიონული განათლების სისტემების ფარგლებში, განათლების სამინისტრო აუცილებლად არ აკონტროლებს ყველა საგანმანათლებლო სექტორს: ზოგიერთი მათგანი შესაძლებელი გაკონტროლდეს ადგილობრივი ავტორიტეტების მიერ (როგორცაა სკოლამდელი აღზრდის სექტორი, ICSED¹ დონე 0) ან რეგიონული ავტორიტეტების მიერ (მაგალითად, პროფესიული განათლების სექტორი, ICSED 3 ან 4). უნივერსიტეტები როგორც წესი ექვემდებარებიან სპეციფიკურ სამინისტროს და აგრეთვე სარგებლობენ შიდა ავტონომიის სპეციფიკური ფორმებით.

ასეთი მრავალენოვანი განათლების შემოტანისთვის ერთერთი წინაპირობა დგინდება და აკავშირებს ყველა ენის მასწავლებელს, ყველა ინსტიტუტებში, თუ ეს არ არის აკრძალული სპეციფიკური ჯგუფებისათვის. მოცემული უნდა იყოს ინფორმაცია ხელმისაწვდომობის პირობებზე და ფუნქციონირებაზე, კურსები დადგენილი, მომხმარებლებისთვის რჩევები მიცემული და სილაბუსები დადგენილი (გამოცდილების დონეების კალიბრირებით, უნარებითა და სერტიფიცირებით). ასეთი კავშირები უნდა შეიქმნას ადგილობრივად, მაგრამ უნდა იყოს ეროვნულად კოორდინირებული.

განათლების სისტემებისათვის, ეს ნიშნავს ენების მოწოდების ორგანიზებას, არა სექტორ-სექტორით საფუძველზე ადმინისტრაციული მიზეზის მიხედვით, არამედ ცვალებადი ხანგრძლივობისა და სირთულის კურსების შექმნით, რაც ითვალისწინებს მსწავლელის შესაძლო ან სასურველი პროგრესირების გზებს დაწყებითი სკოლიდან უნივერსიტეტამდე და მის გარეთ, მათი საწყისი ენობრივი რეპერტუარის და ლინგვისტური მისწრაფებების მიხედვით, რომლებიც სავარაუდოდ იცვლება დროთა განმავლობაში. ეს თანხვედრა შესაძლებელია მოიცავდეს საერთო მასწავლებლის ტრენინგს, სასწავლო მასალის კოორდინირებულ განვითარებას, რომელიც შესაძლებელია გამოყენებული იყოს რამდენიმე ენობრივი სახესხვაობისთვის, საჯარო

დაფინანსებას (მაგალითად რომელიც დამოკიდებული იქნება ტექნიკურ და ხარისხის კონტროლზე) ასოციაციებისათვის, პატარა და საშუალო ბიზნესებისათვის, ადგილობრივი ავტორიტეტებისათვის, კერძო სკოლებისათვის, რომლებიც გთავაზობენ ტრენინგს სახესხვაობებში, რომლებად ნაკლებად გავრცელებულია და ნაკლებად ისწავლება.

ენობრივი განათლების პოლიტიკის განვითარება თავის მხრივ შეიძლება მოიცავდეს ინსტიტუტებსა და დეპარტამენტებს, რომელთა მუშაობაც არაადექვატურად კოორდინირებულია. ენობრივი პოლიტიკა და ენობრივი განათლების პოლიტიკა არიან საკანონმდებლო, საგანმანათლებლო, კულტურული, სოციალური, ეკონომიკური და თუნდაც დიპლომატიური საკითხები (ეს ბოლო ქვეყნებისათვის, რომელთაც კულტურული ინსტიტუტები აქვთ საზღვარგარეთ (ინსტიტუტები, კულტურული ცენტრები, სპეციალიზებული ორგანოები, როგორცაა ბრიტანეთის საკონსულო და გოეთეს ინსტიტუტი და ა. შ.). გადაწყვეტილების მიღების პროცესი შესაძლებელია მოიცავდეს ეროვნულ პარლამენტს, რეგიონულ ასამბლეებს, ეროვნულ თუ რეგიონულ სამინისტროებს, ადგილობრივად არჩეულ წარმომადგენლებს, ადმინისტრაციულ და განათლების ოფიცრებს (მაგალითად საგანმანათლებლო ინსპექტორებს), უფროსი მასწავლებლებს, და ა. შ. ასეთი გადაწყვეტილების მიმღები არხები იწვევენ ისეთ ღონისძიებებს, რომლებიც ცალსახად არ ემთხვევიან ენის სწავლება / სწავლის მოქმედების მეთოდს.

მნიშვნელოვანი მოთხოვნა არის რომ მრავალენოვანი განათლება უნდა მოისაზრებოდეს მისი მთლიანობიდან და მომხმარებლებისათვის მისი უწყვეტობის ფარგლებში. ეროვნული კოორდინატორის პოსტი ენობრივი პოლიტიკისათვის შესაძლებელია შეიქმნას უმაღლეს დონეზე ისეთი მოვალეობებით, როგორცაა კოორდინირება და ენის სწავლებაში ჩართული ყველა ინსტიტუტების ერთიანობის უზრუნველყოფა. სხვა პოსტები და ორგანოები შესაძლებელია შეიქმნას წვერი სახელმწიფოს პოლიტიკური და ადმინისტრაციული ტრადიციების მიხედვით. მათი ძირითადი მიზანი უნდა იქნებოდეს უფრო მეტ ხედვას ენის სწავლებისა და მისი კოორდინირებისათვის, მაგალითად ადგილობრივი სააგენტოების მეშვეობით.

მნიშვნელოვანია შემსწავლელებისა და მოზრდილების მოყვანა სკოლებისა და უნივერსიტეტების ხელმისაწვდომობით ზოგადი საჯარო და სკოლების შექმნისათვის, უნივერსიტეტებისა და სხვა საგანმანათლებლო ორგანიზაციებისათვის, რომლებიც ერთმანეთს ისე შევსება, რომ უზრუნველყოფთ, რომ მრავალენოვანი განათლება არ არის სრულიად დაქვემდებარებული საბაზრო ძალებზე. ასეთი კოორდინირება, რომელიც უზრუნველყოფდა დამაკმაყოფილებელ ინდივიდუალურ სასწავლო მეთოდებს, შესაძლებელია ზემოქმედებული იყოს თითოეული სკოლის დონეზე (მასწავლებელთა ჯგუფის გუნდების მიერ) ან მეზობელი სკოლების ჯგუფით, მუნიციპალურ დონეზე (განსაკუთრებით დიდ ქალაქებში) ან მუნიციპალიტეტების ჯგუფებს შორის, ან რეგიონულ საზღვრებში, რომელიც შესაძლებელია უკეთესად ემთხვეოდეს რეგიონულ, ემიგრანტთა თუ სასაზღვრო საზოგადოებების არსებობას. ყველა სახის ენის სწავლების დაკავშირება ამოცნობად სასწავლო მეთოდებში არის მრავალენოვანი განათლების ფუნდამენტური მახასიათებელი.

6. 4. ენის სწავლების გაერთიანება

სასწავლო პროგრამები ტრადიციულად იქმნება, როგორც საგნების ნაკრებები, რომლებიც საკმაოდ ფართოდ შეესაბამება აკადემიურ ციკლს, მაგრამ იმ საგნების მცირე ურთიერთკავშირით. შემსწავლელები თავად რჩებიან კავშირების შესაქმნელად და იშვიათად ასე აკეთებენ თავისით. მეოცე საუკუნის დასაწყისში, საგნების ინტეგრირების მეთოდის ათვისება დაიწყო დაწყებითმა განათლებამ (სადაც ხშირად არის მხოლოდ ერთი მასწავლებელი). სიტუაცია არსობრივად რჩება უცვლელი ენების სწავლებასთან დაკავშირებით, სადაც ეროვნული ენა, უცხო ენები და რეგიონული და შთამომავლობის ენები (რომლებიც ხშირად არიან არჩევითი ან არ არის შეტანილი პროგრამაში) ისწავლება როგორც დამოუკიდებელი საგნები. ამასთან, ერთადერთი შესამჩნევი გამონაკლისი არის უცხო სახესხვაობის გამოყენება როგორც სხვა საგნების სწავლების ენა. ასეთი ორენოვანი პროგრამები ერთ უცხოურ სახესხვაობას საშუალებას აძლევს

შესწავლილი იყოს კომპეტენციის მაღალ დონეზე, მაგრამ ძირითადად პატარა ადგილს უტოვებენ სხვების დასაუფლებლად.

ასეთი დანაწილება იწვევს ენებზე ყალბ წარმოდგენებს, რადგანაც თითოეულის დაუფლება არის წარმოდგენილი როგორც სხვების დაუფლებასთან კონკურენტული: ეროვნული/ოფიციალური სახესხვაობები სავალდებულო დაწყებითი თუ საშუალო განათლების ყველა ეტაპზე, მაშინ როცა დანარჩენები არჩევითია სხვადასხვა მეთოდით და ეს იწვევს ენების იერარქიის შემოტანას, იმ წყობის მიხედვით, რომლითაც ისინი შემოაქვთ (პირველი ენა, მეორე ენა და ა. შ.) რაც აძლიერებს ენობრივი სახესხვაობების სავარაუდო სარგებლიანობის სოციალურ წარმოდგენებს.

მრავალენოვანი განათლება ეყრდნობა კონტრასტულ საგანმანათლებლო პრინციპს, კერძოდ იმას, რომ ახალი ენობრივი სახესხვაობის დაუფლება ეყრდნობა უნარებს და სავარაუდოდ ცოდნას, რომლებიც განვითარდა სხვა სახესხვაობების ადრეული შექმნის პერიოდში. ასეთი უნარები (ანუ ტექსტის კითხვის უნარი) და ცოდნა (ანუ რუსულში ლათინური წარმოშობის სიტყვების ამოცნობის უნარი) შესაძლებელია გადავიდეს ერთი სახესხვაობიდან მეორეზე სწავლების მიდგომით, რომელიც მათ უფრო მოიხმარს, ვიდრე იგნორირებს მათ. ეს მოდგომა არ გულისხმობს მიმდინარე სასკოლო საგნების უგულვებელყოფას ახალი, უფრო ბუნდოვანი, ვერბალური კომუნიკაციის საგნების სასარგებლოდ, არამედ უბრალოდ გვიჩვენებს, რომ ეს საგნები და არალინგვისტური საგნები უნდა იყოს ჰარმონიზებული და გარკვეულ დონეზე ერთმანეთთან დაკავშირებული.

შესაბამისი ენობრივი სახესხვაობების მიხედვით ჰარმონიზაციის სხვა შესაძლო საშუალებების გამოკვების გარეშე, რეკომენდებულია სხვა მეთოდები, რომლებშიც სასწავლო პროგრამა შესაძლებელია იყოს უფრო თავსებადი და დაკავშირებული: ასეთი სინქრონული კავშირები უკვე რეკომენდებული იყო ბევრჯერ უცხო სახესხვაობებთან დაკავშირებით, სადაც ისინი უფრო მისაღებია მასწავლებლებისათვის. ეს აგრეთვე ძალიან სასურველია ეროვნულ/ოფიციალურ სახესხვაობებსა და სხვებს შორის სწავლებაში, მაგრამ ამის შეწინააღმდეგება სავარაუდოდ უნდა იყოს უფრო ძლიერი, იდენტურობაში სკოლის ენის როლის და ამ ტერიტორიაზე განათლების ტრადიციების ფასეულობის გამო. რეკომენდებულია შემდეგი შესაძლებლობები:

- ყველა ენების სწავლებაში ენების შესახებ ინფორმირებულობის გარკვეული ელემენტების ჩართვა რათა უზენოთ, თუ რა საერთოა ყველა ბუნებრივი ენის ფუნქციონირებაში. ეს შესაძლებელია სასარგებლოდ იქნეს შეთავაზებული სკოლამდელ და დაწყებით განათლებაში, როგორც ენის სწავლების დასაწყისი და მეთოდი, რომელიც შემსწავლელებს გააცნობს მათი ენობრივი სახესხვაობების ბუნებას, ყველა ბავშვების პირველი ენის შეფასებას და შეწინააღმდეგება ლინგვისტურ აკვიტებულ აზრებს
- ენების წავლების მიზნების სპექტრის მკაფიოდ დადგენა (იხ. ქვემოთ);
- სასწავლო პროგრამის შედგენა ფიქსირებულ და უნარებისა და გამოცდილების უნარების დონეების ფარგლებში ენების იმ დებულებების საფუძველზე, რომლებიც შედის ენების საბაზისო საერთო ევროპულ პროგრამაში;
- საერთო მეთოდების ხელშეწყობა, რომლებიც განისაზღვრება უნარებით (კერძოდ საკომუნიკაციო უნარები), გამოყენებადი ყველა ენობრივი სახესხვაობისათვის: სტრატეგიები წერითი სისტემების სწავლებისთვის, ეროვნულ და შთამომავლობის ენაზე წაკითხვის გაგების სწავლება / სწავლა, პირველ ენაზე და სხვა სახესხვაობებზე ანალიტიკური დონისძიებები, ზეპირმეტყველების გაგების მიდგომები, რომლებიც მაგალითად ეყრდნობა სატელევიზიო პროგრამებს ეროვნულ და რეგიონულ ენაზე და ა. შ. სწავლების მეთოდების ასეთი ჰარმონიზაცია არის მრავალენოვანი განათლების ბირთვი;
- შემსწავლელის ტრანსვერსალური კომპეტენციის გააქტიურება, ზუსტად განსაზღვრული სწავლის სტრატეგიებით, განსაკუთრებით ავტონომიურ სწავლებაში მეცადინეობით, განხილული და ნასწავლი, როგორც ძირითადი უნარი;
- დაუფლების სტრატეგიების სწავლა იმ ენობრივი სახესხვაობებზე გვერდის ავლით, რომლებიც მოცემულ პროგრამაში მკაფიოდ არ ისწავლება: რამდენიმე ენის გამოყენება მონაცვლეობით ზეპირ ურთიერთობაში, ენის სისტემების შედარება (ენის აღწერების დაპირისპირება და ლაპარაკის ფორმები და მისთ.);

- გარკვეულ დონეზე ჰარმონიზება, თუნდაც სწავლებაში გამოყენებული ტერმინოლოგია (ენობრივი დონისძიებების სახელები), ენების აღწერები (კონცეფციები და კატეგორიზაციები), ეროვნული/ოფიციალური და სხვა სახესხვაობების გრამატიკული აღწერების შედარება და სხვა სახესხვაობებისთვის მათი ერთმანეთთან შედარება;

- შეფასების მეთოდების ჰარმონიზება;

ასეთი ჰარმონიზაცია შესაძლებელია იწვევდეს ლინგვისტურად და კულტურულად დაკავშირებული რამდენიმე ენობრივი სახესხვაობის (რომაული ენები და ლათინური) ერთდროულ ან პარალელურ შესწავლას, მაგრამ შეზღუდული რამდენიმე უნარით (ანუ წაკითხულის გაგება, მეტყველების გაგება).

ენის სწავლების ინტეგრირებული მენეჯმენტი აგრეთვე შესაძლებელია ენებსა და სხვა საგნებს შორის დამოკიდებულებაში. მაგალითად, ლიტერატურის სწავლას ესაჭიროება შემოიფარგლებოდეს ეროვნული ლიტერატურით, მაგრამ შესაძლებელია შეიცავდეს ევროპული ლიტერატურის შესავალს (თარგმნილი ან ორიგინალურ ენაზე). ეს განსაკუთრებით მიზანშეწონილი იქნება, როდესაც ის მოიცავს ძირითად ევროპულ პერიოდებს (აღორძინებას, რომანტიკას, სიურეალიზმს და მისთ.). პოეზიის თარგმნა არის მეორე იდეალური სფერო, რომ შევისწავლოთ ენასა და ლიტერატურას შორის ურთიერთდამოკიდებულება, ისევე როგორც დრამა. ისტორია და საზოგადოების სოციოლოგიური და ეკონომიკური შესწავლა (ისეთი საგნის ფარგლებში, როგორცაა გეოგრაფია) არის კულტურათაშორისი კონტაქტის ძირითადი სფეროები ეროვნული შეხედულებების შექმნაში და აგრეთვე განხილული უნდა იყოს კულტურათაშორისი განათლების თვალსაზრისითაც. სხვა მრავალი საგანი შესაძლებელია მოიცავდეს იმ ენობრივი სახესხვაობების გამოყენებასა და სწავლება/სწავლას, რომლებიც განსხვავდება სკოლის ენისაგან, განსაკუთრებით პროექტებში, პრობლემების გადაწყვეტაში, მოდელირებასა და თამაშებში, რამდენადაც შესაძლებელია ღონისძიებებს ხელი შეუწყოს განათლების სისტემამ, როგორცაა სასწავლო მოგზაურობები, სკოლების ურთიერთ-გაცვლები, დაძმობილება, სპორტული ვარჯიშები და შეჯიბრებები, საერთაშორისო სოციალური ღონისძიებები (ახალგაზრდული შრომითი ბანაკები, თანამშრომლობის პროგრამები განვითარებად ქვეყნებში, არქეოლოგიური გათხრები, ეკოლოგიური შრომითი ბანაკები და მისთ.).

ენის სწავლების ზოგად განათლებასთან ინტეგრირების ერთი ბოლო გზა არის სხვადასხვა ენების სწავლება სხვა ენაზე: ეს შეიძლება იყოს ეროვნული/ოფიციალური სახესხვაობა, რომელიც განსხვავდება ჩვეულებრივისაგან, ან იმისაგან, რომელიც აღიარებულია კონკრეტულ რეგიონში (მრავალენოვანი ფედერალური სახელმწიფოს შემთხვევაში) ან რეგიონული, უმცირესობათა ან უცხოური სახესხვაობები. ეს საკითხი უკვე განხილული იყო რამდენიმეჯერ; აქ უბრალოდ მიუვებრუნდებით იმას, რასაც ასეთი სწავლების ორგანიზება მოითხოვს:

- საგნის მასწავლებლები, რომელთაც ნასწავლი აქვთ ენები ან ენის მასწავლებლები, რომელთაც ნასწავლი აქვთ საგანი, რომლებიც ჯერ ისევე იშვიათობაა და რომელთა განათლების სისტემა უნდა ფოკუსირდებოდეს ტრენინგზე
- სასწავლო გუნდები (კოორდინირებისათვის და შესრულებისათვის, გუნდის ყველა წევრისაგან წვლილის შეტანის ჩათვლით პირისპირ შეხვედრებისას), რომლებშიც თითოეული ინდივიდის როლი (ენის მასწავლებლები, საგნის მასწავლებლები) ნათლად უნდა დადგინდეს.
- უცხოურ სახესხვაობებში გამოყენებული სახელმძღვანელოები, რომლებიც ალბათ უნდა დამზადდნენ თვით ქვეყანაში, რადგანაც სხვა განათლების სისტემებიდან ნათხოვნი სახელმძღვანელოები (სადაც ისინი დაწერილია ეროვნულ ენაზე) შესაძლებელია არ იყოს ლინგვისტურად შესაბამისი, შესაძლებელია მოიცავდეს განსხვავებულ სილაბუსებს და მოიცავდნენ განსხვავებულ სწავლების მიდგომებს. სულ ბოლოს, მნიშვნელოვანია სასწავლო თეორიების შესწავლა, რადგანაც ისინი ერთმანეთთან დაკავშირდებიან.
- მომავალი სწავლის თანმიმდევრულობა (საშუალოდან საუნივერსიტეტო განათლებაამდე, უცხოეთის ორგანიზაციებთან თანამშრომლობით) იმისათვის, რომ საგნის სწავლება სხვა ენაზე არ არის იზოლირებული ეპიზოდი.

როდესაც მიიღება გადაწყვეტილება თუ რომელი საგნები უნდა ვასწავლოთ სკოლის ენისაგან განსხვავებულ სახესხვაობაზე, მნიშვნელოვანია გადავხედოთ ენობრივი სახესხ-

ვაობების სოციალურ იერარქიას და ფუნქციებს, რომლებსაც ისინი ასრულებენ ჯგუფურ რეპერტუარებში საგნების სოციალურ იერარქიასთან კავშირში (მათი როლი საგანმანათლებლო შერჩევაში) და მათი როლი სოციალიზაციასა და მიკუთვნების გრძნობის ჩამოყალიბებაში, იმისათვის რომ აცილებული იყოს მაგალითად ინგლისური, რომელიც სისტემატურად აირჩევა ბიოლოგიისათვის და იტალიური მუსიკისათვის.

6. 5. გამრავალფეროვნებული სწავლების მეთოდის შექმნა

მრავალენოვანი განათლების დაგეგმვა არის ხანგრძლივი საკითხი შემსწავლელთათვის: თუნდაც მათი სკოლის წლების განმავლობაში, მათ უნდა შეეძლოთ აირჩიონ არა მხოლოდ ერთი ენობრივი სახესხვაობა დასაუფლებლად, არამედ მიმართულება, რომელშიც გარკვეული საგნების სწავლა ერთიმეორეს მოსდევს. ასეთი მიმართულებების მნიშვნელოვანი მახასიათებელი არის ის, რომ მათ საშუალება უნდა მისცენ ენის სახესხვაობებს და ამ სახესხვაობებში უნარებს, ისინი განხილულნი იყვნენ თანმიმდევრობით, სხვაგვარად ისინი განხილულნი იქნებოდნენ კონკრეტულ ეტაპზე იზოლირებულად. ამან შესაძლებელი უნდა გახადოს შემსწავლელებს დაეხმაროს შეინარჩუნონ ენებისადმი მათი მოტივაცია, რამდენადაც სხვადასხვა ენებს განხილავენ ცვალებადი მიზნების მიხედვით და სწავლება/სწავლის გზები ყოველთვის იდენტური არ არის.

მრავალენოვანი სწავლების ორგანიზების ეს გზა უკვე აღწერილია *ენების საბაზისო საერთო ევროპული პროგრამაში* (თავი 8, განსაკუთრებით 8.3), რომელიც აგრეთვე მის განხორციელებას ხდის შესაძლებელს. სხვა ფაქტორებს შორის, ის ეფუძნება ეტაპობრივ შემდგომ შემოტანას:

- ენობრივი სახესხვაობები;
- (სპეციფიკურ) უნარები, რომლებიც ნასწავლია იმ სახესხვაობებზე (მაგალითად, გაგება საწყის ფაზაზე და შემდგომ ზეპირი ურთიერთობა);
- სხვადასხვა სასწავლო ფორმატები (ინტენსიური კურსები, საზრვარგარეთ რეზიდენტული კურსები);
- სწავლებისა და სწავლის ალტერნატიული სახეობები (ანუ პირისპირ შეხვედრა მასწავლებელთან და თვით-მართული სწავლა გარე ენების რესურსცენტრში, მაგალითად).

6. 5. 1. სწავლებისა და სწავლის ალტერნატიული ტიპები

სოციალური შეხედულება ენის სწავლებაზე დომინირებულია სწავლების აკადემიური ტიპებით: ამ პრიორიტეტის პრეზენტაცია მასწავლებლის მიერ წინასწარგანსაზღვრული პერიოდისათვის ჯგუფისათვის (კლასის ან კურსის ფორმით) ან კერძო მასწავლებელი, რომელიც ასწავლის ერთ მოსწავლეს (ამის თანამედროვე ფორმა არის ინდივიდუალური კერძო გაკვეთილები). თვით-ინსტრუქტაჟი არის ნაკლებად გავრცელებული, მაგრამ ხშირად იღებს დისტანციური სწავლების ფორმას). უფრო მეტიც, ინსტიტუტები ხშირად არ ითვალისწინებენ ინდივიდუალურ, არა-აკადემიურ სწავლებას ან სწავლებას, რომელიც ხდება ნებისმიერი განათლების სისტემის გარეთ, ამასთანავე ევროპული ენების პორტფოლიო ახლა ახორციელებს ამ უკმარისობის აღიარებას. როდესაც ხდება ენის სწავლების დაგეგმვა გამოყენებული უნდა იყოს ენების დაუფლებისა და სწავლების ყველა შესაძლო მეთოდი.

6.5.1.1. ავტონომიური ენის სწავლების ცენტრალურობა

უპირველეს ყოვლისა, ენის დაუფლება არის ინდივიდუალური, ავტონომიური სწავლის პროდუქტი სწავლების გარეთ, ორგანიზებული საგანმანათლებლო ორგანიზაციის მიერ (ეს არის კერძოდ სიმართლე ზეპირი და გაგების უნარების შემთხვევაში): ადამიანისთვის დამახასიათებელია ენობრივი სახესხვაობების ათვისება. ასეთი დაუფლება, რომელიც ეყრდნობა ენის შესაძლებლობებს, შესაძლებელია ხდებოდეს რაიმე გარკვეული სწავლებისაგან დამოუკიდებლად ხანგრძლივი კონტაქტითა და ურთიერთობით უცნობი ენობრივი სახესხვაობების მოლაპარაკებთან. სწავლება არის ინსტი-

ტუციონალიზაცია იმისა, რასაც ხშირად უწოდებენ როგორც *ბუნებრივი* დაუფლება. ეს არანაირად არ ნიშნავს, რომ ეს არის მხოლოდ ერთადერთი გზა სწავლისა ან რომ ის უფრო ეფექტურია, ვიდრე სხვები: უბრალოდ აღნიშნულია, რომ სწავლებისათვის სასარგებლო იქნებოდა სწავლის ამ ტიპის აღიარება, ასეთი ლინგვისტური გამოცდილების კაპიტალიზაცია და შემსწავლელის უნარის ისწავლოს მარტო თვით-ინსტრუქტაჟით დახმარება, უფრო მეტად დახვეწით.

შემსწავლელების ავტონომიურად გახდომა ამის გამო უნდა იყოს მრავალენოვანი განათლების კომპონენტი ენის სწავლებაში, მიუხედავად სახესხვაობისა, უნარებისა, მიზნებისა და ა. შ. ეს არ გამორიცხავს დახმარებით თვითინსტრუქტაჟის შესაძლებლობის დაგეგმვას (ენის რესურსების ან დისტანციური სწავლების ცენტრებში, ინდივიდუალური მასწავლებლების დახმარებით: იხ. ქვემოთ). ასეთი ავტონომია მოითხოვს სულ მცირე გარკვეული ტიპის ასახვით სწავლება / სწავლას, რომელსაც ყველა საგნის მასწავლებელი უნდა ეხმარებოდეს.

შემსწავლელის პერსონალური ენის დაუფლებისადმი ასეთი ყურადღება აგრეთვე მოიცავს ისეთი გზების შექმნას, რომელიც მას ჩართავს ინსტიტუციონალურ განათლებაში ისე, რომ გათვალისწინებული იყოს:

- ენის სწავლება, რომელსაც ადგილი აქვს პირდაპირი სწავლის გარეთ, მაგრამ მის პარალელურად: მედიის ხელმისაწვდომობის გამოყენება (ტელევიზორი, პრესა, ინტერნეტი და ა. შ.) მისი ხელმძღვანელობით და მისი, როგორც კვლევის საგნად მიღებით, დაკვირვება, ინფორმაციის შეგროვება და ა. შ. ამ ტიპის ღონისძიებები, რომლებიც არიან სწავლების ნაკლებად აკადემიურად ჩამოყალიბების შესაძლო მეთოდები, და რომლებიც მოიცავენ ამოცანების დასმას, შეგროვებული ინფორმაციის გაზიარებასა და გამოყენებას და მისთ. ისინი შესაძლებელს ხდიან ენობრივი სახესხვაობის უპირატესობით ისარგებლონ, რომელიც ხელმისაწვდომია კონკრეტულ ადგილზე: მედია, ენობრივი კომუნიკაციები და ა. შ.
- ენების დაუფლება ქვეყანაში, სადაც სამიზნე ენაზე ლაპარაკობენ სწავლების გარეშე: აქ მიზანია ასეთი გამოცდილებისათვის მომზადება და გამოყენება სკოლაში თვით-შესწავლაში წინასწარ მომზადებით, სასწავლო დღიურის წარმოებით (რომლებშიც შთაბეჭდილებები, პრობლემები, გაგების სტრატეგიები, კულტურათაშორისი შეხედულებები და მისთ. ჩაინიშნება), ენის სტრუქტურირება, და თვით-შეფასება იმისა, რაც ნასწავლია, და მისთ.
- ენობრივი სახესხვაობების ურთიერთ სწავლება არა-ექსპერტი მოლაპარაკეების მიერ (ტანდემში/წყვილებში, პირისპირ ან ინტერნეტით, ცოდნის გაცვლის კლუბებში და მისთ.), განსაკუთრებით ერთმანეთის პირველი სახესხვაობის სწავლა

სრულიად პედაგოგიური საკითხი, რომელიც უნდა განიხილებოდეს აქ არის ასეთი ავტონომიური ინდივიდუალური გამოცდილების და ინსტიტუციონალური სწავლების კოორდინირება და კერძოდ თუ როგორ ითვალისწინებენ საგანმანათლებლო ინსტიტუტები ავტონომიურ სწავლას.

6. 5. 1. 2. ენის გაკვეთილები სკოლაში: საკლასო სწავლება

ენის კლასები (ან ენის გაკვეთილები) ახლა სწავლების დომინანტური ფორმაა. ისინი კლასიფიცირდება შემსწავლელთა ჯგუფისთვის სწავლების პრეზენტაციური სტილით საგანმანათლებლო ორგანიზაციაში რიტმის სქემის მიხედვით (ხანგრძლივობა და დროის განრიგი, დაგეგმილი წლიურად ან სემესტრულად).

ეს დომინანტური ფორმა, ამასთანავე, ყველაზე შეზღუდულია, რომელიც მოითხოვს მასწავლებლის და მოსწავლეების ყოფნას დადგენილ ადგილზე რაც შეიძლება გულისხმობდეს, რომ შემსწავლელები უნდა გადაადგილდნენ, დაგეგმონ დრო, და მისთ. ეს არის ენის სწავლის აკადემიურად გახდის ყველაზე თვალსაჩინო გზა, რადგანაც ის აერთიანებს ენის სწავლებას სხვა საგნების სწავლებასთან, თუმცა ენის სწავლება შესაძლებელია იყოს მიმდინარე. სახესხვაობები და მათი სწავლება/სწავლის ეტაპები, რომლისთვისაც სწავლების ეს ფორმა უნდა დაცული იყოს ან გამოყენებული, როგორც სასურველი ფორმა გამოსაკვლევადა.

ასეთი სიხისტის მიუხედავად, ენის სწავლება შესაძლებელია რეგულირებული იყოს სწავლების სასურველ ფორმად. ისე, როგორც შემსწავლელთა ჯგუფებია ორგანიზებული, ამჟამად (წლიური) კლასის ჯგუფი ან ნაკადი, შესაძლებელია იცვლებოდეს. გარკვეული ინსტიტუციონალური მოქნილობა შესაძლებელია შემოტანილი იყოს ჯგუფის მიხედვით:

- შედგება კლასის-ჯგუფისაგან, იმის გათვალისწინებით, თუ რა არის მოფიქრებული, როგორც შემსწავლელთა ოპტიმალურ რიცხვად ეფექტური სწავლისთვის (ნახევარ კლასიანო ჯგუფები, ქვეჯგუფები და მისთ.). თუმცა ეს ძვირადღირებული სასწავლო საათების ფარგლებში (პარალელური ჯგუფები). პატარა ჯგუფის სწავლება შესაძლებელია მოიცავდეს მხოლოდ რამდენიმე შემსწავლელს და მიკუთვნებული ყავდეს ასისტენტი და არა მასწავლებელი;
- არის დიდი მაგალითად უნივერსიტეტში: მეთოდოლოგიური შედეგი არის ავტონომიური სწავლის გაზრდილი მნიშვნელობა, რომელიც შესაძლებელია ორგანიზებული იყოს კლასში, ალბათ სამიზნე სახესხვაობის ანალიტიკური, აღწერითი პრეზენტაციით და მისი საუბრის ფორმებით (საუბრის წესები მაგალითად). მეორე შესაძლებლობა არის დიდი და პატარა ჯგუფების მონაცვლეობა;
- ორგანიზებულია სკოლის კონტექსტში, დონისა/ან ენის შესაბამისად და ამის გამო იყოფა კლასი-ჯგუფის სტრუქტურად, ძირითადი სწავლების განრიგის გარეთ ჩართვით;
- შედგება სხვადასხვა სკოლებიდან შემსწავლელების ჯგუფებისაგან (სადაც მოსახერხებელია ბავშვების ერთად შეკრება).
კლასი-ჯგუფის არჩევანი შესაძლებელს ხდის შევინარჩუნოთ გარკვეული საკლასო ოთახები ენის სწავლებისთვის: მატერიალური პირობები, რომელშიც სწავლებას აქვს ადგილი, თამაშობს როლს იმაში, თუ როგორ აღიქვამენ მის მნიშვნელობას. მისი ღირებულებისა და ჯგუფის ორგანიზების გაზრდის უგულვებლყოფით ენის სწავლების (და სხვა საგნების სწავლების) საგანმანათლებლო ორგანიზაციებში ხელმისაწვდომი ტექნიკური საშუალებები არიან აგრეთვე სწავლების მოდულირებული სწავლების ერთ-ერთი წინაპირობა. სწავლების მეთოდების მრავალფეროვნებას აგრეთვე ხელს უწყობს მატერიალური და ტექნიკური რესურსები, როგორიცაა:
 - სრულიად ადჭურვილი ბიბლიოთეკა, მულტიმედიის საშუალებების ჩათვლით;
 - დოკუმენტალური რესურს ცენტრი;
 - ენის ლაბორატორია (თუნდაც ინდივიდუალური მაგნიტოფონების ფორმით);
 - ტელევიზორები ან სატელევიზიო ლაბორატორიები (სხვადასხვა არხები, ვიდეო ჩანაწერების საშუალებებით და მისთ.);
 - ოთახები ინტერნეტის საშუალებებით;
 - სხვადასხვა დანიშნულების ოთახები (კინოსთვის და თეატრი).

6. 5. 1. 3. საკლასო სწავლება ჰომოფონურ გარემოში

ენების შესაძლებელია ისწავლებოდეს ადგილებში, სადაც სამიზნე ენაზე ჩვეულებრივ ლაპარაკობენ ან ლაპარაკობს უმრავლესობა (ცნობილი როგორც *ჰომოფონური* სწავლის გარემო). ფორმალური სწავლება შესაძლებელია იყოს ორგანიზებული, რომ გაძლიერდეს ინდივიდუალური / თვითმართული სწავლა, რასაც აქვს ადგილი. სწავლება/სწავლის ეს ორმაგი ტიპი მოიაზრება როგორც სასარგებლო და მოტივირებადი შემსწავლელებისათვის. მიუხედავად ამისა ის მოითხოვს ხანდახან მნიშვნელოვან დაფინანსებას (დარჩენის, სწავლების ფასი, და მისთ.), რაც მიღებული უნდა იყოს შემსწავლელებისა ან მათი ოჯახების მიერ ან დაფინანსდეს კოლექტიურად (სკოლის, ასოციაციის ან ადგილობრივი ავტორიტეტების მიერ და მისთ.). ინსტიტუციონალური კონტექსტი აგრეთვე მოითხოვება, რომელიც ასეთ ვიზიტებს აძლევს ლეგალურ და ინსტიტუციონალურ სტატუსს.

სასწავლო ვიზიტები შესაძლებელია შესაძლებელია იყოს მოკლე (ერთ-კვირიანი) ან ხანგრძლივი (რამდენიმე წელი, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს კულტურული ადაპტაცია და რე-ადაპტირების პრობლემები). ისინი შესაძლოა იყოს ინდივიდუალური (სასწავლო გრანტები) ან მოიცავდეს ჯგუფებს. ის ხშირად არის კლასის ჯგუფი, რომელიც მიდის

გაცვლით ვიზიტებზე დაძმობილებული ქალაქების, რეგიონების ან ორგანიზაციების (სკოლები, უნივერსიტეტის დეპარტამენტები, კომპანიები) ფარგლებში.

გარე სწავლების ეს სახეობა საშუალებას იძლევა სამიზნე სახესხვაობის ზემოქმედების ქვეშ მოხვდეთ, და ამავე დროს ახალი საგანმანათლებლო გამოცდილების საშუალებას, რაც უნდა განისაზღვროს და იქნეს მხარდაჭერილი. ჯგუფი შესაძლებელია წავიდეს თავის მასწავლებელთან (მასწავლებლებთან) ერთად, მაგრამ გაცვლის საგანმანათლებლო ღირებულების თვალსაზრისით, შეუერთდნენ არსებულ კლასებს ჩამოსვლისას. ეს ნიშნავს ენობრივი სახესხვაობის გაკვეთილებს, რომლებსაც ასწავლიან როგორც ეროვნულ სახესხვაობას (უცხო სახესხვაობა შემსწავლელებისათვის), კლასები სხვა საგნებში (ისე, რომ სამიზნე სახესხვაობა გახდეს სწავლების ენა) ან სასწავლო ღონისძიებები, როგორცაა აღმოჩენის კლასები (შთამომავლობა, სპორტი და მისთ.), სადაც კონტექსტი ჯგუფის პროექტის კონტექსტი ხდება.

საგანმანათლებლო გამოცდილების სხვა სახეობაა, როცა ენობრივი სახესხვაობის სწავლება მიმდინარეობს მკვიდრი მასწავლებლების მიერ, რომელიც სპეციალიზებულია სახესხვაობის, როგორც უცხო ენის სწავლებაში. ეს სახეობა შესაძლებელია მოიცავდეს იმისგან ძალიან განსხვავებული სწავლების მეთოდების გამოყენებას, რომლებსაც მიხევეული არიან შემსწავლელები. მათ მაგალითად შეუძლიათ გრამატიკაზე დაფუძნებული მეთოდებიდან გადავიდნენ მეთოდებზე, რომლებშიც შემსწავლელები საკმაოდ ჩართული არიან ჯგუფური ღონისძიებებით ან შემოქმედებითი სავარჯიშოებით. აქედან გამომდინარე, სწავლებას ჰომოფონურ გარემოში აქვს ძალიან დიდი პოტენციალი მეთოდოლოგიური სიახლისაკენ, ის რაც ყურადღებით უნდა იყოს მოგვარებული (განსაკუთრებით იქ, სადაც ჩართული არიან შემსწავლელების საერთაშორისო ჯგუფები, რომელთაგანაც ზოგიერთი მათგანი უფრო ადვილად ადაპტირდება, ვიდრე სხვები სწავლების უცნობ მეთოდებთან), იმისათვის, რათა გადაილახოს ბარიერები და შეიქმნას პოზიტიური გამოცდილება სწავლება / სწავლის სხვა ფორმებისათვის. ეს არის საგანმანათლებლო კულტურის ტალღა, რომელსაც მასწავლებლებმა და იმ ინსტიტუტებმა, რომლებიც ასეთ ვიზიტებს აწყობენ, უნდა დაუთმონ ყურადღება.

ასეთი ვიზიტები აგრეთვე იძლევიან აღმოჩენის, საწყისი მოტივაციის დასაბუთების, ან სწავლის დასასრულის გამოცდილების ტიპის გამოცდილების საშუალებას, რაც გზას უხსნის პროფესიული დახელოვნების განათლებას (საზღვარგარეთ): კომპანიისშიდა პრაქტიკა, საუნივერსიტეტო ტრენინგი (როგორც წესი უმაღლეს დონეზე) და ასე შემდეგ. ისინი იძლევიან მნიშვნელოვან მრავალენოვანი რეპერტუარის გავრცელების შესაძლებლობას, რადგანაც მათ მრავალენოვანი უნარები მოყავთ მოქმედებაში რეალური კომუნიკაციით და შემსწავლელებს ათავსებენ ათავსებენ სხვა კულტურებთან კონტაქტში (ახალი საგანმანათლებლო კულტურების ჩათვლით).

6. 5. 1. 4. თვითმიმართული სწავლება

ზოგიერთი ენის სწავლება შესაძლებელია ხელმისაწვდომი იყოს სხვა გზით, რომელიც განსხვავდება ჯგუფური სწავლებისაგან და ეყრდნობა მსწავლელის ავტონომიას, ანუ უნარი პასუხისმგებლობა აიღოს ვინმეს სწავლაზე. შემსწავლელები გააზრებულად განსაზღვრავენ მათი კურსის ხანგრძლივობას (და სიხშირეს), მის ძირითად დანიშნულებას და ზუსტ მიზნებს (რომელი ენობრივი სახესხვაობა, რომელი უნარები), სწავლების მიმართულებები და მეთოდოლოგიები, განსაზღვრული როგორც მიზანშეწონილი, შეფასების მეთოდები და მისთ.

ენობრივი სახესხვაობის სწავლის ეს გზა განსაკუთრებით მიზანშეწონილია სწავლება / სწავლის მიმართულებების შესაქმნელად, რადგანაც ის შესაძლებელია ადვილად დაიგეგმოს განათლების სისტემებში: კლასის-ჯგუფის გარეთ, ყოველკვირეული განრიგის გარეთ, აკადემიური წლის გარეთ და მისთ. მიუხედავად ამისა, შემსწავლელებმა უნდა უჩვენონ თუ როგორ ისარგებლონ ამ ტიპის ენის სწავლისაგან, რომელიც არის სკოლის შემდგომი ენის დაუფლების ძირითადი საშუალება, თუ არ არის დარღვევა. ეს შესაძლებელი უნდა იყოს სწავლის გარემოს შექმნით, რომელიც მათ საჭირო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის საშუალებას მისცემს და მოიცავს ადეკვატურ ტექნოლოგიებსა და საგანმანათლებლო რესურსებს.

ასეთი სტრუქტურების შექმნა თვითინსტრუქტაჟისათვის (ხშირად ცნობილი როგორც ენის რესურს ცენტრები) მოითხოვს უძრავ ქონებაში ინვესტირებას, მასალებსა და შტატს (ადმინისტრირებისათვის, სწავლებისა და ინფორმაციისათვის), მაგრამ შემდეგ ცენტრებს აქვთ გადაცემის ფუნქცია - ისინი შესაძლებელია საზიარო იყოს რამდენიმე სასწავლო ორგანიზაციისათვის, ზოგიერთი კომპანიისთვის, და მისთ. - რამაც ისინი შესაძლებელია გახადოს სიცოცხლისუნარიანი შუა პერიოდში.

ტექნიკური გადაწყვეტილებები, რომლებიც გათვალისწინებული უნდა იყოს:

- ენობრივი სახესხვაობები რომლებიც შესაძლებელია შეისწავლონ (ადრე მოცულისაგან განსხვავებული, ნაცნობი სახესხვაობების დაუფლების გაგრძელება);
- როგორ უნდა შეირჩეს შეთავაზებული მასალა, როგორ კლასიფიცირდეს და მიიღწეს (სარწმუნო მასალები, ენის მეთოდები, ხელმისაწვდომი როგორც ეროვნული, ასევე უცხოური გამოცემებისაგან, სპეციფიკური სასწავლო მასალის შექმნა და ა. შ.);
- თუ როგორ განიხილავენ სწავლის სწავლებას (ინდივიდუალური მასწავლებლები, თავისუფალი სარგებლობა);
- სწავლის დახმარება: მარტივად დასწრების რეგისტრირება, შეძლებისდაგვარად მოთხოვნის შესაბამისად კონსულტაციები, რეგულარული კონსულტაციები პერიოდული შეხვედრებით და გარე შეფასება ტანდემში თვითშეფასებით;
- სასწავლო მიმართულებების განლაგება;
- მასალების ტიპები (ქაღალდი, ხმა, სიდი რომები, ვიდეო, ციფრული და მისთ.), მიუხედავად იმისა ახლავს თუ არა ინსტრუქციები; ენის გამოცდების ან იმ გამოცდების მოდულების მომზადება, რომელიც მოიცავს ენის ტესტებს, ტესტების ხელმისაწვდომობა სპეციფიკური დონეებისათვის;
- ხელმისაწვდომობის პირობები: საათები, ჩაწერები და სხვ.

ამ ტიპის სწავლება საკმაოდ ფართოდ იყო გამოყენებული ოცი წლის განმავლობაში: ამის გამო საკმაოდ კოლექტიური გამოცდილება არის, რაც საშუალებას იძლევა დადგინდეს პრობლემები და შესაძლო გადაწყვეტილებები, რომელთა გადატანაც შესაძლებელია.

6. 5. 1. 5. დისტანციური სწავლება

დისტანციური სწავლება მოიცავს გარკვეულ თვითმიმართულ სწავლებას, მაგრამ როგორც წესი შემსწავლელს ზედამხედველობას უწევენ საკმაოდ მკაცრად სასწავლო მასალით. აქამდე ეს ძალიან ცოტათი გამოიყენებოდა ენის სწავლებაში, კერძოდ ადრეულ დონეებზე და ზეპირ უნარებში (განსაკუთრებით ურთიერთობა). ქაღალდზე მასალები იყო მხოლოდ ერთადერთი საშუალება და ალბათ ნაკლებად მოტივირებული. არსებობს აგრეთვე რადიო გადაცემები (განსაკუთრებით ადგილობრივ დონეზე), რომლებიც ისევე ფართოდ გამოიყენება, რადგანაც ისინი არ არის ძვირი და საშუალებას იძლევა საკმაოდ ადვილად იურთიერთონ შემსწავლელმა და სასწავლო ცენტრმა. სწავლება ტელევიზორის საშუალებით შესაძლებელია იყოს მოტივაციური, მაგრამ არის ძალიან ძვირი, თუ არ არის ადგილობრივი სასწავლო შუალედების ფუნქციონირება შესაძლებელი. ინტერნეტის რესურსები პერსპექტიულია, რადგანაც ისინი აერთიანებენ ზემოთ მოყვანილ რესურსებს და აგრეთვე იძლევა ურთიერთობის საშუალებას: ეს იძლევა ინდივიდუალიზებულ სწავლების საშუალებას რეალურ დროში ან სხვაგვარად. დისტანციური სწავლების ცენტრები შესაძლებელია დაუკავშირდნენ რესურს ცენტრს.

დისტანციური სწავლება ტრადიციულად გამოიყენება, რათა სწავლის საშუალება მიეცეს იმ შემსწავლელებს, რომლებიც არიან შორს მაცხოვრებელი, გაბნეული დიდ ტერიტორიაზე, არამობილური აუდიენციები და ხალხი რომელიც მუშაობს, მაგრამ დისტანციური სწავლების უზრუნველყოფა სპეციალიზებული კომპანიების და განათლების სისტემების მიერ, ხდება უფრო ფართოდ გავრცელებული, როგორც ჩვეულებრივი ტიპის სწავლა (ონლაინ უნივერსიტეტები მაგალითად). სწავლების ეს გზა სასარგებლოდ შეიძლება გამოყენებული იყოს განათლების უზრუნველსაყოფად ენობრივ სახესხვაობებში, რომელზეც არის ნაკლები მოთხოვნა, განსაკუთრებით რეგიონულ თუ

მიგრანტების სახესხვაობებზე, რომლებიც შესაძლებელია აინტერესებდეთ შემსწავლელებს, რომლებიც გაბნეულნი არიან, მაგრამ რომელთაც დაკავშირება შესაძლებელია ამგვარად. ისინი განსაკუთრებული ინტერესის საგანია ასეთი საზოგადოებებისთვის, რომელთაც შეუძლიათ პასუხისმგებლობის აღება ასეთ სწავლაზე განათლების სისტემის ფარგლებში ან მის გარეთ იმისათვის, რომ გაიზარდოს მათი პროფილი, და რომ შეეცადონ დაეხმარონ მათი ენობრივი სახესხვაობის გადაცემას.

სწავლება/სწავლის ეს სხვადასხვა ფორმები იძლევა ერთი და იგივე ან სხვადასხვა სახესხვაობების სწავლის ალტერნატიულ მეთოდებს, რომელთაც შეუძლიათ ინდივიდუალური მოქმედების სქემის გააქტიურების საშუალებას. სასურველი არ არის სწავლების კონკრეტული ფორმა აპრიორი დაემთხვეს განათლებაში კონკრეტულ ეტაპს. ასეთი არჩევანები უნდა განხორციელდეს განათლების სიტუაციების მახასიათებლების მიხედვით. მნიშვნელოვანია ის, რომ სკოლები, შემსწავლელები და საზოგადოება უნდა აღიარებდეს სწავლების ამ ფორმების ლეგიტიმურობას და რომ ათვისების არა-აკადემიური ან არატრადიციული საშუალებები მჭიდროდ უნდა კოორდინირდებოდეს ტრადიციულ სწავლებასთან.

6. 5. 2. სწავლების ფორმატების ადაპტირება

სწავლების სხვადასხვა გზების პარალელურად არიან სწავლების ფორმატები, რომლებიც უფრო ცნობილია სასწავლო პროგრამების შემქმნელებისათვის. ფაქტორი, რომელიც შეიძლება, რომ დარეგულირდეს განხილული იქნება მოკლედ. იმისათვის, რომ შეიქმნას სწავლება, რომელიც ადვილს უქმნის რამდენიმე ენობრივ სახესხვაობას ერთდროულად, უნდა განხორციელდეს რეგულირება:

- თითოეული ენობრივი სახესხვაობისთვის (საკლასო ან სწავლის საათების მიხედვით) სწავლების დროის საერთო რაოდენობა, ყოველი განათლების ორგანიზაციის მიერ საათების მოცულობის მინიჭება მისი საკუთარი კრიტერიუმების და ფარგლების მიხედვით (სასწავლო ციკლით ერთზე მეტი წლის ჩათვლით). საათების ეს განაწილება განსაზღვრავს სამიზნე ობიექტებს უნარებსა და გამოცდილების დონეებთან დაკავშირებით იმ კომპეტენციებში. მიზნები შესაძლებელია ზუსტად დადგინდეს, და სკოლებს და მათ მასწავლებლებს დარჩეთ გადასაწყვეტად რამდენი საათი დასჭირდება შემსწავლელებს მათ მისაღწევად;
- სწავლების ხანგრძლივობა და სიხშირე, განსაზღვრული მოკლე ციკლების მიხედვით: ძირითადი კლასის ხანგრძლივობა, კლასების რაოდენობა კვირაში. სიხშირემ შედეგად უნდა მოგვცეს კლასები, რომლებიც არიან სწავლების დროის ერთეულების მონაკვეთები, რამაც შემსწავლელებს უნდა დაეხმაროს შეინარჩუნონ ფოკუსი;
- ხანგრძლივობა და სიხშირე, რომელიც შესაძლებელია დარეგულირდეს შემსწავლელების ასაკის ან დაუფლებული ცოდნის დონის მიხედვით. კლასები შესაძლებელია შეიქმნას იგივე მეთოდით, რათა შეიქმნას საბაზისო წერტილი შემსწავლელებისათვის, ან პირიქით, გამრავალფეროვანდეს (უნარებისა და სწავლების დონისძიებების მიხედვით), ისე, რომ შეიქმნას მეთოდოლოგიური სახესხვაობა;
- ხანგრძლივი პერიოდები (თვე, პერიოდი, სემესტრი, წელი), რომლების აუცილებელი არ არის დაიგეგმოს ერთგვაროვნად: ინტენსიური ფაზები (რამდენიმე საათი ერთ დღეს ან მოკლე პერიოდში) შესაძლებელია შეიცვალოს არაინტენსიური ფაზებით სწავლების მიდგომებით, რომლებიც შეესაბამება განსხვავებებს ტემპში (ინტენსიური ალოფონურ გარემოში დარჩენისათვის და არაინტენსიური თვით-ინსტრუქტირებისათვის მაგალითად). სიხშირე აუცილებელი არ არის იყოს რეგულარული: გარკვეული დროები შესაძლებელია იყოს უპირატესი, როგორცაა გვიანი დილა, საღამო, კვირის ბოლო, არდადეგები და ა. შ.

მრავალფეროვანი მენეჯმენტის ეს ტიპი (თვითმომსახურების კლასიდან წელიწადის-ხანგრძლივობის კლასებამდე) ყოველთვის თავსებადი არ არის განათლების სისტემების მოთხოვნებთან, განსაკუთრებით სხვა საგნების ფარგლების რეგულირების გამო. მიუხედავად ამისა, ის შესაძლებელია შემოვიდეს, იმ გზების გამრავალფეროვნებაზე

ზემოქმედებით, რომელშიც ენის სწავლება წარმოდგენილია განათლებაში და სხვადასხვა მდებარეობებით, სადაც ტარდება მეცადინეობები.

6. 5. 3. იმ გზების ადაპტირება, რომელშიც ენის სწავლება წარმოდგენილია განათლებაში

კვლავ არსებობს მოსაზრება, ვცვალოთ ენის სწავლება ისე, როგორც ეს ტარდებოდა მრავალი წლის განმავლობაში. მისი სკოლის ან უნივერსიტეტის სასწავლო პროგრამაში არსებობის ბუნების პერსპექტივიდან, ენის სწავლება შეიძლება იყოს:

- შეზღუდული სპეციალიზებული უნივერსიტეტის ინსტიტუტები, მაგალითად, ან ხელმისაწვდომი მხოლოდ უცხოურ კულტურულ ორგანიზაციებში, ამ სახესხვაობების საშუალო განათლებაში სწავლების რაიმე ლიცენზიის გარეშე. ასეთი ლოკალიზაცია შესაძლებელია სათანადო იყოს იმ ენობრივი სახესხვაობებისათვის, რომლებზეც ნაკლები მოთხოვნაა, რადგანაც ასეთი სწავლება აგრეთვე შესაძლებელია იმ ხალხისთვის, რომელთაც უბრალოდ სურთ ისწავლონ ახალი ენა, რომელსაც ისინი თვლიან როგორც მომხიბლავად;
- შემოთავაზებული ექსპერიმენტულად ან როგორც საპილოტე სქემა საშუალო ან სავალდებულო განათლებაში და შემოფარგლული რამდენიმე სკოლით (თითოეულ რეგიონში, სოციალური მოთხოვნის მიხედვით და მისთ.). ეს შესაძლებელია იყოს გარკვეული ტიპის შესავალი, რომელიც შემდეგ შეთავაზებული იქნება ყველგან;
- შეთავაზებული, როგორც „სავსებით“ არჩევითი: კურსი, რომელიც არ ყოფილა შეფასებული ან მხოლოდ ნაწილობრივ ფასდება და არ არის ჩასმული სასწავლო პროგრამაში, შესაძლებელია არჩეული იყოს სხვადასხვა საგნებსა ან ენებს შორის;
- შემოტანილი, როგორც სავალდებულო, მაგრამ როგორც არჩევითი, რომელიც უნდა შეირჩეს სხვადასხვა საგნებიდან ან მხოლოდ სხვადასხვა ენობრივი სახესხვაობებიდან. ეს არის კლასიკური გადაწყვეტილება და არის მოხერხებული, მაგრამ შემოაქვს დაძაბულობა ენობრივ სახესხვაობებს შორის, რადგანაც ყველა მათგანი შესაძლებელია არ იყოს არჩეული. ამან შესაძლებელია გამოიწვიოს ენების გაუფასურება, როდესაც ენებს სთავაზობენ იგივე დროს როცა საგნებს, რომლებიც მოიპოვებენ, როგორც უფრო მიმზიდველი ან უფრო ადვილი (იმ ნიშნების მიხედვით, რომლის მიღების იმედიც აქვთ შემსწავლელებს) ან უბრალოდ იქნენ შემოთავაზებული რათა შესრულდეს ენის სწავლების გამრავალფეროვნების მოთხოვნა: მოსწავლეებისათვის შემოთავაზებული არჩევანების სპექტრი უნდა შეირჩეს სათანადოდ და გამოჩნდება, რომ ზოგიერთ მათგანს ირჩევს მოსწავლეთა პატარა უმცირესობა, რაც იწვევს მის გამორიცხვას არჩევანთა სიიდან. ასეთი თანმიმდევრობითი არჩევანები ქმნიან ენობრივი სახესხვაობების იერარქიას, მაშინ როცა ის წყობა, რომლის მიხედვითაც ენობრივი სახესხვაობები წარმოდგენილია სასწავლო პროგრამაში სისტემატურად არ განსაზღვრავს სასურველი კვალიფიკაციის დონეს: როგორც უკვე აღინიშნა, გვიან ეტაპზე შემოთავაზებული ენისადმი მიზნები ყოველთვის უფრო მეტია, ვიდრე, როდესაც შემოთავაზებულია სკოლის ადრეულ წლებში ან მიზანზე, რომელიც არის უფრო მეტი გამოყოფილი სასწავლო საათი;
- შესაძლებელი, როგორც არჩევითი ან სავალდებულო სათადარიგო ვარიანტი ან მეორადი საგანი ზოგიერთი შემსწავლელისათვის ზოგიერთი ენობრივი სახესხვაობებისათვის (მიგრანტების პირველი ენა) ან მოსწავლეთა გარკვეული კატეგორიები (რომელთაც აქვთ სირთულეები, ან რომელთაც უნდათ სპეციალიზაცია);
- სავალდებულო, რომელსაც არ აქვს არჩევანის საშუალება, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სასწავლო პროგრამის ნაწილი სხვა მრავალ საგანთან ერთად. ერთი ან მეტი ენობრივი სახესხვაობა (სახესხვაობები) შესაძლებელია იყოს სავალდებულო დაწყებით, სავალდებულო საშუალო ან ზედა საშუალო (და ზოგჯერ უნივერსიტეტშიც) განათლებაში ან მხოლოდ განსაზღვრულ ციკლებში (გაგრძელების ან ახალი სახესხვაობის დაწყების საშუალებით ციკლის ბოლოსთვის). ფაქტი, რომ ასეთი საგნები არის არჩევითი, არ უნდა აბნევდეს შესაბამის შემსწავლელს. აუცილებელი არ არის არადემოკრატიული უარყოფა, რათა გათვალისწინებული იქნეს სოციალური

მოთხოვნა, რადგანაც ხალხის აზრი ყოველთვის კონსულტირებული არ არის კოლექტიურ ინტერესებზე ერთი ან მეორე საგნის სასკოლო პროგრამიდან ამოღების შესახებ. ამ ტიპის არჩევანი უნდა იყოს სოციალურ მხარეებს შორის მოლაპარაკებების შედეგი და იღებდეს სასწავლო პროგრამას, რომელიც, საბოლოო ჯამში, ითვალისწინებს ჯგუფურ მოთხოვნებს, ეროვნულ საჭიროებებს და საგანმანათლებლო მიზნებს.

სხვადასხვა მეთოდები, რომლებითაც ენები არიან წარმოდგენილი, ყველაზე ფაკულტატურიდან ყველაზე ინტეგრირებულამდე თავისი სასწავლო მოქმედების სქემით, არის განათლების სისტემების საკითხი და არ აზარალებს გვიან სწავლას, როდესაც მათი სწავლა შესაძლებელი იქნება ისე, რომ მათ ერთმანეთი არ გამოირიცხონ. ისინი შესაძლებელია გამოყენებული იყოს იგივე ენობრივ სახესხვაობაზე (რომელიც არის სავალდებულო პირველად და შემდეგ ხდება ფაკულტატური, მაგალითად) ისე, რომ გახანგრძლივდეს მრავალენოვანი უზრუნველყოფა განათლების სისტემებში.

6. 5. 4. სასწავლო ორგანიზაციების მონაცვლეობა და კავშირი

მთელ სახელმძღვანელოში, ყურადღება ეპყრობა ფაქტს, რომ არა მხოლოდ სკოლებს (სავალდებულო განათლების ფარგლებში) ან საერთაშორისო განათლების სისტემას (საექთნო სკოლიდან პროფესიული დახელოვნების და საუნივერსიტეტო განათლებამდე) ეხება მრავალენოვანი განათლება. იმისათვის რომ ორგანიზებული იყოს საგანმანათლებლო მოქმედების სქემები დაწყებით განათლებაში და მთელი ინდივიდუალური საგანმანათლებლო კარიერის განმავლობაში, მნიშვნელოვანია გაიზარდოს იმ ადგილების რიცხვი, რომლებშიც ასწავლიან და სწავლობენ ენობრივ სახესხვაობებს, და დაკავშირდნენ ეს ადგილები, რათა გამოყენებული იყოს და განვითარდეს არსებული დამატებები და შეიქმნას ახლები, რათა გაიზარდოს მრავალენოვანი განათლების უზრუნველყოფა და გამრავალფეროვანდეს მოქმედების სქემები. ამ კავშირების შექმნა რათქმა უნდა მოიცავს მრავალ პრაქტიკულ და ადმინისტრაციულ პრობლემებს (ხარისხის კონტროლი, სერტიფიცირება, და მისთ.), ფინანსურ პრობლემებს და თუნდაც იმათი პრინციპების პრობლემებს, ვინც უპირისპირდება საჯარო და კერძო განათლების დაკავშირებას მაგალითად. ადგილობრივ დონეზე ეს შესაძლებელია, ალბათ გარკვეული ფინანსური დახმარებით და ინფორმაციისა და გაცნობის კამპანიებით.

ენის სასწავლო ადგილები, რომლებიც სხვადასხვა პარტნიორობას ექვემდებარებიან, არიან:

- საზღვარგარეთი (სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ იმ ქვეყნებში, სადაც ამ ენას ლაპარაკობენ) ყველა კატეგორიის შემსწავლელებისათვის, ოჯახებისათვის, სკოლები და უნივერსიტეტები, სხვა საგანმანათლებლო ორგანიზაციები (ენის სკოლების ქსელი), ერთი ენობრივი სახესხვაობის, როგორც უცხო სახესხვაობის სპეციალიზებულ სწავლების ცენტრები, კომპანიები, სამთავრობო დეპარტამენტები, პროფესიული და კულტურული ასოციაციები, და მისთ.;
- ადგილობრივად, ძირითადი მოსახლეობისთვის ენის სწავლების ცენტრები (მშობლები, რომელთაც სურთ მათ შვილებთან ერთად დროულად ისწავლონ მაგალითად) რომლებიც არიან ეროვნული, მაგრამ არ არიან მიბმული დაწყებით ან საშუალო სკოლასთან. ისინი შესაძლებელია აგრეთვე ორგანიზებული იყოს როგორც ინფორმაციული ცენტრები (ინფორმაციის მოწოდება ენობრივი განათლების ქსელზე, ტესტებზე, გამოცდებზე, ენის პროფესიებზე, და მისთ.) და უწევენ ლინგვისტურ დახმარებას ახლად ჩამოსულ ემიგრანტებსა და ენის პრობლემების მქონე ხალხს. მათ აგრეთვე შეუძლიათ დახმარება გაუწიონ თანამედროვე საზოგადო წერილების წერაში, ოფიციალური დოკუმენტების თარგმნასა და აგრეთვე წერასთან დაკავშირებულ ადმინისტრაციულ საკითხებზე;
- მუნიციპალური ენის სკოლები, რომლებიც აგრეთვე ასწავლიან ეროვნულ სახესხვაობას უცხოურ ენას;
- უნივერსიტეტის ენის ცენტრები სტუდენტებისათვის, რომელიც შესაძლებელია აგრეთვე ღია იყოს მასწავლებლებისა და ძირითადი მოსახლეობისათვის;

- ოფიციალური უცხოური ინსტიტუტები, რომლებიც ფუნქციონირებენ ტერიტორიაზე, კულტურული ხელშეკრულებების ფარგლებში;
 - სერვისის კომპანიები, რომლებიც გვთავაზობენ მხოლოდ უცხოურ ენის განათლებას, რომლებიც გვთავაზობენ შემდგომი განათლების ფართო სპექტრს (ენების ჩათვლით), და ისინი გვთავაზობენ ენობრივ განათლებას სხვა პროდუქტებთან დამატებით (საექსკურსო ოპერატორები მაგალითად);
 - კერძო უნივერსიტეტები, რომლებიც ხშირად აქცენტირებენ ენებზე;
 - ნებაყოფლობითი ორგანიზაციების მიერ შეთავაზებული ორგანოები, რომლებიც ხშირად კონცენტრაციას აკეთებენ მოზრდილთა განათლებაზე მშობლიურ ან ეროვნულ სახესხვაობაზე;
 - პროფესიული განათლება (კორპორაციული უნივერსიტეტების ჩათვლით).
ფინანსური მხარდაჭერა შესაძლებელია გაეცეს კომპანიებს ან ასოციაციებს, რომლებიც მხარს უჭერენ ენის სწავლება/სწავლას გამრავალფეროვნებისა და მრავალენოვნების თვალსაზრისით, განსაკუთრებით სფეროებში, როგორცაა ტურიზმი, ჰუმანიტარული დახმარება, საერთაშორისო თანამშრომლობა და ახალგაზრდული ასოციაციები, ისევე როგორც „ენის ვაუჩერები“ კომპანიების თანამშრომლებისათვის. როდესაც გამოჩნდება, რომ სხვადასხვა ინსტიტუტები, რომლებიც უზრუნველყოფენ ენობრივ განათლებას, ერთმანეთს ავსებენ, საშუალებას მისცემს მოქმედების სქემები გამოიკვეთოს მაშინ როცა ის დადგინდება და, ინფორმაცია ადვილად ხელმისაწვდომი იქნება ძირითადი მოსახლეობისათვის (ქალაქის დარბაზებში, დაწყებით სკოლებსა და ბიბლიოთეკებში მაგალითად).
მდებარეობათა მრავალფეროვნება, სადაც ენები ისწავლება აგრეთვე ეხება საგანმანათლებლო ორგანიზაციებს. ზოგიერთი ორგანიზაცია ან სასწავლო კურსები შესაძლებელია სპეციალიზდებოდეს ენებში. არსებობს უკვე საგანმანათლებლო ორგანიზაციების ფართო მრავალფეროვნება, რომლებიც უზრუნველყოფენ მრავალენოვან განათლებას:
 - ენის კლასებთან დამატებით, არსებობენ ენის კლუბები ან ცენტრები სკოლებში (რომლებიც დაკავშირებული არიან ან ნაწილია საინფორმაციო ცენტრებისა ან ცნობათა ბიბლიოთეკისა, და მისთ.);
 - არიან სკოლები და კურსები, რომლებიც სპეციალიზდებიან ენებში: *ლიცეო ლინგვისტიკო* იტალიაში, *ლენგუიჯ კოლეჯი* დიდი ბრიტანეთის გაერთიანებულ სამეფოში, *ბილინგვალურ ზევიგი* გერმანიაში, „ორენოვანი სკოლები“ (ბულგარეთი, ჩეხეთის რესპუბლიკა და სხვაგან), რომელთაც აქვთ ორენოვანი, საერთაშორისო ან ევროპული სექციები (საერთაშორისო ან ჩვეულებრივ სკოლებში), სადაც ენის სწავლება გაძლიერებულია (სამი ენის სწავლება, უცხო ენა გამოყენებული, როგორც სწავლების ენა გარკვეულ საგნებში) ან უფრო გამრავალფეროვნებულია;
 - ენის სწავლების ჩართვა მრავალ-მიზნობრივ საგანმანათლებლო ორგანიზაციებში (ტექნიკური კოლეჯები, უნივერსიტეტები, სამთავრობო დეპარტამენტები, კომპანიები, ასოციაციები და მისთ.) შესაძლებელია იყოს მხარდაჭერილი;
ძირითადი ორგანიზაციული ამოცანა არის საგანმანათლებლო რესურსების დადგენა, რომლებიც ხელმისაწვდომია სხვა საგნებისთვის და აგებს ხიდს მათ შორის;
 - პარალელური სწავლების დადგენა, რომლებიც მიმართულია მოსახლეობის ერთი და იგივე წრის მიმართ ასაკის, ენებში კომპეტენციის დონის, ზოგადი განათლების დონის, საათების ხანგრძლივობისა და რაოდენობის და მისთ. მიხედვით, რამაც შესაძლებელია მოგვცეს ალტერნატივები;
 - კურსების დადგენა, რომლებიც შესაძლოა ქმნიდნენ შესაძლო სქემებს დროთა განმავლობაში: კურსების თანმიმდევრობა, რომლებიც არიან დამატებითი დონის მიხედვით (მაგალითად C1 და C2 დონის კურსები უცხო ენაზე და კულტურული ინსტიტუტები, რომლებიც არ ისწავლება სკოლებში ან გახსნილია მხოლოდ უნივერსიტეტებში სტუდენტებისათვის), კომპეტენციების ფარგლებში (მაგალითად აკადემიური კურსები საკმაოდ არადიფერენცირებული მიზნებით, ან კურსები, რომლებიც ფოკუსირდება პროფესიული ან თავისუფალი დროის საჭიროებებით): სხვადასხვა ენობრივი სახესხვაობების თანმიმდევრობა და ა. შ.
- ეს ნიშნავს ენის სწავლებისა და იმ ორგანიზაციების დაკავშირებას, რომლებიც მას გვთავაზობენ რათა შეიქმნას მასშტაბის ეფექტი და ერთობლივი საქმიანობა, თუნდაც ადგილობრივ დონეზე, დიდ ქალაქებში, კერძოდ ძირითად ურბანულ ცენტრებში. ენების უფრო მეტად გაერთიანებული მოწოდების შექმნა, გამოკვეთა იმისა, რაც არის მეორე-

არისხოვანი, ვიდრე მოეწეოს შემოთავაზებულ ენებს შორის შეჯიბრი, ალბათ უფრო ნაკლები სიხშირით შესწავლილ ენებში კურსებს უფრო ნათელს გახდის. სტრუქტურები, როგორცაა ყოვლისმომცველი მუნიციპალური სამსახურები სხვადასხვა ასოციაციებისათვის (ენების ინფორმაციული ცენტრები, რომლებიც სთავაზობენ გარკვეულ სწავლებას მშობლიურ, რეგიონულ და უცხოურ სახესხვაობებზე) პრაქტიკულად არიან კარგად მორგებული მრავალენოვანი განათლების სოციალურ მენეჯმენტთან იმით, რითაც ისინი თითოეულ ენობრივ სახესხვაობას საშუალებას მისცემდნენ ამოსულიყვნენ მათი გეტსაგან და გამხდარიყვნენ კოლექტიური უზრუნველყოფის ნაწილი. განათლების სისტემების ორგანიზაციების ასეთ კოორდინაციას ექნებოდა არა მხოლოდ ფუნქციონალური როლი (სწავლების ერთად თავმოყრა), არამედ აგრეთვე მთავარ ადგილს დაუთმობდა ენების თანაარსებობას.

6. 6. ენების სასწავლო პროგრამების ადაპტირება

ენის სწავლების ფიზიკური და სოციალური ორგანიზების პოტენციური მოქნილობა წარმოიშევა ენის სწავლების მოცულობის ახლა აღიარებული მოქნილობიდან. ენის სწავლების თეორიის სპეციალისტებს აღარ სჯერათ, რომ არის უბრალოდ ერთი გზა, რომ ასწავლო ერთი მოცულობა (ენა): ენის სწავლა არის ეტაპობრივი, დიფერენცირებული და სპეციფიკური ათვისება, რასაც მივყავართ ცოდნისა და უნარების ტიპებთან, რომელთაგანაც ყველა არის ლეგიტიმური მანამ, სანამ ისინი საშუალებას აძლევენ შემსწავლელებს, მიაღწიონ მათ მიზნებს, წაიკითხონ პრესა, ურთიერთობა იქონიონ ყოველდღიურ სიტუაციებში, გაუზიარონ შთაბეჭდილებები მეზობლებს, თავი გაასაღონ როგორც მკვიდრი მოსახლეები, უყურონ სუბტიტრებიან ფილმებს და სხვა. ენის სწავლების გამრავალფეროვნების პოტენციალი დამოკიდებულია არჩევანებზე მის მიმართ სავანამანათლებლო ორგანიზაციებში და სხვაგან დასმული მიზნების მიხედვით. ის ეყრდნობა ენის სწავლების დაყოფას უნარებად და სამიზნე დონეებად თითოეული უნარისათვის.

6. 6. 1. სამიზნე ლინგვისტური და კულტურული კომპეტენციების დიფერენცირება: ენების საბაზისო საერთო ევროპული პროგრამა

ენის ცოდნა ზოგადად აღიქმება როგორც როგორც ყოვლისმომცველი ცოდნა, რომელიც ექვემდებარება მხოლოდ დონეებს: ენის ცოდნა (ან ლაპარაკი) კარგად/ ცოტათი / ცუდად არიან ჩვეულებრივი ფორმები, რომლითაც ის ფასდება. ენის ცოდნის ეს ფორმები მოიაზრება როგორც არასრულყოფილი, თუ ისინი არ არიან შესაბამისი სახესხვაობის მკვიდრი მოლაპარაკის უნარებთან შედლებისდაგვარად ახლოს.

და პირიქით, თანამედროვე ლინგვისტური აზროვნება და თეორია აქცენტს აკეთებს იმ ფორმების მრავალფეროვნებაზე, რომლებშიც ენა შეიძლება იყოს შესწავლილი, და ცვალებადი და ინდივიდუალური ლინგვისტური რეპერტუარების არაერთგვაროვანი ბუნება. ენის სწავლება ყოველთვის ვერ დაისახავს მიზნად შექმნას ბრწყინვალე ცოდნა, რომლის მოდელი არის უფრო მეტიც, რთული დასადგენი პრაქტიკულ განზომილებებში. სრულყოფილების მიზნის უარყოფა, რომელიც იდენტურია განათლების სისტემებში მოწოდებული ყველა ენებისათვის, საშუალებას იძლევა სწავლება იყოს მრავალფეროვანი, გააცნოს შემსწავლელებს მათი მრავალენოვანი რეპერტუარები, და უზრუნველყოს ტრანსვერსალური კომპეტენციის საშუალებები და შესაძლებლობები და გააფართოვოს მათი რეპერტუარები და ინფორმირებულობა (ახალი სახესხვაობები, ახალი კომპეტენციები სახესხვაობაში, არსებულ კომპეტენციაში უფრო მაღალი დონე და მისთ.).

კონკრეტული ენის კურსის ბოლოს შემსწავლელის მოსალოდნელი შედეგი შესაძლებელია დადგინდეს უნარების ფარგლებში, რომლებიც იყენებენ ზუსტ, საერთო მაჩვენებლებს, ანუ ნასწავლი ენების მიუხედავად. ასეთი უნარების ან კომპეტენციების კომპონენტების ტიპოლოგია შესაძლებელია დამტკიცდეს ენათა ფლობის ზოგადევროპული კომპეტენციებში: სწავლა, სწავლება, შეფასება (CEFR). ეს დოკუმენტი,

რომელიც წარმოდგენილია როგორც ენების სილაბუსების დიზაინის საერთო საფუძველი, არის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი კავშირის დასამყარებლად განათლების სისტემებში და ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოების განათლების სისტემებს შორის.

ამის გამო ამ ინსტრუმენტზე გაკეთდება აღნიშვნა, რომელიც შემდგომ შესაძლებელია გამოყენებული იყოს როგორც ენის უნარების თვით-შეფასების საფუძველი, როგორც აღწერილია *ევროპული ენების პორტფოლიოში*. ენის კომპეტენცია და უნარების ელემენტები განსაზღვრულია *პროგრამაში*:

- ზეპირმეტყველება (*ლაპარაკი*, მაგალითად აუდიენციის წინაშე პრეზენტაცია);
- წერა (ტექსტის დაწერა);
- სმენითი და ვიზუალური აღქმა (ტელევიზორის ყურება, სიმღერის, ლექციისა თუ რადიოს მოსმენა და მისთ.);
- წაკითხული გაგება (კითხვის ტრადიციული გაგებით);
- მეტყველებით ურთიერთობა (საუბარში, დებატებში და მისთ. მონაწილეობის მნიშვნელობით);
- წერითი ურთიერთობა (რეალურ დროში: ინტერნეტის ჩეტ-ჯგუფები, ელ-მეილები და სხვა).

უნარები მოიცავს წერითი ან ზეპირი საუბრის შექმნის აღიარებას, რომელიც შესაძლებელია იცვლებოდეს ფორმაში და ორგანიზაციებში სხვადასხვა ენობრივ საზოგადოებებში (მისაღმების, მობოდიშების, საქმიანი წერილების სახეობები მაგალითად).

ასეთი უნარების შექმნა შესაძლებელია სტრატეგიული ტექნოლოგიების გამომუშავებით (როგორცაა ტექსტის დაგეგმვა) და ცოდნით, განსაკუთრებით გრამატიკული ცოდნით (რომელიც აგრეთვე ცნობილია როგორც *ლინგვისტური*):

- უნარები ფონეტიკასა და ინტონაციაში (ძალიან მნიშვნელოვანი ზეპირი ურთიერთობისათვის);
- ლექსიკური და სემანტიკური უნარები (*ლექსიკონი*);
- მორფოლოგიური უნარები (როგორცაა ზმნის ფორმა);
- სინტაქსური უნარები (სიტყვების კომბინაცია და მათი წყობა წინადადებაში);
- წერითი უნარები (მართლწერა).

ენის სწავლება აგრეთვე მოიცავს კულტურულ კომპეტენციებს¹, რომლებიც შესაძლებელია გამოყოთ ლინგვისტური კომპეტენციებისაგან. მაგალითად:

- უნარები და ტექნოლოგიები: ინსტრუმენტული კომპეტენცია (უცნობი გარემოს მართვის უნარი) და ინტერაქტიული კომპეტენცია (სხვებთან ვერბალური და არავერბალური ინტერაქტივის მართვის უნარი);
- აღმოჩენის უნარი: იცოდე თუ როგორ იპოვო და აითვისო სათანადო ცოდნა და ინფორმაცია კონკრეტული საზოგადოების შესახებ;
- უცნობი კულტურული, სოციალური, პოლიტიკური და მისთ. ფაქტების ინტერპრეტირების უნარი სხვისი შეხედულებიდან და სხვა საზოგადოების წევრების შეხედულებიდან (გარე პერსონალური ინტერპრეტირება და შესაბამისი სოციალური მოდერაწეების მიერ ინტერპრეტირება);
- *savoir-être* როგორც კულტურათაშორისი კომპეტენცია მისი ზუსტი გაგებით: კულტურული შოკის მართვის უნარი, შეიძინო უფრო მეტი შეხედულებები, ვიდრე ტურისტს, იყო მიუკერძოებელი, დაინახო პერსპექტივები, განავითარო ღია, ტოლერანტული დამოკიდებულება, შეასრულო კულტურული მედიატორის როლი, და მისთ.

იმისათვის, რომ შეიქმნას სილაბუსი, მნიშვნელოვანია განისაზღვროს შესაბამისი კომპეტენციები (ყველა კომპეტენცია, ზოგიერთი მათგანი, ერთი კომპეტენცია და მისთ.), მაგრამ აგრეთვე თითოეულ კომპეტენციაში სამიზნე დონე. დონეების ეს განსაზღვრება შესაძლებელი ხდება საბაზისო დონეებით, რომლებიც შემოთავაზებულია ენების საბაზისო საერთო ევროპულ პროგრამაში. ენებით საბაზისო დონეები შედგენილია ან დგება საერთო პრინციპების მიხედვით და *პროგრამასთან* შესაბამისობაში.

ამის გამო, სილაბუსებმა შესაძლოა მკაფიოდ ჩამოაყალიბონ მიზნები. ისინი შესაძლებელია განსხვავდებოდეს სხვადასხვა ენობრივი სახესხვაობებისათვის.

იმ უნარების არჩევანი, რომელიც უნდა ისწავლებოდეს და შემსწავლელების მიერ ამ უნარებში მისაღები დონე არის განათლების ოფიციალური პირების საქმე კოლექტიური გადაწყვეტილებების ფარგლებში. ამ გადაწყვეტილებების მიღება უნდა ხდებოდეს სწავლების მიზნების და ხელმისაწვდომი რესურსების საფუძველზე. (იხ. თავი 3 და 4). საერთო ელემენტები მრავალენოვანი კომპეტენციის და ენის სილაბუსების პრინციპების (კომპეტენციების ტიპები და დონეები) ორგანიზების განვითარება იქნება. ეს უმცირესი საერთო მახასიათებლები ენის სწავლებას ხდის სწორხაზოვნად თანმიმდევრულს და განათლების სისტემის სექტორებს შორის (საგანმანათლებლო ციკლები, რეგიონები, სხვადასხვა საგანმანათლებლო ორგანიზაციები და მისთ.). ცენტრალური განათლების და რეგიონულ თუ ადგილობრივ დონეზე მოღვაწე ოფიციალური პირების შესაბამის როლზე დამოკიდებულებით, საგანმანათლებლო ორგანიზაციას, შესაძლებელია მიეცეს ავტონომიის ხარისხი, იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ ორგანიზებას უწევს კურსებს, რომლებიც შემსწავლელებს საშუალებას აძლევს მიაღწიონ საერთო მიზნებს, რომლებიც დადგენილი იყო ანალიტიკურ, შეთანხმებულ, მკაფიოდ განსაზღვრულ განზომილებებში.

6. 6. 2. სწავლების შინაარსის ადაპტირება

არჩევა იმ უნარებისა, რომელიც უნდა ისწავლებოდეს და მათში მისაღწევი დონეებისა, რითაც დგება სასწავლო სილაბუსები, შესაძლებელია ეყრდნობოდეს თითოეული ენობრივი სახესხვაობიდან შემდეგს:

- ენის მოთხოვნილებები, ანუ ენის გამოყენების ფაქტიური ან პროგნოზირებადი გზები კონკრეტული ჯგუფისთვის კონკრეტულ ეტაპზე მათ საგანმანათლებლო კარიერაში
- მომხმარებლის/შემსწავლელის მოლოდინი, ვისაც სურს განავითარონ მათი რეპერტუარები კონკრეტულ უნარში ან უნარის კონკრეტულ დონეზე
- ენის სწავლების როლი სხვა საგნებთან მიმართებაში (კითხვის ტრანსვერსალური სწავლება მაგალითად)
- სასწავლო ორგანიზაციების საგანმანათლებლო მიზნები. ამ აზრით, ენის სილაბუსები მხოლოდ კომუნიკაციური მიზნების საფუძველზე არ უნდა იყოს ორგანიზებული

ეს გადაწყვეტილებები მოითხოვენ შეთანხმებასა და შუამდგომლობა სათანადო მხარეებს შორის (მომხმარებლები, მასწავლებლები, ეკონომიკური სამყარო, ნებაყოფლობითი ორგანოები, პოლიტიკური პარტიები, და მისთ.). ისინი უნდა ითვალისწინებდნენ ყველა შემსწავლელის ენის სწავლის სქემებს: ის, რაც უკვე გაკეთებული აქვთ და ის, რის გაკეთებასაც ისინი გეგმავენ, თუნდაც ხანმოკლე პერიოდში.

საბაზისო გამოკვლევა:

ნეუნერ ჯერდი, *პოლიტიკის მიდგომა ინგლისურისადმი.*

6. 6. 2. 1. ინფორმირებულობა მრავალენოვნების შესახებ: ტრანსვერსალური დამოკიდებულება

ზოგიერთი ენის კურსი შესაძლებელია არსობრივად შეიქმნას ლინგვისტური კვალიფიკაციის ასპექტებზე ფოკუსირებული მიზნების მიხედვით, მაგრამ შესაძლებელია აგრეთვე გადაწყდეს რომ ადგილი დაეთმოს საგანმანათლებლო საკითხების გაფართოებას. მაგალითად, ენის სწავლება შესაძლებელია დაუკავშირდეს ეროვნულ დონეზე დადგენილ სამოქალაქო განათლებას, ან დემოკრატიული მოქალაქეობრიობისთვის განათლებას. ეს მოიცავს ენის კურსების დაუყოვნებლივ შექმნას, როგორც ასეთი მოქალაქეობრიობის განხორციელების საშუალება (ანუ გაცვლები ევროპულ მოქალაქეებს შორის, რომლებიც იყენებენ სხვა ენობრივ სახესხვაობებს), და როგორც განათლებას, ლინგვისტური და კულტურული განსხვავებების აღიარებისთვის. ყველა ენობრივი სახესხვაობის პოტენციალის

გაცნობიერება, რაც უნდა უზენებდეს თუ როგორ პასუხობს თითოეული მათგანი ადამიანთა ვერბალური კომუნიკაციების მოთხოვნებს, და ცდილობდეს შეეწინააღმდეგოს სხვა ბგერების, აქცენტების ეჭვის თვალთ მოპყრობას ან მათ უარყოფას და ქაოტურ ქცევას, და ყველა თავის მხრივ მიზნებია.

მსგავსი მიზნები შესაძლებელია მოიცავდეს:

- წერის უკეთესი მეთოდის უნარი (წერითი სისტემა, ტექსტუალური ფორმები);
- კომუნიკაციაზე, ადამიანის ენაზე და ენაზე ფიქრის სტიმულირება;
- საერთო ლინგვისტური შთამომავლობის შემოღება;
- ვერბალური შემოქმედებითობის განვითარება;
- ვერბალური ქმნილების ესთეტიკის შემოღება და ლიტერატურის კითხვა;
- ცოდნის შექმნის კრიტიკული გამოცდის საფუძვლის უზრუნველყოფა ენებთან დაკავშირებით (ფილოსოფიისა და თანამედროვე მეცნიერების შემთხვევაში);
- სხვა საზოგადოებების ცოდნისკენ გზების გახსნა.

ამ მიზნებს იზიარებენ ენისაგან განსხვავებული საგნები და მათი განხორციელება მოითხოვს, რომ არსებული საგნები უნდა გადაისინჯოს. ეს ენის ცოდნა შესაძლებელია იყოს პედაგოგიური საქმიანობის მიზანი, რომელიც უნდა ხორციელდებოდეს ნებისმიერი მოცემული ენის სწავლისაგან დამოუკიდებლად. მიუხედავად ამისა, რჩება შემთხვევა, რომ მრავალენოვანი განათლება შესაძლებელია ინტერპრეტირებული იქნეს, როგორც ენობრივი სახესხვაობის ცოდნის მკაფიო სფეროს მიღმა მოქმედი და განიხილებოდეს უფრო უფრო ფართო საგანმანათლებლო ფარგლებში, რომელიც საშუალებას იძლევა დაინახოთ შემსწავლელი, რომელიც საშუალებას იძლევა, შემსწავლელი დანახულ იქნეს, როგორც განსხვავებული მოლაპარაკისაგან. ასეთი არჩევანი პოტენციურად მისაღებია ყველა საგანმანათლებლო კონტექსტისათვის.

6. 6. 2. 2. ენის სწავლების შინაარსი და სწავლა სავალდებულო განათლებაში

ენის სწავლების შინაარსი, რომელიც ორგანიზებულია სავალდებულო განათლების კონტექსტში წარმოადგენს სპეციფიკურ პრობლემებს. შემსწავლელის ენობრივი მოთხოვნილებები არ დადგინდება ამ ეტაპზე; შემსწავლელის მომავალი კარიერის სქემები შეუძლებელია იყოს გადამწყვეტი ფაქტორი. ამის გამო, სილაბუსების შინაარსი და სამიზნე ენის უნარები, მათი ზუსტი მნიშვნელობით, ისევე როგორც შესაბამისი საგანმანათლებლო ღონისძიებები, შესაძლებელია არჩეული იყოს მრავალი მოსაზრების საფუძველზე, რომელთა შორისაა:

- მათი სავარაუდო კომუნიკაციური სარგებლიანობა შუალედურ პერიოდში;
- მათი უახლოესი და მოკლევადიანი ღირებულება შემსწავლელთა მოტივირებისათვის;
- მათი როლი ჯგუფური პროექტების მენეჯმენტში (კლასში ან სკოლის დონეზე)
- მათი საგანმანათლებლო სარგებლიანობა (მაგალითად ისწავლო თუ როგორ უნდა სწავლა);
- მათი როლი ესთეტიკურ პრაქტიკაში;
- მათი როლი ინტელექტუალურ სწავლებაში;
- მათი როლი ერთობლიობათა ჩამოყალიბებაში;
- მათი როლი კულტურათაშორის განათლებაში;
- მათი როლი დემოკრატიული ღირებულებების განათლებაში და სოციალური ერთიანობისა და სოლიდარობის ჩამოყალიბებაში.

ზუსტი ლინგვისტური რაკურსით, შესაძლებელია ჩავთვალოთ, რომ ენის სწავლების კონტექსტში, სხვადასხვა ენობრივი უნარების განვითარებაზე მუშაობა (ერთი ლინგვისტური კომპეტენციის თვალსაზრისი) არის სასარგებლო, რაც სხვადასხვა სასწავლო ღონისძიებების ჩატარების საშუალებას იძლევა, იძლევა ენების გამოცდილებას და შეუძლია შემსწავლელებს დაეხმაროს უფრო ინფორმირებულნი გახდნენ მათი ლინგვისტური რეპერტუარების პლურინგვისტური ბუნების შესახებ.

მიუხედავად ამისა, სილაბუსები, რომლებიც ფოკუსირდებიან სხვადასხვა უნარებზე, თუნდაც ბავშვებისა და ახალგაზრდა მოზრდილთათვის სავალდებულო განათლებაში, არ უნდა ყალიბდებოდეს საბოლოოდ ყოვლის-მომცველ განათლებაში, არამედ თითოეული უნარისთვის სწავლების სპეციფიკურ ფორმებში, რომელთა დადგენა და კოორდინირება შესაძლებელია. ენის სწავლებაში დომინანტური მოდელი სავარაუდოდ ისევ რჩება სილაბუსები, რომლებიც შეიცავენ არადიფერენცირებულ უნარებს, ერთი უნარის შექმნის მიზნით: ენა. ეს არის ეს ყოვლისმომცველი მოდელი, რომ უნარის და მისი დონის მიხედვით მიდგომა, უნდა იმდებოდეს, და ამგვარად შესაძლებელი გახდეს ენის სილაბუსების გამრავალფეროვნება და სკოლაში და სკოლის შემდგომ მრავალფეროვანი ენის კურსების ორგანიზება.

6. 6. 2. 3. ენის სწავლების არსი და სწავლისა და ენის მოთხოვნები

იმ უნარის ბუნების, რომელიც უნდა ისწავლებოდეს და თითოეული სამიზნე დონის არჩევა შესაძლებელია განსაზღვრული იყოს შესაბამისი შემსწავლელის ენობრივი მოთხოვნების მიხედვით (იხ. თავი 4,2,3.). ასეთი ანალიზი შეესაბამება ყველანაირ განათლებას (სავალდებულოს ჩათვლით), მაგრამ არსობრივად ეხება მათ, რომლებიც სავალდებულო სწავლებაშია ჩართული - ენის სწავლება, რომელიც ორგანიზებულია კომპანიებში ან სამთავრობო დეპარტამენტებში, შემდგომი განათლების კონტექსტში. როგორც ეს ადრე აღვნიშნეთ, მნიშვნელოვანია ასეთი სწავლის მიზნების თანხმდებოდეს კომპანიის მენეჯერებს შორის, (შიდა და გარე) სასწავლო დეპარტამენტებსა და მათ შორის ვინც იქნება ამ სწავლის მიმღები, რათა თავიდან იქნეს აცილებული ისეთი მიზნები, რომლებიც მხოლოდ ფუნქციონალური მიმართულებებით არიან დასმული, რადგანაც შემსწავლელებს არ შეუძლიათ საკუთარი თავი აიძულონ ისწავლონ ენა, რომელსაც ძალიან მცირე გამოყენება აქვს.

ასეთ სიტუაციებთან დაკავშირებით უნდა გამოირკვეს შემდეგი კითხვები:

- გამოცდილების საწყისი დონის დაზუსტება, რომელიც პოტენციურ შემსწავლელებს საშუალებას აძლევს, ამოიცნონ ისინი;
- უფრო ფართოდ, თუ როგორ უნდა იყვნენ ეს ხალხი შერჩეულნი;
- სწავლების კომპანიის მიერ აღიარება: ბონუსები, გარკვეულ პოსტებთან ხელმისაწვდომობა, კარიერა და მისთ.;
- როლი უნდა ტარდებოდეს სწავლება / სწავლა: სამუშაო საათებში თუ თავისუფალ დროს?
- შეთავაზებული სერტიფიკატი (შიდა, გარე, ოფისის და მისთ. სერტიფიკატი).

უახლოესი მიზნები იქნება გარკვეულ ენებში გარკვეული უნარების შექმნა. ეს აუცილებელი პრიორიტეტებია, რადგანაც სწავლებისა და სწავლისადმი გამოყოფილი დრო შეზღუდულია. თუმცა, შტატის გარკვეული კატეგორიებისათვის, მაგალითად, ვინც უკვე იცის ერთი ან ორი ენა, მრავალენოვანი განათლება არის უფრო ეფექტური, რადგანაც ეს არის რამდენიმე ენაზე ურთიერთობის სწავლის საკითხი, სხვადასხვა ენობრივი სახესხვაობის მონაცვლეობითი გამოყენება ცოდნის შესავსებად.

6. 6. 2. 4. ენის სწავლების არსი და სწავლა უმაღლეს განათლებაში

უმაღლესი განათლების ინსტიტუტებს მნიშვნელოვანი როლი უკავიათ მრავალენოვანი განათლებაში, რადგანაც, როგორც ცნობილია, ეს არის ადგილი, სადაც სკოლაში ენის სავალდებულო დაუფლებიდან გადადის ენების სწავლის თავისუფალ არჩევანზე. სრულიად აუცილებელია გაგრძელდეს ენების შეთავაზება, როგორც უნივერსიტეტის განათლების ნაწილი და თუნდაც ის, რომ ენები გახდნენ მათი შემადგენელი ნაწილი, მიუხედავად იმისა, თუ რომელ საგანში სპეციალიზდება სტუდენტი.

ენის სწავლება შესაძლებელია მყარად დაინერგოს უმაღლეს განათლებაში, მაგრამ ხშირად მას უყოფენ საათების მცირე რაოდენობას და ეს მნიშვნელოვნად ეხება არა-დამწყებ დონეებს. ამის გამო მნიშვნელოვანია, რომ ძირეულად მნიშვნელოვანია, რომ

გარანტირებული იყოს ამ დონის მის წინა, საშუალო განათლების დონესთან უწყვეტობა. იმისათვის, რომ გამოვიყენოთ საათების შეზღუდული რაოდენობა სასარგებლოდ, შესაძლებელია მიზანშეწონილი იყოს კურსები განისაზღვროს უნარების მიხედვით. ასეთი სპეციფიკაცია, ისევე როგორც კურსების ფაქტობრივი შინაარსი, საკმაოდ ცვალებადი იქნება სტუდენტის მთავარი მიზნის მიხედვით: სამიზნე უნარი ერთი და იგივე არ იქნება ყველასათვის, ვინც სპეციალიზდება მათემატიკაში, ბიოლოგიაში და ქიმიაში. ამს აგრეთვე განსაზღვრავს სტუდენტის უნარების დონე მათ სპეციალიზაციაში (თუ რამდენად ესმის, კვლევა და ა. შ.). უმრავლეს შემთხვევებში, გარკვეული ადგილი შესაძლებელია დაეთმოს წაკითხულის გაგებას (გადაუთარგმნელი ტექსტების კითხვა, რომლებიც დაწერილია სხვა ენებზე: სტატიები სპეციალურ ჟურნალებში, ყოველდღიური გაზეთები და მისთ.).

საერთოდ, ძალიან მცირე დრო ეთმობა ენებს უმაღლეს განათლებაში იმ კურსებში, რომლებიც არ სპეციალიზდებიან ენებში და ხელოვნებაში, და ამან შესაძლებელია, ენის კურსებს შეუქმნას ძალიან ცუდი იმიჯი. უნივერსიტეტის ენობრივი პოლიტიკა ალბათ უნდა მოიაზრობდეს ყოველმხრივ და ეს ტრანსვერსალური უნარი არ უნდა იყოს უკონტროლოდ მიშვებული. კერძოდ, სასურველი იქნებოდა გარკვეული მსჯელობა მიზანშეწონილია თუ არა შეიქმნას გარკვეული სივრცე ელემენტარული ენობრივი განათლებისათვის (A1 დონე); ზოგიერთმა შესაძლებელია ეს ჩათვალოს, რომ უნდა იყოს უმაღლესი განათლების გარეთ. ეს არის მოსაზრება, რომელიც უნივერსიტეტს განიხილავს, როგორც ეტაპს ცოდნის მიღების პროცესში, მაგრამ არა – როგორც ეტაპს ენის სწავლაში. საერთო ენის რესურსების ცენტრების ჩამოყალიბება იქნებოდა სწავლის მხარდაჭერა იმისა რაც განსხვავდება აკადემიური ან პროფესიული მიზნებისაგან (მოგზაურობა, პირადი ინტერესები და ა. შ.) და შესაძლებელია მოგვცეს შეუცვლელი საშუალებები ავტონომიური ენის სწავლების გამომუშავებაში.

საუნივერსიტეტო ენის სწავლება ამის გამო უნდა გამრავალფეროვანდეს სილაბუსების დონეზე სხვა ფაქტორებს შორის შემდეგის მიხედვით:

- ენის ფუნქცია ადებულ კურსში (მაგალითად, უნივერსიტეტის დეპარტამენტების ფარგლებში);
- ენების ფუნქცია სტუდენტის პერსონალურ განათლებაში;
- ენების ფუნქცია ცოდნის გადაცემაში (ენის გამოყენება სწავლებაში);
- ენების ფუნქცია უმაღლესი განათლების ინსტიტუტების საერთაშორისო ურთიერთობებში: საერთაშორისო შეთანხმებები, ონლაინ-განათლება, მასწავლებლისა და სტუდენტის მობილურობა, საზღვარგარეთ სწავლის პერიოდები, უცხოელი სტუდენტების არსებობა.

მაგრამ სპეციალობების მიხედვით ასეთ მრავალფეროვნებას თან უნდა ახლდეს ტრანსვერსალური სწავლება, რათა თავიდან ავიცილოთ მრავალენოვანი უნარების დავიწყება. უნივერსიტეტებისთვის უფრო ადვილი იქნებოდა, აეღოთ ეს როლი ენის სწავლის სქემაში.

6. 6. 2. 5. ენის სწავლების არსი და სწავლა პირადი ინტერესების მიხედვით

ენების სწავლის მოტივაცია შესაძლებელია პირადი ინტერესებიდან მომდინარეობდეს და საჭიროა კურსებში მათი გათვალისწინება, თუნდაც მინიმალურ დონეზე. როგორც წესი, შემსწავლელები არ აანალიზებენ მათ სურვილებს ენების მიმართ და ცდილობენ მათ დანახვას საყოველთაო განზომილებებში: როგორც წესი, მათ იციან მხოლოდ ერთი რამ: თუ რომელი სახესხვაობის ან სახესხვაობების სწავლა სურთ მათ.

კურსები, რომლებიც მოიაზრება, როგორც თავისუფალი დროის დონისძიებები – თემებზე ფოკუსირებული კურსები (მეგობრული დამოკიდებულებები) ან კულტურული დონისძიებები (კულინარია, კინემატოგრაფია, გუნდური სპორტი და ა. შ.), შესაძლებელია ორგანიზებული იყოს შემსწავლელთათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული დრო ან არ შეუძლიათ ენებში შეუზღუდავი ინვესტირება. აუცილებელი ენობრივი უნარები დგინდება დონისძიებათა არჩევანით.

გარკვეული ენის კურსები შესაძლებელია მოითხოვებოდეს, რადგანაც საშუალებას აძლევენ გარკვეულ ჯგუფებს, უთხრან სხვა ჯგუფებს, თუ რა არის მათი ენა, პირველი ენის გარდა, თუ ეს ენა ფართოდ არ ისწავლება ან არ ლაპარაკობენ მასზე. უნარები, რომლებიც უნდა ისწავლებოდეს და მათი შესაბამისი შინაარსები ორგანიზებული უნდა იყოს კულტურული შუამდგომლობის ამ როლზე. ამის მსგავსად, ადამიანთა გარკვეულ ჯგუფს სურს ისწავლოს ან გაიუმჯობესოს ენების ცოდნა მათი ღირებულების იდენტიფიკაციის ფარგლებში: მაგალითად ემიგრანტების ბავშვებს, შესაძლოა უნდოდეთ პირველად ისწავლონ საკუთარი მშობლებისა და ბებია-ბაბუების ენა; ზოგიერთს, შესაძლებელია, უნდოდეს რეგიონული ან უცხო ენის სწავლა, რაც, გარკვეულწილად, მათ სხვა ჯგუფთან გაერთიანების გრძობის შექმნის საშუალებას მისცემს. ამ შემთხვევებში, ალბათ, ზეპირ უნარებზე უნდა გაკეთდეს აქცენტი (რამდენადაც ეს არის გაერთიანების ყველაზე ძლიერი ფორმა), თუმცა, წერილი სისტემა (როგორც სხვაობის ნათელი ნიშანი) ან იმ ენების კლასიკური ფორმები (რომლებიც ყველაზე პრესტიჟულად მიიჩნევა), ასევე საჭირო და ზოგჯერ აუცილებელიცაა. მოთხოვნილებების ასეთი წარმოდგენები, შესაძლებელია რეზიუმირდეს დიამეტრულად საპირისპირო სწავლებაში: ტრადიციული სწავლება (რომელიც ემყარება წერასა და მრავალენოვან აზროვნებას) ან „თანამედროვე“ სწავლება, რომელიც ემყარება თანამედროვე ტექნოლოგიებს, იმისათვის, რომ გააძლიეროს ნაკლებად პრესტიჟული სახესხვაობების ღირებულებები.

ერთეულ უნარზე დაფუძნებული სილაბუსები შესაძლებელია შეესაბამებოდეს სიტუაციებს, სადაც შემსწავლელები ეძებენ პასუხს მათს პირად მოლოდინებზე: ხშირად მხოლოდ შეზღუდული მოდული არის შესაძლებელი (მაგალითად, 50 საათი). შემსწავლელებს აგრეთვე შესაძლებელია, ჰქონდეთ ენის უნარების ან ლექსიკური თუ აკადემიური სწავლების მაღალი დონე, რაც წარმოშობს მეტად განსაზღვრულ ლინგვისტურ მოთხოვნილებებს. ერთეულ უნარზე დაფუძნებული სილაბუსები აგრეთვე იმ ენებისთვისაა შესაბამისი, რომლებზეც მცირე მოთხოვნილებაა.

ყველანაირ სასწავლო სიტუაციებში, რომლებიც მოიცავენ ერთ უნარს, შესაძლებელია წარმოაჩენდნენ „პასიური“ მიღების უნარებს; მაგალითად, როგორცაა კითხვა (რომელიც ადვილად შესაძლებელია გაერთიანდეს ეროვნული ენის კითხვის კომპონენტში) ან მოსმენილის გაგება (ისეთი დამხმარე საშუალებების გამოყენება, როგორცაა ტელევიზორი, კინო ან რადიო). წერის უნარები შესაძლებელია მოიცავდეს პერსონალური ან კერძო ტექსტების წერას (შემოქმედებითი წერის პრაქტიკულ მეცადინეობებზე) ან პროფესიულ თუ აკადემიურ ტექსტებს C დონეზე. გამოთქმა შესაძლებელია იყოს მნიშვნელოვანი უნარი ისეთი საქმიანობებისათვის, რომლებიც დაკავშირებულია შემოქმედებით ხელოვნებასთან (სიმღერა, თეატრი) – A1 დონეზე. მიუხედავად ამისა, ზეპირი გამოხატულება ყოველთვის ძალიან მოტივირებულია.

სწავლების შინაარსი (უნარები, თემები ან შინაარსი რეალური აზრით, უნარის სასურველი დონე) არ არის ამ სამიზნე ენობრივი სახესხვაობის ფუნქცია თავისთავად, ისევე როგორც სხვა მრავალ შემთხვევაში, ენის სასწავლო პროგრამის შექმნა არის სოციალური და არა მხოლოდ ტექნიკური გადაწყვეტილებების საკითხი (პედაგოგიური ან დიდაქტიკური).

6. 7. ენის სწავლების მეთოდების გამრავალფეროვნება

მრავალენოვნება თავდაპირველად მიღებული იყო, როგორც ენობრივი პოლიტიკის პრინციპი, ევროპელების ერთმანეთთან ურთიერთობის სურვილის გამო. ეს პერსპექტივა გამოხატული იყო სურვილით, ენის სწავლა გამხდარიყო უფრო ეფექტური. შემდეგ მიღებული იქნა გადაწყვეტილება, გამოეყენებინათ *კომუნიკაციური* სწავლების მეთოდები, რაც ეყრდნობა დაყოფას არა *ფორმების ერთეულებად* (როგორცაა არტიკლი, ზედსართავი სახელი, მთავარი წინადადება, დამატებითი წინადადება და ა. შ.), როგორც ეს წინათ იყო, არამედ დაყოფას *ფუნქციებად* (ბოდიშის მოხდა, ვინმესთვის რამის შეთავაზება, რჩევის მიცემა და მისთ.). ამის გამო სწავლება, რომელიც ეყრდნობა აქტიურ მეთოდებს (ნამდვილი კომუნიკაციური სიტუაციების გათამაშება), უფრო პრაქტიკულია (ტექსტებისა და მასალების გამოყენება, რომლებიც განსაკუთრებით სწავლებისთვის არ ყოფილა შექმნილი) და შემსწავლელები უშუალოდ ერთვებიან პროცესში. ასეთი მეთოდოლოგიური ნამდვილობა ალბათ მოიაზრებოდა, როგორც უფრო მსწრაფლ

შესწავლადი, მაგრამ ისეთი მეთოდით, რომელიც იყო უფრო ოპერატიული რეალურ ურთიერთობებში.

ასეთი არჩევანები ისევ დღის წესრიგშია, რაც დასტურდება იმ ადგილით, რომელიც კომუნიკაციურ მეთოდებს ეთმობათ სასწავლო სილაბუსებში. მიუხედავად ამისა, არ უნდა დავასკვნათ, რომ ენის გამრავალფეროვნების საკითხებზე პასუხები არსობრივად არის იმის განზოგადების საკითხი, რაც ითვლება როგორც უფრო ეფექტური კომუნიკაციური სასწავლო მეთოდები. ეს სახელმძღვანელო ნათლად უჩვენებს, რომ ენობრივი პოლიტიკის პრობლემების გადაწყვეტა უნდა მოხდეს უფრო პოლიტიკურ დონეზე, ვიდრე ენის სწავლების თეორიაში.

უნდა აღინიშნოს, რომ ენის სწავლების მეთოდები ალბათ უნდა იცვლებოდნენ შემსწავლელთა სხვადასხვა ჯგუფის, სხვადასხვა მიზნისა და სხვადასხვა საგანმანათლებლო სიტუაციის მიხედვით და რომ ამ სფეროში, ვერ მივიღებთ ცალსახა გადაწყვეტილებას. მაშინ, როცა აქტიური, ავთენტური სწავლების მეთოდები, სავარაუდოდ, უფრო ეფექტური უნდა იყოს, ისინი ყოველთვის მიზანშეწონილი არ არის შემსწავლელთა ყველა ჯგუფისათვის და ყველა სწავლების / სწავლის სიტუაციებისათვის. ისევე, როგორც მნიშვნელოვანია, ისწავლო, თუ როგორ უნდა ისწავლო ენები, მიზანშეწონილია ზოგიერთი შემსწავლელი თანდათან წაიყვანოს კომუნიკაციური სასწავლო მეთოდებისკენ, ისე, რომ მათ ისინი არ უარყონ, რადგანაც, მიუხედავად იმისა, თუ როგორი ეფექტურიც არ უნდა იყვნენ, ისინი არ შეესაბამებიან მათს წარმოდგენებს ენის სწავლებაზე.

ამის გამო უნდა ვიზრუნოთ, რათა გავაფართოვოთ სწავლების მეთოდები ისე, რომ ქვემოთ მოყვანილი გათვალისწინებული იყოს სხვა ფაქტორებთან ერთად:

- **შემსწავლელთა ასაკი:** ახალგაზრდა შემსწავლელთათვის სასიამოვნო იქნება აქტიური მიდგომები, რომლებიც მოიცავენ თამაშებს და რომლებიც აუცილებელი არ არის, მიესადაგებოდეს მოზრდილთა ყველა ჯგუფს, რომელთაც შესაძლოა ჩათვალონ ისინი, როგორც ბავშვური;
- **შემსწავლელთა დონე:** C დონის შემსწავლელებს, სავარაუდოდ, უფრო მეტად სურთ გრამატიკული ახსნა-განმარტებები ან ზუსტი ენობრივი კითხვების განმარტებები, ვიდრე დამწყებებს (A დონე) და ამჯობინებენ უფრო ანალიტიკურ მეთოდებს;
- **შემსწავლელთა სწავლის სტილი:** ზოგიერთი შემსწავლელი მზად არის იყოს რისკიანი და დაუშვას შეცდომები იმისათვის, რომ ისწავლოს, მაშინ, როცა სხვებს სურთ გაიგონ გონებრივად, სანამ წარმოქმნიან;
- **განათლების ტრადიციები,** განსაკუთრებით სწავლების ტიპი, რომელიც გამოიყენება ეროვნული ენისთვის. თუ ტრადიცია არის ძალიან ფორმალური, ენის სწავლება შესაძლებელია აგრეთვე იყოს დაგეგმილი ენის სწავლების პირველი გამოცდილების მიხედვით. ამის მსგავსად, თუ ენის სწავლების ტრადიციები ყოველსმომცველია (ანუ იმ შემთხვევაში, როცა ორგანიზებულნი არიან უნარებისაგან დამოუკიდებლად), სწავლება უნარების მიხედვით, თუნდაც დაკავშირებულნი იყვნენ ერთმანეთთან, უნდა დადასტურდეს და ადაპტირება განიცადოს განათლების კონტექსტში;
- **შესასწავლი ენების ბუნება:** თუ ახალი ენობრივი სახესხვაობები, რომლებიც უნდა გაერთიანდნენ ენობრივ რეპერტუარში (ლინგვისტური სტრუქტურებისა და კულტურის თვალსაზრისით) არიან ძალიან განსხვავებულნი იმათგან, რომლებიც უკვე წარმოდგენილია, მაშინ შემსწავლელებმა შესაძლებელია იგრძნონ ინტელექტუალური, აღწერითი გადასვლის საჭიროება თუნდაც გათამაშებული კომუნიკაციის დაწყებამდე. ამან შესაძლებელია მიგვიყვანოს მიღებით კომუნიკაციებამდე, რომლებიც აქცენტირდება სწავლის დაწყებით ფაზებში.

განათლების სიტუაციების ეს მახასიათებლები ითხოვენ სწავლების მეთოდებს, რომლებიც მიზანშეწონილია შესაბამისი შემსწავლელებისთვის. მიზანშეწონილი აუცილებლად არ ნიშნავს შემსწავლელებისა და მასწავლებლების წარმოდგენებთან თავსებადობას, არამედ, არსობრივად, იმას, რომ ისინი არ უნდა დაშორდნენ მოლოდინებს.

6. 8. შეფასებისადმი მრავალფეროვანი მიდგომები

შეფასებასა და სერტიფიცირებასთან დაკავშირებით, მრავალენოვანი განათლება მოითხოვს, რომ ნებადართული უნდა იყოს სერტიფიცირების სხვადასხვა ტიპების თანაარსებობა, რომელთა მეშვეობითაც შემსწავლელებს ცნობენ, რომ მათ მიადწიეს უნარების გარკვეულ ზღვარს. თუმცა აუცილებელია გარანტირებული იყოს, რომ:

- კვალიფიკაციის დონეები თანაბრად განისაზღვრება ყველა ენობრივი სახესხვაობებისათვის, განსაკუთრებით, სადაც ისინი ისწავლება, როგორც უცხოური ან ეროვნული განათლების სისტემაში;
- თვითშეფასება ჩართულია ისევე, როგორც ინსტიტუციონალური შეფასება;
- ინსტიტუციონალური სერტიფიცირება ითვალისწინებს ყველანაირ ლინგვისტურ გამოცდილებას;
- ოფიციალური სერტიფიცირება არის მოდულარული, მსგავსად სწავლებისა, რომელიც ეყრდნობა უნარის დაუფლებას უნარის მეშვეობით (ერთეული / კრედიტის სისტემა, რომელიც შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს თუნდაც საშუალო განათლებაში, თუ ენის სწავლება მჭიდროდ დაკავშირებული არ არის კონკრეტულ ციკლთან);
- ენის ნიშანი ყველაზე მნიშვნელოვან ეროვნული სერტიფიცირების სისტემაში (სავალდებულო სკოლის დასასრული, უმაღლეს განათლებაში შესვლა და ა. შ.);
- სკოლის სერტიფიცირება და სერტიფიცირება არააკადემიური ორგანოების მიერ (უცხოური ორგანოების ჩათვლით) დაკავშირებულია ერთმანეთთან;
- ფორმის ცოდნის ტესტები არ გადადის სერტიფიცირებაში;
- სწავლების სილაბუსები არ ეყრდნობა მხოლოდ შეფასების გამოცდების სილაბუსებს;
- შექმნილია სპეციფიკური გამოცდები ტრანსვერსალური უნარების შესაფასებლად, რაც შეადგენს მრავალენოვან რეპერტუარებს და კულტურათაშორის უნარებს.

ნათელი პრაქტიკული და სოციალური მიზეზების გამო, ცოდნა და კომპეტენციები ალბათ ისევ ენობრივი სახესხვაობის მიერ შეფასებული ენობრივი სახესხვაობა იქნება, მაგრამ აგრეთვე ძალიან სასურველია ევროპაში მრავალენოვნების პრინციპების გასავრცელებლად, რომ მრავალენოვანი კომპეტენცია, როგორც ასეთი, აღიარებული უნდა იყოს სერტიფიცირების გარკვეული ფორმით, ისე, რომ ის არ დაიყვანება თითოეულ სახესხვაობაში უნარების ჯამზე.

6. 9. მრავალენოვანი განათლების ადაპტირება ენობრივი კონტექსტების მიხედვით

სოციოლინგვისტური სიტუაციების მრავალფეროვნება და მათი სწრაფი ცვლილების ნორმა (მაგალითად, ახალი ჯგუფების დასახლების გამო) ნიშნავს, რომ სხვადასხვა კონტექსტის მახასიათებლები უნდა იყოს გათვალისწინებული. ეს მახასიათებლები მოიცავს ჩამოყალიბებულ ენობრივ სახესხვაობებს და სახესხვაობებს, რომელებიც მოიაზრება, როგორც აუცილებელი მოცემულ გეოგრაფიულ ტერიტორიაზე: მეზობელი რეგიონების, მნიშვნელოვანი ეკონომიკის, პოლიტიკური და კულტურული პარტნიორების სახესხვაობები. მაგალითად, ევროპის სხვადასხვა რეგიონებს შორის დამყარებული ურთიერთობა, როგორცაა ატლანტიკური, ხმელთაშუა ზღვისა და ბალტიკის საზღვარი და მისთ.

სულაც არ არის აუცილებელი, ასეთმა რეგიონულმა ენობრივმა დაგეგმვამ წარმოშვას ეროვნული ერთიანობის საკითხი, იმდენად, რამდენადაც განათლებაში ჩადებული რესურსები სათანადოდ ნაწილდება და სტანდარტები, რომლითაც ცოდნა და კურსები ფასდება გამჭვირვალეა. არც ეროვნულ (რეგიონულ) ენაზე დაკისრებული როლი წარმოჭრის კითხვას, იმდენად, რამდენადაც საგანმანათლებლო დანიშნულება, რომელიც დაკისრებული აქვს თითოეულ ენობრივ სახესხვაობას, ნათლად არის განსაზღვრული. ამ რაკურსში, მრავალენოვან განათლებას აშკარად აქვს უსაფრთხოების დაცვის როლი, რომელიც ენობრივი მრავალფეროვნების ღირებულებას ზრდის და ამდიდრებს მას კონკრეტულ ტერიტორიაზე.

რეგიონული გამრავალფეროვნება აუცილებლად არ ხორციელდება ამ ტიპის რეგიონებში, მაგრამ შესაძლებელია დაიგეგმოს სხვა დონეებზე: ძირითად დიდ ქალაქებში, ოლქებში, უბნებში და მისთ. ის მახასიათებლები, რომლებიც უნდა გავითვალისწინოთ ძირითად (ანუ ეროვნულ) მიზნებთან დაკავშირებით, დამოკიდებულია განათლების გადაწყვეტილების მიმღებთა ავტონომიის ხარისხზე ადგილობრივ დონეზე: მაგალითად, თითოეული სკოლა (სასწავლო პროგრამის შედგენა, საათობრივი ბადის პროპორციის მართვა, მასწავლებლების აყვანა და მისთ.). დიფერენციაციის პრინციპი შესაძლოა ეხებოდეს ადგილობრივ განთავისუფლებას ან მიღებას (მაგალითად, რეგიონები სპეციალური სტატუსით), ფედერალურ ან ეროვნულ ფარგლებში, ან იყოს ზოგადი წესი. ისინი შესაძლებელია ეხებოდნენ კურსების ორგანიზების მეთოდებს (ამოცანები და მიზნები, რომლებიც საერთო რჩება) ან სპეციფიკურ მიზნებს საერთო ამოცანების კონკრეტული ინტერპრეტაციების ფარგლებში, კონსტიტუციით დადგენილ საერთო ღირებულებებზე დაყრდნობით.

იმისათვის, რომ ენობრივი სახესხვაობა გახდეს აღქმადი და შეიქმნას მრავალენოვანი უზრუნველყოფა განათლების სისტემებში ამ ადგილობრივ დონეზე, გასათვალისწინებელია:

- კონკრეტულ გეოგრაფიულ ტერიტორიაზე წარმოდგენილი ენობრივი სახესხვაობები: რეგიონული სახესხვაობები, ახლად ჩამოსული რეზიდენტების ან უცხოური წარმოშობის რეზიდენტები, სოციალური კონტექსტისა და იმ მოლაპარაკეთა ჯგუფების იდენტიფიცირება, რომელთათვისაც ეროვნული ენა არის მეორე სახესხვაობა; დროებით ჩამოსახლებულ ჯგუფების ენობრივი სახესხვაობები (მრავალენოვანი კომპანიები, ლტოლვილთა მისაღები ცენტრები და მისთ.). განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა ძირითადი ქალაქების სოციოლინგვისტურ მახასიათებლებზე, რომლებიც არიან პრაქტიკულად კარგად მომზადებული მულტილინგვური ტერიტორიების და პლურილინგვური ჯგუფების შესაქმნელად (როგორც მიგრაციული ნაკადების, ეკონომიკური და კულტურული დონისძიებების და მისთ. შედეგი) და რათა გახდნენ თანამედროვე კოსმოპოლიტური ცენტრები.
- ენობრივი სახესხვაობები, რომლებიც წარმოდგენილია სკოლის გარემოში (რომლებიც ყოველთვის იგივე არ არის როგორც ზემოთ). ეს ყოველთვის *დე ფაქტო* მრავალენოვანი და შეუცვლელი რესურსია მრავალენოვანი განათლებისა, იმით, რითაც ისინი უზრუნველყოფენ ადამიანის ენობრივი მრავალფეროვნების კონტროლირებად გამოცდილებას.
- ფიზიკურად ახლოს მდგომი ენობრივი სახესხვაობები: საზღვარგარეთის უწყვეტობის დადებითი თვისებები, გეოგრაფიული სიახლოვე (აგრეთვე ზღვებთან სიახლოვე) რომელიც ქმნის საკონტაქტო სივრცეებს, რაც შესაძლებელია იყოს ორენოვანი ან ერთხელ იზიარებდნენ ერთსა და იმავე ენობრივ სახესხვაობას ეროვნული პოლიტიკური საზღვრების მიხედვით, მაგრამ აგრეთვე უფრო უძველესი, შიდა, კულტურული დანაყოფები.
- ენობრივი სახესხვაობები, რომლებიც სიმბოლურად ახლოს არიან ტრადიციული ან ბოლო დროის ურთიერთდამოკიდებულებების შედეგად, მიუხედავად იმისა, შექმნილია თუ არა ევროპულ ფარგლებში, როგორცაა ქალაქების დაძმობილება და სპორტული ან ეკონომიკური პარტნიორობა და ა. შ.
- მედიის მეშვეობით მიღწევადი ენობრივი სახესხვაობები (მაგალითად, რადიო და სატელევიზიო მიმღები ტერიტორიები).

საბაზისო ბამოკვლევა:
რაასხ ალბერტი, ევროპა, საზღვრები და ენები.

დიფერენციაცია შესაძლებელია გამოწვეული იყოს თითოეულ ტერიტორიაზე გადასაწყვეტი საკითხით - თუ როგორ დავეხმაროთ შემსწავლელებს, მიაღწიონ მიზნებს ეროვნულ დონეზე (ენობრივი სახესხვაობები, კომპეტენციები, თითოეულ უნარში, სასურველი დონეზე) ან სპეციფიკური მიზნების დასახვა. ამ კონკრეტულ ფარგლებში, შესაძლებელი ხდება დავეხმაროთ განათლების სისტემის ფარგლებში და მის გარეთ, კვალიფიცირების გარკვეულ დონეს ზოგიერთ უნარებში იმ სახესხვაობებში, რომელიც

მნიშვნელოვანია ამ ტერიტორიისთვის, როგორც მრავალენოვანი უნარების კომპონენტი, რომელიც იდენტური არ არის ყველასათვის, მაგრამ შეესაბამება საერთო საგანმანათლებლო ღირებულებებს.

აღბათ, ამ საგანმანათლებლო სივრცეების ფარგლებში უნდა შეიქმნას ინოვაციური გადაწყვეტილებები და შემოწმდეს, თუ რომელი მათგანის განზოგადებაა შესაძლებელი. მრავალენოვანი განათლების წარმატების პირობები, როგორც ევროპული ენობრივი განათლების პოლიტიკის საერთო განმსაზღვრელია, არის არსებული კურსების რეგულირება, მიუხედავად იმისა, არიან თუ არა ისინი ადგილობრივი. ამან გაუმჯობესებული კოორდინაციის საშუალება უნდა მისცეს ეროვნულ ენას ან ენებს (განსაკუთრებით მისი / მათი წერითი სახესხვაობების) სწავლებასა და რეგიონული ენების სწავლებას და ახლად დასახლებულ საზოგადოებების სახესხვაობებს შორის, მეზობლებისა და პარტნიორებს შორის, და თუნდაც იმ ენებისა, რომლებიც ნაკლებად ხშირად ისწავლება დიფერენცირებული სწავლების სქემებში, რომლებიც სულ უფრო მისაღები იქნება რათა შეესაბამებოდეს დადგენილ მოთხოვნებს ადგილობრივ დონეზე.

6. 10. მრავალენოვანი განათლების განხორციელება

ენობრივი განათლება (ეროვნული, მშობლიური, რეგიონული, უცხოური ენები და სხვა) მიღებული როგორც როგორც სხვადასხვა სტატუსის ლინგვისტური სახესხვაობების სწავლების ინტეგრაცია და კოორდინაცია და ხანგრძლივი განათლების ფარგლებში არის შედარებით ახალი იდეა. რამდენადაც ეს ჯერ სრულად განხორციელებული არსად არ ყოფილა, და ამასთანავე ეს არის სფერო რომელშიც არ არის გამოცდილების უკმარისობა - ზოგიერთი მათგანი მნიშვნელოვანია - სასწავლო პროგრამისა და ენის სწავლების ორგანიზების კონკრეტული, ინსტიტუციონალური და ადმინისტრაციული მეთოდების ფარგლებში. ზოგიერთი მათგანი იქნება აღნიშნული არა იმიტომ, რომ ისინი უნდა განვიხილოთ, როგორც სამაგალითო, არამედ იმიტომ, რომ ისინი უჩვენებენ ასეთი ენობრივი განათლების პოლიტიკის შესრულების შესაძლებლობას ევროპაში.

6. 10. 1. ენის სწავლებაში კოორდინაციის გაძლიერება

ამ თვალსაზრისით შესაძლებელია აღინიშნოს შემდეგი:

- სწავლება, რომელიც სარგებლობს მსგავსი ენების ურთიერთგაგების შესაძლებლობის უპირატესობით, რაც ქმნის აღქმად უნარებს (განსაკუთრებით კითხვის გაგება) შესაძლებელი რამდენიმე ენაზე; ამის მაგალითებია პროექტები, რომლებიც ეხება სკანდინავიური ენების და დანიურის ორმხრივ გაგებას, გერმანულ ენებსა და რომაულ ენებს შორის (ეურომ 4 ჯგუფი, *გალათეას* პროექტი, ეუროკომრომ და სხვა.). ასეთი, ეგრეთ წოდებული *თანხვედრილი* სწავლების შედეგი შესაძლებელია იყოს სასწავლო პროგრამა, რომელშიც შესაბამისი ენები ცალ-ცალკე შეიძლება იყოს შეთავაზებული სხვა უნარებისთვის (მაგალითად, მეტყველებითი ურთიერთობა);

საბაზისო ბამოკვლევა: *დოი პეტერი, ურთიერთგაგება.*

- ორენოვანი განათლება მის ყველა ფორმაში, რომელიც აერთიანებს საგნისა და ენის სწავლებას. საგნების სწავლება (როგორცაა ზუსტი მეცნიერებები, ადამიანის მეცნიერებები, მხატვრობის საგნები) ეროვნული/მშობლიური ენისაგან განსხვავებულ ენაზე სწავლების ენის კარგად ცნობილი ტიპია რომელიც, თუ მიიღწევა სწორი პირობები, შესაძლებელია წარმოდგენილი იყოს განათლების ყველა დონეზე და არამშობლიური ენების და C დონის დაუფლებისას. ის თუ რამდენად ამბიციურია ეს, ცვალებადი იქნება არამშობლიურ ენაზე ერთი საგნის გარკვეული სწავლების საერთო მოცულობაზე ჩვეულებრივ ორგანიზაციებში ან სპეციალურ ორგანიზაციებში ან განათლების სახეობებში (როგორცაა საერთაშორისო სკოლები);

- სასახლერო სწავლების ქსელის შექმნა რეგიონულ დონეზე, კერძოდ გაერთიანებული მექანიზმების ფარგლებში, რომელიც მოიცავს პროგრამების ჰარმონიზაციას სასახლერო რეგიონებში. ამ ტიპის განვითარება მიმდინარეობს ავსტრიისა და სლოვენიას შორის, და გერმანიასა და საფრანგეთს შორის მაგალითად;
- ეროვნული ენობრივი სახესხვაობის და სხვა სახესხვაობების სწავლების ჰარმონიზება ისეთი გზით, როგორცაა *edukacione linguistika* იტალიაში, რომლებიც შექმნილია იმისათვის, რათა გავრცელდეს ინფორმირებულობა ენის მრავალფეროვნებაზე, მათ ღრმა ფუნქციონალურ ერთეულზე, მათ შიდა ვარიაციებზე კომუნიკაციურ სიტუაციებთან კავშირში და საშუალებები, რომლებიც გამოიყენება თითოეული სახესხვაობის მიერ, საერთო ცნებების გამოსახატავად, როგორცაა მათი აწმყო და წარსული. გამოჩნდა აგრეთვე სხვა საშუალებები, როგორცაა ეროვნული ენაზე და სხვა ენობრივ სახესხვაობებზე კითხვის სწავლებას შორის კავშირი (*ორგანული ბრაზილიაში*);
- საუნივერსიტეტო განათლების სქემები, რომლებიც აერთიანებენ როგორც რამდენიმე უცხო ენის სწავლას, ასევე სხვა საგნებისა იმ დეპარტამენტებსა და ორგანიზაციებში, რომლებიც ფოკუსირდებიან სავაჭრო გაცვლებზე და საერთაშორისო შეთანხმებებზე, ევროპულ კვლევებზე (როგორც მზადება ურთიერთგაცვლებისათვის ევროპულ კავშირში მის ეკონომიკურ, იურიდიულ, ლინგვისტურ და კულტურულ ასპექტებში, ბიზნეს კულტურების ჩათვლით), კულტურული საკუთრების მართვაზე, სწავლებაზე (ორი ენის სწავლების ტრენინგი) და სხვა;
- ინტეგრირებულ ენისა და ენის მრავალფეროვნების გათვითცობიერების ღონისძიებების კვლევა (რაც განსხვავდება ენის სწავლებისაგან ჩვეულებრივი გაგებით) დაწყებით სკოლაში იმისათვის, რათა განვითარდეს პოზიტიური დამოკიდებულება იმ ენობრივ სახესხვაობათა მიმართ, რომლებზეც ლაპარაკობენ სხვები და დაინერგოს მეტალინგვისტური უნარები. სწავლების ეს ტიპი შესაძლებელია იყოს ეროვნული ან მშობლიური ენების სწავლების კომპონენტი, რომელიც პარალელურად მიჰყვება ენის სწავლებას ან როგორც ენის სათანადოდ სწავლებისთვის სამზადისი, და შესაძლებელია ამათ სტიმული მისცეს სწავლას.

ამ მიმართულებით პირველი ნაბიჯი იქნებოდა ყველა ენობრივი სახესხვაობის სწავლების პროგრამის შედგენა (ეროვნული სახესხვაობის ჩათვლით) ისევე, როგორც მიზნების დადგენა, დამატებების დადგენის ხელშეწყობა (ანუ წაკითხულის გაგების სწავლა) და სტანდარტიზება. მაგალითად, გამოყენებული დიდაქტიკური და მეტალინგვისტური ტერმინოლოგია, *ენების საბაზისო საერთო ევროპული პროგრამის* დებულებების გამოყენება, როგორც სასაფუძვლო დოკუმენტისა.

6. 10. 2. შეთავაზებული ენების სპექტრის გამრავალფეროვნებისა და მრავალენოვანი უნარების ჩამოყალიბების პროგრამა

თუ მრავალენოვნება პირდაპირ შემოტანილი არ არის, როგორც ენობრივი განათლების პოლიტიკის მკაფიო პრინციპი ევროპაში, მიუხედავად ამისა, მაინც შესაძლებელია, ორგანიზებული იყოს ენის სწავლების სქემები, რომლებიც ხელს უწყობენ ასეთი უნარების და განათლების განვითარებას. ეს უნდა მოიცავდეს ქრონოლოგიურ კავშირებს ენის სწავლებას შორის იმგვარად, რომ თავიდან იქნეს აცილებული გამონაკლისი არჩევანი ენებს შორის. ხანდახან ეს არადაამაკმაყოფილებელი ალტერნატივები ნერგავს შეხედულებას, რომ ენობრივი სახესხვაობის დაუფლება თავიდან აცილებს სხვა სახესხვაობის დაუფლებას.

სწავლის ქრონოლოგიური წყობა

წყობა, რომლითაც ენები შემოაქვთ უნდა დაგეგმილი იყოს არა მხოლოდ სკოლებში სწავლის სქემების ფარგლებში, არამედ ინდივიდუალური სწავლის სქემების კონტექსტში დაწყებითი განათლების შემდეგ. აქედან გამომდინარე, უკვე მრავალჯერ აღინიშნა საჭიროება, ენის სწავლების ყველა ტიპს შორის მჭიდრო კოორდინირებისა ისე, რომ ის ორგანიზებული იყოს მომხმარებლებისათვის ამოცნობად სქემებში. ენის სწავლების განაწილება პროგრამაში შესაძლებელია დაიგეგმოს შემდეგი მოსაზრებების საფუძველზე:

- ენების დაკავშირება, უცხო ენების ჩათვლით, სხვა საგნებთან;
- ენების ერთმანეთთან დაკავშირება (დამატებითი დრო): მშობლიური/ეროვნული და უცხოური/რეგიონული ენები, ახლად დასახლებული საზოგადოებების ენები, და უცხო ენები ერთმანეთთან: უცხო ენა 1, უცხო ენა 2, სხვა უცხო ენები და ა. შ.
- მოდულარულ (ერთეული კრედიტის) სწავლებაზე დაფუძნებული მიდგომა, რომელიც უფრო მეტი მოქნილობის საშუალებას იძლევა, ვიდრე წლიური კურსები (განათლების ნორმალური ციკლის დამოუკიდებელი მოპყრობის ნებისმიერი ფორმით) მაგრამ შესაძლებელია მოიცავდეს მნიშვნელოვან ცვლილებას ყველა საგნის ორგანიზებაში.

შემოთავაზებული ენების გამრავალფეროვნება არის ნამდვილად მრავალენოვანი სწავლის სქემების შემოღების წინაპირობა. უფრო მეტიც, ეს არის სწორხაზოვანი კავშირი იმისა, რაც არის შეთავაზებული, რაც საშუალებას იძლევა შეფასებული იყოს ენობრივი განათლების პოლიტიკის თანმიმდევრულობა. მიუხედავად ამის, ამ სქემების ორგანიზება შეუძლებელია სოციალური წარმოდგენების გათვალისწინების გარეშე, რომლებიც იკავებენ გადამწყვეტ, და თუნდაც განმსაზღვრელ როლს ენობრივი სახესხვაობების ადრეულ სწავლაში, მშობლიური სახესხვაობისაგან განსხვავებით. ხშირად ფიქრობენ, რომ ძალიან ადრეულ ასაკში მიღებული განათლება (თუმცა ასაკი, როდესაც ბავშვები სკოლას იწყებენ ამ მიმართებაში უკვე მოიაზრება როგორც ძალიან გვიანი) არის უფრო ეფექტური და უკეთესი საშუალებაა ჩამოყალიბდეს ჯგუფური მიკუთვნების გრძნობა. ამის გამო ჯგუფები ცდილობენ მათი შესაბამისი ენობრივი სახესხვაობა შემოტანილი იყოს შეძლებისდაგვარად ადრე. როდესაც ასეთი შეხედულებები გარკვეულწილად დასაშვებია, ეჭვი არ არის, რომ:

- სხვა ენობრივი სახესხვაობები შესაძლებელია შექმნილი იყოს მოგვიანებით;
- ადრეული სკოლის ასაკში შექმნილი ენობრივი სახესხვაობები აუცილებლად არ არიან ისინი, რომლებიც შესაძლებელია საუკეთესოდ იყოს დამახსოვრებული, რადგანაც ეს არის რეგულარული გამოყენების ფუნქცია;
- ადრეული სკოლის ასაკში შექმნილი ენობრივი სახესხვაობები აუცილებლად არ არიან ის სახესხვაობები, რომლებშიც მიიღწევა პროფესიონალიზმის უმაღლესი დონეები მოგვიანებით შესწავლილ სახესხვაობებთან შედარებით;
- ადრეულ ეტაპზე შესწავლილი ენობრივი სახესხვაობა აუცილებლად არ დაამტკიცებს მის ყველაზე მეტად სარგებლიანობას სოციალური, თანამდებობრივი, პიროვნული გაცვლებისათვის და ა. შ.
- ადრეულ ეტაპზე შესწავლილი ენობრივი სახესხვაობა არ იქნება განმსაზღვრელი ნიშანი და ფორმა იმ საზოგადოებასთან მიკუთვნებისა, სადაც საკუთარ თავს ამოიცნობენ, რადგანაც სოციალური და კულტურული იდენტურობა არის ცვალებადი და მრავლობითი.

საბაზისო ბამოკვლევა:

ჯონსტონ რიჩარდი, „ასაკის ფაქტორის“ მიმართვა: ლინგვისტური პოლიტიკის გარკვეული შედეგები.

კიდევ ერთხელ – რა არის გადამწყვეტი, როდესაც ენებზე სოციალური მოთხოვნის განათლებამ უნდა უზღვევოს, რომ ნებისმიერი სახესხვაობის ადრეული სწავლება / სწავლა (ეროვნული, პირველი, უცხოური დიდი მოთხოვნისა და მისთ.) არის მისაღები, თუ მიზანი არ არის აბსოლუტური კვალიფიკაცია, არამედ უნარები, რომლებიც არიან დიფერენცირებულნი ბუნებით და დონეებით.

ინგლისური, პირველი ენა, რომელიც უნდა ისწავლებოდეს?

ინგლისურზე სოციალური მოთხოვნა შესაძლებელია განვიხილოთ ამ თვალთახედვით. სავარაუდოდ ის ამტკიცებს მის სიმყარეს, რაც ნიშნავს, რომ მას უნდა მივმართოთ და არა უგულვებლყოთ. სოციალურ მოთხოვნაში მისი დომინანტური მდგომარეობის გამო, ინგლისურის სწავლების პროგრამას და თვით ინგლისურის მასწავლებლებს აქვთ განსაკუთრებული პასუხისმგებლობა, კერძოდ სოციალური

მოთხოვნის საპასუხოდ, და აგრეთვე იმოქმედონ ისე, რომ შემსწავლელებს უფრო მეტი ინფორმაცია მიეწოდებოდეთ მრავალენოვნების ფუნქციებსა და ღირებულებებზე. შესაძლებელია, რომ ასეთი განათლების გარეშე ინგლისურის გარკვეული ცოდნით მიღებული იქნება როგორც შემსწავლელების განთავისუფლება სხვა ენების შესწავლისგან.

მაგალითად, ტექნიკურად შესაძლებელია ინგლისურის შემოტანა სავალდებულო განათლების ძალიან ადრეულ პერიოდში იმ მშობელთა მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, რომელთაც მიაჩნიათ, რომ ეს ცოდნა იქნება სასარგებლო ინვესტირება, ყველა დანარჩენთან შედარებით, მიუხედავად იმისა როგორ პერსონალურ თუ პროფესიულ გზასაც არ უნდა გაყვნი ისინი. მაგრამ სავალდებულო სკოლის ფარგლებში მიზანი შესაძლებელია დაიგეგმოს 2 დონეზე (ლაპარაკით ურთიერთქმედება) და დონეზე (კითხვისთვის) და ძირითადი მიზნები რჩება სკოლის შემდგომი ეტაპებისთვის და /ან საშუალო განათლების სპეციალიზებული ფორმებისათვის. მაღალი დონის ცოდნის შექმნა შესაძლებელია დარჩეს შემსწავლელის ინიციატივის მხარეს, რომელსაც უნდა ასწავლონ თუ როგორ უნდა ისწავლოს ენები თავისით. ეს მექანიზმი ეს მექანიზმი ადვილს შეუქმნიდა სავალდებულო სკოლაში და ყველგან სხვაგან სხვა ენობრივი სახესხვაობების სწავლებას და მათში სასურველი უნარები შესაძლებელია უფრო მაღალ დონეზე ვიდრე ეს უნარები ინგლისურში: მაგალითად, იტალიელი მოსწავლეებისათვის მიზანი შესაძლებელია მიღწეული იყოს 2 დონეზე ესპანურის წაკითხვის გაგებაში, თუნდაც როცა ენა შემოტანილი იყო ინგლისურზე ორი-სამი წლით გვიან; ასეთი მიზანი არ არის სრულიად არარეალური სწავლების თვალთახედვიდან.

ამის მსგავსად, იმისათვის, რომ გამრავალფეროვანდეს სწავლების ფორმები, ინგლისური გამოყენებული უნდა იყოს როგორც ინსტრუქტირების ენა *არალინგვისტური* საგნებისათვის (როგორცაა მათემატიკა ან გეოგრაფია), თუმცა იმ პირობით, რომ ეს არ არის მხოლოდ ერთი ენა, რომელიც გამოიყენება ამ გზით და საგნები, რომლებიც ამ ენაზე ისწავლებიან სისტემატურად, პრესტიჟულნი არიან ან ყველაზე გადამწყვეტია შემსწავლელის აკადემიური მომავლისათვის. ეს თავიდან ააცილებდა ენაში კვალიფიკაციის არასათანადო ლეგიტიმაციას.

კულტურათაშორის განათლებას აგრეთვე აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა, რადგანაც მას შეუძლია შემსწავლელს საშუალება მისცეს, დაადგინოს დამოკიდებულება მათ საზოგადოებასა და ინგლისურად მოლაპარაკე საზოგადოებას შორის ხშირად წინააღმდეგობრივ ასპექტებში: არის თუ არა ინგლისურზე მოთხოვნა, როგორც ლინგვა ფრანკა თუ როგორც პრესტიჟული ერის ენა, ადებული, როგორც სამაგალითო მოდელი? დამოკიდებულება ინგლისურად მოლაპარაკე საზოგადოებებისადმი პრობლემური საგანია კულტურათაშორისი კვლევისთვის: მაგალითად, შეესაბამება თუ არა ეს იმას, ხალხს გააგებინო, რომ ასეთი დამოკიდებულება შესაძლებელია იყოს ძალიან პოზიტიური (და ამის გამო შეადგენს არალიარებული ახალი კულტურის ადაპტირების ნიშანს ან უკვე ნაწილობრივ ძველმოდურ სოციალური განსაზღვრის სტრატეგიას) ან, პირიქით, ზედმეტად კრიტიკული „ადგილობრივი“ / ეროვნული იდენტობების სახელით ან „ანტიგლობალიზმის“ იდეოლოგია (მაგალითად, რომლებიც არიან უბრალოდ ეთნოცენტრიზმის თანამედროვე სახესხვაობები)?

ის, რაც არის მნიშვნელოვანი ინგლისურის სწავლებასთან დაკავშირებით, არის დაინახოთ, რომ ინდივიდუალური ლინგვისტური რეპერტუარები ისევე ვიტარდებიან ყველას მიერ და იყინებიან როგორც ადრე ერთი ენობრივი სახესხვაობის შესწავლით, რაც აღიქმებოდა, როგორც ამან დაიკავა ყველა სხვა დანარჩენის ადგილი. მნიშვნელოვანია, რომ ინგლისური ან ლინგვისტურ რეპრეზენტაციებში იმავე სტატუსის მქონე ნებისმიერი სხვა ენა, პასუხისმგებლობას უნდა იღებდეს მრავალენოვანი ინფორმირებულობის შესახებ აუცილებელი განათლების მიწოდებაზე, როგორც ღირებულება, რომელიც არ უნდა ავურიოთ რომელიმე კონკრეტული ენის ცოდნასთან. თუ ეს საგანმანათლებლო პასუხისმგებლობა არ არის ადებული, დომინანტური ენების სწავლებამ (სოციოლინგვისტური ტერმინოლოგიით – „მაღალი“ სახესხვაობები) შესაძლებელია გააძლიეროს სოციალური მოთხოვნა.

არსებობს სხვა სპეციფიკური საკითხები, როგორცაა სქემების ხანგრძლივი მენეჯმენტი, რომლებიც მოიცავენ განათლების სისტემის გარე სფეროსაც, რომლებიც არ შედიან უმაღლეს განათლებაში, რაც ნიშნავს სპეციფიკურ პროგრამებს ისეთი

შემსწავლელებისათვის, როგორებიც არიან ახალი ჩამოსული ინდივიდების ბავშვები, შემსწავლელები, რომლებიც არიან უკვე ორენოვანი, მრავალენოვანი და მისთ. ეს არის ელემენტარული ეკონომიკური ლოგიკის საკითხი, რომლის შესაბამისობა უკვე აღინიშნა, რომ არ უნდა დაიკარგოს ეროვნული (რეგიონული) განათლების სისტემების გარეთ შექმნილი ენობრივი კომპეტენციები.

სასწავლო პროგრამები, რომლებიც ეყრდნობა ევროპის საბჭოს მიერ შემუშავებულ პრინციპებსა და მეთოდებს, უკვე მოქმედებენ; ამის მაგალითი შეიძლება ვიხილოთ *ზოგადეგროპული კომპეტენციების მე-8* თავში.

ამ პრინციპების გამოყენება ასევე შეესაბამება განათლების სისტემების რესტრუქტურისაც, რომლის კონკრეტული დეტალური მაგალითი შესაძლებელია ვნახოთ ექსპერტთა მოხსენებაში *Quelles langues apprendre en Suisse pendant la scolarité obligatoire* (Conférence suisse des Directeurs cantonaux de l'Instruction publique, July 1998) და ვერიდაისის მიმოხილვაში (2001) სხვ.

6. 11. დასკვნა

საგანმანათლებლო და ორგანიზაციული რესურსების საფუძველზე, რომელიც ხელმისაწვდომია მრავალენოვანი განათლების შემოსატანად, აღნიშნულია, რომ მნიშვნელოვანი ამოცანა, რომელიც უნდა განხორციელდეს, არ არის აუცილებლად დიდაქტიკური ან პედაგოგიური. არსებული პროგრამის შეცვლა, იმისათვის, რომ გაერთიანდეს სხვადასხვა ენების სწავლება და ენების გამრავალფეროვნება განათლების მთელ სისტემაში, ძირეულად მოითხოვს, რომ უნდა გამოიკვეთოს მომხმარებელთა და გადაწყვეტილების მიმღებთა სოციალური რეპრეზენტაციები. საბოლოოდ, მნიშვნელოვანია, ხალხს უფრო კარგად გავაგებინოთ, თუ რა კავშირი აქვთ ენებს შემდეგთან:

- ეროვნული გაერთიანება და ინდივიდუალური სოციალური და კულტურული იდენტობა;
- თუ რამდენად ადვილია მათი სწავლა და *ადრეული სწავლების* სავარაუდო უპირატესობანი;
- სწავლებისა და სწავლის ყველა ფორმის სოციალური აღიარება და, კერძოდ, უნარისა, რომელიც შინაგანად დაკავშირებულია მრავალენოვან კომპეტენციასთან, თუ როგორ ისწავლო ახალი ენის სწავლა, როგორც შემსწავლელის ავტონომიის საფუძველი ენის სწავლებაში;
- ყოველი მოლაპარაკის მრავალენოვანი მარაგი და პოტენციალი, ისევე, როგორც ყოველი ინდივიდის ლინგვისტური ისტორია, რომელიც მოიცავს მისი უნიკალური მრავალენოვანი რეპერტუარის მართვას;
- დემოკრატიული ღირებულებები, რომლებიც შესაძლებელია ეყრდნობოდეს ასეთი მრავალენოვანი უნარების ფლობის შესახებ ინფორმირებულობას, განსაკუთრებით ლინგვისტური მრავალფეროვნებისა და სოციალური ინტეგრაციის პოზიტიურ აღიარებას, რომელიც აგრეთვე მიიღწევა კომუნიკაციაში ჩართვით, მრავალენოვანი განათლების ორი ძირითადი მიზანი.

ასეთი შეხედულებების უფრო დახვეწა არის საგანმანათლებლო პასუხისმგებლობა, რომელიც კოლექტიურად აკისრია ყველა ევროპელ მოქალაქეს, მათ მიერ არჩეულ წარმომადგენლებს და დემოკრატიულ კულტურულ ორგანიზაციებს, რადგანაც ეს არ არის მხოლოდ ორგანიზაციული საკითხი, არამედ ძირეულად პოლიტიკური და კულტურული საკითხია.

ზოგადი დასკვნა

ევროპაში ენობრივი განათლების პოლიტიკის განვითარების სახელმძღვანელო იწყება განაცხადით, რომ ის არ ქადაგებს არანაირ კონკრეტულ ენობრივ პოლიტიკურ ზომებს. ის მხოლოდ შეეცადა ეჩვენებინა, რომ წევრი სახელმწიფოები შესაძლებელია ატარებდნენ ენობრივი განათლების განსხვავებულ პოლიტიკას საერთო პრინციპებისა და მიზნების მიხედვით, რომლებიც შეესაბამება ევროპას: მრავალენოვანი უნარების განვითარება ყველა ინდივიდისათვის მთელი ცხოვრების განმავლობაში, ისე, რომ

ვუჩვენოთ ყველა მოქალაქეს მრავალენოვნების ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ღირებულებები. ეს არ არის იმდენად ენის მრავალფეროვნების ხელშეწყობის საკითხი, რამდენადაც ათავსებენ მოქალაქეებს ცენტრში, როგორც ენის მომხმარებლებს იმისათვის, რათა სტიმული მიეცეს მათს პროფესიულ ცხოვრებას, უზრუნველყოფილი იყოს სოციალური ინტეგრაცია და აღიარება იმ კულტურული და სოციალური საზოგადოებების მიერ, რომლებიც განსხვავდება საზოგადოებისაგან, რომელსაც მიაკუთვნებენ საკუთარ თავს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ენობრივი განათლების პოლიტიკის გადამწყვეტი სოციალური ფუნქცია, რომელიც ეყრდნობა მრავალენოვნების პრინციპს, როგორც დემოკრატიული ტოლერანტობის და გასავითარებელი სპეციფიკური უნარების ფუნდამენტური ფუნქცია, არის ლინგვისტური დიფამაციის და არატოლერანტობის შეწინააღმდეგება, რათა დამყარდეს დემოკრატიული მეგობრობა და მშვიდობა.

ეს მიზანი, რომელიც სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებში მსგავს ფარგლებში იყო გამოხატული, შორს არის ძირითადი საზოგადოებრივი აზრისაგან ან პოლიტიკური გადაწყვეტილების მიმდებარეა. ფაქტი, რომ მან ჯერ ისევ ძალიან მცირე აღიარება ჰპოვა, შესაძლებელია აიხსნას ზოგიერთი სოციალური შეხედულების ღრმად ფესვ-გადგმული თვისებით, რომელიც მოიცავს საკუთარი ენის ღირებულების ზედმეტად შეფასებას, მკვიდრი მოლაპარაკის უნარებთან მიმართებაში, რადგანაც ერთადერთი მისაღები მიზანი ენის სწავლისას არის რწმენა, რომ მხოლოდ ადრეული სწავლა არის “შედეგის მომტანი” და უნივერსალური ღირებულება მიეწერება ინგლისურს. გარდა ამისა, ენა და ენობრივი განათლების პოლიტიკა ყოველთვის არ განისაზღვრება საკმარისად მკაფიოდ ან საკმაოდ არ განიხილება საჯაროდ.

სახელმძღვანელოს მიზანია, მოგვაწოდოს ენობრივი განათლების პოლიტიკის ფორმირების მიმოხილვა და ამის გამო მიზნების დადგენა და მათი განხორციელებისთვის ტექნიკური საშუალებების მოძიება. რადგანაც ეს ახალი მოთხოვნა არ არის, წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ მიზანშეწონილად ჩათვალონ ენის სწავლების ფორმის გამოკვლევა, რომლებიც მათ ქვეყნებშია მოწოდებული რათა დადგინდეს თუ რა რეგულირებას მოითხოვს ის.

შესაძლებელია ანალიზის ჩატარება, თუ გამოვიყენებთ ისეთ მონაცემებს, როგორცაა ენობრივი განათლების მაჩვენებლები (იხ. თავი 3 და 4) და ალბათ ის მოიცავს პოლიტიკურ და მენეჯმენტის კრიტერიუმებს შემდეგის თაობაზე:

- ევროპის საბჭოს იდეისა და წინადადებების განხილვა ენებთან და ენობრივ განათლებასთან დაკავშირებით;
- ლინგვისტური იდეოლოგიების ბუნება და როლი საზოგადოებრივ ცხოვრებაში (კერძოდ ამ იდეოლოგიებსა და პოლიტიკური პარტიების მანიფესტებს შორის დამოკიდებულება);
- ლინგვისტური კონფლიქტების ბუნება, მათი ინტენსივობა და მედიით დაფარვა (განსაკუთრებით ლინგვისტური მოთხოვნები);
- კონფლიქტური არგუმენტები ენობრივი პოლიტიკის სფეროში;
- პოლიტიკური, კულტურული, სავაჭრო ერთეულების, ნებაყოფლობითი სექტორის და ამ დებატებში ჩართული სხვა მოღვაწეების (მასწავლებელთა ასოციაციების ჩათვლით) იდენტიფიცირება;
- ძირითადი ენობრივი პოლიტიკის საკითხების ბუნება, რომელიც უნდა განიხილოს განათლების სისტემაში;
- ენის და ენობრივი განათლების პოლიტიკის ოფიციალური პირების კოორდინირება;
- გადაწყვეტილების მიღების პროცესები ენობრივი პოლიტიკისათვის (ჩართული ინსტიტუტები და სამთავრობო დეპარტამენტები), მეთოდები, რომლებითაც შექმნილია ენის პროგრამები (ტექნიკური კომისიები, საჯარო დებატები, ეროვნული კონფერენციები, ოფიციალური მიმოხილვები ექსპერტების მიერ), მათი პოლიტიკური დაკანონება და მათი გამოყენების ზედამხედველობა (ოფიციალური საპილოტე სქემები, სახელმძღვანელოების ზედამხედველობა, და მისთ.);
- ხშირად ნახსენები ადმინისტრაციული და ტექნიკური პრობლემები, რომლებიც ხდება ამ სფეროში;

- მთავარი მასწავლებლების, მშობლების, შემსწავლელების და მისთ. როლი ენებთან დაკავშირებით.

ანალიზი მოიცავდა ყველა საგანმანათლებლო სექტორს: წინა-სასკოლო, დაწყებითი და სავალდებულო დაბალი საშუალო სასკოლო, ზედა (ზოგადი და სპეციალიზებული) საშუალო განათლება, უმაღლესი განათლება, შემდგომი გადამზადების განათლება და მისთ. აგრეთვე შესაძლებელი იქნებოდა ამ სფეროებში „არაეროვნული“ ერთეულების მიერ შესრულებული როლის აღწერა, როგორცაა კომპანიები, ნებაყოფლობითი ორგანოები (სამშვიდობო, რელიგიური და მისთ.), კერძო სექტორის სკოლები და ა. შ.

ამ გამოკვლევამ, თუ ჩატარდება დებატების ფორმით, უნდა გამოკვეთოს გზები, რომლებშიც მრავალენოვნების პრინციპი, როგორც ღირებულება და უნარი განსორციელებულია შემდეგთან დაკავშირებით:

- ლინგვისტური მრავალფეროვნების განათლებასთან დაკავშირებული ქმედებები (იყოს გამორჩეული ენის სწავლებისაგან), ენებში დაინტერესებისა და სხვა საზოგადოებების ენების აღიარების ფარგლებში, როგორც შემსწავლელისათვის ასევე განათლების მოღვაწეთათვის (ენისა და სხვა საგნების მასწავლებლები, უფროსი მასწავლებლები და მისთ.);
- თეორიული მრავალფეროვნება (ხელმისაწვდომი შესაძლო არჩევანი) და რეალური მრავალფეროვნება (ენის სწავლების განაწილება განათლებაში კონკრეტულ ეტაპზე და მის სწორხაზოვან განზომილებებში), სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მიღებული სტრატეგია ენობრივი რეპერტუარის გასაფართოებლად (უფრო მეტი უნარები და/ან ენაში მაღალი დონე, ახალი სახესხვაობის დაწყება და ა. შ.);
- ურთიერთდამოკიდებულება, რომელიც დამყარდა სხვადასხვა სახეობების ენების სწავლებას შორის (ეროვნული / უცხოური / კლასიკური / სხვა ენები, უცხო ენებს შორის, რომლებიც ნასწავლია თანმიმდევრობით ან ერთდროულად) და ამის გამო ენობრივი განათლების სავარაუდო ბუნება;
- უმრავლესობათა და უმცირესობათა საზოგადოებების მოლოდინები (დიდი ხნის დამკვიდრებული, თუ ახლახან დასახლებული, იმ საზოგადოებების ჩათვლით, რომელთაც არ გააჩნიათ რეგიონული მიკუთვნება, როგორცაა, მაგალითად, ყრუთა საზოგადოება);
- აკადემიური შერჩევა და სოციალური გამოყოფის პროცესები იმისა, თუ რომელი ენა შეიძლება იყოს ვექტორი და ცენტრალური პოზიცია ეკავოს განათლების სისტემებში, და ამის გამო არადისკრიმინაციული ხელმისაწვდომობა ენებთან;
- გამრავალფეროვნებული სილაბუსები და სქემები, რომლებიც შემოტანილია სპეციფიკურ ტერიტორიული და კულტურული მახასიათებლების მიხედვით;
- ზოგადი ადგილი, რომელიც ეთმობა კულტურათაშორის განათლებას და განათლებას დემოკრატიული მოქალაქეობრიობისათვის განათლების სისტემაში (განსაკუთრებით სავალდებულო სკოლაში) და როლი, რომელსაც ენის სწავლება / სწავლა თამაშობს ამ მიმართებით.

უფრო ზუსტად, არსებობს უამრავი გადაწყვეტილება, რომელიც უნდა დადგინდეს და გამოინახოს. შესაძლო გადაწყვეტილებები იქნება მრავალი კარგად ცნობილი ფაქტორის ფუნქცია, როგორცაა:

- ადამიანური და ფინანსური რესურსები, რომლებიც განკუთვნილია ენებისათვის, რომლებიც შესაძლებელია დაკავშირებული იყოს შესაბამისი გეოგრაფიული ტერიტორიის ზომასთან;
- ზოგადი პრიორიტეტები, რომლებიც დადგენილია განათლებაში: გაუნათლებლობის დაძლევიდან ენის სწავლების ხარისხის მონიტორინგით დამთავრებული;
- საშინაო სოციოლინგვისტური სიტუაცია: ენების სტატუსი ტერიტორიაზე, ნებისმიერი ლინგვისტური კონფლიქტის არსებობა და ა. შ.
- დიპლომატიურ / გეოპოლიტიკური კონტექსტი და საერთაშორისო როლი, რომელსაც თამაშობს ეროვნული ენა (ენები);
- საგანმანათლებლო ტრადიციები და სწავლების კულტურები;

- შეთავაზებული ენების სპექტრი: შესაბამისი საგანმანათლებლო სექტორები, უზრუნველყოფის მრავალფეროვნება და ამ მრავალფეროვნების გამოყენება
- ენების სოციალური წარმოდგენების ბუნება (სოციალური და რეგიონული ჯგუფების მიერ და მისთ.).

ევროპაში ენობრივი განათლების პოლიტიკის განვითარების სახელმძღვანელო არ არის უბრალოდ ფაქტობრივი, რამდენადაც ის უეჭველად შეზღუდული იქნებოდა ასეთი თვალთახედვიდან, არამედ ერთ-ერთი მრავალ ინსტრუმენტთაგანი, რომელთა მიზანია მომავალი გეგმების აგება. კერძოდ, ეს ქმედებები შესაძლოა იღებდნენ წვერი სახელმწიფოების მიერ მათ განათლების სისტემებში ენების მართვაზე მათი პოლიტიკის შეფასების ფორმას, ევროპის საბჭოს დახმარებით (ენობრივი პოლიტიკის განყოფილება). ამ საკითხების საჯაროდ გამოტანით და ექსპერტების, პოლიტიკოსების და მოქალაქეების მონაწილეობით დებატების გახსნა ობიექტური მონაცემების საფუძველზე მკაფიოდ ფორმულირებულ პრინციპებთან დაკავშირებით თავის მხრივ არის რეალური ნაბიჯი კოლექტიური ინფორმირებულობისაკენ იმ მრავალ საკითხზე, რომელსაც მოიცავს ენობრივი განათლება და მოქალაქეების მიერ ენის შესწავლა და უფრო დიდი კონსენსუსის შექმნისკენ, რასაც მიყვავართ წვერ სახელმწიფოებს შორის თანამშრომლობის ახალ ფორმებამდე. არც ერთ შემთხვევაში არ არის ნაკლებად ფუნქცია განათლებაზე მრავალენოვანი, პლურიკულტურული პერსპექტივა პოტენციური უტოპიის ასაგებად, რომელიც აუცილებელი იქნება პოლიტიკური და კულტურული ევროპის საშენებლად, რომელიც ღიაა გლობალიზაციის ფორმისთვის, რომელიც, თავის მხრივ, არის პლურალური.

დანართები

დანართი 1: საბაზისო კვლევების სია

ქვემოთ მოყვანილი კვლევების ტექსტები განთავსებულია ევროპის საბჭოს ენობრივი პოლიტიკის განყოფილების ვებ გვერდზე: : www.coe.int/lang

Ager Dennis	<i>Language Planning and Language Policy</i>
Alexander Neville	<i>Language education policy, national and sub-national identities in South Africa</i>
Beacco Jean-Claude	<i>Languages and Language Repertoires: Plurilingualism as a way of life in Europe</i>
Breidbach Stephan	<i>Plurilingualism, Democratic Citizenship in Europe and the Role of English</i>
Castelloti Véronique / Moore Danièle	<i>Social representations of languages and teaching</i>
Churchill Stacy	<i>Language Education, Canadian Civic Identity and the Identities of Canadians</i>
Costanzo Edvige	[L'Educazione Linguistica in Italia: Un'esperienza per l'Europa?] <i>Language education in Italy: an experience for Europe?</i> [L'Educazione Linguistica in Italia: Un'esperienza per l'Europa?]
Doyé Peter	<i>Intercomprehension</i>
Gogolin Ingrid	<i>Linguistic diversity and new minorities in Europe</i>
Grin François	<i>Using language economics and education economics in language education policy</i>
Huhta Marjatta	<i>Tools for planning language training</i>
Johnstone Richard	<i>Addressing 'the age factor': some implications for languages policy</i>
Neuner Gerd	<i>Policy approaches to English</i>
Lo Bianco Joseph	<i>Language policy: an Australian perspective</i>
Ó Riagáin Pádraig	<i>The Consequences of Demographic Trends for Language Learning and Diversity</i>
Piri Riita	<i>Teaching and learning less widely spoken languages in other countries</i>
Raasch Albert	<i>Europe, frontiers and languages</i>
Seidlhofer Barbara	<i>A concept of international English and related issues: from 'real English' to 'realistic English'?</i>
Skutnabb-Kangas Tove	<i>Why should linguistic diversity be maintained and supported in Europe? Some arguments</i>
Starkey Hugh	<i>Democratic Citizenship, Languages, Diversity and Human Rights</i>
Truchot Claude	<i>Key aspects of the use of English in Europe</i>
Willems Gerard	<i>Language teacher education policy promoting linguistic diversity and intercultural communication</i>

გთხოვთ, აგრეთვე განიხილოთ *პუბლიკაციების სია*, რომელიც მოცემულია ვებ გვერდზე.

დანართი 2: გლოსარიუმი

მკვიდრი ენა (ან **ენდემური ენა**): ენის სახესხვაობა, რომელიც გამოიყენება გეოგრაფიულ ტერიტორიაზე, რომელიც ითვლება რომ არის ისტორიული გამოყენების შედეგი, ახლად ჩამოსული ემიგრანტების ენის საპირისპიროდ. ეს უკანასკნელი სახესხვაობები შესაძლებელია არ ეკუთვნოდნენ იგივე ენობრივ ოჯახებს, როგორცაა რეგიონული და/ან ოფიციალური სახესხვაობები შესაბამის ტერიტორიაზე.

ავტონომიური (შემსწავლელის ავტონომია): სწავლების სპეციფიკური სტილი, ხშირად შეთავაზებული ენის სწავლის პროგრამაში, რომელიც ცდილობს დაეხმაროს მოლაპარაკეს გაიგოს, თუ როგორ განახორციელოს საკუთარ თავზე კონტროლი ენის სწავლაზე; მისი მიზანია სწავლის სტრატეგიების შესახებ ინფორმაციის მაქსიმალური მიწოდება და თუ როგორ გამოიმუშაონ ისინი.

ორენოვანი (ბილინგუური) განათლება (იხ. აგრეთვე **ინსტრუქტირების ენა**): განათლების სტილი, რომელიც მოიცავს სულ მცირე ინსტრუქტირების ორ ენას (მაგალითად, ერთი ენა გარემომცველი გეოგრაფიული ტერიტორიიდან და უცხო ენა), რომელიც გამოიყენება სასწავლო მასალის სასწავლებლად და ცოდნის გადასაცემად.

კოდის ცვლა: ორ ან მეტ ენობრივ სახესხვაობას შორის ცვლილება ლაპარაკის ფარგლებში ან საუბრის ფარგლებში ერთი და იმავე მოლაპარაკის მიერ.

საზოგადოება: ისტორიულად ჩამოყალიბებული სოციალური ჯგუფი საერთო წარმომოხებითა და დამახასიათებელი თვისებებით, რაც აკავშირებს მათ, როგორცაა ენა, რელიგია, კულტურული გამოცდილება და ტერიტორია. ამ კომბინაციამ შესაძლებელია ხელი შეუწყოს დამახასიათებელი ჯგუფური თვისებების წარმოქმნას, მაგრამ ესენი არ გამოხატავენ არც წარმომშობის ან ადრე არსებულ მახასიათებლებს (იხ. აგრეთვე **ჯგუფი**).

დიალექტი: ენის სახესხვაობა ოფიციალური სტატუსის გარეშე (ან დაბალი სტატუსი), რომელიც გამოიყენება იშვიათად ან არასდროს წერით ხმარებაში, აღწერს რეგიონულ და/ან უმცირესობათა ენობრივ სახესხვაობას, მაგრამ აღიარებულია, როგორც ეროვნულ ან ფედერალური ტერიტორიის საკუთრება.

დომინანტური ენა (ენა-დომინანტი): (1) ენობრივი სახესხვაობა, რომელშიც მოლაპარაკეს აქვს კომპეტენციის უმაღლესი დონე; (2) ენის სახესხვაობა, რომელიც სარგებლობს ლეგალური, სოციალური და კულტურული სტატუსით სხვა სახესხვაობებზე მეტად.

განათლების სისტემა: საჯარო საგანმანათლებლო ინსტიტუტების ჯგუფი, იქნება ეს ეროვნულ, რეგიონულ თუ მუნიციპალურ დონეზე. ეს არ მოიცავს საგანმანათლებლო ინსტიტუტებს, რომლებიც ორგანიზებულია კერძო ორგანიზაციებითა თუ დაწესებულებებს, როგორცაა კერძო სკოლები.

პირველი ენა: ენის სახესხვაობა (სახესხვაობები), რომლებიც შექმნილია ადრეულ ბავშვობაში (დაახლოებით ორ სამ წლამდე), რომელზეც პირველად შეიძინება ადამიანის ენობრივი უნარები. ეს ტერმინი უპირატესობით სარგებლობს ვიდრე **მშობლიური ენა**, რომელიც ხშირად არაზუსტია, რადგანაც პირველი ენა არ არის ყოველთვის მშობლის ენა.

უცხო ენა: ენის სახესხვაობის აღნიშვნა, რომელიც კონკრეტულ გეოგრაფიულ ტერიტორიაზე არ გამოიყენება კომუნიკაციისათვის ამ ტერიტორიაზე მოსახლე საზოგადოებაში.

ჯგუფი: ხალხის ნაკრები, რომლებიც თვისობრივად დაკავშირებულნი არ არიან რაიმე კონკრეტულ მიმართულებასთან ან მრავალფეროვნებასთან. პიროვნება (ინდივიდი) შესაძლოა ეკუთვნოდეს ერთდროულად ორ ან სამ ჯგუფს, მაგრამ მოიაზრება, რომ პიროვნება (ინდივიდი), როგორც წესი, ეკუთვნის მხოლოდ ერთ ეროვნებას (**ხალხის ჯგუფს**) ან საზოგადოებას (იხ. აგრეთვე **საზოგადოება**).

კულტურათა შორისი კომპეტენცია: ცოდნის, უნარების, შეხედულებებისა და ქცევების კომბინაცია, რომელიც მოლაპარაკეს საშუალებას აძლევს სხვადასხვა დონეზე აღიაროს, გაიგოს, გარდაქმნას და მიიღოს ცხოვრების სხვა მიმართულებები და იაზროვ-

ნოს მისი კულტურის მიღმა. ეს კომპეტენცია არის ხალხთა შორის გაგების საფუძველი და არ შემოიფარგლება ენის შესაძლებლობით.

ენობრივი მისწრაფებები (აგრეთვე იხილეთ *ენობრივი მოთხოვნილებები*): ის მიმართულება, რომლითაც მოლაპარაკებები განიხილავენ იმ სახესხვაობას რომელსაც ეუფლებიან და სურთ პროგრესის ნახვა. მაგალითად, ისინი შესაძლებელია საკუთარ თავს მოისაზრებდნენ როგორც ერთენოვანნი ან ორენოვანნი და დაკმაყოფილდნენ მათი ენობრივი შესაძლებლობებით.

ენობრივი ინფორმირებულობა: პედაგოგიური ღონისძიებები (ძირითადად გამოყენებული დაწყებით სკოლაში), რომელიც წარმოადგენს და ხსნის ბუნებრივი ენების საერთო ფუნქციებს, სხვადასხვა ენებიდან მოყვანილ მაგალითზე.

ენობრივი განათლების პოლიტიკა: ქმედებების ერთობლიობა, რომელიც დაკავშირებულია ენის როლზე ეროვნულ და /ან კერძო სწავლებაში.

ენობრივი იდეოლოგია: ენების, მათი ღირებულებების და მათი გამოყენების შესახებ რეპრეზენტაციების, შეხედულებების, სტერეოტიპების და თეორიული ცნებების შეგროვება, სისტემატურად ან სხვაგვარად.

ენობრივი მოთხოვნილებები: ენობრივი სახესხვაობების იდენტიფიცირება, ყველაზე ხშირად უცხოურის და ამასთან დაკავშირებით მოთხოვნილი სახესხვაობები ყველა ტიპის ერთეულებსა/ინსტიტუტების (ბიზნესი, ორგანიზაციები, სახელმწიფო) მიერ იმისათვის, რათა სათანადოდ დარეგულირდეს შიდა და გარე ურთიერთობები, განსაზღვრულ კომუნიკაციურ სიტუაციებში. ეს იდენტიფიკაცია ეყრდნობა აუდიტის და ანალიზის პროცესს.

ენობრივი მოთხოვნილებები აგრეთვე შესაძლებელია გამოსცადონ ან აღიქვან ინდივიდებმა. ასეთ შემთხვევებში, ეს შესაძლებელია წარმოიშვას არა კომუნიკაციური მიზნების გამო: სწავლის სურვილი, სურვილი იცოდეს სხვა კულტურები და საზოგადოებები (იხ. აგრეთვე *ენობრივი მისწრაფებები*).

იდენტობის ენა: ენის სახესხვაობა, რომელზეც შესაძლოა ლაპარაკობდნენ თავისუფლად, იშვიათად ან თუნდაც არასდროს, მაგრამ რომელიც ფუნქციონირებს როგორც მიკუთვნების დასადგენი საშუალება (სიმბოლური, ემოციური) ხალხის მოცემულ საზოგადოებაში ან ჯგუფში. ამ სახესხვაობის ღირებულება ხშირად ხალხს ხშირად უმცირებს სხვა ენების ღირებულებას მათ რეპერტუარში.

ინსტრუქტირების ენა (ან **სასკოლო ან განათლების ენა**): ოფიციალური ენა (ერთი ან ზოგიერთ სახელმწიფოში ერთზე მეტი) ან უცხო ენა, რომელიც გამოიყენება, როგორც ინსტრუქტირების ენა სკოლაში. ეს ენა ყოველთვის მოსწავლეების „მშობლიური ენა“ შესაძლოა, არ იყოს; ინსტრუქტირების ენა მოიცავს განხილვის ფორმებს (კერძოდ, წერით მსჯელობას), რომელიც ახალია შემსწავლელთათვის.

წარმოშობის ენა: ენობრივი სახესხვაობა, ხშირად პირველი ენა იმ პირებისა და ჯგუფებისა, რომლებიც გადავიდნენ სხვა სახელმწიფოში საცხოვრებლად. ეს მოლაპარაკებები უნდა ადაპტირდნენ ლინგვისტურად ახალ გარემოსთან და ისწავლონ თუნდაც ნაწილობრივ მასპინძელი ქვეყნის ენა (ან ენები).

ენობრივი პოლიტიკა: ნებაყოფლობითი ქმედება, ოფიციალური თუ იძულებითი, რომელიც ეყრდნობა პრინციპებს (როგორცაა ეკონომიკა, ეფექტურობა, ეროვნული იდენტობა, დემოკრატია) რომელიც ცვლის ენის სახესხვაობას, იქნება ეს ეროვნული. რეგიონული/უმცირესობათა, უცხოური და მისთ., მის ფორმაში (ანუ წერითი სისტემა), მისი სოციალური ფუნქციებით (ანუ ოფიციალური ენის არჩევა), ან მისი როლით სწავლებაში (იხ. აგრეთვე *ენობრივი განათლების პოლიტიკა*).

ენობრივი სახესხვაობები: ტერმინი, რომელიც გამოიყენება ამ სახელმძღვანელოში, არის ნეიტრალური, მახასიათებელი ტერმინი, რომლის დანიშნულებაც ის არის, რომ თავიდან ავიცილოთ ტერმინ *ენის* ხმარება, ამასთანავე, თავიდან ავიცილოთ ფასეულობითი განსჯა (ენა = *რეალურ ენა*). ენობრივი სახესხვაობის ნებისმიერი განსაზღვრება, როგორც შემადგენელი ან არაშემადგენელი რეალური ენისა, ეფუძნება გარე ფაქტორებს და არა სახესხვაობის არანაირ რეალურ მახასიათებლებს. ენობრივი სახესხვაობის სახელდება მოიცავს სოციალურ ფსონებს ინდივიდუალური თუ ჯგუფური მოლაპარაკებისთვის (იხ. აგრეთვე მაგალითად *ღიაღექტი, რეგიონული ენა, მკვიდრი ენა, მშობლიური ენა*).

ლინგუა ფრანკა: (1) ისტორიულად შექმნილი ენა, რომელიც თარიღდება შუა საუკუნეებიდან (ფრანგულიდან და სხვა ენებიდან შექმნილი) ხმელთაშუა ზღვისპირეთის

რეგიონიდან, გამოყენებული როგორც საზოგადოებების საზიარო ენა; (2) ადრე არსებული ენის სახესხვაობა, რომელიც გამოიყენება როგორც ურთიერთობის ენა სხვადასხვა მოლაპარაკებებსა და სხვა სახესხვაობებს შორის, რომლებიც სწავლობენ და იყენებენ მას, როგორც საერთო ენა.

ენობრივი (ლინგვისტური) კეთილი ნება: სოციალური კულტურისა და კულტურათაშორისი აღქმის ფორმა, რომელიც იწვევს ენის ისე მიღებას, როგორც ის გამოიყენება (აქცენტით, შეცდომებით, რეგიონალიზმით) სხვა მოლაპარაკის მიერ (მკვიდრი თუ არამკვიდრი) და/ან უცნობი ენისა და მისი მოლაპარაკების არ უარყოფა.

ენობრივი (ლინგვისტური) კომპეტენცია: (1) ერთი ან მეტი ენის სახესხვაობის გამოყენების შესაძლებლობა ურთიერთობისათვის (იხ. აგრეთვე მრავალენოვნება); (2) შესაძლებლობა გაანალიზო ენობრივი სახესხვაობა მაგალითად აღწერითი კატეგორიების მიხედვით “გრამატიკაზე” ამ ლინგვისტიკაზე დაყრდნობით (ტერმინი *მეტალინგვისტური კომპეტენცია* აგრეთვე გამოიყენება ამ აზრით).

ენობრივი (ლინგვისტური) მრავალფეროვნება: სხვადასხვა ენობრივი სახესხვაობები ერთსა და იმავე გეოგრაფიულ ტერიტორიაზე (იხ. მულტილინგვური, მულტილინგვალიზმი) ან მოლაპარაკის ენობრივ რეპერტუარში (მრავალენოვანი, მრავალენოვნება, რეპერტუარი). ენობრივი სახესხვაობების დაცვა და მნიშვნელობა გახდა ევროპული საზოგადოებების საერთო ღირებულებები; შესაძლებელია განხორციელდეს *მრავალენოვანი განათლებით*.

ენობრივი (ლინგვისტური) რეპერტუარი (ან *ენის რეპერტუარი*, ან *მრავალენოვანი რეპერტუარი*, იხ. აგრეთვე *მრავალენოვანი*): ენობრივი სახესხვაობების ჯგუფი (პირველი ენა, რეგიონული ენა, სკოლაში შესწავლილი ენები ან საზღვარგარეთ ვიზიტებით), ერთი მოლაპარაკის მიერ დაუფლებული ცოდნის სხვადასხვა დონეზე და სხვადასხვა გამოყენებისთვის. ეს ინდივიდუალური რეპერტუარი ცვლის ინდივიდის ცხოვრებას (ასალი ენების დაუფლება, შესწავლილი „დავიწყებადი ენები“).

განათლებულობა: გრაფიკული სისტემის გამოყენების და წერითი ტექსტების ინტერპრეტირება/ შექმნა

ენა-უმცირესობა (ან *ენობრივი უმცირესობა*): ენა, რომელზეც შესაძლებელია ლაპარაკობდნენ უმცირესობები ეროვნული ტერიტორიის ნაწილზე, და რომელსაც შესაძლოა ჰქონდეს კი ოფიციალური სტატუსი, მაგრამ ეს შესაძლოა არ იყოს ოფიციალური ან ლეგალური ენის სტატუსი.

მშობლიური ენა: იხ. *პირველი ენა*.

მულტილინგვური (იხ. აგრეთვე *მრავალენოვანი*): გამოიყენება სიტუაციების ასაღწერად გეოგრაფიულ ტერიტორიაზე, სადაც რამდენიმე ენობრივი სახესხვაობა გამოიყენება; მოლაპარაკები გეოგრაფიულ ტერიტორიაზე შესაძლებელია არ ფლობდნენ აქ წარმოდგენილ არცერთ სხვა სახესხვაობას.

ხალხის ჯგუფი: ხალხის ჯგუფი, რომელიც ფიქრობს, რომ მათ საერთო წარმოშობა აქვთ (საერთო წინაპრები და ტერიტორია, საერთო კოლექტიური მემსიერება).

მრავალენოვანი (კომპეტენცია): უნარი წარმატებით დაეუფლო და გამოიყენო კომპეტენციები სხვადასხვა ენებში, ცოდნის სხვადასხვა დონეზე და სხვადასხვა ფუნქციებისათვის. მრავალენოვანი განათლების ცენტრალური მიზანი არის ამ კომპეტენციის განვითარება.

მრავალენოვანი განათლება: სწავლების მანერა, რომელიც აუცილებლად არ შემოიფარგლება ენის სწავლებით, რომელიც ცდილობს გაზარდოს ყოველი ინდივიდუალის ენობრივი რეპერტუარის შესახებ ინფორმირებულობა, ხაზი გაუსვას მის ფასეულობას და განავრცოს ეს რეპერტუარი უფრო ნაკლებად ან უცნობი ენების სწავლებით. მრავალენოვანი განათლება აგრეთვე ცდილობს აამაღლოს ლინგვისტური მრავალფეროვნების სოციალური და კულტურული გაგება, რათა უზრუნველყოს *ლინგვისტური კეთილი ნება* და გამოიმუშაოს *კულტურათაშორისი კომპეტენცია* (იხ. *აგრეთვე ლინგვისტური კომპეტენცია*).

თვითმიმართული (სწავლა) (იხ. აგრეთვე *აგტონომიური*): სწავლა, რომელსაც მიმართავს შემსწავლელი, რომელიც აღგენს მიზნებს, სწავლის ტემპს, მისაღწევს დონეს, და ირჩევს თუ რომელი მეთოდი უნდა გამოიყენოს (ანუ სახელმძღვანელოები, გრამატიკა, ლექსიკონები), და რა უნარები უნდა ჩამოყალიბდეს.

სოციალური რეპრეზენტაცია: კონცეფცია სოციალური ფსიქოლოგიის სფეროდან, რომელიც აღწერს საერთო სოციალურ ცოდნას ფენომენზე, ხშირად გაკრიტიკებული

როგორც სტერეოტიპი, კლიშე ან ცილისწამება. ასეთი რეპრეზენტაციები ზემოქმედებენ თუ როგორ აღიქვამენ სოციალური მოღვაწეები სამყაროს მათ გარშემო.

სწავლების მეთოდოლოგია (ენის სწავლების მეთოდოლოგია): პრინციპებისა და კონცეპციების დაკავშირებულ სისტემას, რომელიც საშუალებას იძლევა დადგინდეს ენის სწავლების სტრუქტურა (შინაარსი, მასალა, ინსტრუქტირების თანმიმდევრობა, სასწავლო ღონისძიებები, ღონისძიებების თანმიმდევრობა და მისი).

ჩვეულებრივი ენა (ან პრინციპული ენა): ენობრივი სახესხვაობა, რომელიც გამოიყენება მოლაპარაკის მიერ ყველაზე ხშირ ან უპირატეს კომუნიკაციურ სიტუაციებში (სამუშაო, სოციალური ცხოვრება), იმ სახესხვაობათა საპირისპიროდ, რომლებიც გამოიყენება ცალკეულ შემთხვევებში ან შეზღუდულია გამოყენების ცალკეული სფეროებით (მაგალითად, ოჯახის ენა).

წერილობითი / ლაპარაკის ენა: ენის სხვადასხვა ფორმების დანიშნულება იმაზე დამოკიდებულებით, თუ რომელი სფერო გამოიყენება (ლაპარაკი ან წერა). მიუხედავად ამისა წერითი ენის ფორმები არ ქმნის სალაპარაკო ენის მარტივ ტრანსფორმირებას (გრაფიკული სისტემით): ვერბალური კომუნიკაციის ამ ორ ფორმას აქვს ცალკე და დამახასიათებელი თვისებები (სტრუქტურა, ორგანიზაცია, რეესტრი).

დანართი 3: ევროპის საბჭოს საბაზისო დოკუმენტები

ევროპის საბჭო – www.coe.int

- კონვენციები [www.conventions.coe.int]
 - ადამიანის უფლებათა და ძირითადი თავისუფლებების დაცვის კონვენცია, 1950 (STCE 005);
 - ევროპული კულტურული კონვენცია, 1959 (STCE 018);
 - ეროვნულ უმცირესობათა დაცვის ჩარჩო კონვენცია 1995 (STCE 157);
 - რეგიონული ან უმცირესობათა ენების ევროპული ქარტია (STCE 148).
- წევრი სახელმწიფოების მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციები [www.coe.int/T/CM]
 - რეკომენდაცია N° R (82) 18 რომელიც ეხება თანამედროვე ენებს, 1982;
 - რეკომენდაცია N° R (98) 6 რომელიც ეხება თანამედროვე ენებს, 1998.
- საპარლამენტო ასამბლეის რეკომენდაციები [<http://assembly.coe.int>]
 - რეკომენდაცია 1383 (1998) *ენობრივ გამრავალფეროვნებაზე*;
 - რეკომენდაცია 1539 (2001) *ენების ევროპულ წელთან (2001) დაკავშირებით*;
 - რეკომენდაცია 1598 (2003) *ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებში ნიშნათა ენის დაცვაზე*;
 - რეკომენდაცია 1740 (2006) *მშობლიური ენის ადგილზე სასკოლო განათლებაში*.

ენობრივი პოლიტიკის განყოფილება – www.coe.int/lang

- საბაზისო დოკუმენტები და შერჩეული პუბლიკაციები
 - *მრავალენოვანი განათლება ევროპაში*;
 - *ენათა ფლობის ზოგადევროპული კომპეტენციები: სწავლა, სწავლება, შეფასება (CEFR)*;
 - *მომხმარებლის გზამკვლევი*.
 - *CEFR-ის ენებში გამოცდებთან დაკავშირებული სახელმძღვანელო*;
 - *ევროპული ენობრივი პორტფოლიო* www.coe.int/portfolio
 - *ევროპული ენობრივი პორტფოლიოს სახელმძღვანელო*;
 - *სახელმძღვანელო მასწავლებლებისა და მასწავლებელთა მწვრთვებლებისათვის*.
- მთავრობათაშორისი პოლიტიკის კონფერენციების მოხსენებები
 - კონფერენცია *სასკოლო ენებზე: ევროპული პროგრამისაკენ*, სტრასბურგი, ევროპის საბჭო, 2006წ. ოქტომბერი;
 - ფორუმი: *გლობალური მიდგომები მრავალენოვანი განათლებისკენ*, სტრასბურგი, ევროპის საბჭო, ივნისი 2004;
 - ფორუმი *ენა, მრავალფეროვნება, მოქალაქეობრიობაზე: მრავალენოვნების პოლიტიკა ევროპაში*, სტრასბურგი, ევროპის საბჭო, ნოემბერი 2002;
 - კონფერენცია: *ლინგვისტურ მრავალფეროვნებაზე დემოკრატიული მოქალაქეობრიობისათვის ევროპაში*, ინსბურგი, მაისი 1999.

დანართი 4: დამატებითი საკითხავი

პოლიტიკა და ენობრივი პოლიტიკა

- Churchill, S. 1998, *Official Languages in Canada: Changing the Language Landscape/ Les langues officielles au Canada : transformer le paysage linguistique*. Ottawa: New Canadian Perspectives/ Nouvelles Perspectives Canadiennes, Department of Canadian Heritage/ Le ministère du Patrimoine canadien [Also on line:
www.canadianheritage.gc.ca/offlangoff/perspectives/english/languages/index.html
www.patrimoinecanadien.gc.ca/progs/lo-ol/perspectives/francais/langues/index.html]
- Cunningham, D. and Hatoss, A. (eds) 2005, *An International Perspective on Language Policies, Practices and Proficiencies*. Belgrave (Australia): FIPLV
- Grin, F. 2003, *Language Policy Evaluation and the European Charter for Regional or Minority Languages*. Basingstoke: Palgrave-Macmillan.
- Kymlicka, W. and Patten, A. (eds.), 2003, *Language Rights and Political Theory*. Oxford: Oxford University Press.
- Lo Bianco, J. and Wickert, R.(eds.) 2001, *Australian Policy Activism in Language and Literacy*, Melbourne: Language Australia Publications.
- Ricento, T. (ed). 2006 *An Introduction to Language Policy. Theory and Method*. Oxford: Blackwell
- van Leewen, E.C. (ed) 2005, *Sprachenlernen als Investition in die Zukunft*. Tübingen: Gunter Narr

კულტურული მრავალფეროვნება და მოქალაქეობრიობა

- Alfred, G., Byram, M., and Fleming, M. (eds.), 2006, *Education for Intercultural Citizenship: concepts and comparisons*. Clevedon: Multilingual Matters
- Bailey, B. 2004, 'Misunderstanding'. In A. Duranti (ed.) *A Companion to Linguistic Anthropology*. Oxford: Blackwell
- Brown, K. and Brown, M. (eds.) 2003, *Reflections on citizenship in a multilingual world*. London: Centre for Information on Language Teaching and Research
- Bucholtz, M. and Hall, K. 2004, 'Language and Identity'. In A. Duranti (ed.) *A Companion to Linguistic Anthropology*. Oxford: Blackwell
- García, O., Skutnabb-Kangas, T. and Torres Guzmán, M. (eds) 2006, *Imagining Multilingual Schools: Language in Education and Globalization*. Clevedon: Multilingual Matters
- Lo Bianco, J. and Crozet, C. (eds.) 2003, *Teaching Invisible Culture: Classroom Practice and Theory*. Melbourne: Language Australia Publications.
- Osler, A. and Starkey, H. (eds.) 2005, *Citizenship and Language Learning: international perspectives*. Stoke-on-Trent: Trentham Books

ენის სწავლა და სწავლება

- Castellotti, V. (ed.) 2001, *D'une langue à d'autres, pratiques et représentations*. Rouen: Presses Universitaires de Rouen
- Coste, D., Moore, D. and Zarate, G. 1997, *Compétence plurilingue et pluriculturelle*. Strasbourg: Conseil de l'Europe
- Meissner, F.-J., Meissner, C., Klein, H. G. et Stegmann, T. D. 2004, *EuroComRom - Les sept tamis*. Aachen: Shaker.
- Moore, D (ed.) 2001, *Les représentations des langues et de leur apprentissage. Références, modèles, données et méthodes*. Paris: Didier
- Pencheva, M. and Shopov, T. 2003, *Understanding Babel. An Essay in Intercomprehension Analysis*. Sofia: St. Kliment Ohridski University Press.
- Rieder, K. 2002, *Intercomprehension in Language Teacher Education*. Wien: Pädagogische Akademie des Bundes.
- Skutnabb-Kangas, T. 2000, *Linguistic genocide in education – or worldwide diversity and human rights?* London: Lawrence Erlbaum.
- Tollefson, J. W. and Tsui, A. B. M. (eds) 2003, *Medium of Instruction Policies. Which Agenda? Whose Agenda?* Mahwah, NJ: Lawrence Erlbaum